

ანიშნული

1999

1610
1999



აზერბაიჯანის სამართლის სახლი

ვახტანგ VI

საქართველოს
ილია ჭავჭავაძის სახელობრის
მნიშვნელოვანია ასე დღესაც



მნიშვნელობები

99

საქართველოს
იღია ჭავჭავაძის
სახელობის
მფლობელის
ასოციაციის
ყოველწლიური
კლასი

გამოცხადება
1980 წლის 26 ივნისი

0808060
1999

კლემანტი «მშიგნობარი» მოგვითხრობს
 წიგნებსა და წიგნის შემძლებებზე,
 პიგლიორთებებსა და პიგლიორფილებზე,
 პიებებზე წიგნის სამყაროზე,
 ქველ წიგნებზე,
 სხვადასხვა ქვეყნისა და
 მხარის წიგნის მოყვარულებზე.

მთავარი რედაქტორი
 ლევან მენაბეგი

სარედაქციო საბჭო:

ლალი ავალიანი (მთ.რედაქტორის მოადგილე)
 ალექსანდრე გვასარია
 შოთა გოგიაშვილი (3/მგ მდივანი)
 გივი მიჩამე
 ლია ნადარეიშვილი
 ნოდარ ტაბიძე
 მიხეილ ქავთარია
 პელო ღელეყვა
 როსტომ ჩხეიძე

მხატვარი
 ანზორ თოლდია

გარეკანის პირველ გვერდზე: ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი.
 „ქილილა და დამანას“ ხელნაწერის მინიატურა (XVIII ს.)



სორის ზოგნია ცოდნის საუნდე,
რომელსაც ყველაზე ეტი ტონა აქვს,
მაგრამ ყველაზე აღვილი სატარებე-
ლია. ცოდნას ვერც ვერავთ გასმას-
ებს და ვერც ვერავთ ლაგანობას.

J. M. J.
Montgomery



ლამარა პიკლაშვილი

«როგორც სასანთლე გაჩაღებული...»

„როგორც სასანთლე გაჩაღებული...“ – ეს გურამ ასათიანმა თქვა. თქვა გიორგი ლეონიძის მოხხოვების წიგნის – „ნაცვრის ხის“ გამო. მაგრამ იგივე შეიძლება თქვას გიორგი ლეონიძის მოელ შემოქმედებაზე, სასანთლესავით გაჩაღებულ მის პოეზიაზე, აბდლერიალებულ სტრიქონებზე და თვით ლიტერატურულ, მეცნიერულ ნაშრომებზეც კი, რადგან ყველგან, ლექსის ან მოხხოვების წერისას თუ შეცნიერული კვლევისას, მაინც ყველაზე თვალისმომჭრელად ბრწყინვას გიორგი ლეონიძის სიტყვა... სიტყვა – დილის მჩესავით მოლივლივე, „სასანთლე-სავით გაჩაღებული...“

„გალაპტიონი წმინდა წყაროა...“

ჩვენ ხშირად გიყვარს ორი სიდიდის შედარება. ეს იყოდა ბაგონმა გიორგიმ და ერთხელ, თავისი ლექსების კითხვისას (ეს იყო 1959 წელს, როცა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში – გიორგი ლეონიძის სამსახურში მაგნიტოფონზე მის ლექსებს ვიწერდით), მოულოდნელად შეწერდა და თქვა: „გალაპტიონი წმინდა წყაროა, მე – ნიაღვარი...“ როგორც ჩანს, ამ აბრს დიდხანს ეძებდა და იმ წუთში მიაგნო.

პოეზია – წყაროსთვალივით წმინდა და პოეზია – გაბაფხულის ღვართქმულ მოვარდნილი ერთმანეთს არ გამორიცხავს, ორივე სხვა-დასხვაგვარად მშვენიერია. ნე დავიწყებთ ბომვას და წონვას – მივიღოთ ორივე სიდიდე გულით და გვიხაროდეს ორი დიდი პოეზი, რადგან ორივე დიადი ქართული პოეტური სიტყვის შემოქმედია, მისით სულდგურებული (თანაბარი სიყვარულით სულდგურებული) და მისი მსახური.

კიდევ რას ფიქრობდა ბატონი გიორგი გაღარდიონის პოემაშე, ქართველი ჩანს მის მიერ 1963 წლის თებერვალში რუსთველისტურის მცირე დარბაზში გამართულ გაღარდიონ ტაბუტის ხსოვნის ხალამოზე

წარმოთქმულ სიტყვაში. ეს საღამო საქართველოს რადიომ მთლიანად ჩაიწერა ფორმი, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ურაგმენტები შემოიტანება, მათ შორის, გიორგი ლეონიძის სიტყვის ურაგმენტიც:

„...პოეტია არის ძირითადი თვისება ქართველი ერისა. ქართველი პოეტური კულტურა უძლიერესია მსოფლიოში. ჯერ კიდევ რომაელი პოეტი პირაციესი თავს იწონებდა – ჩემს ლექსებს კოლხიდაში უშენებენო. პოეტის ქვეყნის რეპუტაცია საქართველოს შეუქმნეს პოეტებმა, რომელთა რომელს ეკუთვნის დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე – მარად უჭაბუკესი სიმღერით, შემოქმედებით, შემართებით.

გალაკტიონის პოეზია ბედნიერი ნიჭისაა – მოცარტული. მისი უდროო სიკვდილით ქართველ პოეტის გაუწყდა უძვირფასები სიმი, რომლის მელოდიები მუსიკით ავსებდა ჩვენს თაობებს. გალაკტიონ ტაბიძე დიდი ლირიკული ტალანტია ჩვენი დროისა. ის არის განახლება ჩვენი პოეტური მხედველობისა და ჩვენი ხმის ახლებური გასინჯვა.

გალაკტიონის პოეზიისათვის უცხო იყო გარეგანი უფექტები, თუმცა მას ყველაზე მეტად ჰქონდა მეტრული სიმღიდორეც და იშვიათი რითმაც. ის იყო გზის გამხსნელიც და გამომგონებელიც. მაგრამ გალაკტიონს ჰქონდა ისეთი თრთოლა, ისეთი მომხიბლავი მუსიკალური ცახცახი და პოეტური ერუანტელი, რაც არ ჰქონია დღემდის არცერთ ქართველ პოეტს. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია ლადი, მსუბუქი სუნთქვაა, სუნთქვა გულისა, მხოლოდ გულისა... და ამიტომ არის, რომ მის ლექსებს ჩვენ ვკრეფთ, როგორც წმინდა აღმასებს.

გალაკტიონ ტაბიძე იყო პირდაპირი და უახლოესი გამგრძელებელი ბარათაშვილის ფიქრის და შემთხვევითი არ არის, რომ იგი მის გვერდით წევს მთაწმინდაზე, როგორც ახალი ქართველი პარნასის ბინადარი...

უფრო მაღალი შეფასება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას – საყოველთაოდ აღიარებულს და უმაღლესად შეფასებულს, აღბათ, მაინც არ მიუღია. მხოლოდ გიორგი ლეონიძის გული უნდა ჰქონოდა პოეტს და გიორგი ლეონიძის ბუნება, რომ თავის თანამედროვე პოეტზე, გვერდში მდგომ პოეტები ასე ეთქვა... სიწრფელით, უშურველად, გულისშემბრელად და აღაღლი აღფრთვანებით.

იმედია, სრული ტექსტი გიორგი ლეონიძის ამ სიტყვისა გალაკტიონზე მის არქივში უსათვოდ მოიძებნება.

„ზოგიანელო...“

ასე მოიხსენია ტიციან ტაბიძე – თავისი „სამუდამო მეგობარი“ ცამეტ ცისფერყანწელ ძმათაგან ერთ-ერთმა – გიორგი ლეონიძემ ტიციანის



ხსოვნის პირველ საღამოზე მისი რეაბილიტაციის შემდეგ – 1961 წელს 6 მარტს კონსერვაცორის დიდ დარბაზში... მოიხსენია ასეთ კრიტუ ქსტში: „ტიციანი მრავალუროვანი, დიდი დიაპაზონის აღამიანი და მხატვარი იყო. დიდი ტემპურამენტისა და სინაზის მქონე. მას უყვარდა ცხოვრება, მაგრამ უყვარდა შრომაც. იყო იყო აბრისა და საქმის აღამიანი, პოეტი, მოაზროვნე, ესთეტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ორატორი, ცისფერყანწელების იდეოლოგი, დაუდალავი ორგანიზაციორი, რედაქტორ-გამომცემელი, მეპრესე, ახალგაზრდობის დამხმარე და ნამდვილი ამჟირიონი – „საწყალო ტიციანელო“, როგორც ღიმილით იტყო და საკუთარ თავზე...“

„ტიციანელო...“ – სიყვარულითა და სევდით წარმოთქვამს ბატონი გიორგი ამ სახელს იმ დიდი სიხარულის საღამოზე, სიხარულისა, რაღვან ტიციან ტაბიძის რეაბილიტაციის, მისი უდანაშაულობის აღიარებას, მის დაბრუნებას ქართველ მკითხველთან, ქართველ ხალხთან ზემობდა მისი თაობა. იქ, კონსერვაცორის დიდ დარბაზში, რომელიც თურმე ტიციან ტაბიძეს განსაკუთრებულად უყვარდა და თავის მეგობრებთან ერთად უმშვენიერეს პოეტერ საღამოებს სწორედ იმ დარბაზში მართავდა ხოლმე, კვლავ თავმოყრილი იყვნენ მის მეგობრები – გიორგი ლეონიძე და ლადო გუდიაშვილი, სერგო კლდიაშვილი და ვერიკო ანჯაფარიძე, კოლაუ ნადირაძე, ლემნა შენგელაძა, თამარ ჭავჭავაძე და სხვან.

სიხარულთან ერთად ბატონი გიორგი თღნავ გაფილორებულიც ჩანდა და ეს აშკარად ეტყობოდა.

„დღევანდელი დღე ტიციანის დღეა. დღეს ტიციანმა გააღვიძა დიდი ხნის მდემარე, მაგრამ ჩაუქრობელი ცეცხლი ჩეენს გულში, – ამბობდა იყო, – მე ყოველთვის მქონდა მიკერძოება სიყვარულისა ტიციანისადმი და დღეს განსაკუთრებით ვვრძნობ ჩემი სამუდამო მეგობრის – ტიციანის აჩრდილის სიახლოეს ჩემი საყვარელი მეგობრის – პაოლო იაშვილის აჩრდილთან ერთად...“

„სიკვდილი სიყვარულის გამო... სიყვარულისთვის“ – როგორც არჩილ სულაკაურმა თქვა, – სამშობლოს სიყვარულისთვის... ასეთი იყო ბედი ტიციან ტაბიძისა და მისი მეგობრებისა, მისი თანამოაზრებისა, მისი „ცისფერყანწელი“ ძმებისა. სიკვდილი ზოგთათვის, ზოგთათვისაც სულიერი ტანჯვა და გვემბა – ზოგჯერ იქნებ სიკვდილზე მეტოც.

ასეთი იყო ეს საოცარი, მძლავრი და ლამაზი ტალღა მე-20 საუკუნის ქართველი პოეტისა, მე-20 საუკუნის ქართველი მწრელობისა – მაღლა შეტყორუნილი, ბურმუხტოვანი, მზის სხივით ანთებული და ეპოქის კლდეებს შეხეთქებული, დამსხვრეული... ისევ მშვენიერ ნაკადებად, მშვენიერ ჩქერებად, შეფეხბად, მარცვლებად, წეველი ქცეული. ასეთი იყო



ის 13 ყანწელი, 13 მონაწილე ამ ჯგუფის, როგორც ბადიშვილი გიორგიმ იმ საღამოს თქვა, „თავს ადარებდა 13 ასურელ მამაში და მასში კავშირი გაიტანება“ საბოძნენი ამბობდნენ: „როგორც ათვამეტმა მამამ საქართველოში დაამყარა როთოდოქსული ქრისტიანობა, ყანწელებმა ნამდვილი პოტია დავამყარეთო...“

რამდენიმე წლის წინ მაგნიტოფირზე ტიციან გაბიძის ქალიშვილის – ქალბატონ ნიგა გაბიძის სიხარულიანი და ცრემლიანი მონახოლობი ჩავიწერე სიხარულიანი იმიტომ, რომ მას ნამდვილად მზიანი ბავშვობა ჰქონდა, მაგრამ ამ შეს მაღლე ჩამოეფარა ღრუბელი და დიდი სიმწარე და ცრემლი არგუნა.

ტიციანი რომ წაყვანეს, თურმე ერთ დამეში გათეთრდა მისი მეუღლე, გაჭალარავდა.

„მეორე დამე იყო, რომ დავრჩით მარტო მე და დედა... და მოვიდა ფეიიკო ლეონიძე, მა გოგლას მეუღლე. – მიამბობდა ქალბატონი ნიგა, – დედამ უთხრა, ახლავე წადიო, როგორ მოხვედი, რატომ მოხვედიო. ვერაფრით ვერ მოისვენა გოგლამ, მეც ვერ მოვისვენე, უნდა მენახეო. დედამ უთხრა, ძალიან გეხვეწებით, თქვენს თავს გაუფრთხილდით, თქვენს ოჯახს გაუფრთხილდით, მე არაფერი მიჰირსო...“ მაინც მოღიოდნენ, ყველანი მოღიოდნენ, „მარტოლობა არასოდეს გვაგრძნიათ“.

ნინო გაბიძე დადხანს არ გადიოდა სახლიდან. „ძია გოგლა სულ მოღიოდა, ეუბნებოდა დედას, ნინიკო, ნუ გეშინია, ნინიკო, ხომ იყო, მე შენს გვერდზე ვარ, ნურაფრის დარღია ნუ გაქვს, წამოდი ჩვენთან... დედა ფეიიკო ეუბნო ეუბნებოდა, არ შეიძლება, რომ არ გამოხვიდე, ნუ გეშინია, არაფერი იქნებათ...“

ასე ნელ-ნელა, ნელ-ნელა... იმ მძიმე პერიოდმა რომ გაიარა და ბერიაც მოსკოვში გადავიდა, ნინო გაბიძემ სამსახური დაიწყო და ტაციანისა და ნინოს მეგობრები ისევ იკრიბებოდნენ მათს სახლში.

რეაბილიტაციის შემდეგ, 2 აპრილს, ტიციანის დაბადების დღეს, სატელევიზიო გადაცემის დროს ქალბატონი ნინო ცუდად გახდა. „ყველა 2 აპრილი დედასთვის მძიმე იყო... – მიამბობდა ქალბატონი ნიგა, – და 15 აპრილს უკეთ დედა უცბად, სულ მოულოდნელად ცუდად გახდა ტელევიზორს უყურებდა და უცბად, სულ მოულოდნელად ცუდად გახდა და 15 აპრილს უკეთ დედა აღარ იყო... ეს ამბავი რომ მოხდა და სახლში სიჩუმე ჩამოღვა, კარი გაიღო და ძია გოგლა შემოვიდა მინდვრის ყეველების დიდი თაობელით... ეს ამბავი რომ დაინახა, ხმამაღლა აგირდა...“

1965 წელს ჩაწერილ ერთ რაღიონინგერვიუში ბატონი გიორგი ამბობს, რომ ჩემი წერილებისა და გამოკვლევების უმეტესობა ძველ ქართულ მწერლობას ეხება, თანამედროვეებზე თათქმის არაფერი დამთწერია, მაგრამ ვაპირებ დავწერო. თანამედროვეთა შორის ჩემთვის



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): გიორგი ლეონიძე, თამარ ბოლქვაძე,
ლელი ჭავარიძე, ტიტოან ტაბიძე, შალვა აფხაძე.

ნიკა აჩჩენის არქივიდან.

არა ერთი და ორი საყვარელი მწერალია და მათგე წერა ჩემთვის, ცხადია, სასიამოვნოა, თანაც დიდად საპასუხისმგებლოთ.

საქონლები

უმარებელი

უმარებელი

რადიოს ფონდში შემოჩენილი ვიორგი ლეონიძის რამდენიმე ამ ხასიათის ჩანაწერი ამ ხარვეზს ნაწილობრივ მაინც ავსებს. ასეთია გემოთ ნახსენები მისი მოხსენებაც ტიყიან ტაბიძის ხსოვნის საღამობე, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის, როგორი იქნებოდა მისი გამოკვლევების ის ნაწილი, თანამედროვე ქართულ მწერლობას რომ დათმობოდა.

ამ მოხსენების ერთი ურაგმენტი:

„ჩემთვის პოეტი ტიყიან ტაბიძე სამჯერ თუ ხეთჯერ უფრო დიდია, ვიღრე იგი ჩანს დღეს თავის ერთგომეულში, რითაც ეცნობიან პოეტს ის მკითხველები, ტიყიანს რომ ვერ შეესწრონ. ამ წიგნს ბევრი რამ აკლია. უპირველესად აკლია მრავალი მისი დაუწერელი ლექსი, მე არ ელაპარაკობ მის გაფანგულ ლექსებზე, მრავალი მღელვარე სიგვაა, მისი დაღადისი ძმობისა, სიყვარულისა, მეცნიერობისა, სააღერსო სიგვები აკთანდილობისა. მის წიგნში არ არის შესული მისი ორაგორობის ბრწყინვალე ნიმუშები. აქ არ არის მისი თავდავიწყება და გაგაცება კერძო, ინგიმურ საუბრებში საქართველოშე, პოებიაბე. ამ წიგნის მკითხველს არ გაუგონია ტიყიანის მახვილი, იუმერით სავსე სიგვაა, რაბლესებური სიცილი, არ უნახავს ტიყიანის ბავშვერი დიმილი. შეაერთოთ ეს ყოველივე და წაიკითხავთ ტიყიანის სრულ, თუ კნებავთ, სრულყოფილ, ბრწყინვალე წიგნს, რისთვისაც ჩვენ ასე გვიყვარდა იგი.

ტიყიანის ლექსი ღრმაა, გულწრფელი, ჟედამ მძაფრი, ქაფქაფა... მთელი მისი პოებია გულის ნადუღია, მაღლმობნეული მდედარებაა, ცხელი ნიაღვარი. მისი პოეტური ნერვი მუდამ შიმცელია და აღვზნებულია. ტიყიან ტაბიძე ბასრი პოეტია. ტიყიანის ლექსი ლია ჭრილობაა. სისხლჩამომდინარეა მისი ლირიკა, ტრაგიკელია ნაწილობრივ და ამავე ღროს სიცოცლემოწყურებული. მისი პოებია გედისა და არწივის ყივილია ერთად.

ტიყიანს არ ეცალა ფუჭი და უამრო ოსგატობისათვის, უსაგნო სტრიქონებისა და რითმებისათვის. არ ეცალა ამ-ესი კალებისათვის. მას, დიდ ქართველ ოსგაგს არ იგაცებდა სიგვაების არღევინიდა, უვნებო, პარნასული ფორმების ძიება, მისი შავები არ ამედავნებენ ფორმის ძიებას.

ტიყიანს არ უყვარდა სიგვაა სიგვისათვის, მას ყოველთვის ედიმუბოდა პოეტებზე, რომელთაც არ ეშოდათ, რომ სიგვაა, ცარიელ სიგვას უკაბ რაღაც უნდა მოსდევდეს, რომ სიგვის იქით უნდა იყოს ხანდარი, წყალდიდობა, საშინელება თუ სიხარული...“

ვეფიქობ, ყოველი სტრიქონი ძვირფასია, რადგან ტიყიან ტაბიძის შინაგანი და გარეგნული პორტრეტისათვის ჩვენ, ტიყიანის არათანამედროვეთ, უშაალო და ღრმადგანცდილ ფერებს გვთავაზობს.

„შიროსმანს ყველა იგორებს, როგორც სიმარს...“

1966 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გიორგი ლეონიძემ შემთხვევით დაკარგა ნიკო ფიროსმანშე დაწერილი მონოგრაფიული წიგნის ჟავე დასაბეჭდად გამზადებული ხელნაწერი, წიგნისა, რომელმც დაც თითქმის მთელი სიცოცხლე ფიქრობდა და მუშაობდა, რომლის-თვისაც ახალგაზრდობიდან აგროვებდა მასალებს. დასანანი ფაქტია... ამით ჩვენ დავკარგეთ გიორგი ლეონიძის ერთი საუკეთესო წიგნი, აღმართ, მის „ნატვრის ხესთან“ მოსახსენიებელი წიგნი, რადგან გამოქვეყნებული ფრაგმენტებიდან, ავტორის სიტყვით, „დაუმთავრებელი და დაუმუშავებელი“ ურაგმენტებიდანაც კარგად იგრძნობა გიორგი ლეონიძისთვის ჩვეული სიტყვათმთხბეველობა, მისი კალმისოსგანობა, უცი და ნათელი ფერები, ფიროსმანის მეგობრების სახეების შესაქმნელად რომ ხმარობს, იმ მეგობრებისა, გულწრფელად და აღალად რომ უყვარდათ საქართველოს დიდი მხატვარი, მაშინ საქართველოსთვის უცნობი და უჩინარი...

„ფიროსმანში ყველაზე მომხიბლავია ის, რომ მას ყველა იგონებს, როგორც სიმმარს“, – წერს გიორგი ლეონიძე 1922 წლის 22 აგვისტოს დღიურში, – „ყველა მისი სურათი დახატულია მომენტალურად, არყოს ჭიქების ცლაში. როგორც ერთმა მიკიდანმა თქვა, „არაუგე თუგინდ გაფრენილ ურინველს დაგიხატავდათ!“

დვინის ვაჭარი მესხიშვილი – 1930 წელი:

„სიკედილის თანამდები ვარ, ტყეილს ვერ ვიტყვი, ღვინო იყო მისი მახრობელი. როგორც უეტკარმა დილის მანანა აიღოს, ისე უნდა დაევლო ღვინის ღუქნები. თვითონაც დაუქნელ ღვინოსები იყო, ერთ ადგილზე ვერა დგებოდა, ხან ჭკეიანად მოგეჩვენებოდა, ხან ჭკვაგაფლანგულად...“

ბეგო იაქაევი, 1930 წელი:

„...მთელი სიცოცხლე სმაში და ხატვაში გამოადამა! ხატვდა, სასმელი ვიშოვოო, სეამდა – კარგად დაეხატოო.

მისი ხელიდან სიკეთე გამოვიდა, სიავე არა!

სუფთა იყო როგორც პირიდან, ისე ხელიდან!

მის პიჯაქს ჯიბე არ უნდოდა!

ნიკალა, – ვეუბნებოდი, – მარტოობა მნელია, ოჯახს მოეკიდე!

მარტო ვარ დაბადებული, მარტო უნდა მოვკევდეო!

ანგელოობი ეჯდა სწორედ ფუნქციები! აფსუს, ნიკალ! იმნაირი მხატვარი ჩვენს ქალაქს არცა ჰყოლია, არც ეყოლება“.

დასანანია კიდევ ერთი ფაქტი და ეს სინანული ბაგონმა გიორგიმ 1965 წელს მაშინ ახალგაზრდა კრიტიკოს გიორგი გაჩეჩილადისთვის მიცემულ ინტერვიუში გაანდო რადიომსმენულებს:

„პირველი ლექსი, კარგად მახსოვეს, 1909 წლის გაზაფხულზე დაწერული მანამდე, მართალია, გატაცებული ვიყავი პოეტით, მაგრამ მხატვრობის უფრო მივდევდა. ამიტომ ხელოვნების დარგებიდან უფრო შემრჩა მხატვრობის სიყვარული. მხატვრებს შორის მე ყეველაბე მეტად მიყვარს ნიკო ფიროსმანაშვილი. მეტიც – მასთან რაღაც სულიერ ნათესაობასაც კი ვგრძნობ.

უნდა მოგიხსენოთ, რომ 1915-16 წლებში მე ფიროსმანს თითქმის ყოველ-დღე ეხვდებოდი, რადგან ორივენი ერთ უბანში და ერთ ქუჩაზე ცხოვ-რობდით. მე ვეხოვრობდი ავჭალის, ანუ დღევანდელი საბჭოს ქუჩის 54 ნომერში. ფიროსმანსაც იქვე ახლოს – მაღანის ქუჩაზე პქონდა ბინა. ჩვენი სახლის აღაყაფის კარებთანაც არაერთხელ მინახავს ფიროსმანი გართული საუბარში მეპურევებთან, მედროვეებთან, ხარბზებთან და სხვა. არ დამაკიწყდება მისი ახოვანი, წარმოსადეგი ტანი, დარბაისელი, და-მილიანი სახე, დამოკიდებული თავის დაჭრა, ხელოსნის ტანისამოსი – სუეთად ჩაგმული. მუდამ თეთრი საცვალის პირი უჩანდა საყელოში.

დიაბ, მე ფიროსმანი არაერთხელ შემხვედრია იმ ქუჩაზე, რომელსაც იგი თერმე თავის პროსპექტს უწოდებდა, მაგრამ მე არ ვიცოდი, თუ ის კაცი, რომელიც ასე ხშირად მხვდებოდა ქუჩაზე, იყო მხატვარი, შემოქმედი, ავტორი იმ ნახატებისა, რითაც გამოჰყედილი იყო ჩვენი ქუჩის სარდაფები, თონები, საწვრილმანოები, ღუქნები, სახარაზოები, საპარაკ-მახეროები... რომ ის ნიკო ფიროსმანი ყოფილა, მე გავიგე მხოლოდ მისი სიკედილის შემდეგ - 1922 წელს, როცა შევეღექი მასზე მოგონებების ჩატარას და ბიოგრაფიული მასალების შეგროვებას.

ერთხელ მიმასწავლეს ფიროსმანის ერთ შეგობართან – მეწადე „ჭინჯასთან“, რომელიც ჩვენს სახლებში ცხოვრობდა მდგმურად და როცა შევეკითხე, გაკვირვებით შემომხედა, როგორ, შენ უფრო კარგად არ გახსოვს ფიროსმანი? ისე მეკითხები, თითქოს არ გენახოსო, რამდენ-ჯერ შესწრებითარ აქ, ჩემთან... და მომაგონა რამდენიმე მომენტი, რომლის მომსწრე მე ვიყავი. და უცდათ ორივე ერთად განვიცადე – დიდი სიხარული, რომ მე მინახავს ნიკო ფიროსმანი და დიდი სინაწელი, რომ თავის დროზე არ ვიცოდი, თუ ვინ იყო იგი. მე ხომ შემეძლო, მას-თან მებაასა, მესაუბრა. მაშინ ჩემი ლექსები უკვე იძეჭდებოდა ჩვენს უკრნალ-გაბეთუბში და ერთგვარი სახელი მქონდა“.

„მამაგე...“

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ცხადია, ეს ყველას კარგად გვახსოვეს, მა-ვანი და მავანი შეეცალნენ იმ მწერალთა დვაწლის უგულვებელყო-ფას, კომუნისტური დიქტატურის პერიოდში რომ მოღვაწეობდნენ და

ბევრი რამ გააკეთეს საკუთარი და ჩვენი – თვითოული ჩვენგანის სულის გადასარჩენად, თავის უფლების იდეა, სიკეთის ხსნის იძულებული საქართველოს ხსნის იდეა რომ გადაარჩინეს და ჩვენამდე მოიგანვს. ქართველ მწერალთა იმ თაობაზეა საუბარი, ბატონმა აკაკი ბაქრაძემ ქართველ მწერალთა კომუნისტების მიერ „მოუთვინიერებელი“ ნაწილი რომ უწოდა.

იწერებოდა წერილები, საღაც მათ, რბილად რომ ვთქვათ, აუგად იხსენიებდნენ. არ მოერიდნენ მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიმონ ტაბიძის, პალლ იაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ლეონიძის სახელებს.

სწორედ ამ ამბავთან დაკავშირებით მახსენდება ბატონი გიორგის ნაღვლიანი სახე (მას ხომ იშვიათად შეამჩნევდით მოწყენას, ნაღველს, უგუნებობას), როცა ერთ-ერთი ჩაწერის დროს სტალინისადმი მიძღვნილი თავისი სტრიქონები გაახსენდა:

არც ერდობე თრბი იჯდა,
არც ურინავდნენ არწივები,
ქოხებე ჩიგი დაფრინავდა,
შეყინელი ნამძივებით...

ჩიტებ შიოდა, არც ქოხებში
იყო ლხინი დარხეველი,
იდო თოვლი როგორც მაგყლი
თითისეგარმე ჩახვეველი...

მნელია ასეთი სტრიქონების გაწირვა... მით უმეტეს, ავგორის მიერ. ბატონი გიორგის სახე სინანულსა და შემრწუნებას გამოხატავდა...

მახსენდება სატელეფონო საუბარიც ბატონი გიორგის უფროს ქალიშვილთან – ქალბატონ ნესტან ლეონიძესთან იმ წერილების გამოქვეყნების შემდეგ, ზემოთ რომ ვახსენე. ქალბატონი ნესტანი სასოწარკვეთილი იყო, ლაპარაკიც აღარ უნდოდა... ამათდ ვანუგეშებდი. დარწმუნებული ვარ, ეს ტკივილი გაიყოლა თან იანვრის ცივსა და ტკივიებით დასტრილელ დღეს, როცა წუთისოფელი დატოვა და მამას მიაშურა.

მოწაფის პატარა, ოთხსამიანი რვეული და კიდევ რამდენიმე უურცული... ჩანაწერებიც არ ეთქმის. ქალბატონ ნესტანს ჩანიშნული აქვს ის, რაც ახსოვდა, როგორც ახსოვდა. ალბათ მოგონებების დაწერას ფიქრობდა. ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, თავისთვის ჩანიშნულ აბრებს შორის, სტრიქონებს შორის, სიტყვებს შორის უდიდეს სინაზე გამოკრთის, სინაზე, სიყვარული, დარღი, წუხილი... თანაც ისე ცხადი და ზუსტია ყოველი სიტყვა, ყოველი ამბავი, წამ კითხველს თვალწინ წარმოუდგება დიდი ჰოჭ

ტი, დიდი პიროვნება, დიდი ბუნების კაცი, სითბო და სიკეთე, მისი მრხები
რომ გასცემდა ახლობელთა და ირგვლივ მყოფთათვის.

მარცვალ-მარცვალ ამოვკრიფე ეს სიტყვები, მინიშნებანი, ნაწყვეტი
აჩრები, სტრიქონები და ჩემს თვალწინ ქალბატონ ნესტანის ძვირფასი
მოგონება გაცოცხლდა მამაბე. რეველსაც ასე აქვს მიწერილი, მინიშ-
ნებასავით – „მამაბე“.

მაღლობელი ვარ ქალბატონი ნესტანის ვაჟის – ბატონი გიორგის
შეიღიმვილის – გიორგი ქავთარაძისა იმის გამო, რომ ნდობა გამო-
მიცხადა და ამ სათუთად შენახულ ჩანაწერებთან ურთიერთობის შესა-
ძლებლობა მომცა.

„...ადამიანზე ზრუნვა სიხარულს ჰგვრიდა. საოცარი უნარი ჸქონდა
მოსმენის, სიგყვას არ შეაწყვეტინებდა არავის, ბოლომდე მოუსმენდა.

მოყვარული, ნაგი გული ჸქონდა... სხვაბე ფიქრობდა მუდამ – გული
არ დაეჩაგროს, არ ეტკინოსო. სხვის დარდს გულთან მიიტანდა.

მარტოობა არ შეეძლო. მარტო საღილზეც არ შესვამდა ერთ ჭიქა
ღვინოს, ხშირად უმმარდებოდა კიდეც უსტუმროდ მზესაც კი სითბო
აკლიათ, იცყოდა. სხვაგან ვერ ძლებდა. ერთ კვირაზე მეტაც ვერ ძლებდა
მოსკოვში ჩვენ დაგვთოვებდა და წამოვიდოდა. უარს ამბობდა დელიგა-
ციებში შორს წავსლაბე. ბოლოს უარი თქვა ინდოეთში თუ ჩინეთში
წასვლაბე – იმ სიშორებე რა წამიყვანსო, რა გამაძლებინებსო.

ახლოს იყო უბრალო ხალხთან... მიწასთან.

შენდობის დიდი უნარი ჸქონდა.

გაღმერთებული ჸყავდა სამშობლო, წინაპრები...

„როცა ვიხსენებ გმირთა სახელებს, ყელი მიტკება, თაფლდება სიგუ-
ვა...“

თამაღობა უყვარდა. იმდენად სმა კი არა, ხალხთან ურთიერთობა...
იწყებდა სამშობლოს, წინაპრების საღლეგრძელოთი, მათი ღვაწლის
აღნიშვნით. სვამდა პატარა ჭიქით, ქამრიანი ჭიქით. სმულდა ჩაის ჭიქ-
ბით სმა. არ სვამდა არაყს, კონიაქს. ღვინის გარდა არაფერს სვამდა.
არ მინახავს მთვრალი. ნასვამი უფრო კარგი ხდებოდა, მხიარული, ალ-
ერისანი.

უყვარდა სხვისი დახმარება. მთხოვნელს წერილს მიუწერდა, დაუ-
რეკავდა, წაყვებოდა კიდეც. პასუხი შემატყობინეთო, დაუბარებდა.

უველა სულიერი უყვარდა, უცოდებოდა. შინ გამორდილ ქათამს პირს
არ დაპარებდა, არც ცოცხლდა ნაყიდს. ხშირად მაღლობის ნიშნად
მოგვიყვანდნენ ხოლმე ცოცხალ ცხვარს – აღარ იცოდა, რა ექნა – უკან
ხომ ვერ გავატან, ეგონებათ, რომ დავუწენე საჩუქარით, გაუგზავნიდა
ამ ცხვარს წყნეთის დარაჯს. ის კი, ჩვეულებისამებრ, იტყოდა – მგელმა



სურათზე: გიორგი ლეონიძე რუსპირის ზერებში.
ფოტო ი. ტორისა. ს. ძმუქაშვილის საოგანო არქივიდან.

ეამებოდობ ხოფლერი პური და კამების მაწონი.

სწყინდა, როცა სინათლეზე მოფრენილ პეპლებს ხოცავდნენ, – რას ერჩით, ისედაც ერთი დღე აქვთ, გაიხარინოთ.

ხშირად ბავშვისთვის ყიდულობდა ჩიგებს გალით, მხოლოდ იმიგომ, რომ ბავშვებს განთავსეულების სიხარული გვრძნო. აჭმევდა, წყალს დაალევინებდა და მერე გააშვებინებდა, – აი, ახლა შენა ვლოცავხოთ.

უკუკარდა ხე, ბალახი, ყვავილი, მთა, მზე. ყვავილი მიწის ღიმილიათ, იზუოდა.

მე ვემთხვიე მშის თავთავებს,
ვაბთან ვიყავ დაჩოქილი.

ან:

თავს ვეხრი ბალახს,
მინდა სიცოცხლე
ამ თეთრ ვაშლის ქვეშ
უკუნისამდე...

ბალიან კეთილი, ბავშვივით გელუბრიყვილი იყო, ზოგი კიდევაც ბოროგად იყენებდა ამას.

სინათლე, მშე უკუკარდა. ფარდებს გადასწევდა, მშემ შემოიხედოსთ. სიბნელე სტელდა – მგბავრობისას ყოველთვის ასანთს და სანთელს გაეგანდით ხოლმე. ბოლოსაც, ალბათ ბოლომდე ვერ დავიჯერეთ, რა მოხდა. ისევ ისე გავაგანეთ სამუდამო გზაბე ასანთი... სანთელი.

სიკვდილი სტელდა – არასოდეს ლაპარაკობდა ამაბე. მხოლოდ ერთხელ, როცა ჩემი მამამთილი გარდაიცვალა, მითხრა – თქვენ უკვე უნდა შეეგუოთ იმ აზრს, რომ ჩვენ აღარ ვიქნებით. მანამ აღამიანი ცოცხალია, სიკვდილს მასთან რა უნდა, როცა გარდაიცვლება – ის უკვე ვერაფერს იცრძნობსთ.

ეს იყო მარტში. 4 თვის შემდეგ კი...

აღამიანი მაღლობელი უნდა იყოს ყოველი წეთის, რომელიც ღმერთმა უბოძათ.

უკავრებოდა უხეში სიგყვა, აღამიანის სულს ბგლანქებსთ. ყოველგვარი ძალადობა უკავრებოდა. ბავშვი თავისეულად უნდა გაბარილ, არ არის საჭირო ამდენი შენიშვნათ, მეტყოდა. არ გვახსოვს მისგან ხმის ამაღლება... არ იყო ჩვეულებრივი მამა, მეუღლე, პაპა. არაჩვეულებრივი მზრუნველი იყო, უკრადლებიანი... დღეში რამდენჯერმე დარეკაბდა – როგორა ხართ, დედა როგორ არის, რამე ხომ არ გინდათ და ასე ყოველდღე. მე აქა და აქ ვარ... ჩემი დარდი ნუ გაქვთ. არ ვარგა, მყილო, ამდენი დარდი.

პატარა რომ მყავდა, აკვანში იწვა. მამა ჩუმად შესულიყო და არგებდებოდი აქხსნა, ხელები გაეთავისულებინა. ბავშვი ნახევრად გადმოკვეშლის ბუღი იყო აკვნიდან, როცა შევედით.

— შემეცოდა, ვინ იცის, ხელის გაშლა როგორ უნდოდათ.

შეიძლება სწორედ ამიტომ, რომ არასოდეს გვიჯავრდებოდა, ხულ გვეურებოდა, ყველაფრის ნებას გვაძლევდა, — გვერიდებოდა მამასი, არასოდეს არაფერი მოგვითხოვა.

ასეთივე მოსიყვარულე შვილი იყო, მოსიყვარულე დედის. გულწვილი იყო. დედის საფლავზე ცრემლებით ტიროდა. ბებოს გარდაცვალების დღეებში ბიძახემ ლევანს და მამას ერთ თაბაში ეძინათ. დედა ამბობდა, როგორც პატარა ბიჭები, ისე ტიროდნენ მთელ დამესთ.

ბოლო წლებში განსაკუთრებით უყვარდა ბუნებაში ყოფნა, სამსახურიდან მანქანით მცხოვისკენ გაელა — ნაგახტარისკენ, საერთოდ, ქართლი უყვარდა ძალიან. ჰაერზე გავიღიოთ, ბაგშებს წაიყვანდა ხშირად. ბოლო წელს, იმ გაზაფხულზე მეც წაყვავი. წაგვიყვანა წილკანში. შემდეგ გამოვბრუნდით. ნაგახტარიან, მინდორზე, ხის ქვეშ ვისაუბმეთ. მე მკლავზე მქონდა მძივი შემოხვეული. ობილისში რომ ჩამოვედი, მამინ მივხვდი, რომ დავკარგე. ძალიან შევწეხდი. მამამ მკითხა, ძვირფასი იყოთ? მე მივუვე, რომ არა, ძვირფასი არ იყო, მაგრამ ძალიან მიყვარდა-მეტქი. ერთა-ორი დღის შემდეგ სამსახურიდან დამირკეა, რაკი შენ ეგ მძივი გყვარებია, წაგიდეთ, იქნებ ვიპოვოთო. წარმოიღინეთ, რომ ვიპოვეთ. მამა ძალიან ნასიამოვნები იყო.

ძალიან აწებებდა სამხრეთ საქართველოს ბედი. „ისე დავბერდი, ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...“ საფლავებს დაემებდა... საბას, ბესიკის გადმოსცენება უნდოდა.

არ უყვარდა კინგო და ყარაჩოდელი. უკვირდა მათით გატაცება.

არ უყვარდა კვიპაროსი სასაფლაოს ხეს ეძახდა. არც პალმა — ჩვენებური არ არისთ. წიწვოვანი ხეები მოსწონდა, მაგრამ ის არ მოსწონდა, ყველაგან წიწვოვანს რომ რგავენ — არ ეტყობა არც გაზაფხული, არც შემოდგომათ.

იყო ძალიან უპრეტენდიო. ძალიან ადვილი იყო მასთან ცხოვრება. არასდროს არაფერს გაიძულებდა, თავს არაფერს მოგახვევდა. უყვარდა თავისუფლება. ძალადობა დანაშაულად მიაჩნდა. შენიშვნებს ერიდუბოდა. არაფერს მოითხოვდა.

ფიროსმანის ქვებაზე № 50-ში სადაც ნიკო ფიროსმანიშვილი დასახურდა, მემორიალის გახსნა უნდოდა. ოცნებობდა ფიროსმანის ძეგლზე კურტალებ, დავით აღმაშენებლის, თამარის ძეგლი უნდოდა თბილისში, თამარის ქუჩა და მოედანი. ფიროსმანის საფლავს დაემუშად. უნდოდა ფილმი, ფიროსმანზე, სცენარზე მუშაობდა. ფიროსმანის 18 სურათი გადასცა

მუზეუმს, ეს ერთს საკუთრებაა და მე უფლება არა მაქვს, ჩემს ძინაში ჩავეჭოთ. ათობით ხელნაწერი, საბუთი, სიგელი, უძველესი წიგნების სცენოგრაფია სცენოგრაფია ინსტიტუტს.

მღეთის ქუჩაზე, № 9-ში, სადაც ვაჟა-ფშაველა რჩებოდა თავისი ძმის – სანდროს ბინაზე თბილისში ჩამოსვლისას, მემორიალი უნდა მოეწყოს.

მოსწონდა მერაბ ბერძენიშვილის გორგასალი. „ავთანდილი“ შეარქვა და უნდოდა, ენახა დადგმული თბილისში თუ არა, მცხეთაში მაინც უნდოდა ქაშვეთის მოხატვა დასრულებულიყო, ქიმერიონი ენახებოდა.

ბარათაშვილის კრებულში ლექს „საყურეს“ მიწერილი აქვს მამას ხელით – „თაყვანს ვცემ ილიას და აკაკის, მაგრამ მე გამაკვირვა მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილმა და ვაჟა-ფშაველამ!“

წინათ სარდაფებს სახელები პქონდა – „ძმური ნუგეში“ და სხვა. ახლა კი წერგი № ესა და ესო...“, – გული სწყდებოდა.

უნაბეჭი ლექსი აქვს დაწერილი – მარტო თბილისში ხარობსო. ძალიან უყვარდა მინდვრის ყვავილები.

დიდი ნიჭი პქონდა მომადლებული. ყველაფერს თითქოს ითლად აკეთებდა. დიდი შრომა მის გაკეთებულ საქმეს არ ეტუობოდა“.

რამდენი რამ უნდოდა და რამდენის გაკეთებას აპირებდა... რამდენ რამებებს სწყდებოდა გული, რამდენ რამებებს თცნებობდა. რამდენი რამ დაგვიტოვა ანდერძად, გასაკეთებლად, საშუალების საქმედ...

როდის მოიცლის შთამომავლობა ამ საქმეთა, ამ თცნებათა აღსახულებლად...

ერთხელ...

გადაივლიან ღრუბლები, დაპყრიან თქროს ქვიშასა, წავა ლექსი და წაიღებს ახალგამრდობის ნიშანსა...

გიორგი ლეონიძე სამოცდაათს იყო მიახლოებული, როცა განშორდა ამ ქვეყნას, ამ სამშეოს – მისთვის მართლაც სამშეოსა და სავარსკვლავოს.

სამშეოს, სავარსკვლავოს, სათაყვანოს... რადგან იქნებ არც მოიძენება, თვით საქართველოშიც კი, პოეზი, ასე რომ ყვარებოდა სიცოცხლე სამოცდაათს მიახლოებული, ჭაბუკი წავიდა ამ ქვეყნიდან, სიცოცხლით აუსრულებელი, სიცოცხლის, სილამაზისა და მშვენიერების ტრუიალი.

ლექსმა წაიღო ის სილამაზეც, მშვენიერებაც, ის სიჭაბუკეც. კი არ წაიღო, შეგვინახა თქროს მარცვლებად შეკინძელი, რათა ჭირში გაგვაძლებით, ლხინი დაგვიმშვენოს და თაობებს გაპყევს ნუგეშისა და იმედის სხივად.



ერთხელ...

კავშირგაბმულობის სახლის მეშვიდე სართულზე რაღოც ლადინის ლადინის ატერულ გადაცემათა რედაქციაში სტუმრობისას სწორედ ამ თემაზე საუბრის ღროს ბატონი გიორგის სახეს ისეთნაირმა სევდის ღრუბელმა გადაუარა, იგრძნობდით, რა მნელი იყო მისთვის იმაზე ფიქრი, თდესმე რომ უნდა დაეთმო ეს წუთისოფელი. არა, სიკედილზე ალბათ არც ფიქრობდა, სიბერისათვის ენანებოდა თავი, დაბერება არ უნდოდა...

ერთხელ...

1959 წლის 27 დეკემბერს – გამთრის უნაურად ნათელ, მშიან დღეს, დაბადების 60 წელი რომ შეესრულდა და სახალხო პოეტის წოდება მიანიჭეს, მისაღლცად მივეღით მასთან.

ბატონი გიორგი პატარძეულს იხსენებდა, თავის ბავშვობას. მის ხმას მოქმეონდა სიმშვერიერე ივრისპირა ველებისა, სურნელი ბალახისა და თვივისა, დუდუნი ივრის ნაშეფისა, მისი პირიმბითი, მჩეგულა, პირმბეპრე სივრცის უსაბღვროება. ეს იყო ჩვენი პირველი უშაალო შეხვედრა გიორგი ლეონიძის „ნაგვრის ხესთან“, წიგნთან, მერე საქვეყნოდ რომ გამობრწყინდა. ბატონმა გიორგიმ ხელნაწერის რამდენიმე უკრცელი მაჩუქა. არასოდეს დამავიწყდება ეს დღეც.

დაუვიწყარია ის საღამოც, ბატონმა ხეგა ბერულავამ ჩვენი რედაქციის თანამშრომლები „ნაკადულში“ რომ მიგვიწვია, რაღაც ბატონ გიორგის „ნაკადულის“ თანამშრომლებისათვის დიდი ხნის შეპირებული აკომიტერუაფიული წიგნი უნდა წაეკითხა.

ეს იყო საოცარი სპექტაკლი – საღამოს 7 საათზე რომ დაიწყო და დამის 3 საათამდე გაგრძელდა. ამდენი ხნის მანძილზე ბატონი გიორგი ფეხშე მდგარი კითხულობდა, კი არ კითხულობდა, თითქოს იქვე, ზეპირად ქმნიდა... მის იმპროვიზაციებს ბოლო არ ჰქონდა. როცა სპექტაკლი დამთავრდა, ბატონმა დემნა შენგულაიამ ძმურად გადაკოცნა ბატონი გიორგი და უთხრა, გვაჯობე, პრობაშიც პირველი ხარო.

27 დეკემბერსა და ახალი წელს შორის 3-4 დღეა და იქნებ სწორედ ამიტომ დაბადების დღეს ბატონი გიორგი განსაკუთრებული განწყობილებით ხედებოდა ხოლმე – მხიარულად, ხალისანად, სავსე გულით.

იმ პირველი 27 დეკემბრის შემდეგ დაგვიმეგობრდა. სხვათა შორის, იმ რედაქციებს შორის, ვისაც „ნაგვრის ხის“ პირველი ფრაგმენტების შებლიკაცია მიანდო, ჩვენი რედაქციაც იყო.

27 დეკემბერს თუ დილითვე არ დავურეკავდით მისაღლცად, თვითონ დარეკავდა – რაგომ არ მიღლოცავთო.

წლების მანძილზე ჩვენი უცვლელი მეკვლე იყო. რაღიომსმენელებს 12 საათზე ახალ წელს პირველად ის მიუღლოცავდა. ეს ძალიან მოსწონდა და ახარებდა. ახალ წელს ყველა მხიარული უნდა იყოსთ, რათა

სიხარული დაგვებედოს და წელიწადის არცერთ დღეს ჩრდილოეთი მიაღესო, იტყოდა... და ამ სიხარულს ყველას გადასდებდა.

ერთხელაც...

ბატონი გიორგის სამსახურში – ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მივეღით მისი რამდენიმე ლექსის ჩასაწერად. აპარაფი და მიკროფონი, საერთოდ, არავის უყვარს – არც პოეტს, არც მხატვარს, არავის, ვინც მიკროფონს მიჩვეველი არ არის. არა მცალიათ, პირველად გვითხრა, ბევრი საქმე მაქვს, აյ სამსახურია, „ლექსობანა“ არ შეიძლებათ. წყენა რომ შეგვატყო, კარგი, ერთ ლექსს წაგიკითხავთ, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარსო, გვითხრა და წაგვიითხა „ოლე“.

ჩანაწერი რომ მოვასმენინეთ, გახალისდა... თქვენც მოგწონთო? – გვითხრა. ახლა ჩვენი შერჩეველი ლექსები ჩავწეროთო, ვთხოვეთ. შევარჩიეთ „პოეტის დედა“, „ნინო ჭავჭავაძეს“, „წავა ლექსი და წაიღებს,... მოეწონა, თავადაც შემოგვიერთდა შერჩევაში და... „ყივჩაღის პაჟმანი“, „ნინოწმინდის დამე“, „მეტივეები“, „მყვირალობა“, „ციცარი“... დაავიწყდა, რომ არ ეცალა, დაავიწყდა, რომ საქმე პქონდა. ჩვენთან ერთად ფურცლავლა წიგნს, თითქოს ისიც მკითხველი იყო ამ ლექსებისა და არა ავტორი. მრავალი ლექსი ჩავწერეთ, დიღხანს ვწერეთ... ის ჩანაწერები დღეს საქართველოს რადიოს უნიკალურ ჩანაწერთა ფონდის კუთვნილებაა...

დგება დამა *

დგება დამე...და ლერწმებში იუერფლება მწუხარის აღი,
 დგება დამე და თეთრ სიცილს აფრქვევს დამის დედოფალი...
 ტყე სალამურს არაკრაკებს, ეპკურება მინდორს ნამი,
 შამბახს ჰკოცნის შუქი მთვარის, მეწამულ ვარდს – ცის კამკამი!

და მე ამ დროს მესმის ხმები, მესმის კითხვა საიდუმლო,
 რისთვის, რად და საიდანა? – მიწის ჭიავ, მიწის მუმლო!
 მუმლო, დღეს თუ დანავარდობ, ხვალ არარაღ გადიქცევა,
 შენ არ გმოსახს უკვდავება, ნეტარების ჰანგთა მწვევა.

შენ სიმმარტე უჩქარესო, მიწის ცრემლში ისე დნები,
 ამოცანავ, დღეს არა ხარ, ამოცანავ, ხვალ იქნები,,
 დგება დამე, საოცნებო, დგება დამე იღუმალი,
 და არ ვიცი, თუ ვინა ვარ, ან სიცოცხლე რაღ მაქვს მალი?

[1915]

ცას

ცავ, თუ ვერ გამხდი უკვდაეს მარადა,
 ქვეყნად დამსახუ, მითხარ მა, რადა?

თუ ვერ იურენდა ლტოლვათა რაში,
 სიცოცხლე ფუჭი მინდაღა რაში?

* საქართველოს შენიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება პოეტის იუბილესთან დაკავშირებით გამოსაცემად ამზადებს გიორგი ლეონიძის თხზულებათა სრულ კრებულს. ლექსები, რომლებიც ჯერ მწერლის არც ერთ კრებულში არ შესელა, დასაბუქდად მოვაწოდა ეირკელი ტომის შემდგენელმა ქალბაზონშა ცაცაცა ფაზა (რედ.).

მაშ, მომეცალე და მომერიდე,
მეფე ვარ თავის! მაშ, მომე რიდე!
ს. პატარძეული
[1915]

* * *

აქ ყვავილი ცისფერთვალა, იცინოდა განამკრთალი,
ის ცის კიდეს გაპყურებდა, მუდამ სველი ჰქონდა თვალი,
ვერ აღხენდა ვერც ხელმწიფე, ვერც ნარგისთა დედოფალი,
ყვავილს ცრემლით უპასუხოს! – ესე ჰქონდა სამართალი.


სული მისი ვათ მერანი, უხილავის მთებში ჰქონდა,
უკიდო და უსაბღვროსკენ, ელვასავით ისწრაფულა...

ქალწულებრივ ქვეყანაში, იქით მხარეს, იქით კიდეს,
ის ან საულავს დაეძებდა, ან გვირგვინებს, ან სიმშვიდეს...

უნაპირო ქვეყნის ცეცხლი მას ათბობდა, მასვე სწვავდა,
იქაური სურნელება, მასთან კრითომით მოფრინავდა...

თვალწინ ედგა მისი სახე, ვინ მიჯნურად გულში ჰყავდა,
მისკენ მუდამ მიიღებოდა, მისთვის მუდამ ლოცვას სთხბავდა...
ნეტამც ღმერთი შეჰვედროდა, მასთან ბრძოლას გამართავდა....

[1916]



ଫିଦା
ଓ
ଶ୍ଵେତବରଣୀ

ქართველი ენის ყველაფერი გამოიტანება,
რაც დედამიწაზე შეიძლება გამოიმავას რამინ-
დარა ენით. აგრი არ მოიპოვება არც ერთ
ენაზე, რასეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ
არა თუ ქართველება სავსეათ ვერ გამოიქვას,
არამედ მხატვრელ ყალიბში ვერ ჩამოასხას.
ქართველი ენა, განსაკუთრებით ცოცხალი
ქართველი ენა, გაღალმხატვრულად გამოსახავს
ყოველ აგრს და დაუმახინჯებლად და გეო-
რეგიონელად გადმოსცემს, ისე მღიღრულია
ქართველი ენა, შეიძლება ითქვას, მინაბანი
თვისებით იგი მსოფლიო ენაა.

ნიკო მარი

დიდი ენათმეცნიერის ლიტერატურათმცოდნეობის ღგაწლი



არნოლდ ჩიქობავა ის დიდი მოაბროვნე იყო, რომელსაც სპუ-
ციალური განათლება ჰქონდა
მიღებული მეცნიერების სხვა-
დასხვა დარგში, მაგრამ მრავალ-
თავან განსხვავებით ამ ცოდნას
თავისთვალი დემონსტრირები-
სათვის როდი მიმართავდა, მას
მკაფიოდ ჰქონდა შემოსაბლვრუ-
ლი თავისი კელევა-ძიების, მეც-
ნიერული მოღვაწეობის ფარ-
გლები. ბრწყინვალე ენათმეცნი-
ერმა სხვაზე უკეთ უწყოდა,
„როცა სპეციალისტი მონათესავე
დარგების ვითარებაში საფუძვ-
ლიანად ერკევა, მას შორის გა-
ხედვის შესაძლებლობა აქვს და-

ეს სპეციალურ საკითხებზე მსჯელობას სინათლეს მატებს“.

არნოლდ ჩიქობავა წერდა: „როცა სპეციალისტი ღრმად ფლობს საკ-
ვლევ მასალას, მისი მსჯელობა დამაჯერებულია და საინტერესო არა
მხოლოდ სათანადო დარგის სპეციალისტისათვის“. და მართლაც, მისი
მეცნიერული მემკვიდრეობა არა მარტო სათანადო დარგის სპეციალ-
ისტისათვის არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, ლიტერატურათმ-
ცოდნისთვისაც დიდად ღირებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურულ საკითხებში ჩინებულად ერკ-
ვეოდა, ბაგონი არნოლდი დიდი კელტურის მქონე ადამიანისათვის ნიშან-
დობლივი თავმდაბლობით აცხადებდა: „ლიტერატურათმცოდნეობა
ჩემგან შორს არის, მაგრამ ქართული ლიტერატურა ისევე ახლოსაა,
როგორც ყოველი ქართველი კითხველისათვის“. არნოლდ ჩიქობა-
ვამ საკუთრივ ლიტერატურის თვალსამრისითაც დიდი შრომა გასწია;

სხვა ყველაფურნ რომ თავი დაგანებოთ, მარც მისი უშეალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით მომზადებული „ქართული კუნძულის“ მარტებითი ლექსიკონის“ რეაგომეულიც ხომ სრულიად საქართვის ქართული მწერლობისათვის მისი განუზომეული დაკარგი ცხადსაცოცხალ; როგორც თავის ღრომე ვრა აბაშიძემ აღნიშნა, „განმარტებითი ლექსიკონი ჩვენი მწერლობისათვის იყო უძირველესი საჩუქარი“.

არნ. ჩიქობავას მეცნიერელ ინგერესებში მნიშვნელოვანი აღვილი ეჭირა ქართული სალიგერატურო ენის, მწერლის სტილის პრობლემებზე ის შესწავლას. მხატვრული ლიტერატურის შესახებ წერის დროსაც არ ტოვებდა იგი ენათმეცნიერის პრიზიას. მწერლობა მას, პირველ ყოფლისა, აინგერესებდა ენობრივი თვალსაბრივით. ამ თვალით გომავდა რესტავრაციასაც და ილიასაც, აკაკისაც და ვაკასაც, გალაკტიონსაც და გოორუგი ლეონიძესაც. ხალხურ, ცოცხალ მეტყველებასთან კავშირი სალიგერატურო ენისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისად მიაჩნდა. „საკითხები აქ ისლაა, — წერდა იგი, — როგორ გამოიყენებს მწერალი ამ კავშირს, როგორ შეეხამებს ერთმანეთს ისტორიული ტრადიციით ნაანდერტექს და ცოცხალი ხალხური მეტყველების უშეალო წყაროდან მომდინარეს. ეს ეხება ენის ყველა მხარეს და მაინც ლექსია და ფრაგმენტები ამ მხრივ გამოიჩინა. ლექსიკას და ფრაგმენტების მწერლის ენაში განსაკუთრებული აღვილი უჭირავს. აქ გამოჩნდება რა სათქმელი ჰქონდა მწერალს და როგორ შეძლო მისი თქმა. მხატვრული სტილი შემოქმედის ინდივიდუალობას განსაზღვრავს, ხოლო სტილის რაობა-რაგვარობაში ლექსიკა-ფრაგმენტობის გადამწყები ხატყვა ეკვთვნის. მწერლის ენის შესწავლა უწინარეს ყოვლისა ლექსიკა-ფრაგმენტობის შესწავლას გულისხმობს“. დიდი მეცნიერის ამ რიცის მოსაზრებებს მეთოდოლოგიური ხასიათი აქვს.

განსაკუთრებით ფასეულია ღიატერაზე ათმცოდნეობისათვის არნ. ჩიქობავას ნაშრომები სტილის პრობლემის საერთოდ, და კერძოდ, მხატვრული სტილის შესწავლის თვალსაზრისით. სტილის პრობლემები ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი ვრ. კაკაბე თავის „მეტყველების სტილის საკითხებში“ ენათმეცნიერთაგან საგანგებო ყურადღების საგნად სწორედ არნ. ჩიქობავას ნაშრომებს იხდის, მის მოსაბრებებით ან მიმართებაში ავითარებს თავის თვალსაზრისს საბოგადოდ სტილის რაობის, ენათმეცნიერული და პოეგიკური სტილისგან კი ამოცანებისა და საბაზოების დადგენის ურთელეს პრობლემებისას.

არნ. ჩიქობავამ მოგვეცა მხატვრული მეტყველების სტილის ანალიზის თვალსაჩინო ნიმუში იღია ჭავჭავაძის თხბულებათა პერსონაჟების მეტყველების მაგალითზე (ლელო დუნია, კლახა ჭრიაშვილი). სწორედ ამ კონტექსტში გამოითქმა მან სახელმძღვანელო დეკლავა „მეტყველებ-



ის კულტურის,, საკითხთან დაკავშირებით, რომლის თანახმად „მეტელი“-
ველების კულტურა“ სესტობს იქ, სადაც აბროვნების კულტურა მოიკრძ-
ლებს, და, მაშასადამე, „მეტყველების კულტურისთვის“ ბრძოლა „აბროვ-
ნების კულტურისათვის“ ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია.

არნ. ჩიქობავას მდიდარ მემკვიდრეობას ამშვენებს შესანიშნავი ეს-ები, სტატიები, რომლებიც ქართველ მწერალთა ღვაწლის დახასიათებას ისახავენ მიზნად (მომეტებულად სამწერლო ენის განვითარების ოქალსაბრისეთ).

ბენებრივია, მეცნიერის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო შოთა რუსთაველის „ვეზენისტებისანი“. რუსთაველის ენის საკითხებს, „ვეზენისტებისანის“ განუზომელ როლს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში არნ.ჩიქობავას რამდენიმე წერილი მიეძღვნა. არნ. ჩიქობავას სიტყვებით, „ვეზენისტებისანი“ დიღებული ჰიმნია ძლიერი, მართალი და ლამაზი ადამიანური განცდებისა, უბალლო თავისი ლექსის მუსიკალობით, მღიდარი შესახიშნავი აფორიზმებით. საუკუნეები ქმნიან პერსპექტივას, საღაც სრულად დააჩნდება ეს მწვერვალი ქართული პოეტური შემოქმედებისა, საპატიოდ სახხენებელი მსოფლიო ლიტერატურის შედეგურთა შორის“.

არნ. ჩიქობავა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის საქმეში საგანგებო აღნაშვნის ღირსაღ მიიჩნევს ი. ჭავჭავაძის დამსახურების მისი აბრით, ი. ჭავჭავაძემ დამაჯერებლად დაასაბუთა რესტავრაციის ქმნილების შეოფლით მნიშვნელობა. იღვა ჭავჭავაძის ანალიზი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ რაობაში არსებითს, ნიმანდობლივ გამოიაღეს და მით უასეული ჩანს დღესაც რესტავრაციურ ლიტერატურაში. მეოთხეული საუკუნის წინ არნ. ჩიქობავას მიერ ნათქვამს: „ვეფხისტყაოსნის“ იდეათა სამყარო, გმირთა სულიერი განცდები ფართო გასაქანს იძლევა ფილოსოფიური და ფილოსოფიური და ფილოსოფიური რეფლექსებისათვის და მაინც „ვეფხისტყაოსნი“, პირველ ყოვლისა, მხატვრული, პოეტური ნაწარმოებია“, – სადღესოფლაც დაითქოვა, ყურის მიჯდება ქაბეჭოუბა.

ილია ჭავჭავაძის მბლაგური ფიგურა, ილიას განუტომელი როლი ქართული ლიტერატურისა და, საერთოდ ქართული აზროვნების ისტორიაში, არის არნ. ჩიქობავას რამდენიმე ბრწყინვალე სტაგის საგანი. ა. ჭავჭავაძის დამსახურებად ახალი ქართული საღლიტერატურო ენის დამკვიდრების თვალსაზრისით ტრადიციულად იმას თვლიან, რომ „მას, როგორც ახალი თაობის წარმომადგენელს, აღარ აკმაყოფილებდა ან-ტონ I სქილასტიკური, არქაული სტილი... ა. ჭავჭავაძემ მთ ითხ აქართული ენის გაწმენდა, გასაღავება, ღრომოჭმული ფორმების განდევნა მართლწერიდან“.¹ ეს ამრი საყოველთაოდ გაერცელებულია ამრია. ა. ჭავჭავაძის დამსახურებაზე საუბრისას სახელმძღვანელოდ უნდა ჩაი-

თვალოს არნ. ჩიქობავას მოსამრება, რომლის თანახმადაც „უკულაშე“ დიდი ამაგი სალიტერატურო ქართულ ენის ილია ჭავჭავაძემ აღმოჩნდა თავისი მხატვრული შემოქმედებით, როგორც მხატვრული სიტყვის როგორმა და ჟუბლიცისტმა“.

არნ. ჩიქობავასებური სიცხადით მნელად თუ ვინმეს უგრძნობინებია ჩვენთვის, რაში მდგომარეობს ი. ჭავჭავაძის დაშსახურება ქართული ენის ღირსების დაცვის თვებლსაბრივით: „ენის უფლებებს იცავდა ილია ჭავჭავაძე და ამით თავის ხალხს, მშობელ ქვეყანას ესარჩებოდა. ენის საკითხი ერის სახიცოცხლო საკითხებს უკავშირდება... ერის კულტურული ცხოვრება ენას საჭიროებს განვითარების იარაღდა. ერის მეობას, პირველ ყოვლისა, ენა არკვევს (და შემდეგ ხალხური სიმღერა, ხალხის განცდათა მესაიდუმლე).“

ილია არა მარტო მწერალი კლასიკოსია, „არამედ მწერალი მოქალაქე. მას თავისი ხალხი უყვარდა ოთარაანთ ქვრივის პირუთოვნები და სიყვარულით. ის თავისი ქვეყნის ღირსებას იცავდა კატკოვებისაგან იმ შეუძრეკელობით, რაც ქვეყნის სახელით მოღაპარაკეს შეჰქმდებოდა და იმ შეუპოვრობით, რაც თავის სიმართლეში დარწმუნებულ ადამიანს ახასიათებს“.

მეცნიერის სიგვვებით, ილია ჭავჭავაძე, აქაკი წერეთული და ვაქაზე უმაველა ის გაუთიშავი სამეულია, რომელიც ახალი ქართული ლიტერატურის დიდების ქმნის. ისინი ახალი ქართული ლიტერატურის სამ ღერძობას წარმოადგენენ, ხოლო მათი შემოქმედება კი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ურყევი საფუძველია.

საგულისხმოდ გვესახება მეცნიერის ამრი უკედავი „დედა ენის“ ავტორშე ი. გოგებაშვილი მას ი. ჭავჭავაძის სტილის მოღვაწედ წარმოუდგება. ერთგან არნ. ჩიქობავა „დედა ენის“ შექსება-გადახალისების საკითხსაც შეეხო და დღესაც, ახალი სახელმძღვანელოების მოძალების ვითარებაშიც რომ არ დაუკარგავს აქტუალობა, ისეთი მოსამრება გამოოქვა: ერთგვარი ღროის შესაბამისი ცვლილებების შეგანა წიგნში მან საჭიროდ კი ცნო, მაგრამ „ამოსაღები ადვილად ამოიღეს, ძხელი აღმოჩნდა შევსება. თვალში საცემი იყო განსხვავება გოგებაშვილის ტექსტებსა და დანართ ტექსტებს შორის. თუმცა მისი ავტორუბი ცნობილი პედაგოგები იყვნენ, ახალი მასალა გოგებაშვილის კონდიციამდე ვერ აიყვანეს“.

ჩვენი საუკუნის ქართველ პოეტთაგან თავისი ჯავარიანი სიტყვით, ბარაქიანი ხალხური შეტყველების საგანმცრიდან უხვად რომ მოედინება, არნ. ჩიქობავას განსაკუთრებით ხიბლავდა გლეონიძე. ხშირად უყვარდა სხვადასხვა ვითარებაში მისი სტრიქონების მოშველიება.

გარდა მწერლებისა, არნ. ჩიქობავას შექმნილი აქვს შესანიშნავი



პორტფეტებით, წერილებით ჩვენი ლიტერატურის, კულტურის, მუსიკურების დიდი მოამაგების – ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ნ. მარის, ი. ყოფილის ს. ჯანაშიას, ვ. თოფურიას, ნ. ბერძენიშვილის, გრ. იონაძის შესახებ. იგი იყო გამორჩეული ქადაგი, პორტრეტისტი. ამჟამად გამოსაცემად მზადდება არნ. ჩიქობავას ქადაგისა და წერილების კრებული, რომელსაც მაღალი იხილავს საზოგადოება. მაგალითისათვის, ძალიან მოკლედ შევჩერდებით ორიოდე ქადაგი.

ი. ჯავახიშვილის დავაწლებები საუბრისას არნ. ჩიქობავა წერს: „ქართველი ხალხის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა ურყევი რწმენა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ უნივერსიტეტის დაარსება ეთავა მამინ და ამ ურყევი რწმენამ და შეუდრეველმა ნებისყოფამ შეაძლებინა ი. ჯავახიშვილს უნივერსიტეტის დაარსება თავს ეღო და დიდი საქვეყნო საქმე განხეორციელებინა“.

კ. კეკელიძის დამსახურებაზე მსჯელობისას ბაგონი არნოლდი საგანგებოდ ამახვილებს უკრალდებას წყაროებისადმი მუსიკურის დამოკიდებულებაზე. იგი წერს: „ქართული ლიტერატურის ისტორია“ პირველწყაროების ღრმა ცოდნასა და ფაქტი ანალიზება დაფუძნებული. კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ქართული ფილოლოგიის ქვაკუთხედს ქმნის. მარტოლენ პირველი ტომიც რომ ავთღოთ, იგი ერთი სპეციალისტის სასიცოცხლო საქმეს უტოლდება. კორნელი კეკელიძის სამეცნიერო აზროვნებას პირველწყაროთა ღრმა ანალიზი... ახასიათებს მეცნიერება არ არის ფაქტების გროვა, მაგრამ ვერავითარი გონიერებამახვილი აზროვნება ვერ იქცევა მეცნიერელ ცოდნად, თუ ის არ ემყარება მტკიცებ დადგენილ ფაქტებს. ამ ფაქტების დაღვენა ჰქმანიგარულ დარგებში იმდენადვე ძნელია, რამდენადც აუცილებელი“.

არნ. ჩიქობავა დიდი მოაბროვნის სითამამით ჭვრეტს ქართველი მეცნიერის ნადვაწს, როცა გრ. იონაძის წიაღებზე საუბრისას სიამაყით აღნიშნავს: „ასეთი გამოკვლევები დაამშევენებდა ლიტერატურის მცნობელობას რა ენაზე“.

არნ. ჩიქობავა თავის წერილებში ყველგან შეახსენებს ლიტერატურათმცოდნებს, რომ მწერლობა მხატვრული ენობრივი ფენომენია და მისი კვლევისას არ უნდა მოვწყდეთ ენის წიაღს, როგორც ჭეშმარიტ საყრდენს. არნ. ჩიქობავას ქადაგი და პორტრეტები მჭევრმეტყველების, აზრისმეტყველების დიდებულ ნიმუშებს წარმოადგენს. აზრი მის ნაწერებში „მკვეთრ გამოთქმებშია ჩამოსხმული“. არც ერთი ბედმეტი სიტყვა. იგი უორმულებით ლაპარაკობს. ნათქვამს მიღმა ყოველთვის იგულისხმება დიდი ცოდნა, მშაობა ნებისმიერი თებისური წინადაღების გამლა-განმარტებისათვის. იგი ყოველთვის დასახასიათუბელ თიბექტე

ლაპარაკობს და არასოდეს თავის მიმართებაზე ობიექტთან ან, საჭრ
თოლ, თავის თავზე.

არა მარტო სიტყვის უჩვეულო გრძნობით და ნათქვამის ძალით,
არამედ თავისი პიროვნებით, ცოცხალი ურთიერთობით ბატონი არ-
ნოლდი დიდ შემოქმედებას ახდენდა ქართველ მწერლებზე, ლიტერა-
ტორებზე.

ბატონი არნოლდი დიდი ინტერესით აღევნებდა თვალს თანამედ-
როვე ქართული მწერლობის ცოცხალ პროცესებს. მას სჯეროდა, რომ
გალაკტიონს, ჭ. ლეონიძეს, ჭ. გამსახურდიას თავიანთი ღირსეული მემკვი-
ღრუები ჰყავდათ და მომავალშიც გამოუჩნდებოდათ.

ბატონი არნოლდი თავშეეავებული დელვათ სიხარულს ვერ ფარავ-
და თავისი სასიქადულო მოწაფის, ანა კალანდაძის ღერძების
სას. ანა კალანდაძის ღრმად ინდივიდუალურ პოეზიაში იგი ხედავდა
სალიტერატურო ენისა და ცოცხალი ხალხური მეტყველების შერწყმის
ბეღდინიერ ნიმუშს, რაც ქართული პოეზიის მაგისტრალური ხაზის ჭეშ-
მარიო გაფრძელებად ესახებოდა.

საბოგადოდ, ძლიერი პიროვნების ნიშან-თვისებებით აღჭურვილი,
გარეგნულად მკაცრი, შეუვალი, დაუნდობელი მოუამათე, იგი თითქო-
ერთბაშად რბილდებოლა, როცა საქმე ქართულ მწერლობის შექხებო-
და, როცა მეცნიერი მწერლებზე იწყებდა საუბარს. თუ ქართული სალიტ-
ერატურო ენა მისი კვლევის უმნიშვნელოვანები სფერო იყო, ქართული
მწერლობა მისი სულის მითქმას წარმოადგენდა.

ბატონი არნოლდის მეცნიერების წრე მკაცრად იყო შემოსაბლვრუ-
ლი და ამ წრეში ენათმეცნიერებთან ერთად, პირველ ყოვლისა, იყვნენ
მწერლები და ლიტერატურისმცოდნები.

როცა უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას კაბინეტი დაარსდა, არნ. ჩიქობა-
ვა გვერდმი ამოუდგა ამ კაბინეტის დამაარსებელს, თავის უმცროს მე-
გობარს გრიგორ კაკაბექს. არნ.ჩიქობავა და მისი მოწაფეები შეუდგნენ
კაბინეტში ვაჟას უმდიღრესი ლექსიკის შესწავლის დიდ საქმეს. ბატო-
ნი არნოლდი ამ კაბინეტთან არსებული ვაჟას მუდმივმოქმედი სემი-
ნარის აქტიური წევრი იყო. მისი ყოველი გამოჩენა, მონაწილეობა
მსჯელობაში სემინარის ხელმძღვანელისათვის და საბოგადოდ ყველა
დამსწრიალისათვის ერთგვარ მეცნიერულ შეიმს წარმოადგენდა.

რაც დრო გადის, არნოლდ ჩიქობავას ნააბრევის შექი უფრო იმატებს,
კიდევ უფრო ცხადი გახდება მისი დიდი მემკვიდრეობის მკაცრი შინა-
განი ორგანიზებულობა, სიმღიდო, მრავალფეროვნება.

«მთელ კავკასიის თავისუფლება...»



კონსტანტინე გამსახურდია წლების მანძილზე სწავლობდა გერმანიის უნივერსიტეტებში, განადიდებდა გერმანულ კულტურას, კოლექსა და ნიცეს, რილკესა და გეორგეს; იყო ქართული მოღვაწნიბმის ერთ-ერთი იდეოლოგი, ქართული პრობის რეფორმატორი, ვინაც რესტავრაციასა და თამარის ენა დასაცლური აბრის სხივით გაანათა.

უკორპეიბმი განწყობილება ან მანერა არ ყოფილა. „მთერის მოგაცემის“ ავგორისათვის ეს ნიმნავდა ცხოვრებისა და აზროვნების ნორმასა და წესს. მწერალი თაყვანს სცემდა გერმანულ ფილოსოფიას, ლიტერატურას, მუსიკას. ამიგომ კოერებული თანა ერთად მსჯელობდა მთენპაუერსა და ვაგნერზე, რომანგიკოსების გვერდით – ექსპრესიონისტებზე. კ. გამსახურდიას ევროპეიბმის ფუძე იყო გერმანული აბრი, სიგუა, პანგი, რაც მას რწმენით აღავსებდა,

რაღაც გერმანულთა ნაციონალიზმს ქართულ ნაციონალიზმად თარიღინიდა, ქართულ სულს უსაბადავებდა, ქართული სახეებით შიფრავდა და ამერიკელებდა. ბუნებრივია, ამას პქონდა თავისთავადი მიზეზიც; საქართველო რესტავრის კოლონია იყო. რესტავრაცია დაარღვევა გეორგიევსკის ტრაქტატი და რესტავრელის ქვეყანა დაიპყრო. ეს იყო მთელი თაობებ-

ის სევდისა და სახოწარკვეთის სათავე, რადგან მხენელი ძალა არის ჩანდა. მაგრამ დაგრიადლდა დიდი ომის გრიგალი და გამარჯველების ნაპერწყალი, რომ გერმანია სძლევდა რუსეთს და საქართველოს თავისუფლებას მოუტანდა.

ეს ასეც მოხდა.

ბრესტ-ლიტვისკის ბავის შემდეგ გამარჯვებული გერმანიის მხარდაჭერით საქართველომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოიცავდა. მაგრამ მაღავრი კაიბერის გერმანიამ კატასტროფა განიცადა და საქართველომ ძლიერი მოკავშირე დაკარგა. კონსტანტინე გამსახურდია ხწორედ ამ ფაქტს უკავშირებს საქართველოს ხელმორიე ანგქისის რუსთის მიერ 1921 წლის თებერვალში. ხოლო ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდიდა სიყვარულს თეთრი და წითელი რუსეთის შეურიცებელი მგრის – გერმანიისადმი. კულტურით, ენით, ისტორიით ძლიერებას ერთობდა ფატალური პოლიტიკა.

გერმანული აბრი ელგუოდა ლეგენდებსა და მითებს, წარმართულ საბერძნეთსა და რომს. იგი ცდილობდა ყოფილიყო ელინური სულის დღევანდელი მემკვიდრე, ცოლის ყოველ სფეროში – პირველი და სანიმუშო. ელინურ სამყაროს ესაბამვრებოდნენ კოლხები და მისგან დებულობდნენ კულტურას. ასე რომ, როგორც გერმანული, ისე ქართული სწრაფვა წიაღისაკენ ეშვებოდა და წვდებოდა ევროპული სულის აქვანს – ელადას, რომლის მიღმა იღანდებოდნენ პელაბგები – პროქართველური გომები.

ძველი კოლხეთი კ-გამსახურდიას ელინური ესთეტიზმის თანაბიარად წარმოედგინა, ხოლო გერმანული კულტურა – ანგიკის აღორძინებად, ახალი სულობით აღვებად და ახალი დროის შესატყვის გაგრძელებად.

ამგვარ გატაცებას შეიძლებოდა მოპყოლოდა ევროპეიზმით დაბრმავება, მხოლოდ ჰერეგით შემორკალვა და პასიური თაყვანისეუმა. მაგრამ კ-გამსახურდიას მიმანი იყო გერმანული თვალთახელვით, ქართული მასალის, გარემოს, ტემპერამენტის და ხასიათის, ერის წინაშე წამოჭრილი მტანჯველი კითხვების ჩეენება და გადაწყვეტა. გერმანია გახდათ იდეალი, მაგრამ როგორც ხერხი და საშუალება, როგორც მოკავშირე სულიერი და ფიზიკური ძალა ჩრდილოელი ვეშაპისაგან თავის დასახსნელად. მაგრამ შეეძლო საქართველოს, საქეთარი შეიღებისაგან არაერთხელ ყელგამოჭრილს, რეალური თანადგომის გარეშე, მოსკოვის კლანჭებისაგან გასხლებოდა?

არა, არ შეეძლო!

ამიტომ, კონსტანტინე გამსახურდიას აბრით, უნდა შეკავშირდნენ კავკასიის ხალხები, დაივიწყონ ძველი შედლი და მტრობა. ლილერი



საქართველო უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც ძველ დროში მართველი საქართველომ სახელმწიფო მმართველობა შეინარჩუნა 1801 წლამდე. ოღონძლ საერთო კავკასიური მმართველობა შეძლო მხოლოდ XII-XIII საუკუნეებში. შემდეგ მოძალებულმა გარეშე მტერმა, შინაამღალილობამ, თავს-მოხვეულმა რელიგიურმა სხვადასხვაობამ კავკასიის ხალხები გათიშად და ერთმანეთს წაჰკიდა.

ერთიანობის საუკუნეელი

ჯერ კიდევ XI საუკუნეში დეონგი მროველი ქადაგებდა კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობას, პაოსისა და ქართლოსის მმობას. მაგრამ მას შემდეგ, რაც XI საუკუნეში ამიერკავკასიაში თურქ-ხელ-ჩუკები შემოიჭრეს და მოახდინეს ალბანელთა ასიმილირება, ხოლო ჩრდილოეთი კავკასია ჩაღრით შეიმოსა, საქართველო მდვინვარე ისლამის ინიასირ აღმოჩნდა. საუკუნეების მანძილზე ჩვენი ენერგია მუსლიმანობასთან ბრძოლაში დაიღია და დაგმარცხებით კიდევ. რუსეთმა ქრისტეს სახელით უბრძოლეველად ჩაიბარა ქართლ-კახეთი. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში გააღვიძია ერთად ყოფნის იდეამ ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაბბეგი, ვაჟა-ფშაველა ოცნებობდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ცეცხლით შეკავშირებულ კავკასიაზე. ერთხანს ამ იდეამ სოციალური სფეროსაკენ გადაინაცვლა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაემხო რომანოვების ტახტი, ისევ იმდღავრა ძველი მიზნის მომხიბულელობამ. რუსეთის იმპერია კი ასევე თანამიმღევრულად შლილა ამ ნაოცნებარს, ქმნიდა კონფლიქტების ხერიას და ისედაც ერუბთ, ენებით, ტომებით აფერადებულ კავკასიის რეებას კიდევ უზრო აქცეულებდა – ასე ხომ იოლად დაეპატრიონებოდა! კ. გამსახურდია თვლიდა, რომ ისევ საქართველოს უნდა აედო კავკასიის ერთიანობის მახვილი და დროშა. არაერთხელ აღუნიშნავს, როგორი სევდით აღვხილი შექურებდა თამარის საქართველოს რუკას, სამშობლოს აწ დაკარგულ ტერიტორიას ნიკოცხიადან დარუბანდამდე.

XX საუკუნეში გრიგორი რობატეიძე და კონსტანტინე გამსახურდია ისევ ფიქრობდნენ, რომ უნდა განმტკიცეს კავკასიის ერთიანობის გრძნობა, ნაცვლად საბჭოთა პატრიოტიზმისა, ნაცვლად „მმური ოჯახისა“, ნაცვლად პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა, რასაც რეინითა და სისხლით ხერგავდა რუსული ბოლშევიზმი. ურთიერთთანადგომის საფუძველი უნდა გამხდარიყო ანგიორესული და ანგიბოლშევიკური თვალსაბრივი, ნაციონალური პოლიტიკა. მეცნიერებაშიც იგივე აზრი ყბლიბლებოდა. ნიკო მარი თვლიდა, რომ კავკასიის უნდა ჰქონიდა ერთი ანბანი და იგი თვალინვე შეადგინა, ხოლო საერთო უნდა ქართული



დაასახელა. ივანე ჯავახიშვილი და არნოლდ ჩიქობავა ამტკიცებდნენ, რომ კავკასიის ხალხები (გარდა სომხებისა, თხებისა, აზერბაიჯანებისა და სამხრეთ კავკასიისა) ქმნიან ნათესაურ წრეს, გენეტიკურ ერთობას, რაც იძერთულ-კავკასიურ ენათა ოჯახის კონცეფციით გამოიხატა. ეს ოჯახი ოთხ ჯგუფად განიყოფა – ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური (ჩეჩნური, ინგუშური, ბაცბური) და დაღესტნური ენები (საგულისხმოა ვიცოდეთ, რომ ამ ოჯორიას უარყოფენ რუსი და რუსოფილი ლინგვისტები).

არქეოლოგები და ისტორიული მონაცემები ცხადყოფენ, რომ უძველეს დროში დასავლეთ საქართველოში უნდა ექვთვრათ ჩეჩერებზე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – ვეინახურ (ჩეჩნურ-ინგუშურ) და დაღესტნურ ტომებს. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით დასავლეთში მცხოვრებ ქართველებს აქვთ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული პონტური ტიპის ნიშნები, აღმოსავლეთში მცხოვრებთ – კავკასიონის ტიპისა. ეს ერთობა დასტურდება ეთნოლოგიური მასალებითაც. რიგითა მოქალაქე იოლად ხელდება, თუ როგორ საოცრად ჰგავს ერთმანეთს ჩვენი ცეკვა და სიმღერა, ტრადიციული სამოსი, აღთა-წესები.

კონსტანტინე გამსახურდიასათვის კავკასიის ერთიანობის საფუძველი იყო, ერთი მხრივ, გენეტიკური ფაქტორი. მაგრამ რეალურად ეს საკმარისი ვერ იქნებოდა, რადგან კავკასიაში მოსახლეობენ ინდოევროპელი ხომხები, აღათაური ოჯახის თურქულენოვანი აზერბაიჯანელები, ყარაჩახელები, ბალყარელები...

ვერც რელიგია გამოიღებოდა შემაკავშირებელ ძალად, რადგან ქრისტე და მაპმადი ისტორიული მტრები არიან, მითუმეტეს – ქართველის ცნობიერებაში. მართალია, ახალმა ღრომი შეანელა რელიგიური სიმწვავე, მაგრამ მთავარი მაინც იყო პოლიტიკური ასპექტი, რესურსთან მიმართება, იმპერიული აგრესისაგან თავის დაცვა. ეს ერთობა არ გულისხმობს ახალ იმპერიას ან ერთ სახელმწიფოდ ქცევას, არამედ საყოველთაო მიზნით გამსჭვალულ შეტობელ ხალხთა თანამეგობრობას. კავკასიისაგან შორს არის ევროპა და ამერიკა, ხოლო რუსეთი თავშეგვადგას. ამიტომ ამ ხალხებს ურთიერთობანადგომის იმედი უნდა ჰქონდეთ, როგორც თუნდაც თვითგადარჩენის ინსტანქტი. კომუნისტური რესერი ასეთი იდეაბის ქადაგების ნებას არავის აძლევდა. შეიძლებოდა მხოლოდ მინიმუმი, თრაუნტირის დასახვა, ასპარეზის მომზადება მომავალ დღეთათვის.

ოცნება თავისულებაზე

ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე თენებობდა 1860 წელს, მაშინ, როდესაც წარმოუდგენელი ჩანდა თეთრი იმპერიის რღვევა:

ხალხი აშენოთდა, ხალხი აღდგა, ხალხი მოქმედობს,
 კასიის ბლუიდამ მავ ბლვამდინა ერთ ფიქრსა ფიქრობს, –
 და ეგ ფიქრია მოელ კავკასის თავისუფლება.

ამ სტრიქონების დაწერამდე ერთი წლით აღრე შეიძყრეს იმამი შამილი, ვინც თუდათი წელი ეობა რუსეთს და მტერს მხოლოდ მაშინ დანებდა, როცა ხალხი მთაში ბალაბს ძოვდა. არსებობს ვერსია, რომ შამილი იყო ალექსანდრე ბატონიშვილის უკანონო შვილი. მაგრამ ისე გაუმწარეს ლეკებმა ერეკლეს დროს ქართველებს სიცოხელე, რომ პატარა კახის შთამომავლები, ისინი, ვინც შეთქმულებისათვის დააპატიმრეს და სამშობლოდან გაასახლეს, საქართველოს გამარჯვებად თვლიდნენ ჩეჩენებსა და ლეკებზე შურისძიებას. არადა მაშინ ქართველობა რომ შამილის გვერდით დამდგარიყო, იქნებ კავკასია სულ სხვა გზით წასულიყო. მაგრამ არც ქართველებს, არც შამილის ნაიძებს არ ეყოთ გონი ძველი შედლის დასაძლევად.

ილია ჭავჭავაძეს ათი წლით მაინც დააგვიანდა, თორემ, ვინ იცის, იქნება მას მაინც შეძლებოდა ძველ ტკივილებზე ამაღლება და მომავლის განჭერება, მოუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცოდა და რელიგიიაც მძლავრობდა.

კ. გამსახურდიას ამიტომ მიაჩნდა სამარცხვინოდ ქართველი თავადადამნაურობის მონაწილეობა კავკასიის კამპანიაში, გრიგოლ ორბელიანის ტრაპაზი, რომ „ყაბახებს ხიმტბე ააყვანინა საცოდავი ჩეჩენები“. სამაგიეროდ, სიყვარულით იხსენიებდა ალექსანდრე ყაბბეგს, ვინც მთელი ხიმტვავით გადმოსცა ჩვენი მამაცი მომმეუბის ტრაგედია.

ჩრდები და აუხავი

XX საუკუნეში აქტუალური გახდა საერთო ძირების როგორც გენერიური, ისე პოლიტიკური მნიშვნელობა. დაიწყო წინაპართა და თანამომშეთა ძიება მესოპოტამიაში, წინა აბიაში, ბალკანებზე, პირენებზე, რომ ობლად არ გვეგრძნო თავი ამ უსამართლო და ყრუსამყაროში, სადაც ბატონობს ძალა. ძველ კულტურებთან ნათესაობა კარგია, მაგრამ რეალურ პოლიტიკას მოქმედი ხელი სჭირდება, მით უმეტეს როცა გვყავს საერთო წინაპარი და გვადგას ერთი უდელი.

გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას პირველი რომანი – „დაკარგული თაობის“ მწუხარე წიგნი „დიონისოს ღიმილი“.

პარიზში, საპრის მირზახანის სალონში ერთმანეთს ხვდებან ქართველი კონსტანტინე სავარსამიძე და ჩერქეზი ხალილ-ბეი. კონსტანტინე ნაციონალისტია, პოეტი და ესთეტი, ქრისტეს რჯულის მგმობელი, დიონისოს კულტის მედაური, საქართველოს ბედე მეოცნებე, გულგატებილი



და მელანქოლიით სწეული. ხოლო ხალილ-ბეი მხატვარია, მაშიშაბაში, 18 წლიდან პარიზის ნისლიანი ცის შემყურევა, მაგრამ მაინც შეუტყოშება ანგიფემინისგი. მასაც პესიმიზმი და მელანქოლია მოკრევია, ოღონებ თავისი ჯიშის მომავალს კავკასიის ხალხთა ერთობაში ხედავს. „ჩვენ ყველას ისტორიამ დაგვაკისრა წინა აბის განახლება“, – უკბნება ქართველ ელ აბნაურს ჩერქეზი რომანტიკოსი, რომელიც ხანდისხან ქართულ მრავალებამიერსაც მღერის.

ჩვენ ვენიობით ხალილის თრ სურათს – „დიონისის მეორედ მოსულა“ და „ჩინგის-ხანის შემოსევა“. სმარავდის ტალღებიდან ამოდის პირმშვენიერი ჭაბუკი ღმერთი დიონისი, რომლის მოდელია ფარვიზი – ჯენეტის ვაჟი. ხალილი ხომ იღებალ ეტრუოდა ჯენეტს – ათაბაგების მთამომავალს. ამიტომ მისი სილამაზე ფარვიზშე გადაიტანა და ღმერთად წარმოსახა. ჯენეტი კიდევ ქრისტიანული საქართველოს სიმბოლოა, ქალი, რომელიც მუდამ მუსლიმანს გაურბოდა, სამშობლობე, ქრისტესა და წმ.გიორგის ღოცელობდა, მაგრამ მაინც სპარსელის ცოლი გახდა (შეიძლება აქ სპარსელი იყოს რუსის განსახიერება, ისევე როგორც ბიბანგიელი „დიდოსტატის მარჯვენაში“).

ხოლო მეორე სურათშე ადროსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიჰქრის შებოსანი კავალერია. „ამ აპოკალიპსურ მხედრებს წინ მოუძღვება მწვანე ცხენზე მჯდარი წითელ ჩაბალახიანი, ახოვანი, თმაწითური მონდოლი“. შავ, წითელ, ყვითელ დროშებზე აწერია: „მანგუ: თენგრი: ქუჩენდურ“ (კუვალევისა დათისა ძალით). „წითელი ჩაბალახი“ ბოლშევიზმის აღევეორია, „მონდოლი“ – რუსისა, რადგან, როგორც მწერალი არაერთგან აღნიშნავს, მონდოლისა და სლავის სისხლი ერთმანეთში აირია და შეიქმნა ბასგარდი რუსი ერთი ახლა ეს ბოლშევიკური კრიკალი წალეპით ემუქრება ევროპას, რაც ჩერქეზი (ჩერქეზი აღიდეთ საერთო სახელწოდება) ხალილ-ბეის ჩინგის ხანის შემოსევად ესახება.

პარიზის ერთ-ერთ რუსტორანში ქვითებენ კონსტანტინე, ხალილ-ბეი და ტერორისტი დათა ლანდია. გვერდით სუფრასთან სხედან რუსი ემიგრანტები. მათ შეაში ერთი ბანგის ქალი ჩაესვათ. ამ ქალს თვალი ვერ მოსწყვიტა ჩერქეზმა და კავკასიელები რუსებს შეეტაქნენ. თუთოვგარდიელ ოფიცერს – სლაბნების რევოლუციი წართვება და სცემა სავარსამოძემ. მას შემდეგ აედევნა მისი საბარელი სახე, რომელიც გმანებაში გადაწინა ხალილ-ბეის სურათშე მიმქროლავ მწვანეუხენოსან მხედარს და მონდოლად იქცა. ეს ყვითელ-პოლეტებიანი მონდოლი სლაბნები გის ჩრდილოეთის მარმარილოს ტახტტე, რომელსაც დასავლეთიდან უკლიან გერმანელი ჰერბერტ შეუდერსი, სამხრეთიდან უცევნ ქართველი სავარსამიძე და ჩერქეზი ხალილ-ბეი. ისინი სხედან შავ, ენდორსუერ და თუთო ტაიჭებზე, რაც საქართველოს სამფუროვანი დროშის სიმბოლიკაა.



ასე შეველიან მეგობრები კონსტანტინეს სლანსკისთან ბრძოლაში, ვინც მიიღება ბაგრატიონების გვირგვინი და თამარის აღმასის თვალი. უნივერსიტეტი გავიხსენოთ, რომ „დიონისის ღიმილი“ 1925 წელს გამოიცა და მწერალი იძულებული იყო პოლიტიკური აღეგორიოებით შექნიდბა, ანგიორუსული განწყობილება ასე გადმოიცა. როგორც ვიციათ, ამგვარ პოზიციის ლოგოფური ასხნა ჰქონდა – რუსეთთან საქართველომ თრიჯერ დაღუ ხელშეკრულება, იმპერიამ იგი თრიჯერვე დაარღვაა და დაიპყრო ქართლისათა მიწა (1801 და 1921 წლები), ერთხელ ქრისტეს, მეორედ – სოციალამბის სახელით.

თუ „დიონისის ღიმილში“ ჩერქეზი შეველის ქართველს, „მთვარის მოტაცებაში“ ქართველი ცნობიერების ქრისტიანი აფხაზი – ერამხურ ემხვარი ეხმარება მუხლისმან ჩერქეზებს, ჩეჩენებსა და ლეკებს შამილის მიერ გამოცხადებულ ჰაბავათში. ერამხური დროდაღით სადღაც გადაიკარგებოდა და ხმას აკრცელებდა, მამის ძიძიშვილებთან მივდივარო, ნამდვილად კი ჩრდილოეთ კავკასიაში გადაღითდა. ერთხელ მძიმედ დაჭრილი მიბრუნდა მშობლიურ თქუმში. ოლქის მმართველმა შეიტყო ერამხურის ონები და იგი დააპატირეს და ოდესაში გადაიყვანეს. მას შემდეგ არავის არაფური სმენია თუქმელ მეამბოხებულ.

ასე შეეწირა აფხაზი ვაჟკაცი რუსთ ხელმწიფების ბრძოლას, შამილისადმი თანადგომას. ეს „სიკვდილის ანგელოზის გაფითრებული“ მარგოსული ადამიანი არის თარაშ ემხვარის ბიძა, მისი იღეალი, სათაყვანო პიროვნება, კი. მასაც გადმოიცა რუსელი იმპერიალიშმის სიმულილი. მისი წინაპრებიც ხომ მაპაჯირობას – რუსეთის მიერ კავკასიის ხალხთა გასახლებას შეეწირნენ.

კონსტანტინე გამსახურდია აღგაცებული იყო შამილის პიროვნებით, მისი უნარით – კავიანი თოლებითა და ხანჯლებით შეიარაღებული ტომები დაეპიროს სპირიდონია რომანოვების უშველებელი ვეშაპისათვის. „შამილი რომ დასაცავებული გაჩენილიყო, უკროპელი ისტორიკოსები ქვეყანას შესძრავდნენ“, – შენიშნავდა მწერალი.

დღევანდელი თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „მთვარის მოგაცება“. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს რომანი კ. გამსახურდის საუკეთესო წიგნია. ამ თბილების მთავარი პერსონაჟები არიან აფხაზები – თარაშ ემხვარი, თამარ შარვაშიძე, არზაყან ბვამბაია... ისინი აფხაზურად ლაპარაკობენ, იცავენ აფხაზურ აღათ-წესებს, მაგრამ ასევე იყიდნ მეგრული და ქართული. არზაყანი ბოლოს ირთავს მეგრულ ძაბულის. რომანის გმირები ცხოვრობენ იმ პერიოდში, როცა კ. „აფხაზური წერილის“ თანახმად, აფხაზეთი არ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში და დამოუკიდებელი, კომუნისტური გაგების „სუვერუნული“ რესპუბლიკა იყო.

შარვაშიძეები და ემხვარები ქართლიდან გადასულან აწაბეჭოში. შარვაშიძე პირველად იხსენიება XIII საუკუნეში. მაგრამ ვარჯელობული, რომ სწორედ მისი წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ აფხაზების შანულებულ გამგებელი. ეს საგვარეულო საუკუნეების მანძილზე მართავდა აფხაზებთს. მისი წევრები ხან ქრისტიანები იყვნენ, ხანაც – მუსლიმანები. კაგამსახურდია მათ თვლის ქრისტიანებად და ამიტომაც თამარის შამა ტარიელი მღვდლად გამოიყვანა, ვინც, ბოლშევიკებისაგან შერისხული, ქრისტიანობისათვის გვემულ წმინდა მამებს აღრის თავს.

უაღრესად მოწმუნება ერამხეც ემხვარი და სწორედ ამიტომ მოსალოდნელი განსაყვდელის წინ ხუცესს დავითნს წააკითხებს. ამასვე ნატრულობს ბოგჯერ გაელინებული წარმართი, მრავალი ენისა და კულტურის მცოდნე თარაშ ემხვარი, ერამხეცის ძმისწული.

მწერალი გვამცნობს, რომ თარაშის უშორეს წინაპარს – ვარდან ჰემუხვარს, კარნუ ქალაქის ამღებს, თამარ მეფემ უბობა მიწა-წყალი ევრის წყლიდან კელასურამდე შემდეგ ეს გვარი ისე გაძლიერდა, რომ შარვაშიძეებს შეეტოქა. თამარ შარვაშიძე და თარაშ ემხვარი ყოველთვის აფხაზებად იხსენიებიან, მაგრამ მათი ცნობიერება ისევე ქართულია, როგორც, კოქვათ, იმერლისა ან კახელისა. თარაშს ძველ საქართველოშე დარღმა მოუშეამა სიცოცხლე. თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ არც აინტერესებს სამშობლოს ისტორიის კითხვა, რადგან იწყება განუწყვეტელი დაღატი და დაცემა.

თარაშ ემხვარი 1921 წლის ტრაგედიის მსხვერპლია.

რომანი დაიწერა 1933-1935 წლებში. ამიტომ პირდაპირ არ არის ნახსენები თარაშის პესიმიზმის სათავე. მაგრამ მისი ევროპეიმზი, ანგოჭრისგანაული პათოსი, ანტიკური კულტურის აპოლოგია, ღუმილი რუსეთსა და სოციალიზმზე, შიძი, რომ ცივილიზაცია, რომელიც თითქოსდა ბოლშევიზმს მოაქვს, გადააშენებს პატარა ერებს, სასოწარმკვეთი სევდა მხოლოდ იმის დასტურია, რომ თარაშის ოცნება – დამოუკიდებელი საქართველო, რომლის სიმბოლოა თეთრ ცხენებ ამხედრებული ურჩხულ თან მებრძოლი წმ.გიორგი, მთვარეესავით მიუწვდომელია. თარაში საქართველოს ბედით, ტრაგიკული აწყვოთი გულმრთკლელი ნაციონალისტია, ხოლო მღვდელი ტარიელ შარვაშიძე – ბოლშევიკების მომულე და ძველი, წინარი ცხოვრების მაღიდებული. თამარი დიდხანს ყოფილი მანობდა და ბოლოს მაინც ცხოვრებაში წაგებული თავადი ემხვარი არჩია გამარჯვებულ გლეხის შეიღს ბვამბაიას, ვინც მაუზერით ამკვდრებს ბოლშევიკურ იდეალებს, ვისთვისაც არ არსებობს მამა და მამული.

თამარი, დედის ნაჩუქარი ჯვარითურთ, ეკუთვნის ძველ საქართველოს და მასბეჭდ მეოცნებე თარაშს, თუმცა იცის, რომ ემხვარის გზა სიკვდილისაკენ მიდის. მაგრამ სიყვარული და სიკვდილი ხომ ერთნი



არიან, როგორც გვასწავლის თომას მანი. და ამიტომ ჰყავდნენ ერთმანეთისა-ნეთის თამარი და თარაში, ულმობელი ღროის მიერ დასაღეპავად განკურენად წირულ გვართა შვილები.

კონსტანტინე გამსახურდიას თვალსაბრიასით, მნელია ერთმანეთისა-გან განვასხვავთ აფხაზური და მეგრული გარემო. ამ ერთობის სამ-ბოლო ილორის წმინდა გიორგი. მხოლოდ მეტყველება განარჩევს აფხაზსა და მეგრელს, ისევე როგორც, ვთქვათ, გურულსა და მეგრელს (საგულისხმოა ვიცოდეთ, რომ მწერალს ბებია ჟყავდა აფხაზი).

როგორც ვთქვით, შარვაშიძიეთა და ემსვართა გენეალოგია სათავეს იღებს უძველესი ღროიდან, ქართული წრიდან. ისტორიულ უონბე ვეც-ნობით ამ გვარის შვილების. მაგრამ არაუერი ვიცით არზაყან ზვამბა-იას ბებიასა და ბაბუაზე. ეკ იმიტომ, რომ მისი ისტორია ახლა იწყება, ახლა გამოყოფა უსახო მასახს. ხოლო თავადების ოდისეა მთავრდება. მაგრამ როგორც ვლეხი, ისე თავადი საქართველოს ნაწილია. მათ თიშავთ კლასობრივი თვალსაბრიასი, თორემ ერთნაირად გრძნობენ ქართულის პრიმატს, განადიდებებს წმინდა გიორგის, ტყების უფალს – მიზიგხუს, ნაყოფიერების ღმერთის – ჯაჯის, ტაროსის უფალს – აფის, ძაღლების უფალს – ალიმკინგის, ერთნაირად სწავლობენ ლეკურის მო-ქნევას, ცხენებით ჯირითს, ისინდის თამაშს, ხინტკირიას, უფროსებისად-მი კრძალვას, ქალის პატივისცემას.

შარვაშიძე, ემსვარი, ლაბაბუა, ზვამბაია, ტარბა, ეშბა, მარშანია, გარგან-ჯია რელიგიურად ერთინი არიან. ამიტომ იკრიბებიან ისინი მღვდელ ტარიელ შარვაშიძის სააღდგომო სუურასთან. მაგრამ ამ აღმამანუბის ქრისტიანულ აღმსარებლობას ერთვის მძღვრო წარმართული ნაკადი, რომელიც ენათესავება ჩრდილოკავკასიელთა რწმენასა და აღათ-წესებს (მაგალითად, მიზიგხუ ჩერქეზებში არის ტყისა და ნაღირობის ღმერთი). თვით ტარიელ შარვაშიძის მედავითნე და ილორის წმ.გო-ორგის მსახური ლაბაბუა, ამავე ღროს, წარმართი მოგვიაბა – მესეუენისა სჯერა, მართავს გაცხენების რიცხალს – თერლობას, მონაწ-ილეობს მაღანურობაში.

კონჭლიქტი ტარბებითან და შედლი მამა-შვილ ზვამბაიებს შორის არ ხდება ეროვნულ საუძველებელი. რომანში ქართულისაგან განსხვავ-ბული და გამოყოფილი აფხაზური ცნობიერება არ არსებობს – არც ერთი აფხაზი არ არის სეპარატისტი, არავინ უპირისპირდება ქართვე-ლებს, საქართველოს მთლიანობას. მათ აქვთ კონტაქტი ჩრდილოკავ-კასიელ მეტობლებთან, მაგრამ მხოლოდ ყოფითი ამბების (მაგალითად, კაც ზვამბაიას ნაქურდალი ცხენები გადაჰყავს ჩერქეზეთში) ან ანტო-რუსელი სულისკეთების გამო (ერამხურ ემსვარი).

რომანში ნაჩვენებია, რომ სწორედ რესტ ხელმწიფებ გაასახლა აფხა-



შები და ჩრდილო კავკასიულები თურქეთში, რაც მაპაჯირობის ჰაბულოვა
გახდა ცნობილი. ასე რომ, „მთვარის მოტაცების“ აფხაზები მოსკოვისა კენ
არ იყერებიან, ცხადია, გარდა კომუნისტებისა. მაგრამ არც კომუნისტე-
ბი კლივიან გამოცალკევებს და დავის ღრის თბილის მოუხმობენ
ხოლმე. მამისმკვლელი ბოლშევიკი არმაფან ზვამბაია თბილისში გად-
მოჰყავთ სამუშაოდ, რასაც იგი სიხარულით ხდება.

აფხაზები ენა, წარმართული წარმოდგენები, წეს-ჩვეულებანი არის
ქართული სამყაროს მაკავშირებელი ჩრდილო კავკასიასთან, კერძოდ,
ჩერქეზებთან. „მთვარის მოტაცებაში“ სვანური ოჯახის მფარველი ღვ-
თაება არის გველი და ეწოდება მებირი. ამ სახელსაც მივყავარი ჩერ-
ქეზელ მითოსურ პერსონაჟ მებილთან, თუმცა იქ სხვა სახით არის წარ-
მოდგენილი.

კონსტანტინე გამსახურდიას აინგრეშებს ის, რაც აფხაზებს აკავ-
შირებთ ქართველებთან და არა ის, რაც თიშავთ. ამინიმ ნაკლებ ყურა-
დებას უიმობს თურქელი წარმომავლობის აფხაზებს, თუმცა შენიშ-
ნაეს, რომ აფხაზეთში ერთმანეთს ებრძოდა ქრისტიანობა, ისლამი და
წარმართობა. ჩრდილოეთ კავკასია საუკუნეების მანძილზე ქრისტიან-
ული იყო. მაგრამ თანდათან იქ მაპალმა გიმარჯვა (შდრ. „ვაზის ყვავა-
ლობის“ ერთი პერსონაჟი სოლომონ გულუხაძე ჩერქეზეთში, ნასაყ-
დრალის კედელზე, მოულობს წმ. გიორგის და წმ. მამათა გამოსახულე-
ბებს). ხოლო ყველა ერსა და ტომს შემორჩა წარმართული წარმოდ-
გენები, როგორც უძველესი ერთიანობის დასტური, ისევე როგორც ენის
წიაღი, არაცნობიერი შრე. ეს უაქტი იქცევს მწერლის ყურადღებას,
რომლის წარმოჩენით შეიძლება დაშლისა და დაპირისპირების შეჩერე-
ბა კავკასიის ხალხთა შორის, რადგან მსგავსება პირველადია, განსხ-
ვავება – მეორეული, შეძნილი ან თავსმოჩვეული მოვლენა, რაც
ყოველთვის ხელს აძლევდა რუსულ დამშერობლურ პოლიგონს.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით შეგრებებს,
ჩრდილო კავკასიასთან აკავშირებენ აფხაზები. კონფლიქტი ქართველ-
სა და აფხაზის შორის ახალი დროის მოვლენაა, რაც კავკასიაში რუსი
გამოჩენდა. იგი რომაელთა პრინციპით მოქმედებს და წარმატებითაც,
რაღაც ძალა და ძველი იმპერიული გამოცდილება თავის საქმეს
აკეთებს. გრძელება რღვევის პროცესი. მხოლოდ ქადაგება წარმო-
მავლობაზე სურათს არ ცვლის: აგსტრიულების გერმანელები არიან,
როგორც ბავარიის მაგრამ ავსტრია ცალკე სახელმწიფოთ. ხოლო
მითითება შორეულ ნათესაობაზე დღვევანდელ პოლიგონს ბევრს
არაფერს ეუბნება. მაგრამ ყოველი ერი თავისი იდეოლოგიისათვის
ეძებს ამ თუნდაც ფარულ სიმებს, რათა მისი ედე – აჩაწვდეს დღევანდუ-
ლი მოქალაქის გულს, რათა იგი დაუბრუნდეს თავის ძირებს.



მთებედავად იმისა, რომ ქართველებმა გაამითეს აფხაზები და შემცირდებული ქმნები აფხაზის კულტი (გაეისხეოთ აკაკი წერეთლის „გამზრდელზე“), დემნა შენგალაძის „გურამ ბარამანდია“, ლეო ქაჩჩელის „პაკი აბბა“, მთებედავად იმისა, რომ ამ ხალხშე „მთვარის მოტაცებაზე“ უკეთესი წიგნი ჯერ არ დაწერილი, აფხაზები მაინც ჩრდილოეთის ცაალს მისდევ ვენ და უფრო და უფრო სწყლებიან ნამდვილ კავკასიურ სამყაროს, რაც საბოლოოდ მათი გარუსებით და გაქრობით დამთავრდება.

ქმისტები

აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო კავკასიასთან ანალოგიურად აკაეშირებენ ქისტები, რომლებიც ვეინახია ეთნოსს განეკუთვნებიან და ლაპარაკობენ ჩეჩჩურ-ინგუშური ენების დიალექტზე (ქისტები ქართული, ტრადიციით იგივე ჩეჩჩებია). ქართულ მწერლობაში ქისტები პირველად გასცელ საცეკვეში გამოჩნდნენ. ვაჟა-ფშაველამ ქართველთა და ქისტთა ძმობაც ასახა და მტრობაც. ამავე თემას მთებრუნდა კონსტანტინე გამსახურდია. ნოველა „ხოგაის მინდია“ 1937 წელს დაიწერა, როცა მთელს საბჭოთა კავშირში ბოლშევიკური ტერორი მძინარებდა. შეიძლებოდა ეს თხბულება აღექვათ როგორც ე.წ. ხალხთა მეგობრობის პინთა. მაგრამ ხალხთა ძმობა კომუნისტებს არ მოუგონიათ. იგი ყოველ დროში არსებობდა, მაგრამ მიმანი პქონდა სხვაგვარი. მომზის ძიება მითუმეტეს გვჭირდება ქართველებს, რათა ეულად შთენილი და ბუდისაგან განწირული არ გვევონოს თავი.

მინდია სიყრმიდანვე ქისტების მშესვრელი იყო. მავრამ ერთხელაც მოხდა და მტერს ტყველ ჩაუვარდა. შვიდი წელი დაპყო ქისტებს შორის ხევსურმა. მისი გამოხსნისას სასიკედალოდ დაიჭრა მამამისი – ხევსურთ ბელადი ხოგაი სამუკობროლ წახელთ ასტე მეტი ვაჟაც მოუკლეს ქისტებმა. „მახკალით“, დაიხროგინა სიკვდილის წინ ხოგაიმ და ხმალამ-ოწვდილმა ვაჟებაცებმა ფიცი მისცეს მომაკვდავს. შემდეგ მინდიას გახადეს ქისტერი ჩოხა და ხევსურული ტალავარით შემოსეს, დაუბრუნეს ჯვრიანი ქედი, შერთეს აკვანში დანიშნული მზექალა. მაგრამ ვერც ოჯახს, ვერც საქმეს გული ვერ დაუდო ტყვედყოიდმა. მისი ოცნება ღურჯვარსკედავებიანი ქისტეთისაკენ მიიწევდა, სადაც ეგულებოდა ხადიშათი – შშისფერი ქალი, მისი მმაღნაფიცის უსუჟ ალდიძის ერთად ერთი ასული. სწორედ ალდიძემ შეუნარჩუნა სიცოცხლე ხევსურ მინდიას. შემდეგ ისე დამეგობრდნენ, რომ „ყაბახების სარბევალ“ ერთად დადიოდნენ, ე.ი. ქართველი და ქისტი ერთად მტრობდნენ ჩრდილოელ მეზობელს.



ის საუკუნოებრივი სიმულებით, რაც ორ ტომს შორის ქართული და ქართული ხალხის თითქოს უნდა დამთავრებულიყო, ხოლო სიყვარულს დაეძლად შერისძიება. მინდიას ის გრა ემანება, რომელიც მიიყვანს მუსლიმან ხალიშათან, ვისაც მუდამ ხევსურული სამფარეშოსანი ჯავშანი ენაგრებოდა. შემდეგ მინდიამ სამი წელი დაპყო გუგულების სოფელში, „სამზღვარს“ მიღმა, ე.ი. ჰადესში იმოგზაურა. იქ თეთრი გველის ხორცი იგემა და საიდუმლო ცოდნას ეჩიარა, უჩვეულო ნიჭი შეიძინა. ქისტების მიზგითები და ხევსურთა ციხეები თანაბრად ძვირფასი და მახლობელი ეჩვენა. მინდია უკვე აღარ არის ქისტების მოსისხარი, მამის სისხლის მაძიებელი. ეს მაშინ, როცა ორივე მხარე დღემუდამ ახალი სისხლის დასაღვრულად ემზადება და მოჭრილ მკლავებს ჭრისობე ახმობს, როგორც ვაკეაცობის ნიშანს.

მინდია მომავალი გაბატხულის ნააღრევი მაცნეა, არა კლავს არც ნადიოს და არც ადამიანს. ხოგაისძემ შეიწყალა მომხდერი ქისტები, ხოლო მმადნაფიცს ალდიძეს ხევსურული აბჯარი გააგანა ხალიშათისათვის გადასაცემად – „არ ავნებოთ ამიერიდან ყაბახის ტყეია“. ბრძენი მინდია ცდილობს ქისტებისა და ხევსურების უსისხლოდ მორიგებას, რაღაც მათ ჰყავთ საერთო მტერია – ყაბახი. ეს იცის ღვთაებრივ ცოლნას ნაბიარებმა ლანდდა კარგულმა ხევსურმა, მაგრამ არ უწყიან თანამომეუბმა და მოშუღლარმა ქისტებმა. აქ ისე ბედისწერამ მინანა თავი და მინდიამ სამშვიდობო ალამი ვერ გაღმიოჲინა კოშკებსა და მიზგითებშე ცხოვრება თავისას მოითხოვს, ყველა ადამიანი თავისი ღროის შეიღია და მეტისმეტად ჭირს მასშე ამაღლება და ბრძენკაცებაც დაღვარა ჯიხვის ჯახელისფერი სისხლი, ანუ ჩვეულებრივ მოკვდავად გარდაისახა. ახლა თავად მოუძღვის ხევსურებს ქისტების სოფლისაკენ, თუმცა ჯერ ისევ მორიგებაზე ფიქრობს. გამთრის ბნელ დამეუბში დაღონებული იჯდა მინდია ცეცხლთან, „ხადიშათ, სადა ხარ ახლა, სადა ხარ, მშისფერო ქალავ?“... მაგრამ უნებურად მამის მკვლელის ცალხელა დოლარის ციხეში გამომწყვდეულმა (ვისაც მარჯვენა მოაჭრა) უკანასკნელი ტყვია შეაგება აბჯროსან ქისტს და ეს ქისტი აღმოჩნდა ხაღიმათი, თავისი ძმადნაფიცის ერთადერთი ასეული.

ასე ტრაგიკულად დახსრულდა ხოგაის მინდიას სიცოცხლე. მან ვერ შეძლო სისხლის ძიების ტრადიციის შეცვლა, ორი მეტობელი ტომის მორიგება. ჯერ კიდევ შორს არის „ყაბახი“, რომელიც აიძულებს მოშუღლართ საერთო მტერს ისე შეებრძოლონ, როგორც ებრძოლენ ძმადნაფიცები – ხევსური ხოგაის მინდია და ქისტი უსუფ აღდიძე. მაგრამ დარჩა რომანგიკული სიყვარული, როგორც ლეგენდა. ჯერ ის ტყვიით არის განგმირული და სისხლით შედებილი, რაც იმას ნიშნავს, რომ



ულმობელი ცხოვრება კლავს სპეციალურ ტენის. ისიც უნდა გვახსოვდეს კონსტანტინები კონსტანტინებინების გამსახურდის ერთი პერსონალური ეფექტური აქტი, ხანგრძლივ მტრობას სიყვარულის კუნ მიშებავს ადამიანი.

სომხები

კავკასიაში ცხოვრობენ ინდოევროპელი სომხები და ოსები, ალა-თაური (თურანულ-მონდოლური) მოდგმის აზერბაიჯანულები. მათ ქართველები არ ენათესავებიან. მართალია, როგორც ითქვა, ლეონტი მროველი ჰაოსება და ქართლოსს მშებად – თარგამოსის შვილებად მიიჩნევდა, მაგრამ ეს იყო ლამაზი ლეგენდა, დამყარებული იმ ფაქტზე, რომ ქართველები და სომხები ქრისტიანები არიან და ერთმანეთს ემ-გზობლებიან.

კავკასიაში ქართველთან ერთად სომებმა შექმნა დიდი კულტურა. თუმცა მან აღრევე დაპკარგა სახელმწიფოებრიობა, საქართველოსთან სიახლოეში გადაარჩინა ფიბიკურ განადგურებას. სამხრეთიდან წამოსული ქარიშხალი ჯერ სომხებს გადაუკლიდა ხოლმე, შემდეგ ეკვეთუბოდა ქართლსა და კახეთს. მათ ყოველთვის საერთო წევრი ჰყავდათ, შეუ საუკუნეებში – მუსლიმანური აღმოსავლეთი, შემდეგ – ქრისტიანული რესერტი. ამიტომ ეუბნებოდა კონსტანტინე გამსახურდის თავის სომხებები:

„როგორც ტყეში დარჩენილი ულაყები თავკისერს მიუშვერენ ურთიერთს, ხოლო უკანა ტორებს მგლებს, ისე უნდა შევმჭიდროვდეთ და ვებრძოლოთ იმპერიალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას“.

სომებ მწერალთაგან კონსტანტინე გამსახურდია დიდი სითბოთი და სიყვარულით ახსენებს ორ სახელს – ავეგიძე ისაბაკიანსა და დერენიკ დემირჭიანს. ესებიც სწორედ მათგა აქვს დაწერილი. ავტორი ხშირად იგონებს ბიოგრაფიულ დეტალებს, მიმართავს ისტორიას და აღავლენს აპოლოგიას „სომხეთის ტრაგედიული და ბრწყინვალე“ წარსულისადმი. ასეთივე განწყობილება აისახა „დიდოსტატის მარჯვენის“ სომხური თარგმანის ბოლოსიდყვაში. მაგრამ ამჯერად უფრო საინტერესო უნდა იყოს სომხეთში პირველი მოგზაურობით შთაგონებული ნარკვევი – „მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა“ (1934 წელი). მწერალი იქ შეხვედრია ხელოვნების ცნობილ მუშაკებს, სომხეთის მთავრობის თავმჯდომარეს, დაუთვალისერებია ერმიაძინი, სინთეგიკური კაუჩუქის ქარხანა, სხვა მშენებარების მიერთები. „ერვანი უდიდესი აღმშენებლობის შეგაბია“, – ასეკნის მეტობელი ხალხის შრომისმოყვარეობით განციფრებული მწერალი.

კონსტანტინე გამსახურდია თავის მრავალრიცხოვან ესებში არაერთხელ უბრუნდება სომხეთის ისტორიას. იგი მართებულად შენიშნავს,

რომ მთელი დასავლეთი ევროპა აპუებ ჯვაროსნულ დაშტერობათა ისტერიას, რამდენიმე საკუნძულო ებრძოლები ისლამს, დაიხოცეს ჰუმანიზმის მეომარი, მაგრამ აბიაში ფეხი მაინც ვერ მოიკიდეს. ხოლო ქართველები და სომხები მარტოდმარტო იცავდნენ სამშობლოსა და ქრისტეს ჯვარს გარსმოვლებულ მუსლიმან აგრესორთაგან. და ეს შეძლეს, თუმცა დიდი სისხლისა და ტერიტორიების დაკარგვის ფასად. მწერალი შეგვახსენებს, რომ ჩვენი მეუები – ბაგრატ III და ბაგრატ IV, დავით IV აღმაშენებელი და თამარი მუდამ „დიდი გულისხმიურებით ექცევდნენ ჰაოსის შთამომავლებს“.

საერთოდ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართველებსა და სომხებს ყოველთვის როდი ჰქონდათ კეთილი ურთიერთობა. ქრისტიანულ ეპთქაში განხეთქილების სათავე იყო რელიგია. ქართველები დიოცისტები იყვნენ, სომხები – მონოფილიტები. შედღი აისახა მწერლობაშიც. მაგრამ მას შეძლება, რაც დაცა სომხური სახელმწიფო, ქიშპის მიმები თითქმის მიიღიწყეს. ახალ დროში ჩვენი ურთიერთობის სამწუხარო ფურცელია 1918 წლის დეკემბრის ომი, რაც სომხებმა დამნაკებმა წამოაწყეს. 1921 წელს ბოლშევკებმა სომხეთს გადასცეს ისტორიული ქართლის ნაწილი – ლორე, კვამსახურდია ასეთ ფაქტებს, რაც ჰეიძლება ახალი გათიშვის მიზებად იქცეს, არ ახსენებს. იგი ეძებს საერთო ნიშნებს რელიგიასა და ისტორიაში. ამიგომ იგონებს ბაგრატ მესამისა და გაგიკ მეფის ერთობლივ ბრძოლას ამირ მამლუთან, ქართველთა მიერ ანისის განთავისუფლებას, ქრისტეს რჯულის დაცვას. ხოლო ავეტიქ ისაკიანსა და დერენიკ დემირჭიანს აყენებს საუკეთესო ხელოვანთა რიცხვში, მეგობრებს უწოდებს მათ, რომლებიც განსაცდელის ქამს ხელს უწევდიდნენ და შევეღოდნენ.

„დიდოსტაგის მარჯვენაში“, რომლის სიუკეთურ ფორმიში მოქმედული სვეტიცხოვლის გაძრის აშენება (XI ს.), მეფე გიორგის პირველის მეუღლე არის სომხები დედოფლი მარიამი. იგი წარმოდგენილი როგორც კეთილშობილი, დვითისმოსავი, ეკლესიებისა და ტაძრების მაშენებელი პიროვნება, რომელიც მთელს საქართველოში დაღის, ხვდება სასულიერო თუ საერთ პირებს. დედოფლალს განსაკუთრებული მოკრძალებით ეპყრობა მელქისედეკ კათაბლიკოსი, წმინდანთა სწორად მიიჩნევს მას. რომ არა ეს უმაღლესი იერარქი, მეფე გაეკრებოდა დედოფლალს, რომელიც სრულიად ყმაწვილს შეურთავს და მისდამი სიყვარული არც არასოდეს ჰქონია.

დედოფლალმა მარიამმა შეა ტახტის მემკვიდრე და საქართველოს მომავალი მეფე ბაგრატ IV (1027-1072).

ასევე სრულიად ყმაწვილს შეურთავს დავით მეოთხეს მეუღლე – სომხის ქალი რუსუდანი, თუმცა ლიპარიტ ერისთავის ასული დედისიმედი



უყვარდა (ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“). რუსულადანი არ ყოფილი ხდება ლა ლამაზი ქალი. ამიგომ ყველანი სწავლობენ მას. მეუკი გულგრილი რუსულანისადმი, მაგრამ უჭირს გაყრა, რადგან იგი უკვე დედა ტახტის მემკვიდრისა, მომავალი მეფის – დემეტრე პირველისა (1125-1158). მაგრამ დაიწყო სასახლის ინტრიგება. განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს ბიბანგის თრგმის დელფიალყოფილი, მეფის მამიდა მარიამი, თავადც სასახლის ინტრიგათა და გადატრიალებათა მსხვერპლი. ასაკისათვის შეუფერებლად დვთისმოსავი გამოიდგა რუსულანი, სასახლე ბერ-მონაბენებით გააგსი. ალბათ იმიგომ, რომ დედ-მამა აღარ ჰყავდა, ხოლო ანისიდან გაქცეულ ძმათაგან ერთი მოუკლეს კილიკიაში. მეფის გულგრილობაც სარწმუნოებისაკენ უბიძგებდა დელფიალს, რათა შვება დვთისმოსაობაში ეპოვნა. ერთადერთი, ეინჯ თანაუგრძნობს რუსულანს, დედამთილია, დავითის დედა – ბერმნის ქალი დელფიალი ელენე. წმინდანთა სწორს უწოდებს იგი თავის რძალს. ბოლოს ინტრიგებს ვედარ გაუძლო დელფიალმა და სოხისტერის მონასტერში მონაბენად აღიკვეცა.

გამწარებული და შეურაცხყოფილი ქალი საერთ ცხოვრებისაგან გაყრის ქამს მაინც ამბობს, რომ იგი დავითისათვის ილოცებდა...

ბოგიერთმა კრიგა კოსმა კონსტანტინე გამსახურდიას ბრალი დასღო, რომ თითქმის მწერალმა განბრახ წარმოადგინა შეუხედავ ქალად დელფიალი რუსულანი, რადგან იგი სომეხი იყო. მაგრამ ის კა დაივიწყეს, რომ ავგორმა ახსნა მოუქებნა ისტორიულ ფაქტს, თუ რაცომ გაუყრა დავითი თავის პირველ შეუღლეს: წიგნში ნაჩვენებია, რომ შეფეს ადრევე უყვარდა ერისთავის ახული დედისიმედი, მაგრამ რუსულანი შერთეს, არა მისი სურვილისამებრ, არამედ – პოლიტიკური მოსამარებით, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე. რომანი გვაცნობს კეთილ, დვთისმოსავ, სევამწარებულ და უმწეო ქალს, რომელსაც ყველა ახლობელი დაპკარგვაც და მეუღლებაც ხელი ჰქრა. მისი ერთადერთი ამქვეყნიური გბა მართლაც მონასტრისაკენ მიღის. დაუვიწყარია წიგნის ის თავი – „ნურავინ გიყვარან“, რომელიც რუსულანის მონაბენად აღქვეცას გვაცნობს და მის სულიერ ტრაგედიას წარმოგვიდევნს, ვისაც ერთადერთი სიმი – პირმშო დემეტრე აკავშირებდა ცხოვრებასთან და ჯვალოს ჩოხამ ეს სიხარულიც წაართვა.

III სტატ

„დარი აღან“ (თესთა კარი) აერთებდა საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან. მამინ თესები კავკასიონის ქედის მიღმა მოსახლეობდნენ, მაგრამ ახლო ურთისერთობა შექონდათ ქართველებთან. ქართველი უფლისწელები იტრდებოდნენ თვესთა მეფის კარბე (მაგალითად, გიორგი

პირველი, დემოკრეტი პირველი). ქართველი მეფეები ცოლად ირთავნენ თვესთა მეფის ასულებს (მაგალითად, თამარის დედა იყო ოქტომბერულეს მოეხსენება – თამარის მეორე ქმარი დავით სოსლანი იყო „დედით ბაგრატინიანი, მამით თხოთა მეფეთა ძე“ (ა. ჯავახიშვილი), გიორგი პირველის მორუელი მთამომავალი, ქართველებს კონფლიქტიც ჰქონდათ თხებთან (გავიხსენოთ თუნდაც ვახტანგ გორგასლის მიერ თხი ბაყათარის მოკვლა), მაგრამ უფრო კეთილმეტობლური ურთიერთობა აკაფშირებდათ.

თხები ინდოევროპელები არიან, ირანული გომის ხალხი. მათ ქართველებთან არ გააჩნიათ გენეტური თანაბიარობა.

კონსტანტინე გამსახურდია ყოველთვის ღირსეულად წარმოგვიდგენს თხებს. საკარისია მოვიგონოთ ჭიაბერ ერისთავის უსინათლო მამამბეჭე თაყაი, მისი ქვითინი და გოლება ჭიაბერის დაღუპვის გამო: „ვაჟუ მესერბუნ, ვაჟუ მესერბუნ“ („დიღოსტატის მარჯვნა“). გასვენების დღეს მოხუცს თან ახლდა მულდელი და თორმეტი უაკიმვილი. ოვსთა მეფის საყვარელი იყო ვარდისაბარი, არსაკიძის პირველი სატრუთ. ჭიაბერის თხი ძემუმტები დაუხვდნენ გზაზე შორენასა და კონსტანტინეს. კბოლებები გადავარდისილი არსაკიძე შეებრალა ერთ-ერთ ძმას – ცეცის და არ მოჰკლდა დაჭრილი. ამ შეტაკების შემდეგ დაატყვევეს შორენა და კონსტანტინე, რასაც მოჰკვდა ქორსატეველას დალაშევრა მეფის ჯარის მიერ და მამამბერ ერისთავის სიკედილით დასჯა.

მეამბოხე ფხოველებს გიორგი მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებიან დიდონი და ღლივენი (დაღესნერი ტომები), ოვსნი, ძურმუკნი (ჩეჩენ-ინგუშთა წინაპრები). ფხოველთა ლიდერების – მამამბერ ერისთავისა და თაღაგაბ კოლონკელიძის მიბანი არ არის საქართველოს დაშლა ან დაყოფა. აჯანყებულნი არ უარყოფენ საქართველოს ერთიანობას. მაგრამ ებრძვიან ქრისტეს სჯელს, უნდათ წარმართული საღოვანების აღდგენა, რადგან მიაჩნიათ, რომ მუხოვანებში აღმართული ბომინები, არმაზი და ბადენი ქართულია, წინაპართაგან გადმოცემული, ხოლო ქრისტიანობა – ბიბანგიელების მიერ შემოგანილი და თაქმოხვეული. ამასვე ამბობს ფხოველთა მოძრაობის იდეოლოგი შავლეგ ტოხაისმე. იგი თევლის, რომ მეფე გიორგი, კათაბლიკოსი მელქისედეკი, სპასალარი ბევადი ბიბანგიური ანუ ანგიქართული თრიუნგაციის მოღვაწენი არიან: „ბერძნებს ეს უნდათ, ჩვენი ბომონები ვვმოთ და მათ ეკლესიებში ვიღოცოთ, წინაპართა ჩვენი საღოცავები შეგვიმუსრეს, თავიანთი ხაგები და ჯვრები შემოგვაჩეჩეს ხელში. ბერძნებს ეს სწადიათ, ჩვენი ენა დაგვაციწყონ და თავიანთი შემოგვაჩრონ პირში, ჩვენი წარსელა დავივიწყოთ და მათი შევისწავლოთ“...

ამიტომ უნდა შავლებს ტახტზე დასვან ჭიაბერი და გიორგი შეიძყ



რონ, მელქისედეკ კათალიკოსი ქართლოსის საფლავს დააკლან (ე.წ. ადამირულონ წარმართული კაცთშეწირვის წესი), ხოლო არაბი ამინჯაკანული თბილისიდან გააგდონ... ერთი სიტყვით, ტოხაისძე არ არის სეპარატის ტულად განწყობილი, მაგრამ საქმით ძირს უთხრის სამშობლოს ერთიანობას. ის ფაქტი, რომ წარმართული მთიანეთი, ქართველი და უცხო ტომის შეიღები ერთად დგანან და მცხეთის დალაშქერით იმუქრებიან, იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი ჩრდილოეთის ხალხთა წინაპრები ჩართული არიან საქართველოს ცხოვრებაში, მონაწილეობებს პოლიტიკურ და სამხედრო ბატალიებში და კავკასიონის ქვედი სრულიადაც არ აშორებთ ერთმანეთისაგან.

ეს მოძრაობა, რომელიც ჩანაფიქრის მიხედვით არ არის ანგიქართული და სეპარატისტული, სინამდვილეში ვლინდება როგორც ანტისახელმწიფოებრივი მოვლენა და ახუსტებს ქვეყანას, აღვიძებს შურსა და მგრობას, ხელს უმლის ერად ჩამოყალიბების პროცესს. გიორგი მეფე, მოუხედავად თავისი გულბოროგებისა, უფრო პროგრესული პიროვნებაა, ვიღრე მამამზე ერისთავი ან თალაგვა კოლონკელიძე. გარდა ამისა, ხელისუფლების მიგაცება ყოველთვის დანაშაული იყო, მითუმეტებ მეფის ძალაუფლების ხელყოფა. ცხადია, ძველ დროში კი არა, ახლაც სუსტია დამოუკიდებლობის და საყოველთათ ერთობის შეგნება. მთავარია ის, რაც მწერალმა წარმოსახა და დაბიუსირა: ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ტომები დაინტერესებული არიან საქართველოს პოლიტიკური და რელიგიური ცხოვრებით, ქართველებს აქვთ მათთან ნათესაური და კეთილმეტობლური კავშირი, ერთმანეთს შეელიან გასაჭირები, ერთმანეთისთვის სიცოცხლეს სწირავენ.

თერჯული ტომები

როგორც ვთქვით, საქართველოსათვის საბედისწერო აღმოჩნდა მუხლიმანური სამყაროს შემოტევა. ყველაზე დიდი მსხვერპლი კი ქვეყანაში გაიღო თურქულ ტომებთან ბრძოლებში. თურქ-სელჩუკები XI საუკუნეში გამოჩნდნენ. წამოვიდნენ შეუ აბიდან, გადაიძრეს ირანი და შეიჭრნენ მცირე აბიასა და ამიერკავკასიაში, გადათელეს ქრისტიანი ალბანელები (ნიკო მარიასა და აკაკი შანიძის აბრით, თანამედროვე დაღესტნელთა წინაპრები და ნათესავნი), თანდათან შემდეს მათი ასიმილირება და მის ტერიტორიაზე შექმნეს სახანოები, რომლისგანაც მივიღეთ დღევანდელი აზერბაიჯანი. მეორე ნაწილი დამკვიდრდა მცირე აბიაში, შექმნა ისმალეთის სახელმწიფო და გაათურქა აღგილობრივი მოსახლენა. ოტომანთა იმპერია იქცა მრისხანე ძალად, რომელმაც მრავალი ქვეყანა დაიმორჩილა. თურქულენოვანი ტომები, განსხვავე-



ბით სპარსელებისაგან, არ გამოირჩეოდნენ დიდი კულტურით. პრინციპი მათთან შეზობლობას საქართველოსათვის არაფერი სახელმწიფო მოუტანია, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით განუმომლად დაგვაბრალეს – დაიკარგა სამხრეთი საქართველო, ქართული ქრისტიანული კულტურის აკვანი და ქართველ ტომთა უძველესი საცხოვრისი.

საერთოდ, ერისათვის ყველაზე დიდი ტრაგედია არის ტერიტორიების დაკარგვა და არა ომების წაგება, ქალაქების დანგრევა ან თუნდაც ხალხის ამოხოვა. მევლ დროში არცერთ მოძალადეს ქსოდენი შიანი არ მოუტანია ჩვენი ქვეყნისათვის. განსხვავებული იყო მიმართუება აბერბაიჯანის სახანოებთან. მათ არ დაუღაშერავთ საქართველო, საქართველოს მოხარუენი კი დიდხანს იყვნენ (ერეკლე მეორის დროს – განჯისა და ნახჭევანის სახანოები, უფრო ადრე – შარვანი და ყარაბახის სახანო). ამიტომ ერის ისტორიულ მესახერებაში იხინი მტრებად არც აღიძება. მართალია, ბოლო დროს სწორედ ამ ტომების შთამომავლებმა მიისა კუთრეს საინგილო, მაგრამ ეს მოხდა უსისხლოდ, ქართველ ბოლშევიკთა გულმოღვინებით და არ შეიძლება მთავარი ბრალი დასიდო აბერბაიჯანელს. კ. გამსახურდიას დამოკიდებულებაც რადიკალურად განსხვავებულია თურქეთისა და აბერბაიჯანისადმი. პირველი მისთვის რჩება სამშობლოს ისტორიულ მგრად („თურქი”, ეს ნამდვილი ჰლაგიატები, რომელთაც მიწამამული ბერძნებს, ქართველებს, სომხებს და ასორიელებს წაგლიჯეს, რელიგია და პადისი მოპარეს არაბებს, ვინც თავის დროშე მოწინავე ქრისტიანული ბიბანგია და გარყვენეს და რამდენიმე საუკუნით უკან დაახევინეს როგორც კავკასიის, ისე წინა აბით ხალხთა კულტურებს“). ხოლო მეორე – სამეგობროდ განწყობილი, რომელსაც ისევე ჩაგრავს ჩრდილოედი „მხა“, როგორც ქართველს. ეს თანამედროვე ასპექტში. ხოლო წარსულის სიღრმეში თრივე ნაკადი ერთდება თურქ-სელჩუქთა სახით, რომელთა აგრესის წინააღმდეგ არის მიმართული მწერლის ტერალოგია „დაფით აღმაშენებელი“. მწერალმა თურქებს, ამ მონღოლთა წინამორბედ ბნელ ძალას, ქართველებთან ერთად მოჟღავნება დაუძირისპირა – ჯვაროსნები, ბიბანგიელები, რუსები (ყიშაბდების წინააღმდეგ).

და ეს რეალურადაც ასე იყო.

დავით აღმაშენებელმა ისარგებლა სიგუაციით და ამ ჭიდილიდან საქართველო აღდგენილი, გაძლიერებული და გამარჯვებული გამოიყვანა. დავითის მიზანიც ერთიანი კავკასია იყო. ამიტომ იჩენდა რელიგიურ შემწყნარებლობებსაც. რომანის ანგიოურქულ პათოსს, გარდა ისტორიული სინამდვილისა, სხვა მონაცემებიც ამაგრებდა – საქართველოს ცენტრორიების ახლად მიტაცების ფაქტი, პროპაგანდა თურქეთის წინააღმდეგ და თცნება დაკარგული მიწების დაბრუნებისა.



კონსტანტინე გამსახურდიას დავითის მიერ წამოწყებული ბრძოლა სამშობლოს გასათავისუფლებლად მომავლის გეგმადაც წარმოედგა რაღაც საქართველოში ისევ ბატონობდა უცხო და ულმობელი მაღალა, როგორც მაშინ, XI საუკუნის დამლევს. დავითი უნდა გამხდარიყო განმათავისუფლებელი გმირის სიმბოლო, რომელსაც მომავალი წარმოშობდა და საქართველოს კავკასიის ხალხებთან ერთად წარუდგებოდა აღთქმული მიწისაკენ.

კონსტანტინე გამსახურდია ბოლშევკებმა კიდევ ერთხელ დაპატიმრებ 1926 წლის პირველ მარტს. ამჯერად ჩახვეს ბუტირების ციხეში. შემდეგ გადასახლეს თეთრ ბლვაში მდებარე სოლოვკის არქიპელაგზე. იქ მწერალი გაუცნო სხვადასხვა ერის, მრწამსის, ცოდნისა და ზნეობის აღმანების. ამ ღროიდან იწყება მწერლის დაინტერესება აზერბაიჯანულებით (ნოველები „ჯამე“, „ქალის რძე“ და „მტრების მეგობრობა“, ნარკვევი „უკრაინის თემიდი“), რასაც თავად გვიყვება მოგონებათა წიგნში „ლანდებთან დაციფრი“.

სოლოვკის ციხე-მონასტერში პანთეონისტულად განწყობილი აზერბაიჯანული რაპიდ ვექილოვი ეუბნება მწერალს, როცა მან გაღანძდა ოსმალეთი: „თქვენ ცდებით, ქართველები და თურქები მუდამ მეგობრები ვიყავით. მაგრამ იმ გაოხრებულმა რუსებმა წაგვკიდეს. თქვენმა ერეკლე მეუემ რუსებს ჩააბარა დარიალის ციხის კლიტენი და ამ გზით ჩვენ ორივე ხალხი ერთმანეთს გადაგვეიდა და დაგვდეს“. რა თქმა უნდა, რაპიდის შჯელობა არ არის სწორი, მაგრამ დღევანდელობისათვის, პრაგმატული მოსამარებით, ეს იყო საჭირო აზრი, რათა ძველი მტრობა დავიწყებისათვის მიეცათ და რუსეთის საპარისპირო სელისკვეთებს შეეკავშირებინა თრი ერთი. რაპიდ ვექილოვი დაუშეგობრდა მწერალს, მიუხედავად იმისა, რომ იგი პანთეონისტად დარჩა. ჩამოვიდა თბილისში და აქვე პეოვა სამუდამო განსასვენებელი („მტრების მეგობრობა“).

რაპიდ ვექილოვი კეთილშობილი ადამიანია, ვინც რწმენაშე მაღლა აყენებს ზნეობას, პიროვნელ ღირსებას. იგი თვითმევლელობით იმიტომ ამთავრებს სიცოცხლეს, რომ არ შეუძლია გატეხოს მეკობრისათვის მიცემული სიტყვა. არადა, საბჭოთა კავშირში ცხოვრებას სწორედ სიკვდილი ურჩევნია. მისითვის სსრკ-ს რუსეთი განასახიერებს. იგი ფიქრობს თურქეთში გადასვლაზე და კონსტანტინესაც უპატიჟება. რაპიდის ზნეობის საუკეთელო ანგირუსული თვალსაბრისია, როგორც თავდაცვისა და თვითგადარჩენის ხერხი, არა მხოლოდ თავისი პიროვნებისათვის, არამედ სხვებისთვისაც.

ასეთივე ღირსეული პიროვნებაა „ჩადროსანთა შორის უღამაშესი ქალი“, ვისაც ქმარი მოუკლა თამაზ ვარდანიძემ და შემდეგ მისი გაუპარება

ტიურება მოინდომა. მაგრამ ქალი არ დაწებდა სისხლიან მოშალებებს და დაიცვა თავისი პატიოსნება („ქალის რძე“). როცა ერთმანეთსავარ დარებო ავანგრუისტ თამაბ ვარდანიძეს და ბნელი მიწურის მინპრეზი დათალხულ თათრის ცოლს, ჩვენ თანაგრძნობით სწორედ ამ ხვლიკის ფერთვალება ქალის მიმართ განვეწყობით.

თათრებისადმი კეთილი განწყობილებით უნდა აიხსნას, რომ მეგრული ჯამუ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ ბანდიტად აქცია, თათარსელიმად იწოდება („ჯამუ“).

კონსტანტინე გამსახურდიამ 1931 წელს იმოგზაურა უკრაინაში. მაგრავებელმა გაიარა აბერბაიჯანის ტერიტორია. გზად მწერალი გაეცნო თათარ ფეიზულას, ვაგონის გამცილებელს. მის სიმღერაში მოისმის „უწყალო სტეპებში შემოღამებული ერის ვოდება“. და ეს ჰანგი, ენის ელერადობა, გეოგრაფიული სახელებს მუსიკალობა აღუძრავს სურვილს, ისწავლოს აბერბაიჯანული („უკრაინის თემიდი“). ბაქოს ცეცხლის ქალაქს უწოდებს მწერალი, მეოცე საუკუნის სტიქიონს. აქაც არ სცილდება თანამდევი ფიქრი:

„ბნელი საუკუნეების უწყალო გრიგალმა და უეთდაღიშმის უთავევა-მო აღრევამ არ დააცალეს კავკასიის ერებს თავიანთი ნაციონალური სახელმწიფოების დამკვიდრება.“

მოდის ახალი ღროც. უკვევლია, „ეს განწირული სულისკვეთება“ უნაყოფოდ არ ჩაივლის, ჩვენ და ჩვენი მეტობდები ვეტყვით კაცობრაობას სიცევას ახალსა და ჯერართქმულს.“

ამრიგად, კუამსახურდიას კონცეფციით, ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა განვახსხვაოთ თურქელი მოდგმისაბლი დამოიდებულების თანამედროვე და ისტორიული ახმექტები. მაგრამ ისტორიაშიც მწერალი ხელადებით როდი აძაგებს რომელიმე გომს ან ადამიანს იმიგომ, რომ ის თურქელენოვან სამყაროს ეკუთხის. გავიხსენოთ ყიზჩალები „დავით აღმაშენებელში“, ტოვორტაკ და ტოვორტა, ათრახა შარადანისძე, ყიფჩალის ქალი გურანდუხტ, რომელიც დავით მეფის ცოლი გახდა. მოვიგონოთ დავით აღმაშენებლის მრავალწლიანი ცდა, რომ როგორმე დაუკავშირდეს ყიზჩალებს, ჩამოასახლოს ისახი საქართველოში, რათა მათი მეშვეობით დაიცვის საქართველო თურქსელჩეკთაგან. ასე რომ, მწერალი, ისევე როგორც ყოველი გონიერი ქართველი, უარყოფს მოძალადებს, გადამთიცლას და დამპურობს, რაც ჩვენი ხალხის მეხსიერებაში თურქის სახელს დაუკავშირდა, საქსებით სწორად და მართებულად.

როგორც ვხედავთ, კონსტანტინე გამსახურდიას საქართველოს მომავალი მეტობელი ხალხებისაგან განუკრებულად წარმოედგინა, რათა ასე შევქმნათ ერთიანი კავკასიური ბასტიონი.

«ოცდაექვსი საუკუნის უეძებ, ოცდაექვსი საუკუნის წინათ...»

(ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ პორის-დოვ გაპონოვისეულ თარგმანზე)



როცა ბორის გაპონოვმე
 ვფიქრობ, ყოველთვის მასსენდე-
 ბა აეთანდილის სიტყვები „ვა,
 სოფელო...“

თუ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი
 მთავარი დერძი აეთანდილზე
 გადის, მაშინ პოემის ერთ-ერთი
 მთავარი ლაიტმოტივი ეს სიტყ-
 ვები უნდა იყოს, რომელთაც წარ-
 მოთქვამს იგი: „ვა, სოფელო...“
 ჩანს, ავტორს უყვარდა მათი
 წარმოთქმა და, ალბათ, ჰქონდა
 კიდევ ამის საბაბი. ასევე ავთან-
 დილსაც, რომელიც იძულებული
 იყო მოშორებოდა მართლაც სა-
 მოთხისდარ არაბეთის კარს. და
 მოშორდა თუ არა, მყისვე დაბ-
 რუნების იმედიც ჩაესახა.

თუ ადამიანი განშორებულია თავის სამშობლოს და უცხოობაში
 უხდება ხეგიალი, ეს მისი პიროვნული განსაცდელია. და თუ ის განიც-
 დის თავის თავში ადამის წეხილს სამოთხიდან განდევნის გამო, ეს
 საკაცობრიო წეხილია. ადამიანი ამ ღროს წეხს საკაცობრიო წეხილ-
 ით. არსებობს კიდევ სხვა წეხილი: ეს არის წეხილი მთელი ერისა,
 რომელიც გადახვეწილია თავისი სამშობლოდან, იმ მიწიდან, სადაც ის
 ერთიან ხალხად ჩამოყალიბდა. ასეთ ღროს პიროვნული, საკაცობრიო
 და რელიგიურ-ეროვნული ერწყმის ერთმანეთის. ამ წეხილით წეხდა
 და სამშობლოში დაბრუნების იმედით სამრდობდა ებრაელი პოეტი
 ქსანუთში, ქვეყნის კიდეტე, პოეტი, რომლის გული დასაკლეიში იყო, სული
 კი — აღმოსავლეთში. „ვა, სოფელო!..“ რესთაველის ძახილი ასევე ბუნე-



ბრივად გაისმის ქაპანელ ებრაელთა პოეზიაში, რომლის გაყიდვებიც ასიოდე წლით უსწრებს წინ რესთაველის ხანას. „სადაურსაჭახლუსჭვანჭვანი“ – ეს სიტყვებიც მათი ბედისწერის ფორმულაა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში რელიგიური შინაარხით იგვირთებოდა.

„ჩამოიძერტყე საწუთო, როგორც ფრინველმა, ღამელ წვეთებს რომ იბერტყავს! გაფრინდი მერცხალივით, რომ თავი ღამდღირ ცოდვებს და ბედის ტრიალს, მღვასავით რომ ბობოქრობს...“ – ასე მოუწოდებს თავის სულს იუპუდა ჰალევი ერთ თავის ლევსში.

თავად ამ სიტყვების ავტორმა თუ სძლია სოფელს, თუ დათმო იგი? იუპუდა ჰალევი (1075-1141) ტრაგიკული ლეგენდის გმირია. ასეთი თქმულებაა დარჩენილი მასზე: ქაპანეთიდან წმიდა მაწისკენ გამგზავრებული გზად ალექსანდრიაში შეჩერებულა. დიდ ქალაქს, ალექსანდრიას, რომელიც ამ ლეგენდაში უთუოდ წეტისოფლის ხატს ატარებს და საღაე მას უამრავი თაყვანისმცემელი დახვედრია, კარგა ხნით დაუყოვნებია იგი. საბოლოოდ მას მიუღწევია სამშობლომდე, მაგრამ იერუსალიმის რომელიდაც კარიბჭესთან არაბის ცხენის ფლოქს გაუთელავს. ეს ლეგენდაა, რომელიც სამშობლოში დაბრუნების სიძნელეს გვისურათებს. მაგრამ დაბრუნების იმედი არასოდეს გამქრალა.

„სად წაიყვან სადაურსა...“ ეს რესთაველური სამდურავი თავისი იმუდიანი ქსქატოლოგიით – „მაგრა ღმერით არ გასწიორავს კაცსა შენგან განაწირსა“ – ასევე შეადგენდა ქაპანეთის ებრაელ პოეტთა რელიგიურ-პატრიოტული ლარიკის ძირითად თემას. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ლიტერატურული თემა – მისი უქვევი ხალხის ისტორიაში იყო გაღმეული და პოეტის თანდაყოლილ პიროვნულ ქსქატოლოგიაში იჩენდა თავს.

როდესაც ვფიქრობ ბორის გაპონოვგვე, რომელიც ჩვენში ცნობილია როგორც „ვეფხისტეებთხმის“ მთარგმნელი, კიდევ მაგონდება შეა საუკუნეების ქაპანეთის ებრაელთა პოეტია, ის ტრაგიკული თემა, განსაკუთრუბით იუპუდა ჰალევი, მისი ბედი.

რესთაველის პოემის ებრაელი თარგმანის გამომცემელი პოეტი აბრაამ შლონსკი წინასიცევაობაში წერს, რომ თარგმანის კითხვისას ისეთი განცდა აქვს, თათქოს მის წინ იდოს ებრაელი ხელნაწერი, რომელიც რომელიდაც მველ განძთხაცვეში აღმოვჩინოთ... და კიდევ ის წერს, რომ მთარგმნელმა გააჩინა ახალი ენობრივი სამყარო, რომელშიც ჩაქსოვილია სხვა საუკუნეების ენაც – ბრძენთა და შეა საუკუნეების პოეტთა ენა. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ აქ მხოლოდ ენაში არ არის საქმე ენას, რა თქმა უნდა, თავისი სურნელება მოაქვს, მაგრამ ენის უკან კიდევ სხვა რაღაც დგას.

არსებობს აზრი, რომ მთარგმნელი სწვდება და გადმოსცემს თავის ენაზე არა სათარგმნელი ტექსტის დედანს, არამედ უშეალოდ იმ სი-



ნამდვილეს, რომელსაც ასახავს დედანი. აღბათ, ასე იშვიათად ხდება
მთარგმნელობით პრაქტიკაში. მაგრამ აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება კონკრეტული რომ მთარგმნელი უნდა აივსოს იმ გამოცდილებით, რომელიც სათარგმნელი ნაწარმოებშია ასახული. თუ ვისმე შეეძლო „ვეფხისტყაოსნის“
მთარგმნელთაგან თავის ენაზე მთელი თავისი პიროვნული არსებით წარმოეთქება „ვა, სოფელო“ (ებრაულად „პიო პა-ხელედ“), ეს ბორის გაპონოვს შეეძლო, და „რას გვაბრუნებუ?“ ეს უეჭველად მისი პიროვნული ძახილია, რომელშიც ასევე უეჭველად გაისმის ხმა მთელი დევნილი ერისა. ბ. გაპონოვი თავის შექმნილ თუ აღორძინებულ ენაზე იმეორებს რუსთაველის სიტყვებს, მაგრამ ამ სიტყვებით გამოიტაქმული განსაცდელი მან გადაიგანა უფრო აღრე, ვიდრე ქართველი პოეტის პოემას შეხვდებოდა და შეიფვარებდა. მის ხანმოკლე წუთისოფელში, სადაც ის ყველგან მწირად და გერად დარჩა, აირეკლა მისი ხალხის თავზე გადასავალი. თავისი პიროვნული ბედით მან გაიმეორა თავისი ერის ისტორიული ხვედრი. ტყვეობის ქვეყნიდან, სადაც ის ფიზიკურად დაიბადა, როგორც ერთი კერძო კაცი, თავის დეკინლ ერში, კვლავ იღებულოდა, რათა ხეგიალისა და მრავალგზის მდგმურობა-აყრის შემდეგ თავის პირვანდელ სამშობლოს დაბრუნებოდა. ყირიმიდან უვაკუირებულმა მოიარა საქართველოს ამერ-იმერი (კახეთი-სამეგრელო-იმერეთი), რათა ზიარებოდა ქართველ ებრაელობას, ისტორიულ „ჭურიათა ქართველთა“, როგორც მეათერთმეტე ეამის მუშაკი, და ეს გამოცდილებაც ჩაწერილიყო მისი სიცოცხლის წიგნში იმ დაგერატურული დეაწლითურით, რომელიც კოსმოგონიის ხატის აღმდეველია. არაუკრია ახალი მზის ქვეშ... ეკლესიასტეს ამ თათქოს მარტივ დასკვნას მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც ამ სიახლის სიძველე თავის თავზე აქვს განცდილი. ასევე, კონგვნიალურად ძოვება მხოლოდ იმ ენაზე შეიძლება აქცენტის, რომელიც ამ განსაცდელშია გამოგარებული, როცა ახალი ძველია და ძველი – ახალი. მორის მეტერლინკი წერდა, რომ ენა უფრო ღრმად ამროვნებს, ვიდრე ადამიანი, თუნდაც გენიალური, რომელიც (დასძენდა ის) მისი წამიერი გულისფერთქვაა მხოლოდ. იმ ენაში, რომელზეც იშვიათად თუ ვინმეს უწერია ესპანელი პოეტების შემდეგ, გაპონოვის გული ფერქავს. აბრაამ შლონსკი წერს, რომ ბ. გაპონოვმა ჭურჭლიდან ჭურჭელში ტუქსტი დაუზიანებლად გადაასხა. რუსთაველის ენობრივი სამყარო უვნებლად გადავიდა ერთი ჭურჭლიდან მეორეში, რადგან მათ ერთი სუბსტანცია აქვთ. თიხა ჩანს, მაგრამ სუბსტანცია უხილავია. როცა საუბრობენ რუსთაველის პოემის ბიბლიიურ შრეებკ, მხედველობაში მხოლოდ ხილული გავლენებია, მაგრამ არსებობს უხილავიც, რომლის გამოაშეკარავება მხოლოდ ძველებრაულ ენობრივ ჭურჭელს თუ შეეძლო შედაშე ჩაისხა იმ ჭურში, რომელშიც უკვე ესხა გედაშე. ძველმა ჭურშა

მიიღო ბედაშე, რომელიც მისი მაღლით იყო აღრევე ნასხურევა, მეტა-
ურთი გეროული ჭურჭელი ამას ენ შეძლებდა გენიალურმა შემასწავე-
მთარგმნელის ხელშიც კი. თუმცა გენიალობა აუცილებელია? ბ. გამოხვა-
მა ჩაპბერა სრულყოფილ სტვირს და ის ხმიანებდა, – საკრავი, რომელ-
იც მხოლოდ უნდა აწყობილიყო ქართველი პოემის ხმაზე. მაგრამ ენა
ხომ მხოლოდ ინსტრუმენტი არ არის ადამიანის ხელში – მით ნაკლე-
ბად ეს ენა, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე განრიცებული იყო
უბრალო ამბებს და, როგორც წმიდა წერილის ენა, გადახახული იყო
(ამიტომაც საერთ თემებისათვის ესპანელი ებრაელი პოეტები ჭურჭ-
ლად არაბულ ენას იყენებდნენ). ალბათ სხვა ღრმა მნიშვნელობაც აქეს
მარტინ ჰაიდეგერის ნათქვამს, რომ ენა არის ყოფიერების სახლი, მა-
გრამ ის ენა, რომელზეც ბ. გაპონოვმა თარგმნა „ვეფხისტყაოსნა“, მარ-
თლაც მეოქნა მისთვის, უსახლკაროსთვის (რადგან სარდაფს, სადაც ის
შევარებული იყო ქუთაისში, სახლი არ ეთქმოდა), სახლად, სადაც მან
თავისი ნამდვილი სამშობლო კვლავ ჰპოვა. ის დაბრუნდა სახლში, თავის
სამშობლოში, მაგრამ არა ისეთი, როგორც გავიდა ჩისგან. მან აქ გად-
მონერვა ისეთი რამ, რაც მასში არ იყო დასაბამიდან. მთარგმნელის ეს
საიდუმლო ნიშანი იბერიიშებია, რომლებისაც მოოჭვილია თარგმანის
ტექსტი და ადასტურებს მისი ავტორის სიყვარულს და ერთგულებას
ქართული ენისაბმი. როცა ამბობენ, რომ მან შექმნა ენობრივი საშეა-
რო, აქ უნდა ვიგულისხმოთ, რომ პოეტმა ისეთი საყოველთაო რამ,
როგორიც ენაა, თავის საკუთრებად აქცია, შეიყვანა თავის სახლში და
საკუთარი ბეჭდით დაბეჭდა. ეს ენა ღრმად ინდივიდუალურია, როგორც
ინდივიდუალურია „ვეფხისტყაოსნის“ ენა და მას სხვა ვერავის ვერ
გამოიყენებს თავისი ფიქრების სამიერელად. მან აიმენა, როგორიც „იგბათა
წიგნის“ (9:1) სიბრძნემ, სახლი და მყარ სვეტებზე აღმართა. აქ დამკვიდ-
რებულისთვის შეიძლება მოხსნილიყო „ვა, სოფელოს“ პრობლემა, რად
გან ეს სახლი არაბეთის კარივით იქნებოდა, სადაც არაამქვევნიური
ჰარმონია სუჟექს, სადაც თითქოს ამ წერისთვლის გერი და მდგმური
პატრიარქები დამკვიდრებულიყვნენ სამუდამოდ, რაღაც სწორედ ასეთ
ქვეყანას აღუთქვამდა მათ უფალი.

ბორის (დოვ) გამოხთვი, 1934 წელს ევპაგორიაში დაბადე-
ბული, დედით – ებრაელი, მამით – რუსი. აღრინდელ მწირ ბიოგრაფი-
ულ მიოხილვებში იწერებოდა, რომ მამა ომში დაეღუპა ან, „უკათეს“
შემთხვევაში, დაიკარგა უგბო-უკვლოდ. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა მარ-
თავაზო. მამა ცოტხადი იყო და ის ეძებდა თავის დაკარგულ ოჯახს.
იმედი ალბათ მასაც გადაწყვეტილი ჰქონდა. ბორის მან მაგნო მათ
კვალს, მხოლოდღა კვალს. მიაგნო მაშინ, როცა ყველაფერი დამთავრუ-



ბული იყო, როცა დასრულებული იყო ხეგიალი ამ წუთისოფლის გზებზე და ბორისი ისრაელის მიწას ებარა. ესეც სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის ბიოგრაფიის ნაწილია, მის ბედში შედის. განვებამ ინებჭავლის რომ ბორისი მის თაღმეუდისტ პაპას აღემარდა, რომ მის მიერ მასში ჩაგდებული მარცვალი „წმიდა ენისა“ გაღივებულიყო. პაპამ მხოლოდ საფუძვლის ჩაყრა მოსაწრო. ბორისი დამოუკიდებლად შეისწავლის მთელ ბიბლიის თავისი არამეული თარგმებითურთ, წაიკითხავს მიძნას და საერთ წიგნებსაც, ყველაფურნს, რასაც კი მოიხელთებს ამ ენაზე. პოეტის ბუნება არ უკადრისობს გრამატიკულ შტუდიებს, ლექსიკონების უქონლობის გამო თავად უხდება ლექსიკონების შედგენა, იმმარებს მშობლიურ რესუულს, იღიმს, რომელიც მისი მეორე მშობლიური ენაა, ევროპულ ენებს. თანამედროვე სახელმწიფო ებრაულს, რომელსაც ახლა „ივრითს“ უწოდებენ, რადიოს მეშვეობით ეუფლება. მას შეეძლო უტრა-ბახოდ ეთქვა, რომ ამ ენას, რომელიც ისრაელში სახელმწიფო და საერთო სახალხო ენად აღდგა, ფლობდა როგორც მშობლიურს. და მან ეს ენა პოეზიის ენად აირჩია. ქართული? ქართულის შესახებ ის ამბობდა, რომ მისი შესწავლა ებრაულის პარალელურად, როგორც უცხო ენისა, 14-15 წლის ასაკში დაიწყო. ის გელისტყვილით იგონებდა, რომ ქუთაისის რესუულ სკოლაში, სადაც სწავლობდა, ქართულის შესწავლის ძალაშე მცირე სტამულები და პერსპექტივები იყო. ის თითო-ოროლა ქართული წერილი, მეგობრებისადმი მიწერილი, რომელიც შემორჩა, ვერავის დაარწმუნებს, რომ ეს ენა მისთვის მშობლიური არ იყო. ნამდვილად არსებულა ენის გენია, და ეს გენია იყო მასში.

რა შეაძლებინა მას ამ გენიამ? სრულიად შეუძლებული რამ. როგორც ანგელოზთა გუნდი გაღობს „ფაუსტის“ დასასრულს, რომ აյ შეუძლებული მოხდა, ასევე აქაც, ბორის გაძონოვის ხელში, შეუძლებულმა ხორცი შეისხა.

50-60-იანი წლების ქუთაისის ერთ სარდაფში საავტომობილო ქარხნის გაზითის (ვის ახსოვს იმ გაზითის სახელი „ლენინელი“?) კორექტორმა ხელი მიჰყო „ვეფხისტყაოსნის“ თარიგმნას იმ ენაზე, რომელიც ესპანეთში გადახვეწილი ებრაული პოეტები ელაპარაკებოდნენ სიონს, პალესტინის მიწას, რომელიც თვალით არ ენახათ და იმედიც არ ჰქონდათ, თუ რდესმე იხილავდნენ, ელაპარაკებოდნენ საკუთარ გულს და დმერთს. არც მთარგმნელს უნდა ჰქონოდა იმის იმედი, რომ მისი ნამუშევარი ისრაელამდე მიაღწევდა. ან თუ მიაღწევდა, იხილავდა დღის სინათლეს? ან თუ გაუგებდა მას დღევანდელი მკითხველი?

ნაშრომმა მიაღწია ისრაელამდე და გაგებულიც იქნა – ეს ორივე იმდროისათვის სასწაული იყო. სასწაული – ქუთაისის სარდაფის მკვიდრისათვის. სასწაულად თავად თარგმანი ჩაითვალა, რომელიც აბრაამ

შლონსკიმ რომელიდაც ძველ განძთსაცავში აღმოჩენილ ხელნაზეს შეადარა. თითქოს ქსპანელი პოეტების დამარხული თუ გაშემჩინეული ენა გაცოცხლდა ქართულ პოემაში. უფრო მეტიც: მთარგმნელის ხელში ენამ დაიწყო ახალი სიცოცხლე, ახალი ქმნადობა. ქართულმა დედამიდა გამოავლინა ებრაული ენის ფარული შესაძლებლობები.

რა თავისებურება ახასიათებს „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ტექსტს?

„ვეფხისტყაოსნის“ ებრაული ტექსტი მრავალმხრივ არის საგულისხმო და მრავალმხრივ შესწავლას მოითხოვს. ერთი მხარეა, ებრაული ტექსტის თავისთავადი ლირებულება დედნისგან დამოუკიდებლად. ასეთი ადგილი მან დაიმკავიდრა ებრაულ მწერლობაში. ზუსტი ქონბრივი ალლო, გასაცეპრი აქტუალური ცოდნა ენისა, ვირტუოზული სტატობა, სიგვეისადმი ჰემმარიტად რუსთველური დამოკიდებულება, რუსთველური დაუფლება ენის სტიქიისა – ეს ყველაფერი ამ თარგმანს დენის კონგრიალურს ხდის ამ ცნების უშედგვათო მნიშვნელობით. ებრაული ტექსტი დედნის ანალოგიურად სავსეა პოეტური ხალადებით (ლიცენცია) თუ ნეოლოგიზმებით. მოგიერთი მათგანი უკვე შესულია ებრაული ენის განმარტებით ლექსიკონებში ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი დამკვიდრებულია ლექსიკურ ფონდში. ცალკე საუბრის თემაა ებრაული ტექსტის იმერიტები, სემიტურ-ებრაულ შესამოხელში, როგორიცაა „სოფტლი – ძე წუთისა“, „მავი ღლე“, „ძე მზისა“, „ან, „ასული მზისა“, რაც ნიშნავს მზესთან წილადყარს, როგორნიც პოემის გმირები არიან, და სხვანი, რომლებიც ქართული ენობრივი აბზროვნების ელჩებივით ჩანან თარგმანის ტექსტში. თარგმანის კითხვისას მოწმენი გავხდებით იმისა, თუ როგორ და რა სახით ებრაულება თარგმანის წყალობით ებრაულ მკითხველს ბევრი პოეტური სახე თუ კონცეპტუალური სიტყვა-ცნება, რომებიც რესთაველის პოემაში ბიძლიური წიგნებიდან იღებს სათავეს.

ყოველი სტრიფი, გამონაკლისები არსებითად არ გვხვდება, სრულყოფილად, დედნის კონგრიალურად ედერს ებრაულ თარგმანში.

ყველა მაჯამა (ომონიმურად გარითმული სტრიფები) უკლებლივ მაჯამურადვე არის თარგმნილი, მაგრამ ბ. გაბონოვის ტექსტში უფრო მეტი მაჯამური სტრიფია, ვიდრე დედანში. ამის ახსნა, გარდა მთარგმნელის მიერ ენის სტიქიის დაუფლების ვირტუოზული უნარისა, მისი ლექსიკის აქტუალურად ფლობისა, აღბათ თავად ამ ენის დღვევანდელ ფონეტიკურ მდგრომარეობაში უნდა ვეძიოთ. თანამედროვე ებრაულში (ეს პროექსი აღრევე დაიწყო) ბგერათა წყვილები ერთმანეთს დაემთხვა: ერთნაირად ედერენ გარკვეულ პოზიციაში ქ. ხ, და ემფატიკური ძლიერი ს. არხისმიერი ჭ. ბ და ვ; თ და ტ; დაიკარგა რამდენიმე ბგერა, ყოველივე ამის გამო ბევრი სიტყვა ერთმანეთს დაუმთხვა ანუ იმრავლა ომონიმიამ, რამაც საშუალება მისცა მთარგმნელს არა მხოლოდ აუ-



სახა რესტავრაციი მაჯამები, არამედ გაეზარდა კიდევ მათი რიცხვის უფრო მეტიც: მთარგმნელი ხშირ შემთხვევაში ასახავს (ინარჩუნებული სტრიქონის კადანსის დედნისეულ ქლერადობას (რაც არც კი ევალება მთარგმნელს), ინარჩუნებს რა ომონიმურ გარითმვას. აი, ნიმუშიც: დედნის კადანსებს არგ-ზარე (ოთხსავე სტრიქონში) ებრაულში შეესატყისება მორე. დედნისეული – განა მოკლა, განა მხოკლა, განა მდლოკლა, მეგა მოკლა თარგმანში ამგვარად ქლერს: თივ-ლოკ, იმლოკ, თალოკ, იდლოკ. კიდევ ერთი მაგალითის ქართული – ახისა, ხახისა, მხახისა, ახ, იხ, ა, თარგმანი: თახ, ხოახ, მახოახ, ხოახ. ნიმუშების მოყვანა კიდევ შეიძლება.

კონკრინალობის ნიმუშად მოვიყვან ერთ მაგალითს. როგორ ქღერს ბგაპონოვის ქაში რესტავრაციის გენიალური სტროფი, რომელიც ორმაგ ალიტერაციაზეა აგებული:

„მჩე აღარ მჩეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“.

ალიტერაცია აქ სემანტიკურ-ეტიმოლოგიური ბუნებისაა. დამატებით, უნდა ითქვას, რომ „მჩე მჩეობს“, თუმცა ნამდვილი ქართული ბუნების საქცევია, ამავე დროს ის სემიტური ენებისათვის დამახასიათებული პარონომაზის ნიმუშია. „მჩე მჩეობს“ – ასახავს იმ ონგოლოგიურ რეალობას, რომ მოვლენა, ამ შემთხვევაში მჩე, მუდმივ ასხივებს თავის ბუნებრივ სუბსტანციას, ნათელს – მჩეობას. ამის გამო სუბიექტი მჩე არ საჭიროებს სხვა სიტყვიერი ძირიდან წარმომავალ შემასმენებლს: იგი მის საკუთარსავე სუბსტანციაშია მოცემული. მჩიდან მხოლოდ მჩეობა გამოდის. მჩე მჩეობს, დარი დარობს. ამაშია პარონომაზის, ამ მორფოლოგიური საქსევის, შინაგანი აზრი. მჩე არ მოიშლის მჩეობას, მჩე მუდამ იგივეობრივია თავის თავითან. როცა მჩე აღარ მჩეობს, თავისი სუბსტანციიდან იშრიოგება – ეს კოსმოსური ტრაგედიაა და ადამიანს ეულება უსასოობის განცდა. რესტავრაციის პოემის გმირის მთელი არსება აქცილია ამ ტრაგიკული განცდით, როცა გაიაბრიებს, რომ „დილაბა ადრე“ აღარ მოვა „იგი ნაბარდი სოსანი“ – აკთანდილი, იგივე მჩე არაბეთისა; რომ მჩე-ავთანდილი სტოვებს არაბეთის სამეფოს. უსასოობაში მთლიანად დათოქმული ადამიანის სულიერი მდგომარეობის აბსოლუტური სიტყვიერი გამოხატულებაა ეს ალიტერაციული ფრაზა, რომლის შესატყვისად ებრაულ თარგმანში ვკითხულობთ:

შამეზუ შამე შამენუ, ლო ხაგრიახ პა-გორეახ.

ეს ნიშნავს უკუთარგმანით: „გაუდაბურდნენ ეანი ჩვენთა ცათანი, მანათობელი აღარ ანათებს“. პირველი სიტყვა „შამეზუ“ დადასტურულია ძველი აღთქმის ერთ აპოკალიფსურ ფრაზაში, სადაც დასახ-

ულია შემჩარავი პერსპექტივა მიწის პირის განადგურებებსა და წილა-წარმეტყველის პირით რომ განეცხადა ხალხს: „უდაბნოდ ამ ჟუტშიშა) და უდაბურად (მე მამა) ვაქცევ მიწას... და გაუკაცრიო ლდება (მამუ-მუ) ისრაელის მთები“ (ეგვ. 33:28). როგორც ვხედავთ, ძველი აღთქმის ამ მეხლშიც აღიტყვრაციაა, რასაც ვერც ერთი თარგმანი ვერ გამოხატავს.

ბერითი აგებულებისა და დედანთან მიმართების თვალსაზრისით, ეს გაპონოვისეული სტრიქონი მხატვრული ადექვატურობის კლასიკურ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. მასში დაცულია დენისეული საბალიტერაციო კომპოზიცია, ოღონდ შებრუნებით: დენის სტრიქონის პირველ ხანას „მშე აღარ მშეობს“ თარგმანში შეესატყვისება სტრიქონის მუ-თრე ხანა: ღო ღმრთია მა-მორე ას („აღარ ანათებს მანათობე-ლო“), სადაც ასევე „გ“ ბერია ღომინირებს. და პირიქით, დენის მეორე ხანას „დარი არ დარობს“ შეესატყვისება თარგმანის პირველი ხანა მა მე მე მა მე მა მე ნუ, სადაც ბერითი შეესატყვისობა არ არის, მაგრამ ბიბლიური ძალით არის შემოსილი.

არის შემთხვევები, როცა მთარგმნელი ამდიდრებს სტრიქონის შინაარსს. სრულად ნეიტრალური ფრაგა, რითაც აეტორს თხრობაში შემო-ჰყავს გასამეტებელი თინათინი, „მისი სახელი თინათინი, არ ეს სა-ცოლნარია“, თარგმანში ამგვარ სახეს იღებს: „თინათინ – სახელი მისი, როგორც ნელსაცხებელი და მწოდლვარე თაფლი“. ამ სტრიქონში აღიტ-ერაციას იწვევს მე მ („სახელი“) და მე მე ნ („ნელსაცხებელი ზეთი“) სიგყვების თანადერადობა. მთარგმნელისათვის ქართულ ტექსტში ნახსენები სიტყვა „სახელი“ (მე მ) იმჟელი გამოდგა მისიათვის, რათა გამოხმობილი მე მე ნ „ნელსაცხებელი“ და თინათინის სახე „ქება-თა ქების“ მეტაფორებშე აგებულიყო, სადაც ვკითხულობით: „ნელსაცხ-ებელ წარმოცარიელებულ სახელი შენი“ (1:3), და „და თაფლი დამოსწუ-თის ბავეთა შენთა“ (4:11).

„სახელისა“ და „ნელსაცხებლის“ მეტობლობა ბიბლიის სხვა წიგნ-შიც დასტურდება. „პარგი სახელი ძვირფას ნელსაცხებელზე უმჯობე-სია“ (ექლ. 7:1). ამ აფორიზმს (თუ ანდაბას) იყენებს მთარგმნელი როს-ტევანის ვეზირის სოგრაფის სასოწარკვეთილი განწყობილების გად-მოხსევმად: „ვაპ, ჩემი თავი უებრო დავკარგე, დავაშავითა“, რასაც თარგ-მანში ასეთი შესატყვისი აქვს: „ჰოი, სახელი ჩემი, ნელსაცხებელზე უმ-ჯობეს“... მე მი მა-მორე მო-მე მე ნ...

კიდევ რა ღირსებები აქვს ებრაულ „ვეფხისტყაოსანს“? მთარგმნე-ლი ქმნის ხალ საზომს, რუსთველური შაირის მეტ-ნაკლებად ბუსტ ად-ექვატს, რომელიც შეიცავს ორ გარიანტს. როგორც რუსთველური შაირი არსებობს ორი სახის – დაბალი (ც.წ. ქადური ანუ დაქტილური რით-მით) და მაღალი (ც.წ. ვაკერი ანუ ქორეული რით-მით), ასევე ბ. გამოხა-



ეს „შაირი“ ორი სახისაა: ერთი ორმარცვლიანი, მეორე ერთმარცვლიანი რითმით. და ეს ვარიანტები ერთი შაირისა ისევე ენაცვლება კამოთვე ერთმანეთს, როგორც რესთაველის დაბალი და მაღალი შაირი.

ბორის გაპონოვის კონკრიტულობა დედნის მიმართ იქამდე მიდის, რომ ის იმეორებს რესთაველურ სიგყვათქმნაღობასაც თავის ენაში იგი მასვე აკეთებს, რაც რესთაველმა გააკეთა. როგორც „ვეფხისტყაოსანი“ არის მთლიანად *licencia poetica*, ასევე ბ. გაპონოვის ებრაულ ტექსტს აქვს თავისი ორიგინალური მხატვრული სახე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მისი ენობრივი საკუთრებაა, „გაპონოვიმია“. და ეს „იზმები“ ხშირ შემთხვევაში ქართული ენის სიყვარულის შეფარული ნაკვალევია.

ბორის-ლოვ გაპონოვი იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა გვარი თავად რესთაველმა განსაზღვრა, როცა თქვა „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიგყვამცირობა, ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდ გმირობა“ და დიდ გმირობაა მართლაც – ებრაულად გვი ურა, რაც „გამარჯვებასაც“ ნიშნავს, – ბორის-ლოვ გაპონოვის ღვაწლი.

შართალია, მის წინაპრებს ოცდაექვსი საუკუნე არ უცხოვრიათ საქართველოში, ისინი არ ყოფილან „ჰურიანი ქართველნი“, არ დამარხულან ამ მიწაზე, მაგრამ მან უსაზღვროდ შეიყვარა ეს მიწა და სწორედ აქ (მიუხედავად დუხჭირად გატარებული წლებისა), ამ ენაში, ამ პოეზიაში პპოვა შთაგონება. მის უკან ნამდვილად ოცდაექვსი საუკუნე იდგა.



გრიგოლ კიკნაძის სახელი ქართველი საბოგადოების ერთი ნაწილისათვის ზნეობრივი გმირის შარავანდით არის მოხსილი. მისი ცხოვრება პირადელი და მეცნიერული პაგიოსნების, პირდაპირობის, მოყვასისა და სამშობლოს უანგარო სიყვარულის ნიმუშია. მის პიროვნებაზე საქართველოს ითქვა და მომავალშიც ბეჭრი ითქვა.

ჩემთვის არაერთხელ მოუმართავთ თხოვნით, დამეწერა მოვონება მამაზე, მაგრამ ძალგებ მნელი აღმოჩნდა მოვონების წერა, არც კალამი მემარჯვება საამისოდ, ქანრიც ხომ განსაკუთრებულია.

მინდა გავიხსენ ბოგი რამ მამა-შვილის ურთიერთობიდან, მკითხველს მივაწოდო რამდენიმე ფრაგმენტი მოვონებებისა, რომელიც, თუ დამტალდა, იქნებ დავასრულო. ბავშვობის რამდენიმე სურათი ძალგებ ჩამებეჭდა გონებაში. ბედნიერ მოვონებად მიდგას თვალწინ. აი, ერთი მათგანიც:

საღამოს ბინდი შეეპარა. ა. პუშკინის ქუჩით ნ.ბარათაშვილის ქუჩისაკენ დაეშვნენ ახალგაბრდა კაცი და პატარა გოგონა, ხელიხელჩაჭიდებული მიდიან, რაღაცაბე საუბრობენ. კაცი დაიხრება ხოლმე და რაღაცას ჩუმად ეუბნება დიდააუთიან გოგონას. ბაფთა იმდენად ლამაზია გამვლელთა ყურადღებას იძყრობს. აიგამოჩნდა კოლწია ხიდი. ტრამვაიც ჩამორიხინდა ციციანოვის დაღმართბე, ხიდი გადმოიარა. კაცი მიმართავს გოგონას: – გინდა მხრებზე შევისვა? გოგონას ცოტა ერიდება გამვლელებისა, მაგრამ ერთი სული აქვს, როდის აღმოჩნდება მამის მხრებზე, რომ გევიდან გადმოხედოს ქალაქსა და მტკვარს. მამამ მხრე-



ბბე შეისვა, კარგად გახსწორდით, – უთხრა და შედგა ფეხი ხილტე. ვიღაც გამვლელმა, – არ გრიცხევნია, ამხელა გოგო მამს კისერზე შეჯდომული იყო ხარო, – თქვა და ჩაიარა. გოგონა შეცბა, მაგრამ მამამ უფრო მაგრად მოჰკიდა ხელები ფეხებზე და მანაც გელი დაიმშვიდა. ძალიან უკარი და მამს მხრებზე ჯდომა; თავს კარგად გრძნობდა, ბედნიერად.

— ასე აუკვენენ აღმართს. მტკვრიდან გრილი სიო უბერავდა. გზა ავლაბრის მოედნამდე დიდი იყო და აღმართის ბოლოს შეისვენეს. ბნელდებოდა. ქალაქში სინათლეები აციმისიმდა და მტკვარიც ვერცხლისფრად შეიმოსა. ძალიან ლამამი იყო რიყე, მორს კი მამადავითი და ფუნიკულიორი ჩანდა.

— აი, ჩვენ იქიდან წამოვედით, – ანიშნა კაცმა მთაწმინდის უბანზე, – ახლა ჩამოხტო.

მამამ ჩამოსვა გოგონა, რომელიც ისე ბედნიერი იყო, რომ სულაც არ უგრძენია მამის დაღლა. მამამ კი არაფერი შეიმჩნია. ისიც ბედნიერი იყო. ორივენი ძალიან ბედნიერი – ერთად იყვნენ და იმიტომ.

— ეს გზა ა. ჩეხოვის ქუჩამდე, სადაც მაშინ ჩვენი ოჯახი (დედა, მამა და მე, რამაზი – ჩემი ძმა, ჯერ არ იყო დაბადებული) ცხოვრობდა, ჩემი ბავშვობის დაუვიწყარი სურათებით არის განათებული. ა. ჩეხოვის № 1-ში ფორაქიშვილების სახლში ვეხოვრობდით, მეორე სართულზე, ჭ.წ. ბანბე, სადაც ერთმანეთის მოპირდაპირე განლაგებული იყო მდგმურებისათვის განკუთვნილი თთახები. ჩვენი ბინის მეზობლები იყვნენ: ფორაქიშვილების რძალი ირინე, ჯოოშვილების, წურწუმიებისა და მაკალათიების ოჯახები. ამ უკანასკნელებთან მეგობრობა დღემდე მომყენება. ძალტე საინგენიერო ეტი იყო (იქვე ცხოვრობდა მამას ბიძის – გუნიაძეების ოჯახიც). უბნის ბავშვებთან რიკტაფელა და ლახტიც მითამაშია. მაკალათიების თთახის ფანჯრიდან, რომელიც მეზობელ ეზოში გადადიოდა, უნაბის ხის გემრიილ ნაყოფს შევექცეოდით ხოლმე.

— ბანის შეა ნაწილი მოგებული იყო სამი სქელმინიანი მაღლა ამობილული ფანჯრით. პატარებს გვიყვარდა ზედ ჩამოსხდომა, მაგრამ დიდი ქალბატონი ფორაქიშვილების სახლისა (ფილოლოგის, ნოდარ ფორაქიშვილის ბებია) ქვევიდან გრძელ ჭოქს გვირახუნებდა, რადგან დარბაზში დღის ნათელი აქედან ჩადიოდა.

— ავლაბრის უბნით არ იწყება ჩემი ბავშვობისდროინდელი მოგონებები. ის, რაც მამასთან, და, სართოდ, მშობლებთან არის დაკავშირებული, ბათუმის პერიოდს ეკუთვნის.

— უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მამა გაუმწესებიათ ქ. ფოთში; იქ დაახლოებით ერთი წელი უმსახურია განათლების სისტემამი და ყოველთვის კმაყოფილებით იგონებდა იმ პერიოდს. შემდეგ ბათუმში გადასულა თუ გადაუყვანიათ. ამ დროს დაქორწინდა კიდეც დედაჩემზე.



ბათუმში ჩვენმა ოჯახმა დაჟყო 1935 წლის ჩათვლით. რა შეიძლება ახსოვდეს 3-4 წლის ბავშვები?! კარგად მახსოვს ჩვენი ბინა, რომელიც თრი თოახისაგან შედგებოდა. მეორე თოახში იყო გასასველებელი შექმნა ბანდში და იქიდან კიბით ეტოში. მეტობლებიდან მახსოვს კვაჭაძების ოჯახი, მათი ქალიშვილები. ზინა კვაჭაძის უფროს დასთან დედას ახლობლობა პქინდა დიდანს, ხიცოცხლის ბოლომდე ბათუმშივე დაგვიახლოვდა ღუბა მეფიარიშვილის ოჯახის.

მამა განათლების სისტემაში მუშაობდა. დილით აღრე მიღიოდა, გვაან ბრუნდებოდა, მაგრამ სტუმრების მისაღებად დრო მაინც რჩებოდა. ოჯახში ხალხმრავლობა იყო ხოლმე, იკრიბებოდნენ თჯახის მევობრუები. მათგან კარგად მახსოვს ექიმი გერმანე ურუშაძე და მისი მეუღლე.

ბატონ გერმანეს უნდა ვუმაღლოდე ჩემს გადარჩენას. წლინახევროსას სახის მძიმე დამწერობა მიმიღია და მისი წამლობის შედევრად კვალი არ დამრჩა. გერმანე ურუშაძე ხაშურშიც არაერთხელ გასტუმრებია.

ძალიან მიყვარდა მამასთან ერთად ზღვის სანაპიროზე სეირნობა. თუმცა მოუცული იყო, ჩანს, ჩემთვის დროს მაინც პოულობდა. სამახსოვრო ხურათიც გვაქვს გადაღებული ბუღლავარში.

ბათუმის პერიოდი მამის მოღვაწეობისა ჩემთვის ნაკლებად არის ცნობილი. ის, რაც თვით მშობლებისაგან გამიგონია. ვიცი, რომ დიმიტრი უმნაძის ხელშეწყობით მამამ ჩამოაყალიბა უსიქოლოგის ექსპერიმენტელი ლაბორატორიის, სადაც დედას მუშაობდა. ფოტოსურათის არის აღბეჭდილი ამ ლაბორატორიის ერთი ნაწილი. მამას საინტერესო კვლევითი მუშაობა გაუმდია. მის გარშემო იყენენ შემოკრებილნი გრიგოლ შენგელია (ვაკე შენგელიას მამა), პავლე ხუბურია, კონა გიგანეიშვილი; იმ დროს დაუმეგობრდა მამა კოლია კანდელაქს (რამაზ კანდელაქის მამას) და სხვებს. სამწუხაროდ, ეს ხალხი დღეს ცოცხალი აღარ არის, რომ მათგან რაიმე ინფორმაცია მივიღო.

ბათუმიდან ჩვენი წამოსვლის მიმები რამდენიმე იყო. ქვეყანაში შეიქმნა რთული პოლიტიკური და კუონომი კური ვითარება, შიმშილობის წლები დაგდა. მამის ხელფასით ცხოვრების მინიმალური მოთხოვნილებების დაქმაყოფილებაც კი ჭირდა. შორს მყოფი ბებია-ბაბუები ურაფრით გვეხმარებოდნენ. მამა კი ენერგიით და იღვებით იყო სავსე მეცნიერები მუშაობა იტაცებდა, მიმნის მიღწევა კი თბილისში უფრო შეიძლებოდა.

თბილისში დავბინავდით ჯერ მამის მამიდასთან ნ. გოგოლის ქუჩაზე, შემდეგ შევექიმნეთ ბაბუას – გრიგოლ აბაკელიას ხალხმრავალ პატარა ბინას მთავმინდის უბანში. მალე მამამ შეძლო ერთი თიახი უყიდა ავლაბარში, სადაც ვეხოვრობდით 1941 წლის ბოლომდე.

მამამ თბილისში მუშაობა დაიწყო პედაგოგიკის ინსტიტუტში. მას-

წავლებლობდა სკოლაშიც (უარნაოზ ერთეულიშვილს ასწავლიდა). გაცილენდა ულობით კი მასწავლებლებთა დახელოვნების კურსებზე კითხულობდა ლექციებს.

1941 წელს, ომი რომ დაიწყო, მამაც გამოიძახეს სამხედრო კომისარიატში, შემთხვევით გადარჩა ფრონტზე წასვლას – მეცნიერმუშაკებზე ჯავშანი გამოცხადდა. ამ დროს მამა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა, ბატონი კორნელი კეკელიძის ხელმძღვანელობის დროს სწავლული მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა. მალე თეატრალურ ინსტიტუტში შესთავაზეს ლექციების კითხვა, ერთ დროს კათედრასაც ხელმძღვანელობდა. ძალიან უყვარდა ეს ინსტიტუტი და მისი ნახტურნებრივი და კოლეგაბი დღესაც სიყვარულით იხსენებოდა მას. მეცნირად დავყავდი ინსტიტუტის სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო სპეციალულებზე. მაშინ ვისილე პირველად ეროვნი მანჯგალაძე და ელენე ყიფშიძე, გიორგი გეგეშვილი, მედევა ჩახავა და ბევრიც სხვა.

ცხოვრების გზაზე მამას ბევრი სირთულის გადალახვა დასჭირდა. არანაირი კარიერისათვის არ უბრძოლია. იცხოვრა პაგიოსნად. პირდაპირი იყო, სინდისთან კომპრომისზე არასოდეს წასულა. ძალიან უყვარდა შვილები და შვილიშვილები. მეგობრობდა ჩვენთან. ამაყობდა რამაზით. მაგალითი იყო ჩვენთვის. მე დღესაც ბევრ რამეს მამის საზომით ვტომავ.

საოცარი ნიჭი ჰქონდა ახალგაზრდების მიზიდვისა. მეცნიერებასა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი პრინციპულობის გამო ბევრი „მოსისინე“ გაიჩინა; მაგრამ ქვეყანა მხოლოდ ბევრით ხომ არ არის მოცული, ნათელიც ბევრია. გრიგოლ კიკნაძეს გარდაცვალებამდე გარს ეხვინენ მეგობრები და იხლობლები, მისი ჭირისა და ლხინის გამშიარებლები. დღეს მისი შემოქმედებისა და პიროვნების დამფასებულთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა და რაოდენ სასიამოვნოა, რომ მათ შორის ახალგაზრდობა ჭარბობს.

00108 გურჯის ბიოგრაფიული ეტიკული

1997 წელს აღმანახ „მწიგნობარში“ დაიბეჭდა „იეთიმ გურჯის ბიოგრაფიული ეტიკულის“ პირველი ნაწილი. შესავალში აღნიშნული იყო იმ დიდი ინტერესების შესახებ, რასაც იწვევს ყოველი ხელოვნის შემოქმედების ფარული პროცესი, პროცესი, რომელიც მკითხველისთვის, მაყურებლისთვის, მსმენელისა და მნახველისთვის უცნობია და რომელსაც „შემოქმედის სამჩარეულო“ ჰქვია. იქვე ისიც ითქვა, თუ აღნიშნული „სამჩარეულო“ რა დიდი მნიშვნელობის მქონეა ხელოვნის ფენომენის შესაცნობად. აღმანახის ამ ნომერში იბეჭდება „ბიოგრაფიული ეტიკულის“ მეორე ნაწილი.

„003 გამოარმი სახლებრიდ...“

იეთიმ გურჯის ერთი ლექსი ამ სათაურით იწყება. ამ ლექსში აღვ-გორიულად ასახულია მელექსის ბედი და ცხოვრების გზა. მართლაც, ეს სტრიქონები ყოველგვარი აღეგორიის გარეშე შეეფერება იეთიმ გურჯის ყოფის. ბოგიერთი ცნობით, იეთიმ გურჯი, მოლექს კაცი, თბილისელთა დიდი პატივით რომ სარგებლობდა, გარკვეულ პერიოდში უსახლესო ყოფილა. სხვა ინფორმაციით კი 1925-30-იან წლებში ავლაბარში ერთი პატარა ოთახი ჰქონია მუდმივად გამოხურული და გამოკეტილი.

იეთიმ გურჯის მეცნატი და მეგობარი აღვენის ბაროვე კი მოგვითხრობს, რომ მან იეთიმს ვერის პარკში ჯერ ერთი პატარა ოთახი მოუწყო, მერე კი პარკის რესტორანში შეიკედლდა და ყველა პირობით უზრუნველყო. რა თქმა უნდა, არავითარი უფლება არ გვაქს არ დავუჯეროთ აღვესი ბარნოეს, რომელმაც დიდი ამაგი დასძლო იეთიმ გურჯის ბიოგრაფიის შესწავლის საქმესა და პოეტური მემკვიდრეობის ბეჭდვას, არც იმ ბიოგრაფიებს, რომელებიც აღნიშნავდნენ, რომ აკლბარში ერთი ოთახი ჰქონდათ, ერთი პატარა „მაგრამ“ რომ არ არსებობდეს...

იეთიმის არქივში აღმოჩნდა ორი ღოკუმენტი, რომელიც სხვაგვარელებს აძლევს ბეჭრინათქვამს და პოეტის ბიოგრაფიასაც არცთუ სასიამოვნო სიახლეს მაგებს.

ეს საბუთებია საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის კლოროფიტანიძის ორი შიმართვა, ერთი ქალაქის სასწრაფო დახმარების პუნ-

პირველი ღორუელები:

„საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი შეამდგომლობს თქვენს
წინაშე, რათა ჩვენი კავშირის წევრი იეთმის გურჯი გადაიყვანოთ ვარის
პარკიდან ქალაქის მეორე საავადმყოფოში“.

მეორე ღორუელები:

„საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი გთხოვთ მიათავსოთ
თქვენიდამი რწმუნებულ საავადმყოფოში ჩვენი კავშირის წევრი, სახალხო
მწერალი იეთმის გურჯი, რომელიც ამჟამად მძიმედ ავად არის და მომცდელი
არის მყავს, აცრეთვე უბინათა“.

თარიღი – 1927 წელი.

მაშასაღამე, 1927 წელს იეთმის გურჯი იმყოფება ვერის პარკიმ, მძიმე
ავადმყოფს მომცდელი არ ჰყავს და უბინათა არის.

თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი ხომ ჯაუტი და უტეხია!

თუმცა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ მიმართვებში მდგო-
მარებისა გამუქებული იყოს, ხოლო – აღექსი ბარნოვის ინფორმაცია
ზუსტი არ იყოს.

ერთი კია, იეთმის გურჯისაც პაოლო იაშვილივით შეეძლო ეთქვა:

მე არა მაქტე საკუთარი ბინაო,

მე წახელი ქვაშე დამემინაო...

ბასრევბელი იმაღლები

იეთმის გურჯის ბიოგრაფიები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ იგი აქტო-
ურად მონაწილეობდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც
დიდხანს იხდიდა სასჯელს სხვადასხვა საპატიოროში, მეუის მთავრობიამ
არც გადასახლება დაბკლოთ.

ბიოგრაფიები არ ცდებიან. იეთმის არქივში ბევრია ამ ხასიათის ლექსი,
რომლებიც ცხრასიან წლებშია შეთხმული. ისინი საერთოდ არ დაბჯ-
ჭდილა და მკითხველიც არ იცნობს მას. თვითონ იეთმი ამ ციკლს,
როგორც ჩანს, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა. იეთმის
თავისი ხელით შეედგნია ხელნაწერთა კრებული, რომელშიც მხოლოდ
რევოლუციური მინარესის ლექსებია შეტანილი, სუპერიც თვით მოუხ-
არავს, სურათის ადგილიც შემოუხაბავს. ეტყობა, ასეთი სახით სურდა
გამოეცა. ამ კრებულიდას თრი ლექსი იძყორდს ყურადღებას, ერთი
დაწერილია 1921 წლის, 12 ივნისს, მეორე – 1921 წლის 6 დეკემბერს.
თრივე ლექსი შექმნილია საქართველოს „გასაბჭოების“ შემდეგ.

პირველი დექსი ერთგვარი საჩიტარო-განცხადებაა, აღრესაცნა „მწარე რაიონის კომუნისტები“: იეთიმი მათ შეახსენებს თავის დამხარეულების კომუნისტერი წყობის წინაშე, როცა „ოცდახუთი წელიწადი რუსეთში“ ნორაბეჭე დეკრდა“, როცა „მუშებისათვის მროვაგანდას ეწეოდა“, რისთვისაც „ოცი წელი გაბრძარა დამალვასა და ტყვეობაში“. გაახსენებს, რომ სელ ნაგრობდა, როდის მოვილოდნენ ხელისუფლებაში მისი თანამოაბრენი. ჯერ იყო და ნიკოლოზ-ხელი მინებმა განჯევს, მერე გამოჩნდნენ მენშევიკები, მაგრამ „ისინიც ყალბი გამოიდგნენ, უარესი შამეყარა...“ ბოლოს ეღინდა და საქართველოში „იეთიმის ძმები“ შემობრძანდნენ და გაახარეს მოლექსე-ყარაბიხოველი:

ამისნელდა გულის ნაგვრა –
ჩემი რწმენა, იდეალი,
ის იყო რო გამახარა –
ოცდახუთი თებერვალი...

...მაგრამ ნააღრევი აღმოჩნდა თურმე იეთიმის სიხარული... არც ოცდახუთ წელიწადს რევოლუციის ნოტაბე მომდერალი პოეტი, არც მისი მროვლეცარები პოეტია არვის არ გახსენებია. მამის მატერიალურ პირობებში აღმოჩნდილი იეთიმი გაოცებულია:

ჩემი რწმენის ქვეყანაში
არა მქონდეს ლუკმა-პური?!

გაჭირვებული სახალხო მგოსანი უკადურეს ბომებს მიმართავს:

რაცა მქონდა, სუ გავყიდვ,
შიმშილით სახლი დავცალვ,
ბიბლიოთეკა, ლამუა, ქვაბი
სუყველა შჭადში გავცვალვ.

ანალოგიური შინაარსისა და პათოსისა მეორე დექსიც. აქაც ცრუმლანერევი სამდურავის ხმა ისმის მოლექსისა, რომელსაც უიბიკური არსებობისთვის არავითარი საშუალება არ გააჩნია.

კომუნისტებს იეთიმისა და იეთიმისნაირთათვის არ ეცალათ...

00თიმ გერჩი და არსენ ჯორჯიაშვილი

იეთიმ გურჯის არქივში, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახება, ერთი საინტერესო ცნობა აღმოჩნდა. იეთიმის დის, ანას მოულნებებში, რომელიც დაწერილია 1941 წელს, ასე-თი დეტალია: „დედის სიკვდილის შემდეგ იეთიმ გურჯი თავის დასთან



ერთად ცხოვრობდა მეტების ციხის მახლობლად მტკვრის ნაპირზე პრინციპულური გარა მიწურ ქოხში. იეთიმ გურჯის თახაში თავს იყრიდნენ ბიჭები, რომლებსაც იეთიმი წერა-კითხვასა და სიმღერებს ასწავლიდა. სხვათა მთავრის, მასთან ყოველ საღამოს მოღილდა არსენ ჯორჯიაშვილი“.

იმ დროს იეთიმი 18-19 წლის ჭაბუკი, ხოლო ჯორჯიაშვილი 12-13 წლის ბიჭი იქნებოდა.

საგულისხმო ფაქტია, რომ იეთიმ გურჯი ბავშვობიდან იცნობდა არსენ ჯორჯიაშვილს, შემდგომ სახალხო გმირად აღიარებულ ცნობილ გეროოსტეს, რომელმაც 1906 წლის 16 იანვარს ეტლით მიმავალ კავკასიის სამხედრო შეტანის უფროსს, რუსეთის იმპერიის თავდაღებულ მსახურს, გარუსებულ მრისხანე გენერალ გრიაზნოვს (ფალახაძეს) ბომბი ქსროლა და მოკლა. ამის გამო არსენ ჯორჯიაშვილი ჩამოახმეჩვეს. არსენი ხალხში მეტად პოპულარული გახდა. ხელი იმანაც შეუწყო, რომ გაუტეხელი ბუნების ჯორჯიაშვილმა არ მოისურვა მთავრობისაგან ნაპატიები და ნაჩეუქარი სიცოცხლე — მშობლებს ნება არ მისცა ხელისუფალთათვის შეწყალებისთვის მიემართათ. მაღლე შეიქმნა სიმღერა არსენ ჯორჯიაშვილზე, რომელიც მთელ საქართველოში მრავალ ვარიანტად გავრცელდა. ერთი ვარიანტი ასეთია:

მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი.
ვისროლე ბომბი, პაკრში გასკდა
და გრიაზნოვი კედელს შეასკდა.

იეთიმ გურჯისა და არსენ ჯორჯიაშვილის ურთიერთობის სხვა ფაქტი უცნობია, გარდა ერთი ლექსისა, რომელიც იეთიმს არსენის სიკვდილის შემდგომ დაუწერია და რომელშიც ასეთი საგულისხმო სტროფია:

თოკს მმშადებს ჯალათისა ხელია,
თავგვე მაღდას ხუცა, სულის მგერია,
მაგრცხეტეს, მღვდელო, ჯვარი რომ გიჭერია, —
საღრმობელა იესოს არ ეწერია.

მაგრამ იეთიმის ხელნაწერებში აღმოჩნდა ერთი სტროფი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ იეთიმსა და არსენ ჯორჯიაშვილს ურთიერთობა ჰქონიათ. ლექსი დაწერილია 1920 წელს, იეთიმი გვამცნობს თავის დამსახურებას რევოლუციის წინაშე:

ნაგრულნი გამიმხნევია,
მჩაგვრელო მასეა ამიხდია,
ნები ენით ბევრი ბიჭი
ტერორისტი გამიხდია.

იეთიმ გურჯის რევოლუციური განწყობილება და საქმიანობის მონილია. ასე რომ, არ არის გამორიცხული, არსენ ჯორჯიაშვილი მას გარკვეული ზეგავლენა მოიხდინა და ზემოთმოცვენილი ლტერატურული ქონები სულაც არ იყოს ჭეშმარიტებას მოკლებული.

სტატია მედიაზე მკურნალი

იეთიმ გურჯის სატრუიალო ლირიკას თვალის ერთი გაღმაცემით უცნებება, რომ მისი ძვირი სიყვარულისგან გაგანჯელი კაცად. სიყვარულის მძლევა და ვერაც გრძენიბას იხსევ გაუწამებია, როგორც აღმოსავლეური ლიტერატურის საქაუყნოდ ცნობილი მიჯნური პერსონაჟები: მაჯნუნი და უარპალი, ხოსროვი და ქერემი და ვინ მოთვლის, კადევ რამდენ მედგაცნუებულს სდენია თვალიაგან ცრემლის მდინარე...

უისტივისაც უწოდება შეა საქართველოს აღმოსავლეური სატრუიალო ლირიკის ტრადიციები, ვინც არ იცის, რომ ამ ლირიკაში საგრიფოს სახე წარმოდგენილია არა რეალურ არსებად, არამედ განმოგზავნელ ხატად მშვენიერებისა, ხელოვნურად შექმნილ ესთუტიკურ მოღელად, რომ სატრუისკენ სწრაფვაშიც ნაგულისხმებია არა ბუნებრივი, არა აღმიანური, არა უიშიკური, არამედ ირეალური, იღეალიზებული მიჯნურის გრძენიბები, იგი ბრძმად ერწმუნება იეთიმ გურჯის სევდიან სტრიქინებს და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აბუზელი მისი ძეგლის გვემულ სახესაც დიდი თანაგრძნობით შეხედავს. მოღი და, ნუ მეგებრალება:

ჩემი გული შენ დაკოდე, დახიე,
ხელებს ითბობ, ცეცხლის აღმი გამხვით...

იეთიმ გურჯი შენ მოპკაბლი,
ცოცხლივ შეკვდრებში ვწერივარ...

ვინ დამწყევლა, ვისი წყვევლა ამიხდა,
იეთიმ, ცრემლი მეგობარი გაგიხდა...

მაგრამ იეთიმის არქივი, რომელიც ჩენია მოღვაწე-ყარაბახობელის ცხოვრების არაერთ საინტერესო დეტალს გვამცნობს, ზოგჯერ ფრიად დამაფიქრებელი ინფორმაციის წყაროც არის. სიყვარულისგან გათანაგული იეთიმ გურჯი შეეღასა და შეწენას რომ ითხოვდა:

შველას ვითხოვ, განჯვის მახეს გაუვით,
დამიბნელდა მოვარე და ვარსკვლავები,
გრა მიჩვენეთ, აღარ მიჭრის თვალები...

არაიმვიათად თვითონაც ცდილობდა უიმედოდ შეკვარებულთა დახმარებას, ლექსს უთხმავდა სატრუიალოს, იქნებ ამით მოელბო გული გაამაყებული ქალებისათვის, იქნებ...



როგორც ჩანს, ამგვარი ხასიათის ლექსის შემკვეთი პირები საქმაფუძვლისა შეავდი და იქნებ არცთე გადაჭარბებულია იეთამსს განცხადებას:

მე ლექსი არ დამუღვვა,
სელ მჩათა ვარ, ვინც რა მოხოვა...

იეთამ გურჯის ლექსთა ერთ დავთარში უცნობი ხელით ასეთი ჩანაწერია: „თუ გიორგი გიყვარის, ეთიმჯან, ორშაბათის არსად დაიკარგო იმიტომ, რომ მე უნდა მოვიდე. გთხოვ ეთიმჯან, დამიწერო ლექსი ვინც მიყვარის, მანიაკა გიორგი თულაშვილი“.

როგორც ირკვევა, გიორგი იეთამის ახლობელი კაცია, რაკი იეთამის დაუკათხავად შექველა მის ბინაში, იეთამის დაუკათხავად აუდია ლექსების დავთარი და თავისი თხოვნა ჩაუწერია. უიმედოდ შეყვარუბული კაცი სამკურნალოდ მოსულა, უფიქრია, საკუთარ გრინიბების სატრუთს ლექსად თუ გადავუშლი, გავუმედავნებ, გულს მოუველობ და იქნებ მოწყალე თვალითაც გადმომხედვოს.

იქვე იეთამის ხელით ჩაწერილია ლექსი, რომელიც მთლიანად მოგვყავს, რამდენადაც იგი იეთამ გურჯის შემოქმედებას აქამდე უცნობი ასპექტით წარმოგენდება. ლექსის რამდენიმე სიტყვის ამოკითხვა ვერ შევძელია. ეს ლექსია:

მანიაკან გამარჯობა, საღამს გიძლენის ჩემი ენა,
რო მიყვარნარ, ერთი მითხარ, ნეტა გაგონდები შენა,
ქვეწის ყველა სილამაზე მიწერია
ვეფიცები, სატი ღმერთად მე გადიდებ

ვუიცავ ჩემსა ყმაწვილობას, დაიჯერე, შენთვის ვკვდები,
დღე და ღამე ხაცა ვიყო, სუ თვალწინ შენ მეღანდები,
შენ გულშია ხტუმრად ვიყო, ვნახო თუ შენც გავთნდები,
სამარემდინ სიტყვის გამლევ, გულცივად ნე შეკიღები.

ღმერთშან ყველა სელიერი ქმექნად გააჩინა წყვილათ,
ამ პატარა ხოუელშია ღრონი გააგროოს ტკბილათ,
მანიაკას მშენა ვუიცავ, გოგი მოკვდეს, თუ ვთქვა ტკილათ,
იქნებ მიცნიბ მე თრაპირათ, რო შექნევი მე გელცივათ.

ხელი ხელია, პირი პირია, ყველი ყველზედ გადამხვივ,
მატყუარა ხალხის ღროში გადივიწყე და დასიე,
რწმენის იმედი მამეცი, სევდის ფარდა ამისიე,
სამარემდინ, ვით სედარას, შენ პერანგშიდ გამახვივ.



სიყმაწვილეს თავის დრო აქვს, თან ვიუიქროთ ბოლოსთვის შემონაბეჭდი
ღმერთმა შენთვის გამაჩინა, რაღად გინდა პოვნა სხვისა, შესაბამისებრ
შენის მეტი არვინ მინდა, დაამტკიცებს პირი ღვთისა,
შამიბრალებ და მიხვდები, თუ არა გაქვ გული ქვისა.

როგორც ჩანს, იეთიმის ამ ღვექშმა, რომელშიც გადმოღვილია გიორგი
თულაშვილის წრესგადასული კრძნობა, გული ვერ მოულბო გორიობ
მანიაკას და... გიორგი დასახმარებლად კელავ იეთიმ გურჯის კენ
მიერუბება. იმავე დავთარში იმავე ხელით არის ჩაწერილი: „ჩემ მანია
ას დამიწერე, ხომ ხედამ რომ არ მიბრალებს, კიდევ ერთი ღვექში, თუ
თუ თუ გიყვარვარ“.

ამ მინაწერს ღვექსი აღარ ახლავს. იქნებ იეთიმს პოეტურმა თავმოუ-
ვარეობამ ნება არ მიხცა კვლავ შეეთხბა ღვექი, პირველმა ხომ ვერ
გაჟრა, მიზანს ვერ მიაღწია!

შეკვეთით შექმნილი ღვექსები იმასაც გაფაფარებინებს, რომ იეთიმ
გურჯი მკვიდრად იდგა შეა საუკუნეების აღმოსავლერი ღირიკის
ტრადიციებშე, რომ მისი საგრძლივო პათის შედამ გულწრფელი არ
არის და მტკვრის სანაპიროზე აბუზული მისი ძველის გვემული სახეც
შოგიერთი გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს...

ერთი კია, „სიყვარულის მგოსანი“, როგორც თავს უწოდებდა, ნამდ-
ვილი, რეალური, ჭეშმარიგი მგოსანი თუ იყო და არა აღმოსავლერი
საგრძლივო ღირის კი ტრადიციების უსიტყვო ძღმსრულებელი, მაშინ
არა მარგო სხვისი წყლულების განკურნებას შეეცდებოდა, არამედ
თავისი „მაჯაშისა შემტყობარსაც“ მოძებნიდა...



ଏଣ୍ଟ
ଏ
ଏଲାମିନାଇଟ୍

ବାଶାଲ୍ଲା ମୋହନୀ - ବାମରାଜା ଏହା ଓହ
ବାଦିମନ୍ତରୀକରଣକାରୀ ମାର୍ଗଦର୍ଶକୀୟ,
ମରା ଅରମ୍ଭ ରା ମୋହନୀ ହାଲାଲୀ,
ମୁଖିମିକ୍ଷି ବାଧିଲ୍ଲା ଓ ମୋହନୀ ହୀଲ୍ଲା.

କବିତା ପାଠ୍ୟାବଳୀ

«ღმმრთო, მოხედვა პოეტებს...»



○

ლიბ

სტურუა

—

60

○

ლიბ სტურუა ერთი იმ პოეტთაგანია, რომელთაც იშვიათი ნიჭიერება და თვითმყოფობის წყალობით, ახალგაზრდობიდანეუ მიაღწიეს ყოველი შემოქმედის საწადელს – ლიტერატურული „შევირდობის“ გეერდის ავლით, მიაგნეს საქეთარ ხელწერას. პირველი პოეტური კრებული „ხეები ქალაქში“ 1965 წელს გამოაქვეყნა; დღემდე მრავალი პოეტური და ერთი ესეისტერი წიგნის ავტორია, არის გალაკტიონ გაბიძისა და სახელმწიფო მრემიათა ლაურეატი, პროფესიონალი ლიტერატურათმცოდნე და ქართული მწერლობისადმი მიძღვნილი ჩინებული გამოკვლეულებისა და ესეების ავტორიც გახდავთ.

წიგნის, მწიფებრობისა და ჟემმარიგი პოეზიის ტოტალური გაუფასერების ხანაში, უაღეს აღნიშვნის ღირსაბა ლიბ სტურუას სატელევიზიო საავტორო გადაცემები: მჭერმეტყველისა და იმპროვიზაგორის შესა-

შერი უნარით დაჯილდობულს, ფართო თვალსაბწყის მქონეს. მათ ეს ძალა – მიიღილოს გელექტრიკულობა ფართო აუდიტორიული სისტემის მიერ რომ ღია გადატოვს თავის სტილს – ინტელექტუალურის და იმავდროულად, – ღრმად ემოციურის.

უნდა თოქვას, რომ ლია სტურუას – პოეტს, რამდენადმე მნიშვნელოვანი ეკოლოგია, ან, მით უმეტეს, მეტამორფოზი არ განუკლა. მან, სრულობდ ახალგამრდამ, უთვალავი ფერის, უთვალავი ბგერისა და უთვალავი სიგვენის სამყაროში თანდათანობით მიაგწო თავის სტილს, მუსიკას – სიგვენას – ფერებს. მის პოეტიაში გამოიკვეთი თანამედროვეობის მწველი და ცხოველი განცდა, მტანჯველი მორალურ-ეთიკური ძიებანი, ეროვნული ტკივილი და მარადიცელი, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისადმი სწრაფვა, უკიდურესი გულაბდილობა და სიწრფელე, მოგჯერ – შეგნებული ეპაგეტი, უკომპრომისობა და შემოქმედებითი სითამამაშე.

მალევე გახდა საცნაური ლია სტურუას პოეტის ერთგვარი ელიტარულობა და „სირთულე“: თავისებური მეტაფორული და ახორციელი ამროვნება, ღრმა ქეკექქსტები, ლიტერატურული რემინისენტიათა სიმრავლე და ძნელად აღსაქმელი მინიმებანი; ლია სტურუა „როულტე“ „როულად“ მეტყველი პოეტია.

ცხადია, ყოველივე ეს სოციალისტური რეალისტის „ადეპტებისაგან“ დაუსხველი არ დარჩებოდა: ლია სტურუამ აღრევე იწვია თუციაბლური კრიტიკის სუსი – აკრიტიკებლენენ „იდეურადაც“ და „ფორმალურადაც“ – ვერლიბრის ერთგულებისათვის. ამასთან, ახალგამრდა პოეტმა იმთავითვე ღირსებისამებრ მოიხვეჭა პოეტის ჭეშმარიტ დამფასებელთა თანადგომაც.

ლია სტურუა დღეს საყოველთაოდ აღიარებული პოეტია, თუმცა ცალკეული „უნაური“ გამოხდომები მის მიმართ დღესაც საჩინოა; „უნაური“-მეთქი, იმისათვის მოგახსენებთ, რომ ამ „დეკლარაციულ“ გამოხდომებს არაფერი აქვს საერთო არც პოეტიასთან და არც ლიტერატურულ კრიტიკისთან.

პოეტს კი არც საქათარი მხატვრული მრწამსი დაუთმია თდესმე და არც ითლ, გაკვალულ გზას დახსდეომია მავანთ საამებლად.

ლია სტურუას ჯერჯერობით ბოლო პოეტურ კრებულს – „შუქს ნუ ჩამიქრობთ“ („მერანი“, 1994 წ.), უაღრესად თანადროული და აქტუალური პრობლემატიკით გაჯერებულს, ვერავინ აღმოჩენენ კონიუნქტურულ ნიშაბრს.

ლია სტურუასათვის პოეტია „წმინდაც“ არის და საყოველთაო-სახალხოც; განდგომილი ბრძენის თავშესაფარის და მამულის მეტიონენტია ხელობაც; ოდენ „შავისა“ და „თეთრის“ დაპირისპირების მოძელე პოეტი „მარმარილოს ბურგებით გარე სამყაროსაკენ, პირით – წიგნებ-



ისაკენ მიქცეულ “მწიგნობრებს ანდა სპილოს ძვლის კოშკი გამომწყვდეულ ხელოვნებსაც ჭირისულობს და მათი „რიტორიკული“ მოწყვეტილება ნააღმდეგი გახდავთ.

თუმცა არც „ზუსტ“ მისამართებს გვთავაზობს პოეტი და, მით უმეტეს, არც „გარემოების საყვირად“ მიაჩნია თავი, მისი ახალი ლექსებიდან მკაფიოდ ინაკვთება ბოლო წლების ჩვენი ქუფრი არსებობა, ტანჯვას სტატუსი, ნგრევა-ქაოსი, გაორება და გაუცხოება, სამშობლოში სამობლოს მონაცემება...

პოეტის ბოლო ლექსები ერთი გაბმული ტკივილია: მას „ტკივა“ საქართველო, თბილისი, ახლობლები, სულით მონათესავენი, დარბაისული მათხოვები, პოეტები, მხატვრები, ვაშლის ხეები და ბეღურა ჩიტები, მოხევიალე ძალები და უმანკო კრავები...

მაგრამ პოეტის ლექსებში „მზისა და მოვარის წევთებიც“ მძლავრობებს. სინათლის სხივად, შავ სევდაზე გამარჯვებული იმედის სიმბოლო მესახება ეს ტაქტებიც:

...სახწაული ჯერ კიდევ არსებობს
ამ ბნელ, საპყარ, უმნეო წუთისოფელში,
ხოლო ცის მყარჩე შემოქმედი შის
და, გაცილებით დიდი წვალებით
და ვაი-ვაგლახით, ვიდრე თდესლაც,
გვიძერავს განძი ძველებურად ლურჯ,
ვარსკვლავებიან სულებს.

მოკრძალებულია პოეტის მუზა – მას არც გამობარი და სინათლით გაჩახჩახებული სცენა ესაჭიროება, არც გამართული მუსიკალური ინსტრუმენტი და თეატრალური დეკორაცია თუ სამოსელი, არც ძირიალი ინებული და ხელმიუწვდომელი საღებავები, ჩარჩოები თუ ტალო, საჭრეთელი თუ ბრინჯაო-მარმარილო. მისთვის არც სტომაქის ნაყროვანებაა საჭირო და არც გამობარი ბინა...

საჩინო ფრაზის საპირისპიროდ – ვერც გარბაზნების ქუხილი, ვერც ქაოსი და ნგრევა, ვერც სიცივე და შიმშილი, თვით წყვდიადიც კი – ვერ დაადუმებს პოეტის მუზას.

პოეტი ლია სტურუა ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას განაგრძობს. ვამედოვნებ, როცა ეს სტრიქონები დაიბეჭდება, ქართველი მკითხველი მის ახალ პოეტურ კრებულს მიიღებს.

P.S. ჩემი ვარაუდი გამართლდა; ახლახანს „მერანმა“ გამოსცა პოეტის „ასი სონეტი და სხვ.“, 1999 წლის ოვლისი.

ცეცხლში ღამიშვარი სიტყვა

მე ვიცი, რომ სიტყვა აღარ ყამით. სიტყვამ დაკარგა ძალა. სიტყვა უმწეო ლოკონასავით ძევს აღამიანების წინაშე, რომლებიც მას ნებ-სებით ჩხვლეტენ, ჯავშანს უმტვრევენ, და იციან, რომ არც ხელის შებრუნება შეუძლია, არც გაქცევა, არც ყვირილი. ამ სიმართლეს ვერანათრი ლოგიკურად დასაბუთებული სიმართლე ვერ დაუდგება წინ, უფრო მეტიც, მაშინვე უზნეობად გადაიქცევა. ამ შემთხვევაში ურთადერთი მართალი შეიძლება იყოს კაცი, რომელიც ნიერას სათვიად აიღებს და საძმე, ხალხში გადამალავს. ამ წუთში ლოკონას იდეაზე კა არ ფიქრობს, რომელსაც ვერც ქვით მოკლავ და ვერც ნებსი ჩხვლეტოთ, არამედ, უბრალოდ, სიცოცხლეს უნარწუნებს დვისის გაჩენილს, სულიერს.

იგივეა წიგნის დახევა და დაწვა. პოეტი-კაცი არც უნაკლო და არც უცილენელი, მაგრამ სიტყვასთან მნიშვ რომში და ურთელეს სიყვარულში იგი ხარჯდეს ჟეკითებს, რაც კა აბადია მის სხეულს, გვინს, სულს, თითქოს სარკეში თვითონ კა არ იხედება, არამედ მისი ორუელი – ანგელოზი; ამიგომ სიტყვასთან, ლექსითან, წიგნითან მცრული დაბირისპირება იგივეა, რაც უმწეო ლოკონას ან ხეზე მიბმული კრავის მოკვლა.

დახეულ-დამწვდრი წიგნი ყოველთვის მსხვერპლია, მისი მტერი – ჯალათი, და რაც უფრო მეტად სტელს ჯალათის მსხვერპლი, მით უფრო ამტკიცებს მის ძალასა და სიმართლეს, რაღაც სამყაროს შექმნის დღი-დან მოედნებზე გაჩაღებულ კოცონებში ყოველთვის მართალი და ნათუ-ლი კაცი იწვის, ხოლო კოცონს აჩაღებს ინკვიტიცია, ფაშიზმი, ფანატიზმი, სიძლიერება...

არის იხეთი შემთხვევებიც, როცა კოცონის გამჩაღებული „ინდობს“ პოეტს, თღონდ, ცდილობს თავისებურად გამოიყენოს იგი, საკუთარი ნება მოახვიოს თავს. წევრმომევებულ, გაღლოთებულ, ურჩ კაცს ვერ ეჩვევა, რაღაც არ იცის „მხივებით თამაშის“ წესები, სამაგიუროდ, ლექსიზე ახდენს ძალადობას. გალაკტიონ ტაბიძეს აქვს ასეთი ლექსი:

მე მაისის თვის ვარდებით ვთვრები,
 კარგია თრითა
 და მებრალება მე ჩემი მტერი,
 არ ვიცი მტრობა.

არ მებრალება მე ჩემი მტრები
და ვიცი მტრობა.

ე.ი. პოეტი, ხილავვარდევისა და ვარდების მფლობელი, დაიახლოვა,
სიძულვილის, ლამის მკვლელობის იდეა ჩაუდო ლექსში, რომელიც
ღმერთის ნაკარნახვი იყო.

ახლა ხშირად მეყითხებიან, მხატვრული ხიტების საყოველობრივ გა-
უფასურების ღროშო: – ნუმუ, მაშინ ხალხს ეხმოდა გაღაკეთონი? ეხმო-
და იმას, ვინც იცოდა, რომ „პირველითგან იყო ხიტება, და ხიტება იგი
იყო დავთისა თანა, და ღმერთი იყო ხიტება იგი“. ვისაც არ ეხმოდა,
მოწიწებითა და პაგივისცემით ექცეული იმ კაცს, რომელსაც შეეძლო
ხავერდის ყდაში ჩადებული ხქელტანიანი წიგნი დაეწერა. იმდროინ-
დელი არ არის პარლო იაშვილის ეს ლექსი:

დადის ქუჩაში ბევრის მნავები ჩემი ხეველი
და ხალხი ამბობს, ეს კაცია ლექსის მწერალი...

„ლექსის მწერალს“ პატივის სცენდა ხალხი. მისი ვავება არ უნდო-
დათ ჩინოვნიკებს, მისსავე უნიჭეტ კოლეგებს, მისი პოეტური სიგაფებით,
„ლერჯი ექსესებით“ შეწებებულ მთავრობას.

სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა უსაქმერობის და არეულობის ერთ-
ერთი მიზებია; ალბათ, რა თქმა უნდა, წელებმა უქის დადგმას, ლექსის
წერას, თიხის ზელას, ხენა-თუხევას, ლაბორატორიებში ჩაჟამებას, ქუჩაში
სიარელი, ენაშეკვრობა, მამლის ყიფილით სოფლის აშენება ხჯობს, და
ოთლი სახელის მოხვეჭა, რუსთაველი კა ფილოლოგებმა იკითხონ და
ბალიშის ქვეშ ამოიღონ, სანამ ისიც არ დაწერავთ.

...სიგვეგა არავის ესმის. ერთადერთი უზნეო ფრაგმა ქცეულა ჩვენი
ცხოვრების ლაიგმოტივად: - რა დროსია, რა დროს სწავლაა, რა დროს
შემაობაა, რა დროს ხელოვნებაა?!...

იქნებ ისევ მწერალმა სცენდოს ბლადგინოს ხიტების მხატვრული ღირუ-
ბულება, მისი იდუმალი ძალა, იქნებ, იმას მაინც მიაღწიოს, რომ დამმა-
სხებს, რომელთაც საქმისთვის ზურგი შეუქცევიათ, მმობლიურ ქართულ
ენაზე ამრის გამოხატვა ასწავლის და იმავე ენაზე გამოთქმული ამრის
სხევისგან მოსმენა, მაგალითიად, ასეთის: – რა დროს მძულვარებაა?

მაგრამ ჩვენ იქამდე მივეღით, რომ, შეიძლება, ამაბეც მიპასუხონ:

- რა დროს ქართული ენა და ამრის გამოხატვაათ!?

რა ეშველება ამას? მე ნახევარი საქართველოსაგან განსხვავებით
პოლიტიკით არა ვარ და ისევ ქართულ ღირერატურაში ვეძებ შვე-

ას. ნიკო ლორთქისტანიძე ამბობდა, რომ „უამრავი უცველესი ერთ გადაშენდა: რომაელები, რომლებიც შესანიშნავი მეომრებია ფრენელი უფრ-
კი ელები – ჩინებული ვაჭრები, ძველი ბერძნები – მშვენიერების ჯულ-
ტის მსახურები, ჩვენ იმიტომ მოვადით აქამდე, რომ მეომრებიც ვიყავით,
ვაჭრებიც და მშვენიერის კულტის მსახურნისი. იქნებ გავისხენოთ ეს
სიცყვები და არ მოვიკლათ საკუთარი თავი. მაგრამ ვახსენება იმისი
შეიძლება, რაც იცა ვიდას ახსოვს ნიკო ლორთქისტანიძე, როცა წიგნის
მაღაზიების თაროები წერა-კითხვის უცოდინარი მწერლების მიერ
თარგმნილი და დაწერილი დეტექტივებით აიგო, „ბეჭედელერებით“:
„სტალინის შვილი“, „ლავრენტი ბერია“, „სექსის საიდუმლოებანი“ და
სხვ მართალია, ჩვენს გამომცემლობებს თავის შენახვა სჭირდებათ, უკან
კი სწორებ ამ კატეგორიის ლიტერატურას მოთაქვს, მაგრამ კაპიტალიტ-
მბებ გადასვლის უმიმდებ ხანაში ხალხის სულს რამენინად თუ არ გა-
ვუფრთხილდით, შეიძლება ჩვენი ერის არსებობას საფრთხე შეექმნას
ეთნიკურ ჯგუფად, ტომად გადაქცევისა, რადგან ერთ სულიერი კულ-
ტურის გარეშე არ არსებობს. სულხავ თავისი რეჟი სჭირდება და იმასაც
ნე მოვსპობთ. ჯერ კიდევ როდის, წმინდა მამები უქვთიმე და გიორგი
მთაწმინდელები, რომლებიც ბიბლიას თარგმნიდნენ, ვრცელ კომენტარს
ურთავდნენ მას, რადგან „ჩვენი ხალხი ჩვილია და მას ჯერ რითად და
მხალით კვება სჭირდებათ“. ასეთ სიყვარულს მკითხველის მიმართ
დიდი სიკეთე, მოთმინება და ტალანტი უნდა. „ხალხს აწუხებს ესთუ-
რუო წყერებილი და ის ხშირად სვამს მღვრიე წყალსაც“, ამბობდა ერთი
პოეტი, ხოლო პაოლო იაშვალის სანუკვარი თენება იყო გზაბნელი
ხალხის პოეზიის ცისფერი ტაძრისკენ წაყვანა. რითაც დამთავრდა ეს
ოცნება, ყველამ კარგად ვიცით. ტაციან ტაბიძის წითელი მიხაკი და
ბორჯემური ცხოვრების ნირი მშარებ გააღიანებდათ დღვენდელ
პოეტების მოძულეებს, მაგრამ რომელი „პატრიოტი“ „დაიმცირებდა“
თავს და სამშობლოს ასეთი სიცყვებით მიმართავდა:

ନେମତ ଦ୍ୱାରାରୂପାବେ ଏହା କଣ୍ଠିଲାଟ ଦେଉଥିବା,
ନେମତ ତଥାରୀବେ, ଗୁରୁଳିଲା ଲାକ୍ଷ୍ମିରୀ,
ମାଲାଲା ମାଲାଲୁରୀ ଜ୍ଯେଷ୍ଠାଙ୍କ ଶବ୍ଦରୀଙ୍କ,
ରୋତ ମୂଳିତ ମନେଶ୍ଵରା ମୁଖୀତ ଗନ୍ଧବରି...

მის მოწამებრივ სიკვდილზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

„...არის მკითხველი შევენიერ წიგნის და არის მისი გადამკითხველი“ – ამბობდა გაბლაკვითინი. წიგნის მოძულება, ის, რატომდაც, არ ასენებს. იქნება, ასეთი წონასწორობის აღდგენაში მაინც დაგვეხმარონ გამომცემლობები, რომელებსაც დღეს, ბუნებრივიათ, ფული სჭირდებათ, ის ფული, მდარე ხარისხის წასაკითხს და გასართობ ლიტერატურას რომ



მოაქეს. ასეთი რამ მარტო ჩვენთან არ ხდება. ასეა ყველა ქავეყანაშიც იმავე ბეჭდების მხატვრული ღირებულება, არცთუ იშვიათად, ხაეჭვოთ. მაგრამ განათლებულ მსოფლიოში არის გამომცემლობები, რომელთა სახელი უკვე გარანტია იმისა, რომ იქ დასტამბული წიგნი მნიშვნელოვანი მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურაში. იმ წიგნების მკაფევლითა რიცხვი ნაკლებია, ვიდრე, თუნდაც, კომიქსებისა, მაგრამ იყო სტაბილურია. ამ სტაბილურობის კიდევ უფრო ამყარებს ლიტერატურული პრემიები, რომელიც, რა თქმა უნდა, არც ბიძამშილ-მამიდაშვილობის, არც უფროს-უმცროსობის პრინციპით არ გაიცემა, მაგალითად, საფრანგეთში, ამას წინათ, ერთ-ერთი ყველაზე პრექტიფული, გონკურების პრემია საგამოცემო ჯიბურის გამყიდველმა მიიღო თავისი რომანისათვის. ასეთი პრეცენდენცია ჩვენში არ ხდება, მაგრამ, იქნებ, დროთა განმავლობაში ამასაც ეშველოს და გამომცემლობებსაც, ერთი ან ორი პატარა გამომცემლობა შეიქმნას ფულის მომგანის აუცილებელი საქმიანობის ბაზაზე, რომლის ღირსება წმინდა ლიტერატურული იქნება და არა პოპულისტური.

ამ ლიტერატურას უართო მკაფეველი არ ჰყავს, მაგრამ ყოველთვის ჰყავდა მკითხველების გარკვეული წრე, რადგან ჩემს თვალწინ ერთ კვირაში იყიდებოდა ჩემი მეგობრების პოეტური კრებულები. ის ხალხი არსად არ წასულა, არც დახოცილა, უბრალოდ, ფსკერზე დარჩა, როცა ლექსი ბედაპირზე ამოიგანა ამდერეულმა მდინარემ. ისინი არიან ჩვენი ტვინი და სინდისი, ისინი დაგვეხმარებიან, რაც შეიძლება მეტ აღამიანს გადაგებინოთ და ვაგრძნობინოთ ფანჯრიდან გადმომხერი ჩვენი დიდი უბედური პოეტის ასეთი ლექსი:

სული გვქონდეს უსპერაკეს თოვლისა!
შეგობრებო, ხიკვდილამდის შექნება,
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:
პოეტია – უპირველეს ყოვლისა!

ჩემო განდევნილო მწიგნიბრუებო,
 მარმარილოს ზურგებით მიქცეულებო
 გარე სამყაროს კენ, პირით – წიგნების კენ,
 მათი ყუებიდან ამომრდილი
 ოქროს ბალახი
 წამლობს თქვენს აქილევსის ქუსლებს,
 ლაფვარდი გეხურებათ თაფტე
 სად თუ ჭერად
 და ბეღროსულები ხდებით,
 მხოლოდ რჩეულებს უშვებთ
 თქვენს სანთიობოში,
 მხოლოდ ოქროს კვეთით გამომილ
 ადამიანებს,
 ოდესაც საძულველ ალგებრასაც
 კი უმცვობრლებოდით
 მისი კლასიკური ბუნების გამო.
 და რაც მთავარია,
 ბრმა პოეტის თვალები
 შავ მზებს კი გვანან,
 მაგრამ ისე თავგანწირულად გინათებუნ,
 რომ ეპოსივით იწელება თქვენი ცხოვრება
 და, უცებ, ცხელი აქომინებული ქუჩიდან
 ხმა შემოვარდება
 თქვენს ნატიფ ჩრდილში:
 – ნიკორწმინდა დანგრეულა, გაიგეთ?
 მოიცილეთ მარმარილოს სიმიმე,
 ამოიგდეთ თავიდან თქროს კვეთი,
 დაინგრა თქვენი ალგებრა,
 მწყობრი, ტანკენარი,
 სახლი დაინგრა,
 ვაშის თმებით შეკრული
 და მტრედის ფრთით განათებული,
 იქნებ, თქვენ მაინც იცით
 რა ვუყოთ მას,
 სადღარ კიდევ ერთი გალაკტიონი,
 რომ მის კედლებში ჩავატანოთ?...

«რაც გი პარსეპობ, ეს ვთამაშობ მარტოდ,
უშლად...»



○

ბესიკ
ხარანაული

—
60

○

ბესიკ ხარანაულის პოეზია გამორჩეულ გულისყურს მოითხოვს და
არა ზერელედ თვალის გადავლებას, ის გაიძულებს „თვალებში ჩააჩ-
ერდე“ მზერაჩაბრუნებულ პოეტს, ჩაუდრმავდე, ჩასწვდე მის ნათქვამს,
ზოგჯერ კი ისე გაითავისო მისი საზრისი, რომ ქვეცნობიერად უგულე-
ბელყო „სამოსი“ – ფორმა.

მისი ფორმა კი თავისუფალია, ისეთივე თავისუფალი, როგორც ბესიკ
ხარანაულის პოეზიის მინა არსა.

პოეზი თანამედროვე ქართული თავისუფალი ლექსის – ვერლიბ-
რის – ერთი დამამკვიდრებელთაგანია. თანამედროვე-მეთქი იმად
მოგახსენებთ, რომ ამ საზომის ფესვები ქართულ ფოლკლორსა და შეა
საუკუნეების პიმნოგრაფიაშია საძიებელი. მას XX საუკუნის 10-20-იანი



წლების ქართულმა აეანგარდისტულმა პოეზიამაც მოუსინჯა კართლი.
მანი არ წყდება კამათი – რა სჯობს, ვერლიბრი თუ უშუალესობაში
ლექსი?! ამგვარი კამათი თვითმიზურია და, ცოტა არ იყოს, რეგროვნ-
ადულიც. პოეტი თავისუფალია, გინდ გრადიციულ ლექსს დაწერს, გინდ
თეთრს; თუ მისი თვითვამოხატვისათვის ვერლიბრია შესაფერისი –
მას მიმართავს. საოცარია, რომ ბესიკ ხარანაული ხშირად გაუკრი-
ტიკებიათ სწორედ „ვერლიბრისტობის“ გამო.

თავად პოეტს კი მიაჩნია, რომ „თავისუფალ ლექსში მეღავნდება ჩვენი¹⁰
ენის აქამდე დაუარული ძალები და შესაძლებლობანი. ...ჩვენ, ერთი
მხრივ, გაუმართლებელ უფლებას განიჭებთ ჩვენს თავს და, მეორე მხრივ,
მტრულად ვეკიდებით მშობლიურ ენას, როდესაც ვამტკიცებთ, თითქოს
თავისუფალი ლექსი, მიუღებელი იყოს ქართული ენის ბუნებისათვის.
ლირს იმის გახსენებაც, რომ თავის დრობე, როცა საფრანგეთში ურით-
მო ლექსშა იწყო გავრცელება, ერთვნული ლიტერატურის დამცველები
აღშოთოთებულად ამტკიცებდნენ: – ურითმოდ მსოფლიოს ყველა ენაზე
შეიძლება წერა, გარდა ურანგულისაო. ...ქართველებს მუდამ ჰყოფნი-
დათ შემოქმედებით სითამამე, სწრაფვა სიახლისა და ნოვაგორობისად-
მი“.

ბესიკ ხარანაულის შემოქმედებით სითამამე მხოლოდ „ვერლიბრის-
ტობაში“ როდი მეღავნდება (პოეტს, ცხადია, აქეს რითმიანი თუ თეთრი
ლექსებიც), ნოვაგორულია მისი მხატვრული წარმოსახვაც. საკუთარი
თავით დაუკმაყოფილებლობა, სიწრფელე, უკომპრომისობა, – ამასთან,
– იაფფასიანი პათეტიკის, „მომგებიანი“ თემების უგულებელყოფა –
ქმნის მისი პოეზიის დერიტას.

ბესიკ ხარანაული თითქოს „შავ-თეთრი“ პოეტია, როგორც გურამ
ასათიანი იტყოდა, – „უფერუმარილო“: მკაფიო, სადა, განმრას გამარ-
ტივებული პოეტური მეტყველებით; ამაღლებულზე „დამიწებულად“
მოუბარი, ირონიით შენიდბული ტკივილითა თუ თანალმობით. მისი ღრმა
აბრობრივი დატვირთვის მქონე სახე-სიმბოლოები, განსჯა-მედიტაციე-
ბი მკითხველისაგან ბოგჯერ დიდ ემოციურ და ინტელექტუალურ დაბა-
ვას მოითხოვს.

პოეტი თუმცა გაურბის „გალექსილ ყოველდღიურობას“, მისი
ლექსები და პოემები უაღრესად სადღეისოც არის და ზოგადიც.

ალბათ სწორედ ახლა უნდა შექმნილიყო მისი ერთი-ერთი საუკეთესო
ლირიკული პოემა „აგონიური“ (ამავე სახელწოდებისაა პოეგის ქრო-
ნოლოგიურად ბოლო პოეტური კრებულიც), ახლა, – ჩვენს პრეულ და
გადარეულ ღროში, XX საუკუნის მიწერულს: XX საუკუნის აგონია;
არნაბული ტექნიკური მისისა�� უმწეოდ და დედიშობილად მდგარი
ადამიანის აგონია; ტანჯული სამშობლოს ტკივილით, პირადი შეჭირვე-



ბით განაწარები, ნახევარსაუკუნოვან ბლვარს გადაცემილი, დაღმით ჩამავალი კატეს აღონია: სიცოცხლის, ჰუმანიზმის, პოეზიის გაუფასურებაზე და აღონია და... მათი მარადიული არსებობა და უკიდუსისებური განახლებას.

ბესი ხარანაულის ლირიკული გმირის თეთქოსდა უსამანო ეფო ცენტრიმი, ადამიანების მისამართით გამჭედავნებული ამბივალენტური – მეტროპოლიურ დაპირისპირება, მარტოსულობის, „მარტოხარანაულობის“ ტრაგიზმი, ყოვლისმომცველი გაუცხოების განცდა – ერთის მხრივ, გვიძიძგებს შეტი სიწრუელისაკენ, საკუთარი ცოდვა-ძრალის გაცნობიერებისაკენ, საკუთარი სინდის-ნამუსის აწონ-დაწონებისაკენ, საკუთარ სულში ჩაღრმავებისაკენ; მეორეს მხრივ, ეს – ტყეილის, სიყალბის, დამტკბარ-დათაფლული კონფორმიტების, როგორც გაღაკტიონი იტყოდა – რეტინის წინააღმდეგ ბრძოლა.

ყოფიერების დარღმა და ლაფი უმაღ უჩინარდება სულის, ღმერთის, ბუნების, სოფლის სიწმინდის წარმოსახების ფონზე.

თანდათანობით, წვალებით, აღმაფრენით და ქვედანარცხებით, ტკივილითა თუ სიცილით, იბადება ჰარმონია, ნიშანდობლივი მხოლოდ ამ პოეტისათვის – „მარტოხარანაულისათვის“. ჰარმონია, რომელსაც ერთი ნაბიჯიღა აშორებს დასპარმონისაგან.

ბესი ხარანაულის ეწ. „პატრიოტული მოტივი“ სრულიად არატრადიციულია. სამშობლოს სახელს მის პოეზიაში ლამის ფაბე აქვს დადგბული: ის ხოგბის საგანი კი არა, პოეტის ბედისწერა და სულიერი შეჭირვების წყაროა.

ჩინებული პროგანიკოსი და უბადო მოქალაქე თამაზ ბიბილური, ბესი ხარანაულის პოეზიის დიდი დამფასებელი, ერთგან წერდა: „ჩვენ თუ ვიწამეთ ერთი პოეტი, მოვითხოვთ, რომ სხვებმაც მხოლოდ მასავთ წერონ“.

ბესი ხარანაული „სხვაგვარია“, უკვე ოცდაათ წელზე მეტია, „სხვაგვარად“ წერს.

პირველი პოეტური კრებული 1968 წელს გამოსცა. ღღესდღეობით ბევრი მნიშვნელოვანი პოეტური კრებულის ავტორია. 1992 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

სამწეხაროდ, 1991 წლის მერე მისი პოეტური კრებული აღარ გამოსულა; მკითხველი კი მუდამ მასთან შეხვედრის მოლოდინშია: მისი ღვეულებისა და ქვეების გამოჩენა „ლიტერატურული საქართველოს“ უკრულებებზე არავის რჩება უყურადღებოდ.

ბოგჯერ პოეტი უფრო „ხმაურობს“, ვიღრე მისი ქმნილება. „უხმაურო“ ბესი ხარანაულის ღვეულები კი თვითონ ახმაურდნენ და გახმაურდნენ კიდევაც – ღირსებისამებრ.

მწერლობა – დეზაენის საღარო

თვალიათუელია, რომ ჩვენ ქვეყნაში იქმნება ახალი საარსებო სივრცე, ახალი ჰაერი ჩაისუნისთქვება ჩვენი ფილტვების მიურ, ეს ჰაერი მომაკვდინულია წარსულის დამატებით განვითარებისათვის და თუმცა იგი მომავალს კვებავს, მისი ღირსეულია ბა მაინც ბეწვზე ჰკიდია, რადგან ძალა შესწევს წარსულის მიღმა და ტოვოს საკუთარი ერი, ენა, ხალხი, რაც დაუშვებელია, რადგან, რასაც არა აქეს წარსული, მას არც მომავალი აქეს. ხე ფეხებით არის, ქვეყნა და ხალხი – წარსულით. წარსული კი წლების ასაკი როდია, წარსული არის ხსოვნა მეობისა, რადგან ნამდვილი აღამიანი მამაკაცებია საკუთარი მეობისა – თავის თავში, თავის წარაულში, აწმყოში, მომავალში, ღმერთში, ღაბადებასა და სიკედილში. აღამიანი ყველგან ექის თავის მეობას – შესაძლოა ქვის ქვეშე კი და ეს გარჯე მისივის სიმარტოვით დამთავრდებოდა, სამშობლო რომ არ ჰქონდეს... და აი, ახლა იგი უკვე სამშობლოსთან ერთად ექის თავის მეობას – წარსულში და მომავალშიც, ღმერთშიც და სამყაროშიც. და ეს ძიება ბევრად უფრო მტკიცნეულია, ვიღრე საკუთარი სიმარტოვე, საკუთარი სისტემე თუ განწყობობა. აღამიანს უნდა სამშობლო, აღამიანს სჭირდება სამშობლო, ექის მის წარსულს, იძრძვის მისი მომავლისათვის.

დღევანდელი საქართველო გონიერი გამონათების საუკეთესო მომენტები XIX საუკუნის მემკვიდრეა; იმავე სულისკვეთებით ცხოვრობს და იგივე სიტყვები აქეს ღობურნგად – „რა ენა წახდეს, ერთი დაცეცს!“ ჩვენ უკვე გამოცემადეთ საფრთხე, რომ ენა შეიძლება წაგარივან, დღეს კი ახალი საფრთხის წინაშე ვდგავართ – ენა შეიძლება დაკარგო! დაკარგო მე თუთონ, შენი სიბარმაციისა და ბედოვლათობის გამო.

იმდენია ნათევამი ერის ცხოვრებაში ენის უპირველეს მნიშვნელობაზე, რომ შესაძლოა ბეკრს ეს საკოთხი ამოწურულიც ეგონოს. ყველაზე მეტი სიმარტლე საგნებზე და მოვლენებზე მაშინ წარმოითქმება ხოლმე, როცა საქმე გამძლდება და უკიდურესობაში დაიმაბება.

ახალი ღრი, ახალი საუკუნე უკონომიკურ კეთილდღეობაზე დაბჯიშითებული ქართველი ერისათვის შესაძლოა საბერისტური აღმოჩნდეს, შესაძლოა მოვიმოვთ კეთილდღეობა და დაკარგოთ ენა და ეროვნული სამშობლოს გამომდებარება.



 8. მ. საღგიოვან-შედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერ-თა განყოფილება, ითანხ ბაგრონიშვილის კოლექცია, № 272; P. Орбели. Грузинские рукописи Института востоковедения. Вып. I. М.-Л., 1956, გვ.138-139; დავით და ითანხ ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნამრთმები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. ქეთათვ-ლაძემ, თბ., 1967, გვ.68, 88-89.
 9. რუსეთის მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელ-ნაწერთა განყოფილება, P. 8.



10. Н 2328 а.б.
11. გ. კოლექციის მუზეუმის ხელნაწერი ლექსიკოსშემადგროვის XVIII-XIX საუკუნეებისა, გვ.34.
12. ლ. კავკაციის მასალები ითანებაგრაფიონის სახელით ცნობილი რესულ-ქართული ლექსიკონის მესახებ, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1984, № 4.
13. ს 1151 (მთარგმნელის ავტოგრაფი). სხვა ნუსხები: Н 2177; Н 195; გ. სალტიკოვ-შედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება, ითანებაგრაფიოლის კოლექცია, № 250 და სხვ.
14. Логика Аббата Кондильяка... Переведено с французского [Ал. Гронским], СПб., 1792.
15. Н 688, ფ. 15 г.
16. გ. სალტიკოვ-შედრინის სახ.საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება, ითანებაგრაფიოლის კოლექცია, № 75 და 252 (ნაწილობრივ); ა. ფრანგიშვილი, ნარკევები ძაღლინის ფიქტლოგიური ცოდნის სტორილიან საქართველოში, გვ.363; ბ. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში, „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 4-5.
17. Логика, или умственная наука... соч. Аббата Кондильяка, перевел с французского Тимофей Осиповский, М., 1805.
18. ბ. გორგაძე, დასახ.შრომა, გვ.9; ა. ფრანგიშვილი, დასახ.წიგნი, გვ.363-364.
19. Наставления нравственной философии. Перевел с английского подлинника Василий Созонович. СПб., 1804.
20. Начальные основания нравственной философии. Зерна библиографии. Редакция, примечания, дополнения и указатель В. Н. Рогожина, ч. III. СПб., 1905, № 6697).
21. Н 214, Н 2202.
22. С 3729, 76 г.
23. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности. Т. I, вып. 3, СПб., 1894, გვ. 221
24. ლ. ჭათათვაძე ა. ითანებაგრაფიონის ავტოგრაფული ნუსხების მიმოხილვა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I (1959), გვ.227; დავით და ითანებაგრაფიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, გვ.82-83.
25. გ. სალტიკოვ-შედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება, ითანებაგრაფიოლის კოლექცია, № 343.
26. Размышления аглинского пресвитера Додда в темнице. [Переведено и] издано Петром Богдановичем, СПб., 1784.
27. Н 2180, ფ. 21-121 და 211-258.
28. იჯვე, ფ. 122-202.
29. იჯვე, ფ. 259-310.
30. იჯვე, ფ. 203-310.
31. იჯვე, ფ. 337-345.



32. H 2180, ფ. 311-336.
33. H 2161, 2 რ - 11 ვ.
34. ქანანელი, უსტორო კარაბაღინი. გექსტი დაამუშავა და წილით გაფუნდა და დაურთო ექ. ლ. კოტეტიმვილმა, თბ., 1940, გვ. I-II.
35. S 3986; მეორე ნუსხა - Q 1454.
36. ლ. კიკენაძე, ახალი მასალები იოანე ბაგრატიონის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1984, № 4; ალ. ფოტ ხიმული, იოანე ბაგრატიონი თუ ვასილ ჭილაძე?, „წიგნის სამყარო“, 1988, 14 სექტემბერი.
37. პ. იოსეგლიანი, ცხოვრება გიორგი მეცნიერისა, გვ. 1936, გვ. 195, მენ.
38. გ. მიქაელი, ი. ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო ნამრთმი, „მაცნე“, 1968, № 5, გვ. 51-54.
39. ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაუწესეს თემუკიძემებისას, ნ. კიკნაძემ, თბ., 1986.
40. გ. ჯანგიძე, თურქული ლექსიკა იოანე ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონი, „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), 1986, № 4.
41. ი. ბაგრატიონი, დასახ. წიგნი, გვ. 3.
42. ლ. კიკენაძე, ახალი მასალები იოანე ბაგრატიონის სახელით ცნობილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ, „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), 1984, № 4.
43. ალ. ფოტ ხიმული, იოანე ბაგრატიონი თუ ვასილ ჭილაძე?, „წიგნის სამყარო“, 1988, 14 სექტემბერი.
44. ლ. ქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონის ავტოგრაფული ნუსხების მომხილვა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I (1959), გვ. 231.
45. S 3715, 58 რ-69 ვ.
46. H 2132 (იოანეს ავტოგრაფია).
47. გ. მიქაელი, ალ. ჭავჭავაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან, „ლიტერატურული გამჩეობა“, 1964, 31 იანვარი, № 5.
48. მ. ბროსეს არქივი, № 264.

ერთი სიცარი ხელნაწერის გვაღდაპვალ

წმინდა ეკატერინეს მონასტერი სინის მთაზე უძველესი დროიდან ქართული მწიგნობრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა იყო. ქართული ხელნაწერები, რომლებიც დღეს ინახება მონასტრის ბიბლიოთეკაში, სხვა (ბერძნულ, სირიულ, არაბულ) ხელნაწერებთან ერთად, მხოლოდ მცირე ნაწილია სინაზე გადაწერილი ან სინის მონასტრისათვის შეწირული სხვაგან შექმნილი სამწერლობო ძეგლებისა; ამას ადასტურებს სინურ ხელნაწერთა ანდერძებში ნახხენები წიგნები, რომლებიც აწ უკვალოდ არის გამქრალი. მაგრამ ისიც, რაც კამთა სიავეს თუ მტაცებლის ხელს გადაურჩა, განუზომელია თავისი მნიშვნელობით ქართული ენისა და მწიგნობრული კულტურის ისტორიისათვის. სინურ ხელნაწერთა მნიშვნელობას კარგად განსაზღვრავს ბელგიიდან ქართულ-ლოლოგი, სინურ ხელნაწერთა ძალწერილობის ძეგლი, კერარ გარიტი (1914-1990): „ხელნაწერთა სიძველე ამ კოლექციას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას... სინურმა ხელნაწერებმა... შემოგვინახა ბეკლი ტრადიციებით, რომლებიც, შესაძლოა, ქართული ლიტერატურის საწყისი ეპოქიდან მომდინარეობენ. სინის ქართული ფონდი განსხვავდება ივირონის (ათონის მთის) და იერუსაბლიმის ფონდებისაგან; იგი მარითადად „წინარეათონურია“ (ჟ. გ არიტ ი, სინის ქართული ხელნაწერები (ფრანგულ ენაზე), წიგნში: *G. Garitte, Scripta Disiecta, 1941-1977, I, 1980, p.251*).

სინური ქართული ხელნაწერების შესწავლა მხოლოდ XIX საუკუნეში დაიწყო. მათ ახსნებს რესი მკვლევარი პორფირი უსპენსკი, რომელიც სინაზე იყო და რომელმაც წამოიღო კიდევაც იქიდან ხელნაწერთა ნიმუშები, მათ შორის პაპირუსშიც დაწერილი ფსალმუნის ფურსლები (ამგამად პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია). პირველი მეცნიერებლი აღწერილობა სინური ხელნაწერებისა კი ეკუთვნის პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, ალექსანდრე ცაგარელს. იგი 1883 წელს იყო სინის მთაზე; ამის შემდეგ გამოქვეყნდა მისი აღწერილობაც. მასში დასახულებულია 93 ხელნაწერი. მიუხედვად მისია, რომ აღწერილობა ძალგა მოკლეა (სულ 50 გვერდამდე) და მასში შეცდომები და

უბუსტობანი მრავლად არის, ა. ცაგარლის ნაშრომს თავის ღრმიშე დის მნიშვნელობა ჰქონდა და დიდი ხნის განმავლობაში ერთად მდგრადი წესარი იყო ხელნაწერთა შესახევადად. ამ კატალოგს დღე საც არ დაუკარგავს თავისი ისტორიული მნიშვნელობა (A. ცაგარელი, Каталог грузинских рукописей Синайского монастыря, წიგნში: Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, СПб., 1889, Приложение II).

1902 წელს ხინამე ჩახულ ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს ა. ცაგარლის მიერ აღწერილ ხელნაწერთაგან ყველა აღგილზე აღარ დახვედრიათ. მათი აღწერილობები თითქმის ორმოცა წლის დაგვიანებით გამოქვეყნდა (1940 და 1947 წლებში), მაგრამ ხელნაწერთა დაკარგვა უფრო აღრეც გახდა ცნობილი; პირველად გაირკვა აღგილსამყოფელი ხინის მთიდან წამოღებული რამდენიმე ხელნაწერისა, რომლებიც ცნობილმა აქსტრიელმა ენათმეცნიერმა ჟუგო შუხართმა იყიდა. 1927 წელს მან წერილით აკნობა აკაკი შანიძეს, რომ XIX საუკუნის ბოლო წლებში შეიძინა ხუთი ხინური ხელნაწერი და ორი ფრაგმენტი. ეს ხელნაწერები პ. შუხართმა გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას უანდერდა (ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცი, ცეილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, 1929). ერთ-ერთი მათგანი იყო უძველესი ხანმეტი ტექსტი, „ხანმეტი ლექციონარი“, რომელიც გრაციიდან მიღებული ფოტოპაირუ ბის მიხედვით გამოაქვეყნა ა. შანიძემ; დაიბეჭდა ორჯერ – ზემოხსენებულ ნაშრომში და 1944 წელს მონოგრაფიის სახით: ტექსტი, ფოტოგრაფიული რეპროდუქციები, ხამტონია (სრული სიტყვასაძიებელი) და გამოკვლეული. პ. შუხართის კოლექციის მეორე ხელნაწერი გამოყენებული იყო ქართული ფსალმუნის კრიტიკული გამოცემისათვის (ნ. ქვემთ).

ხინის მთიდან წამოღებული ზოგიერთი სხვა ხელნაწერის ბედი კიდევ შემდგომ გაირკვა, ზოგი კი დღემდე დაკარგულად ითვლება.

1950 წელს წმ. ეკატერინეს მონასტერში მუშაობდა ექსპედიცია, რომელ მაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისათვის გადაიღო მონასტრის ხელნაწერთა მიკროფილმები. ექსპედიციაში მონაწილეობდა უერარ გარიგი, რომელმაც შემდგომ გამოაქვეყნა ხინის მთის ქართულ ხელნაწერთა ერთი ნაწილის აღწერილობა (Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai, par G. Garitte, Louvain, 1956). კატალოგში შეტანილია ოცდაათამდე არადიგრაფიული ხასიათის ხელნაწერთა აღწერილობა, რომელიც ბევრად უფრო დაწვრილებითია და მეტი ინუორმაციის შემცველი, ვიდრე ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ შესრულებული. ჭ. გარიგის კატალოგის გამოქვეყნების შემდეგ შესაძლებელი გახდა ხინური ხელნაწერების უფრო ახლო გაცნობა: 1956



წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო სინურ ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები (ამავდროულად იყო მიღებული იერუსალიმის სალიმის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმებიც). პირველი, რაც დაიძულდა სინურ ხელნაწერთაგან, იყო ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლი, პირველი თარიღიანი ქართული ხელნაწერი – სინური მრავალთავი 864 წლისა (ა. მანიძის რედაქციით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, 1959).

კ. გარიგის კატალოგში ა. ცაგარლის მიერ 92-ე და 93-ე ნომრებით აღწერილი ხელნაწერები მისი შედგენის ღროვასთვის დაკარგულად ითვლებოდა. შემდგომში ცნობები № 93 ხელნაწერის შესახებ ისევ კ. გარიგმა მიაწოდა მეთხველს. 1967 წელს ქართველოლოგიურ უზრუნალში „ბედი ქართლისა“ (№ 52-53, პარიზი) მან გამოაქვეყნა სტატია „ერთი ქართული ხელნაწერის ბედი და უბელობა“ (Aventures et mésaventures d'un manuscrit géorgien). სტატიაში აღნიშნულია, რომ სინის მთიდან წამოღებულმა ეტრატის ხელნაწერმა ბევრ სხვადასხვა ხელში გაიარა. იგი უნახავს ცნობილ ორიენტაციისტს, ანტონ ბაუმშტარქს, რომელსაც ერთი გვერდის ფრენტი მისი შინაარსის გასარკვევად ექვთიმე თაყაიმშვილისათვის გაუგზავნია. ხელნაწერი პალიმფსესტი იყო: თავდაპირველი ნაწერის გადარეცხის შემდეგ ეტრატი ხელმჟორედ იყო საწერ მასალად ად გამოყენებული. ა. ბაუმშტარქს უმთავრესად აინტერესებდა პირველადი, ისე იგი ქვედა ნაწერი, – ბერძნული და სირიული, რომელიც, მთუხედავად გადარეცხისა, მაინც ჩანდა ფურცელებზე. ზედა, ქართული ნაწერის რაობის გარკვევა მან ქართველ მეცნიერს მიანდო. მაგრამ, როგორც კ. გარიგმა აღნიშნა, ეთაყაიმშვილმა მხოლოდ ერთი, თოთხმეტსტრიქონიანი პატარა გვერდის მიხედვით ვერ შეძლო ქართული ტექსტის შინაარსის ზუსტად დადგენა. ხელნაწერი მას საგალობელთა კრუბულად მიუწევია. ამ სახელწოდებით იგი 1922 წელს შეუძნია ლაიუსიზში, ცნობილი ანგიკვარის კარლ ჰინკემანის მადაბიაში ამერიკულ კოლექციონერს, რობერტ გარეტს, თხუთმეტი ათას შევიცარიულ ფრანკად (რაც მაშინ ძალგე დიდი თანხა იყო). 1942 წელს რობერტ გარეტმა (რომელიც ბალტიმორის მკვიდრი იყო) თავისი კოლექცია პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთიკას შეაძლია. კერარ გარიგმა პრინსტონიდან მიღებული მიკროფილმის მიხედვით მოახდინა ხელნაწერის ზუსტი იდენტიფიკაცია; მან გაარკვია, რომ ხელნაწერი არის არა „საგალობელთა კრებული“, არამედ სინური ხელნაწერი № 93, რომლის შინაარსი ა. ცაგარელს ასე აქვს დახასიათებული: Сказание о сопшествии Иисуса Христа и распространении христианства. კ. გარიგმა დაბრუსტა ხელნაწერის შინაარსიც და მისი გადამწერის ვინაობაც: ხელნაწერი (ამ შამად პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთიკის რ. გარეტის კოლექციის

ის № 24) შეიცავს აღექსანდრე კვიპრელის თხზულებას, რომელსაც ეწოდება „ჯვრის გამოხინების საკითხავი“ გადამწერი, რომელსაც ა. ცაგარელი ოთანე სინელს უწოდებს, არის ცნობილი მოღვაწე იორბე-ბოსიმე: მისი თავისებური ხელი კარგად არის დღეს ცნობილი. ა. ცაგარელის ცნობით, თავისონაკლელ ხელნაწერში 109 ფურცელი იყო; 1922 წელს, როდესაც ხელნაწერი კ. ჰირსემანის მაღაზიაში მოხვდა, ხელნაწერი მხოლოდ 99 ფურცელს შეიცავდა. კ. გარიგმა შეძლო ამ დაკლუბულ 10 ფურცელთაგან კიდევ მოგიერთის ადგილსამყოფლის გარევა ვაც. ერთი ფურცელი აღმოჩნდა ინგლისში, ბირმინგამში, ალფრედ მინგანას კოლექციაში. ამის თაობაზე კ. გარიგმა უფრო აღრე, 1960 წელს, გამოქვეყნებული ჰქონდა წერილი: „ქართული ფურცლები ხელი ოუკის (ბირმინგამის) კოლექციაში“ (Les feuillets géorgiens de la collection à Selly Oak (Birmingham). Le Muséon, v. 73, № 3-4). ამ წერილში აღწერილია 8 ფურცელი სხვადასხვა ქართული ხელნაწერისა, რომელთაგან შვიდისათვის გარევაულია მათი სინური წარმომავლობა და მითითებულია (გარდა № 8-ისა) სინური ხელნაწერი, საიდანაც არის ამოღებული ესათუ ის ფურცელი.*

№ 4-ის შესახებ კ. გარიგი წერდა, რომ მან ვერ შეძლო ფურცელის იღნტიუიკცია, ოღონდ ეს კი აღნიშნა: გექსტი ოთანე-ბოსიმეს ხელით არის ნაწერი და შესაძლოა უცნობი სინური ხელნაწერისა იყოსთ. ეს ვარაუდი გამართლდა და 1967 წელს მინგანას კოლექციის № 4 ფურცელსაც გამოუჩნდა თავისი აღვილი ა. ცაგარელის № 93 ხელნაწერის ფურცლებს შორის.

კ. გარიგმა № 93 ხელნაწერის კიდევ სამ ფურცელს მიაკვლია გერმანიაში, გეტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. 1963 წელს გამოსული სირთული და ქართული ხელნაწერების კატალოგთა მასალების მიხედვით (*J. Assafalg*, Syrische Handschriften, Wiesbaden, 1963; მიხედვე, Georgische Handschriften, Wiesbaden, 1963) კ. გარიგმა დაადგინა, რომ ბიბლიოთეკის კუთვნილი სირთულ-ქართული პალიმფსესტების ორი ფურცელის ზედა, ქართული ტექსტი სწორედ № 93 ხელნაწერისა იყო; მან

* აღსანიშნავია, რომ № 7 ამ კოლექციისა ხანმეტი ლექციონარიდან არის ამოღებული. ეს არის ოთანე-ბოსიმეს ანდერმი, რომელიც გვამცნობს, რომ 983 წელს მას ხელნაწერი მესამე „შევმოსახე“ (ანუ ყდაში ჩაუსვამს) სინაწმიდაშვ. ა. ცაგარელის აღწერილით ცნობილია ანდერმის აღვილსამყოფელი კ. გარიგის წერილის გმოქვეყნებამდე უცნობი იყო. 1944 წელს ხანმეტი ლექციონარის ტექსტში დართულ გამოკვლევაში ა. შანიძე წერდა: აღმოჩნდება ის თდესმე სადმე თუ ძრა, ძრ ვიცითო. კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც ხანმეტ ლექციონარს თავში აკლდა, აღმოჩნდა პარიშში (ბ. უზი ი. გ. ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიშში,, მაცნე“ (ენიბა და ლიტ. სერია), № 1, 1973).



ამ ფურცლებს მიუჩინა კიდევაც სათანადო აღვიღო ამერიკულ ხელნაწერში ფფ. 88-89 შეა არსებული ტექსტუალური დანაკლისის ნაწერის ლობრივ შესახებად. კიდევ ერთი ფურცელი, მისი გარაულით, შესაძლოა № 93 ხელნაწერის ბოლო ფურცელი ყოფილიყო. კ. გარიბეს ეს ფურცელები თვითონ არ უნახავს და მხოლოდ კატალოგში დამოწმებულ მცირე ნიმუშებს იცნობდა (ქართულ კატალოგს 2 გვერდის ფოტოც ახლავს).

ამერიკაში მოხვედრიით სინური ხელნაწერის ფოგოპირები საფუძვლად დაედო ტექსტის გამოცემას (აღექსანდრე კვიპრელის ქრონიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადათ. მგ აღ თბ დლ ი შე ი ღ მ ა, 1978). ბირმინგემისა და გერინგენის ფურცელები გამოყენებული არ არის, თავითონა კლული ტექსტი (დაახლოებით ერთი მესამედი) შევსებულია გვიანდელი (XIII-XIV სს.) ხელნაწერთა მიხედვით.

ამრიგად, ა. ცაგარლის კატალოგის № 93 ხელნაწერის ბედი 70-იანი წლებისათვის თითქმის მთლიანად გარკვეული იყო. რაც შეეხება მისივე კატალოგის № 92 ხელნაწერს, მისი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობად ითვლება. თ. მგაღლობლიმულს გაკვრით აქვს აღნიშნული, რომ იყი „№ 93-ის ბოლო უნდა ყოფილიყო... სამწუხაროდ, № 92 დღეოსათვის დაკარგულია“ (ხს. თხბ., გვ.7).

როგორც ცნობილია, სინის მთაბე, წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩნდა იმ ღრომდე უცნობი ხელნაწერები. ისინი მოთავსებული იყო კარებამოქოლილ ოთახში და მათ შემთხვევით მიაგნეს. აღმოჩენილ ტექსტებში იყო ბერძნული, სირიული, არაბული. როგორც შემდგომ გაირკვა, ქართულიც ბევრი ერთა. პირველი ცნობა ახლად აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა შესახებ აკაკი შანიძემ მიიღო გერმანული მკვლევრის იულიუს ასფალგისაგან 1981 წელს. ქართული ხელნაწერები, როგორც ხმისრად ხდება ხოლმე; პირველად სომხური ჰერონიმით. 1982 წელს სინაბე ქართული ხელნაწერები ნახა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, მაგრამ პირველი სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება მხოლოდ 1989 წელს მოხერხდა. 11 დღის განმავლობაში ზაბა აღექსიძემ და მიხეილ ქავთარიამ ამოკრიბებს და დაბლაგეს ხელნაწერები და ფრაგმენტები, შეადგინეს მათი პირველადი სახელდახველო ნუსხა. შეორე ექსპერიმენტი, 1994 წელს, უფრო მრავალიცნოვანი იყო. აღწერილობაშე მუშაობდნენ ზაბა აღექსიძე, მიხეილ ქავთარია, ლილი ხევსურიანი; ექსპერიმენტი იყვნენ რესტავრატორები დანა ჭეთათველაშე, ნანა თარგამაძე, დარეჯან გოგაშვილი, ფოტოგრაფი ირაკელი იაკობაძეილი და თარჯისმანი თამარ მესხი. ხელნაწერები გაიწინდა, ზოგი, ნესტისაგან ერთიან მასად გაქვავებული, ფურცელ-ფურცელ დაიშალა. აღწერილობაშე მომუშავენ პირველადი შევი მონაბაზის შემოწმებასა და დაზუსტებას შეუდგნენ. მესამე ექსპერიმენტი 1996

წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა თითქმის იმავე შემადგენლობის (დ. გოგაშვილისა და ფოტოგრაფის გამოკლებით). მასში ამ სერიულობის თა ავტორიც იღებდა მონაწილეობას. ბოლო ექსპედიცია პირობების თვალსაზრისით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა: სამუშაო დრო, რომელიც წინათ მეტად შეტყობინებული იყო, ამჯერად უფრო მეტი იყო, ამიტომ შესაძლო გახდა მასალების უფრო დაწვრილებით შესწავლა და ბევრი საკითხის დატუსტებაც (უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ დღემდე არა გვაქვს ახალი კოლექციის ფოტოპირები; მონასტრის საერთო წესის შესაბამისად, მათი მიღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ აღწერილობის გამოქვეყნების შემდეგ; აღწერილობა უნდა დაიბეჭდოს ქართულად, ინგლისურად და ბერძნულად – ერთ წიგნად).

იმთავითევე ცხადი გახდა, რომ ორივე კოლექცია – ძველიც და ახალიც – თავდაპირველად ერთი მთლიანი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, როცა მონასტრის ბიბლიოთეკა ახალ შენობაში გადაიტანეს (ეს უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნის დასაწყისში – 1734 წ.), ხელნაწერთა ერთი ნაწილი რაგომდაც ძველ აღვილზე დაუკორებიათ; ძველი საცავი თანადათანობით მიიღოწყეს და ბოლოს მისი შესასვლელი ამოქთლილი აღმოჩნდა. კოლექციის ერთიანობა ქართულ მასალაშიც კარგად ჩანს: აღმოჩნილი ხელნაწერები (მათი რიცხვი, გარდა ჯერჯერობით დაუმუშავებელი მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებისა, ასორმოცამდეა) ხშირ შემთხვევაში ძველი კოლექციის ხელნაწერთა ნაწილებს წარმოადგენს და მათ დანაკლისს ავსებენ. დავასახელებ ერთ მაგალითს: ორი ფურცელი, რომელიც სინურ მრავალთავს აკლია მისი დღევანდელი პაგინაციის 84-85 ფურცლებს შუა, სწორედ ახალ კოლექციაში აღმოჩნდა.

ახალ კოლექციაში ერთი ეგრაგზე ნაწერი (№ 20) ხელნაწერის პირველადი აღწერილობა ეკუთვნის მიხეილ ქავთარიას. ხელნაწერი შეიცავს 23 ფურცელს. ადგილზე შემოწმებისას გამოჩნდა, რომ ეს ფურცლები ხელნაწერის დასაწყისს წარმოადგენს: ქართული წესის მიხედვით დანომრილი რვეულები ხელნაწერის პირველი სამი რვეულია; რვეულის დასაწყისი ნაჩვენებია თავში ფურცლის ბედა აშიაზე, დასასრული – რვეულის ბოლო ფურცლის ქვედა აშიაზე. თითოეულ რვეულში 8 ფურცელია, ერთი ფურცელი აკლია მესამე რვეულში (ფფ. 15-16 შეა). ტექსტი ნაწერია ითანხ-ზოსიმეს ხელით. ხელნაწერში შეგანილი თხჩულების სათაურია: „თქმული პოვნისათვის ცხოველსმყოფელისა პატიოსა ჯეარისაა და ქებად შესხმისამ, აღწერა ღვესანდრომ მონაგონ-მან კუპრელმან, რომელი იყო ქალაქისა ამათოსეგინისამ, რომლისათვის



უკუდრნებს მრავალგზის წმიდანი მამანი“ ეს სათაური სიტყვასიტყვით არის უმთხვევა აღექსანდრე კეი პრელის თხბულებისას XI ს. ხელნაწერში, რომელიც ამჟამად ოქსფორდშია.*

ხელნაწერის გომები, რვეულთა სათვალევი და გადამწერის ხელი მოუთითებს, რომ ახლად აღმოჩენილი ფურცლები დასაწყისია ა. ცაგარლის № 93 ხელნაწერისა (პრისტონის ხელნაწერი ამჟამად იწყება მეოთხე (დ) რვეულის მესამე ფურცლით). გადამწყვეტი საბუთი კი შემდეგია: სინური ფრაგმენტი (№ 20) წყდება სიტყვებით: „არამედ ნებითა მამისამთა და სულისა წმიდისამთა, რომელნა განუმორებელ“... ამ სიტყვათა უშუალო გაგრძელებაა № 93 ხელნაწერის დასაწყისი სიტყვები, რომლებსაც იმოწმებს ა. ცაგარლი: „არიან და უცალებულ ჩუქნოუს და ჩუქნისა ცხორებისათვეს“. (შდრ. მგ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ღ ი რ, ქრონიკა, 40,12). ეს ფურცელი ამჟამად დაკარგულია, ხოლო მისი ტექსტის უშუალო გაგრძელება ტექსტი მინგანის № 4 ფურცელზე (ბირმინგამში).

ამრიგად, უკველი ხდება, რომ № 93 ხელნაწერის დასაწყისი ნაწილი არის ახალი სინური კოლექციის № 20, რომლის არსებობა ა. ცაგარელმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა.

ხელნაწერი № 93, როგორც შემოთაც აღვნიშნეთ, ბოლონაკლუელიც იყო. ა. ცაგარლის მიხედვით, იგი წყდებოდა შემდეგი სიტყვებით: „ხოლო ვითარ მოვიდა არქმნილი მსგავსი მამისა და დაუტევა ნებსით“ (შდრ. თ. მგ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ღ ი რ, ქრონიკა, 75,25). ამჟამად პრისტონის ხელნაწერი წყდება სიტყვებით: „ნათელ-იღო უფალმან ჩუქნმან იესუ ქრისტე და ვერ აღესრულა“ (შდრ. 74,6). თავისთავად ჩნდება კითხვა: სად არის ხელნაწერის ბოლო? იგი არც ახლად აღმოჩენილ ხელნაწერთა შორის ჩანდა. სად შეიძლება იგი ყოფილიყო?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ № 92 ხელნაწერის მონაცემები. თავნაკლუელი ხელნაწერის ტექსტს ა. ცაგარელმა უწოდა Сказание об обретении честного креста. გადამწერის ვინაობასა და გადაწერის თარიღს ცხადყოფს მის მიერ დამოწმებული ანდერმი: „ოდეს ესე წიგნი დაიწერა და განსრულდა და შეიმოსა ქელითა იოანე ფრიად ცოდვილისამთა სინაწმიდასა, დასაბამითგანხი წელი იყვნებ ხ ფ ფ (=5690) და ქრონიკი იყო ხ ფ (=206) და ბერძულად წელი იყვნებ ხ ფ თ ი უნდა იყოს: ხ ფ თ ი =5619 წ.) და ქრონიკი იყო ჯ დ (=94), ინდიკტითი იყო ი ღ (=14). ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ, გოორგი, მიქაელ, კორილე, მიქაელ, იოანქ, ბასილი და ყოველნი მმანი და ყოველნი

* თ. შგაღობლივმილის გამოცემაში – С. ამ ბევრი ხელნაწერის იკითხვისება ნაჩვენებია გარიანტებში. სათაურში დამვებულია შეცდომა: „რომლისათვეს“ წაკითხულია როგორც „ძალისათვეს“.

ქრისტიანენი. ა-ნ“. ყველა ბემოაღნიშნული თამრიღი თანამედროვე კონფინოლოგით 986 წელს გვაძლევეს; ასე დაათარიღდა ხელნაწერი გარემაც. № 93 და № 92 ხელნაწერთა ზომები, ა. ცაგარელის მიხედვით, ერთი და ოგოვებ ($3\frac{1}{2}$ ვერპა x $2\frac{1}{2}$ ვერპა, ანუ დაახლოებით 15 სმ x 11 სმ).

ანდერძის თარიღი, დადგენილი თრმაგი – ქართული და ბერძნული – სათვალავით, ანდერძში ნახსენები პირები და მთლიანად ანდერძის სტილი მიანიშნებს, რომ გადამწერი იოანე უთუთდ ცნობილი იოანე-ზოსიმე უნდა ყოფილიყო (შედრ. ანდერძები მცელი სინური კოლექციის № 15, 38 ხელნაწერისა; ამასთან უნდა შეინიშნოს, რომ ა. ცაგარლის მიერ ანდერძში ამოკითხული „კირილე“ უნდა იყოს „ძვრიკე“, რომლის სახელი ჩვეულებრივ დაქარაგმებულად იწერება: „კ-კ“).

რაც შეეხება № 93 ხელნაწერს (რომელსაც ანდერძი არა აქვს, რადგან იგი ბოლონაკლულია), იგი კ. გარიბეგმა უყოფმანოდ მიიჩნია იოანე-ზოსიმეს გადაწერილად. მართლაც, ფოტოპიროვებიც კი მისი სპეციული კური ხელი კრიბაშად თვალში ხვდება მკითხველს.

ყველაფერი ეს საფუძვლად დაედო ვარაუდს, რომ № 92 ხელნაწერი № 93 ხელნაწერის ბოლო უნდა ყოფილიყო. ამ უკანასკნელის დაშლის გამო № 92 „შემთხვევით ცალკე ხელნაწერად მოუჩნდები და აღეწერია ა. ცაგარელს“ (თ. მგ დ ლ თ ბ ლ ი მ გ ი ლ ი, ქრონიკა, გვ. 7). მართლაც, მის მიერ დამოწმებული სიტყვები – დასაწყისი ხელნაწერისა – სავსებით ემთხვევა აღექსანდრე კეი პრელის ისბულების ურთ მონაკვეთს (იხ. ქვემოთ).

№ 92 ხელნაწერის ძებისას ჩვენი ყურადღება კელავ მიიქცია გეტინგენის სირიულ-ქართულმა პალიმფსესტებმა. გემოთ უკვე ითქვა, რომ კ. გარიბეგმა სწორედ აქ მიაკვლია № 93 ხელნაწერის 3 ფურცელს. ი. ასფალგის ძლწერილობათ მიხედვით, გეთინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სირიული ხელნაწერები № № 17, 19, 21, 22, 23, 24, 25 მოღოთ ანად წარმოადგენებ პალიმფსესტებს, რომლებიც ბაბლოოთეკისათვის შეეწირავს პასტორ ჰ. ლუენსინგს; მას სირიული ტექსტის ნაწილი გამოუქვეყნდია კიდევ ჯერ კიდევ 1906 წელს. ზედა ნაწერის შესახებ ი. ასჭვავებით კიდევ ჯერ კიდევ 1906 წელს გვედა და 2 ყდა (არის კიდევ, როგორც გემოთ აღნიშნეთ, თრი გვერდის ფოტოც). ი. ასფალგი აქედან იმოწმებს ტექსტის მხოლოდ 8 ნიმუშს, მათგან მთელი გვერდი ხელნაწერისა მოცემულია მხოლოდ თრ შემთხვევაში; დანარჩენი 6 ნიმუში წარმოადგენს 3-7 სტრიქონს გვერდიდან. ი. ასფალგი აღნიშნავს, რომ ზედა ქართული



გექსტი ჯერის გამოჩინების საკითხავია და მის მიერ დამოწმებულ ნიმუშებს უდარებს თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ტეksტების 762 ხელნაწერს (ეს ის ხელნაწერია, რომელიც გამოიყენა თ. მგალობლიმვიღმა პრინცენის ხელნაწერის ნაკლები ადგილების შესავსებად).

ი. ასევალგის მიერ გამოქვეყნებული რეკა ნიმუშიდან რთხში დასტურდება ტექსტის ფრაგმენტები აღექსანდრე კვაპრელის თხზულების იმ ნაწილიდან, რომელიც ბოლოში აკლია №93 ხელნაწერს. ეს გარემოება შეუნიშნავს ქ. გარიგსაც, ოდონდ ბელგიელმა მკვლევარმა ვერ მოუძებნა მას სწორი ახსნა: ქ. გარიგმა ივარაუდა, რომ შესაძლებელი იყო ამ ტექსტის შემცველი ფურცლები სინიდან წამოედოთ მანამდე, სანაბა ა. ცაგარელი მონასტერში მივიღოდა 1883 წელს. მაგრამ, როგორც თვით ქ. გარიგი აღნიშნავს, მაშინ გაუგებარია, როგორ გაჩნდა ისინი გეტინგენში იმ ფურცლებთან ერთად, რომლებიც №93 ხელნაწერის ნაწილია; ისინი კი სინაზე დახვდა ა. ცაგარელს.

ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინებით დასაშვებად მივიჩნიათ ვარაუდი, რომ გეტინგენის ფურცლები შეიძლებოდა №92 ხელნაწერისა ყოფილიყო (საკვირველია, რომ სინური ხელნაწერების ისეთ მცოდნები, როგორიც ქ. გარიგი იყო, ეს შესაძლებლობა არც გახსენებია).

გეტინგენის სირიულ-ქართული პალიმფსესტების გაცნობა ჩვენ შევძლით 1998 წლის ზაფხულში. ამ დროს გეტინგენში იმყოფებოდა ლაბორატორია „ორიონის“ მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ლობორჯგინიძე, რომლის დახმარებითაც დავუკავშირდით ბიბლიოთეკას და ვითხოვეთ ჩვენთვის საინგერესო ფურცლების პირები. როგორც მიმოწერიდან გაირკვა, ამ ხელნაწერებზე მუშაობა აკრძალული ყოფილა მათი ცუდი ფინანსური მდგომარეობის გამო: შიმობდნენ, რომ ფურცლები შეიძლებოდა მთლად დაშლილიყო. მაგრამ ნ. ლობორჯგინიძემ შეძლო დაერწმუნებინა ბიბლიოთეკის დირექტორი და ხელნაწერთა მცველი ქალბატონი ჰუე ჟეფრი, რომ ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო აუცილებელი და საჩქარო იყო ხელნაწერის გადაღება. ამრიგად, მისმა მცდელობამ შედეგი გამოიღო და ჩემს ხელთ აღმოჩნდა კომპიუტერული წესით გადაღებული პირები, შესრულებული ძალიან მაღალ ტექნიკურ დონეზე; მიუხუდვად ფურცლების დაშიანებისა, ისინი საკმაოდ კარგად იკათხება.*

პირები სირიული №№ 17, 19, 21–25 პალიმფსესტერი ხელნაწერებისა სრულია; არის ორივე ყდაც; გარდა ამისა, გადაღებულია კონვერტებიც, რომლებშიც ინახება ფურცლები; მისამართები და მინაწერები ამ კონ-

* ესარგებლობ შემთხვევით და მაღლობას მოვახსენებ გაწეული დახმარებით სათვის როგორც ნინო დობორჯგინიძეს, ისე გეტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორასც.

ვერტებზე საშუალებას გვაძლევს გავარკვითა პალიმფსესტებინ მულტ-
ბელთა ვინაობასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი.

პირები დაღაგებული იყო ისევე, როგორც მათი დეღნები შინა-
ლითოეკაში, ესე იგი სირიული ტექსტის თანმიმდევრობის მიხედვით.
ხელნაწერი ფურცლები, როგორც პირებიდან ჩანს, მართლაც ძალზე ცუდ
მდგომარეობაში ყოფილა. მთლიანი ფურცლის ზომაა 15 x 11 სმ, მაგრამ
ფურცლები დაბიანებულია, კიდევბშემოჭმული და დაპატარავებული;
ბევრგან ტექსტიც დაკლებულია; ზოგჯერ მთლიანი ფურცელი ცალ-
ცალკე ფრაგმენტებისაგან უნდა შეგვეძინა. კიდევბი შემომწვარია და
ამის გამო ფურცლები ჩაშავებულია. ქვედა სირიული ტექსტი, რომელიც
ქართულის პერსენდიკულარული მიმართულებით არის ნაწერი, საქ-
მაოდ ქრისტიანული მოჩანს (შესაძლოა, ეს პირის გადაღებისას საგანგა-
ბო ტექსტიკურ საშუალებათა გამოყენების შედეგიც იყოს).

ფრაგმენტების შეერთების, ფურცლების ქართული ტექსტის თანმიმ-
დევრობის შესაბამისად დაღაგების შემდეგ გაირკვა შემდეგი:

ყველა ფურცლის ზედა ტექსტი ნაწერია ითანებოს მეტების ხელით. ამ
30 ფურცლიდან 7 ა. ცაგარლის № 93 ხელნაწერისაა (ქ. გარიფას, როგორც
ზემოთ აღნიშნეთ, მითითებული პერიოდი 3). ამ ფურცელთაგან 4 სრუ-
ლად აქვებს დანაკლისს პრინსიპონის ხელნაწერის 88-89 უფ. შეა (შდრ.
თ. მგ ა ღ თ ბ ლ ი მ გ ი ღ ი , ქრონიკა, 69, 17-70, 22): „რომელი წარუცა-
შემკულებითა ჯერისაებრ“). ეს ფურცლები წარმოადგენს მეთხუთმეტე
(იგ) რვეულის შეა ფურცლებს მესამედან მეექვებულე და ამრიგად რვეუ-
ლი სრული ხდება. დანარჩენ სამ ფურცელთაგან ურთი აგრძელებს
ტექსტს იქ, სადაც დღეს წყდება ხელნაწერი („სადა-იყი ნათელ-იღო
უფალმან ჩუენმან იესე ქრისტე და ვერ აღესრულა“ – 74,6): „არამედ
ურიად განიხარა ნათლისლებასა მას (ეს სიტყვები არ არის გამოცემა-
ში) და ამცნო ყოველთა შემდგომად (გამოცემაში შეცდომით: „შობად“)
მისსა კეთილდა მსახურებაა“. პრინსიპონის ხელნაწერი წყდება მეჩვიდ-
მეტე (იგ) რვეულის პირველ ფურცელზე, ხოლო გეტინგენის სამი ფურ-
ცელი ამავე რვეულის მეორე, მეოთხე და მეშვიდე ფურცლებია. მათგან
უკანასკნელი ის არის, რომელსაც ა. ცაგარელი ასხელებს, როგორც
№ 93 ხელნაწერის ბოლო ფურცელს. იგი მთავრდება სიტყვებით: „ხოლო
ვითარ მოვიდა სიტყვასა მას, რომელ არს [შ]ობილი და არა ქმ[ნუ]ლი,
მსგავსი მამისამ, [და] ეტევა ნეფსით [სი]ტყუამ ი[გი] თუნიერ
[თა]რგმან[ებ]ისა, [რამეთუ შეექმინა] მის ქამ[ისა]“. ა. ცაგარელმა,
როგორც ჩანს, ყველა სიტყვა ვერ ამოიკითხა დაბიანებულ გვერდზე და
ამიტომ ტექსტი არასრულად დაიმოწმა (ნ. გემოთ). ი. ასფალგის კატ-
ლოგშიც ამ გვერდის ნიმუშს ბოლო სტრიქონი აკლია.

დანარჩენი 23 ფურცელი წარმოადგენს ბემოხსენებული ხელნაწერ-



ის გაგრძელებას, რასაც ადასტურებს რვეულთა სათვალავი: პირველი კქვემით უკარცხული მეთვრამეტე (იმ) რვეულისაა (მეორე – მეხუთე, მეშვიდე კარგი); მეცხრამეტე (ით) და მეოცე (კ) რვეულები სრულია. შემორჩენილია აგრეთვე შემდეგი (კა) რვეულის ერთი ფურცელი. ამავე დროს უკველია, რომ ეს 23 ფურცელი ა. ცაგარლის მიერ 92-ე ნომრით აღწერილი ხელნაწერისაა: ქართული ტექსტის თანმიმდევრობის მიხედვით დალაგებულ ფურცელებში პირველი იწყება სწორედ იმ სიგვვებით, რომელიც ხელნაწერის დასაწყისად აქვს ა.ცაგარელს მითითებული: „[ხოლო ჩეე]ნ არა ქუეყანისა [გვრ]გვნა მიგი[ძღვან]ებთ, რამეთუ ქუეყანისა ნ]იქნა აღსახ[რული] აქს, ხოლო [გ]ეცისა ნიჭნა წ[არუ]ვალი აქს შ[ეწ]ევნად“ (შდრ. თ. მგ აღთბ დლ ი მგ ი ლ ი, ქრონიკა, 76,8). ტექსტის მოცულობისა და რვეულების ფურცელთა რაოდენობის მიხედვით ჩანს, რომ ამ დასაწყისის წინ ხელნაწერს ამჟამად აკლია 2 ფურცელი: მეზიამეტე (იმ) რვეულის ბოლო და მეთვრამეტეს (იმ) პირველი ფურცელები.

ეს 23 ფურცელი შეიცავს ალექსანდრე კვაპრელის თხზულების ბოლოს თითქმის მთლიანად (შდრ. თ. მგ აღთბ დლ ი მგ ი ლ ი, ქრონიკა, 76,8-83,25). ა. ცაგარელს №92 ხელნაწერში აღნენსხავს 29 ფურცელი; შემდგომ დაკარგული 6 ფურცელიდან 2 აკლია შეთვრამეტე რვეულს, კიდევ ორი უნდა ყოფილიყო კა რვეულში, რადგან სწორედ ამდენია საჭირო, რომ ტექსტი დასრულდეს. ბოლო ორი, საფირებელია, შეიცავდა ითანებოსმექა ანდერმს, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს არ ჩანს. შესაძლოა ამ ბოლო ფურცელების ქვედა ტექსტი ნაწერი იყო არა სირიულად, არამედ სხვა ენაზე (ბერძნულად) და ამიტომ სხვაგან მოხვდა. ისიც შესაძლოა, რომ ბოლო ფურცელები დღეს აღარ არსებობს, რადგან ა. ცაგარლის დროსვე ისინი (ისევე, როგორც №92 ხელნაწერი მთლიანად) ძალშე დაბიანებული ყოფილა. ამასთან ერთაგრის ხარისხიც ნაკლებია ბოლოში: ითანებოსმექა, ჩანს, ბოლოში საწერი მასალა შემოჰკლებია. (როგორც ცნობილია, მას საბოგადოდ სხვევია სახელდახელოდ მოპოვებული საწერი მასალის გამოყენება; ახალ სინურ კოლექციაში არის ერთი პატარა ხელნაწერი, რომელშიც ტექსტი ნაწერია სხვა ხელნაწერთა აშენებიდან ჩამოჭრილი და ძაფით ერთმანეთშე გადაკერცული ნაჭრებისაგან შედგენილ ფურცელებზე; თვითონ ითანებოსმე ამის გამო თავისსავაე ეტრატს „უნდოსა“ და „შებდარჯულს“ უწოდებს).

ამრიგად, უკველია, რომ ა. ცაგარლის მიერ 92-ე ნომრით აღწერილი ხელნაწერი, რომელიც დღემდე დაკარგულად ითვლებოდა, ამჟამად ინახება გრძელიაში, გეტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ა. ცაგარელს იგი შეცდომით აღუწერია ცალკე ხელნაწერად; ნამდვილად კი იგი №93 ხელნაწერის ბოლო ნაწილს წარმოადგენს. ხელნაწერი

გადაწერილია 986 წელს; როგორც უკვე ვთქვით, ა. ცაგარლის მიერ
დამოწმებულ ანდერძში ყველა სათვალავი ამ წელს გვაძლევს.

გამოყვანილ პირებში არის კიდევ ორი სხვადასხვა ყდის ქართველობა
ერთი მათგანი (ხის ყდაზე გადაწრული ტყავის ნაშთებით) ჩვენთვის
საინტერესო ხელნაწერისაა: მისი ზომა (15,5 x 12,5 სმ) ხელნაწერისას
უდგება; გარდა ამისა, სურათი ყდის ქვედა ფრთისა უნდა იყოს, ხოლო
ღლეს სინაზე მყოფ დასაწყის ნაწილს შემორჩენილი აქვს ტყავგადაჭ-
რული ხის ყდის ზედა ფრთა. მეორე ყდა – ცალი ფრთა, ყდის შიდა
მხარეზე დაწებებული ბერძნულად ნაწერი ფურცლით – სხვა ხელნაწ-
ერისა უნდა იყოს, რადგან მისი ზომები, რომლებიც ი. ასფალგს აქვს
აღნიშნული, განსხვავებულია: 18 x 13 სმ. ეს კიდ, რომ ისიც უთუოდ სა-
ნური წარმომავლობისაა: არაბული მინაწერები ბერძნულის გვერდით
სწორედ სინურ ტრადიციას ასახავს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ხე-
ლნაწერის (სარ. № 21) წარმომავლობის შესაძლო ადგილად ი. ასფალგს
ათონი მიაჩნია. როგორც ზემოთ დავინახეთ, ეს ვარაუდი არ გამართლ-
და: ყველა სირიულ-ქართული პალიმფსისტი სინური წარმოშობისაა.

მართალია, ითანაურობის მიერ სინაზე 986 წელს გადაწერილმა
ხელნაწერმა ასე დანაწევრებულმა მოადწია ჩვენამდე, მაგრამ ღლეს
იგი თითქმის მთლიანი სახით ჩასი: თავდაპირველი 164 თუ 165 ფურ-
ცლიდან (20 სრული რვეული და კიდევ 4 ან 5 ფურცელი) შენახულია
153: 23 სინის მთაზე (ახალ კოლექციაში, ყდის ზედა ფრთით), 1 – ინგლის-
ში (ბირმინგამში), 99 – ამერიკაში (პრინსტონში) და 30 – გერმანიაში
(გერინგენში), ყდის ქვედა ფრთით).

როდის არის წამოღებული ხელნაწერის ნაწილები სინის მთიდან?
ამ კითხვაზე ჯერჯერობით პასუხი არ მოგვეპოვება. მონასტრის
ქართულ ხელნაწერებს (ისევე, როგორც სხვასაც) გახულ საუკუნეში
ხშირად აკითხავდნენ ხოლმე სიძეველეთა დამტაცებლები და მოპოვე-
ბულ ნადავლ-ნაქერდალს ასაღებდნენ კაიროს, აღექსანდრიისა და
ევროპის ბაზრებში (კ. ი. მნაი ი მცი და, ვინ ყიდდა აგსტრიაში ქართულ
ხელნაწერებს „ცისკარი“, 1979, № 8). ა. ცაგარლის სინაზე ყოფნის (1883წ.)
შემდეგ, მონასტერში ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის ჩასვლამდე (1902 წ.),
ხელნაწერები სამოგადოდ სხვადასხვა ღროს შეეძლოთ გაეგანათ სხ-
ვადასხვა პირებს; მაგრამ 986 წელს გადაწერილი ხელნაწერის ნაწ-
ილები (ესე იგი № № 92 და 93) კი ერთდღოულად უნდა იყოს სინიდან
წაღებული. ამას ის უჩვენებს, რომ № 93-ის 7 ფურცელი გეტინგგნის
ნაწილშიც არის; თუმცა ისიც დასაშვებია, რომ ხელნაწერის ბოლო
დამშლილი ფურცლები იმთავითვე ერთმანეთში ყოფილიყო არეული,
იოანე-გორგაში ეს ხელნაწერი (რა თქმა უნდა, იმ ნაწილის გარდა, რომელ
იც 1975 წელს აღმოჩნდა) გატანილი უნდა იყოს საკმაოდ აღრე: № 92



ხელნაწერის ქვედა სირიული ტექსტის ერთი ნაწილი უკვე 1906 წელს დაიბეჭდა, პალიმფსესტის ამოკითხებას და ამოშიფრებას კი უთუოდ საქართველოს მათღ ბევრი დრო დასჭირდებოდა. ევროპაში ხელნაწერის ნაწილები ერთმანეთს დაშორდა: პრინცონის ხელნაწერი, როგორც ვთქვით, 1922 წელს შეიძინა ამერიკელმა რ. გარეგმა ლაიფციგში (საიდან მოხვდა იგი იქ, არ ვიცით); პასტორი ჰ. ლუნინიგა კი, რომელმაც 1906 წელს სირიული პალიმფსესტები გამოაქვეყნა, ქ. გოსლარის მკვიდრი უნდა ყოფილიყო (ეს ჩანს კონვერტების მისამართებიდან; გოსლარი პაგარა ქალაქია გერმინგნის მახლობლად). ფურცლები იმ დროს მისი არ ყოფილა; 1944 წელს მანვე გამოაქვეყნა ცნობა, რომ სირიული პალიმფსესტები მაშინ, როდესაც იგი თვითონ მუშაობდა მათ გამოქვეყნებაზე, ღოველორ ფრილინის გროვებს საკუთრებას წარმოადგენდა. არ ჩანს, სად შეიძინა ამ უკანასკნელმა ეს ფურცლები, ან როდის გადავიდა ისინი ჰ. ლუნინიგის მულობელობაში; ა. ასფალგის სირიულ კატალოგში (1963 წ.) ყველა გარანუბელია, როგორც თვით ჰ. ლუნინისინგის ნაჩექარი. სამწუხაროდ, ჩემთვის ხელმიუწვდომელია თვით სირიული ტექსტების პუბლიკაციური, სადაც შესაძლოა რამე დამატებითი ცნობები მოიპოვება.

გეტინგნის ფურცლები ალექსანდრე კვიპრელის თხზულების საკმარის დიდ ნაწილს შეიცავს და მნიშვნელოვანია ტექსტის დასადგენად; შედარება გვიჩვენებს, რომ ამ ნაწილში, როგორც სხვაგან, იოანე-ზოსიმეს გადაწერილი ტექსტი ახლოთ XI საუკუნის ოქსფორდის ხელნაწერთან (გამოცემის C) და ბოგჯერ საკმარი სხვაობს გვიანდელი ხელნაწერისაგან (XIII-XIV სს.), რომელიც გამოყენებულია თ. მგალობლიმულის გამოცემაში ნაკლულ ადგილთა შესაძლებად.

დაბოლოს, როითდე სიგყვა უნდა ითქვას კიდევ ერთი სინური ხელნაწერის შესახებ, რომლის ბედი დღემდე ნათელი არ არის. ეს არის ბ. ცაგარლის კატალოგის № 1 ხელნაწერი – პაპირუსზე ანუ ჭილბე ნაწერი უსალმუნი, რომელიც ა. ცაგარელმა VII-VIII საუკუნეებისად მიიჩნია. თავის კატალოგში ა. ცაგარელმა ერთი გვერდის ფოტოც მოათავსა. პორფირი უსპენსკის მიერ სინიდან წამოღებული თრი ფურცელი, რომელიც პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკას ეკუთვნის, გამოქვეყნებულია (ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია, 1935). ხელნაწერი მაშინაც ძალგე შელახული ყოფილი, როდესაც იგი ა. ცაგარელს უნახავს: პაპირუსის ფურცლები, რომლებიც აღვილად იმტვრევა, უკვე მის დროს დაშლილ-დანაწერებული ყოფილა, ამიტომ პაპირუსის ფსალტუნი სხვა ხელნაწერებთან ერთად არ ყოფილა მოთავსებული; ძველ შალში გახვეული, იგი ყეთში იდო ბევრ საკუჭნაოში. იგი არ უნახავთ არც ნ. მარსა და ი. ჯავახიშვილს, არც 1927 წელს სინაზე ჩასულ რობურზე ბლეიკს. ამიტომ იყო, რომ 1935 წელს ა. შანიძე წერდა: ხელნაწერი



ამეამად და კარგულად ითვლებათ. პეტერბურგში დაცული ფუნდის მიწოდების პალეოგრაფიულ თავისებურებათა და ენობრივ მონაცემთა შინდვითა ა. შანიძე ხელნაწერს IX-X საუკუნეებისად მიიჩნევს.

1950 წლის ქართველიციაში ყოფნისას ქ. გარიგს პაპირუსის ფსალმუნი მხოლოდ რამდენიმე წელით უნახავს (ძველ გამგეთში გახვეული, სკიორში), მაგრამ მისი მიკროფილმი ვერ გადაუდია ხელნაწერის ცუდი მდგომარეობის გამო (Gariette, Catalogue, გვ. 6). ამიტომ 1960 წელს, როდესაც დაიბეჭდა ქართული ფსალმუნის პარველი მეცნიერული გამოცემა, ქს ხელნაწერი, რა თქმა უნდა, გამოყენებული ვერ იქნებოდა (ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები... გამოსცა მზე ქადაგი მანი და მანი დემანი, ძვლი ქართული ენის ძეგლები, 11). მომდევნო წელს კი ქ. გარიგმა გამოაქვეყნა რეცენზია ამ გამოცემაზე, სადაც პაპირუსის ფსალმუნის შემდეგი ბედიც იყო ნახსენები: სინაზე ხელმეორედ ყოფნის ღროს, 1957 წელს, მას ხელნაწერი უკეთეს მდგომარეობაში დახვედრია: 83 ფ. ორმაგ შუმაში ყოფილა ჩასმული, ასე რომ, ფურცელები თრივე შხრიდან იკითხებოდა; კიდევ თრ ჩარჩოში ცალკე წვრილ-წვრილი ფრაგმენტები იყო მოთავსებული. ამან შესაძლებლობა მისცა ბელგიელ მკვლევარს დაწვრილებით შეესწავლა ხელნაწერის შედეგნილობა (ფს. 1,1-41,1; 43,6-57,25; 58,14-80,5; 118,82-150,3; გალობა 1,12-2,37, კიდევ ცალკეული შეხლები ფურცელთა ფრაგმენტებზე). ერთ-ერთ ფურცელზე ქ. გარიგმა იოანე-ზოსიმეს მინაწერისა თუ ანდერის ნაწილიც ამოკითხა: „ლოცვასა შიძიდასა თქუენ[სა]... ფრიად ცოდვილი ესე იოვანე... და მანი ჩემნი ს[ულიერნი]... და თქუენცა ქრისტე[მან შეგიწყალენინ] (G. Gariette, Une édition critique du Psautier géorgien, Bedi Kartlisa, № 36-37, Paris, 1961).

ბუნებრივია, ამან მოგვცა იმედი, რომ ხელნაწერის ნახვა შესაძლებელი იქნებოდა და 1996 წელს სინაზე ასელისთანავე (მონასტერი ზღვის დონიდან 1500 მ სიმაღლეზე მდებარეობს) პაპირუსის ფსალმუნი მოვაკითხე. მაგრამ მამა დიმიტრიოსმა, რომელიც წლების განმავლობაში მონასტრის ბიბლიოთეკას განაგებდა და მის ფონდებს კარგად იცნობდა, გადაჭრით უარი მითხრა – ასეთი ხელნაწერი ჩვენს ბიბლიოთეკაში არ არისო. როდესაც ქ. გარიგის თანწალებული რეცენზია ვაჩვენებს, მათინ ასეთი პასუხი მივიღე: პაპირუსები ცალკე ინახება, მონასტრის საგანძუროში, და მე იქ შეხვდის უფლება მონასტრის წინამდღვრის ნებართვის გარეშე არა მაქსი. როდესაც მონასტრის წინამდღვრას მამა დანიელს აუკრისტო საქმის ვითარება, მან განმიცხადა: საგანძუროში ხანძარი იყო, შეუძების მეტი წილი დასკდა და ერთმანეთს შეადუდებოთ. ამაზე უფრო გარკვეული პასუხი ვერ მივიღე, საგანძუროშიც ვერ შევაღწიოთ, ამიტომ პაპირუსის ფსალმუნის საბოლოო ბედი ჯერჯერობით გაურკვეველი დარჩა.

«გასინჯეთ ბეჭდის იგავი...»

XVIII საუკუნის დასაწყისში, გარეშე თუ შინაური მტრების მიერ ია-
ვარქმნილ საქართველოში ქართული წიგნის ბეჭდების დამკვიდრება-
სათვის გრუნვა უდიდესი მამული მკილაური საქმე იყო. ვახტანგ VI,
რომელსაც ჯერ მხოლოდ ჯანიშინის (მეუის მოადგილის) ტაფული ჰქონ-
და, ენერგიულად შეუძგა საგამომცემლო საქმისათვის ნიადაგის მო-
მზადებას.

როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, ანთიმოზ ივერიელის მიერ გა-
მოგზავნილი სტამბის სპეციალისტი თბილისში 1707 წლის შუახანში
უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ სტამბის გამართვასა და ამუშავებამდე, ე.ი.
პირველი წიგნის – სახარების დაბეჭდვამდე, თითქმის ორი წელი გასუ-
ლა. ამ ხნის განმავლობაში ვახტანგ VI-ის მიერ შერჩეულ მწიგნობარი
„ფრიადი შრომა“ გაუწევიათ წიგნების „გასამართავად“.

ვახტანგ VI-მ, როგორც მაშინდელი წესი და რიგი მოიხსოვდა, თავდა-
პირველად ქრისტიანობას გადაუხადა ხარკი – 1709 წელს დაიბეჭდა
სახარება, დავითი და სამოციქულო; 1710 წელს – უამნი, კონდაკი და
ა.შ.; მხოლოდ ამის შემდეგ დაიბეჭდა ქართველთა უპირველესი „ხე-
ლიხლ საგოგმანები“ – მოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

„ვეფხისტყაოსნის“ თავვერცლის მეორე გეგერდზე დაბეჭ-
დილია გიორგი XI-ის გერბი (გერბის ასომთაგრული წარწერა ასე იმი-
ურება: „წყალობითა დვთისათა დავითიან პანკრატიონი მეფე გიორგი
ყოვლისა საქართველოსი“), მას მოყვება „ბეჭდის იგავი...“ – ექვსი
სტრიფი.

აკაკი შანიძე, რომელმაც ვახტანგის უეული „ვეფხისტყაოსანი“ აღადგ-
ინა და გამოსცა 1937 და 1975 წწ., წიგნის გაფორმებასთან დაკავშირე-
ბით აღნიშნავს: „არ ვიცი, თუ რით უნდა აისხნას გიორგი მეფის დერბის
გამოყენება ვეფხის ტყაოსანში, რომელიც დაიბეჭდა 1712 წელს, როცა
გიორგი XI ცოცხალი აღარ იყო. 1710 წელს გამოცემულ კონდაკში
დერბის წარწერა უკვე ქაიხოსრო მეფეს იხსენიებს: წლიდა პმები,
შ.ი. „წყალობითა დვთისათა იესიან დავითიან სოლომონიან პანკრა-
ტიონი მეფე ქაიხოსრო ყოვლისა საქართველოსი“. მკელევარი შემდეგ

განაგრძობს: „საყურადღებოა, რომ გიორგი XI-ის დერბის ქვეშ კუნძული ტყაოსანში იფიც ლექსია მოწერილი („ისმინეთ ბეჭდის იგავი“), რეამდელად სამოციქულოშიაც არის მოთავსებული (1709), ოღონდ სამოციქულოში მისი უკანასკნელი სტრიქონი ასე იკითხება: „ეს ბეჭდა ხოსრო მეფის ზე, გაცედღენ ყოვლინი მჩმახველნი“.

ვინ არის ლექსის ავტორი, არ ვიცა, მისი შინაარსი კი დერბის ქედზა, გარდა უკანასკნელი სტრიფისა, რომელიც ჩვენში სტამბის დაარსების ამბავს მოგვითხოვთ“ ა. შანიძე სქოლითში წერს: „ქაიხოსროს დერბის ეგევე ლექსი შემოკლებით აქვს მოწერილი კონდაკში (მარტოდენ თრი სტრიფი: „ამ შერლელითა“ და „ქართველთ მეფენი“)“ (1,407).

ვიდრე „ბეჭდის იგავა“ და გერბებს შევეხებოდეთ, გადავხედოთ ისტორიას: გიორგი XI (ვახტანგ V-ის, შაპინავაზის ძე) ქართლში მეფობდა 1676 წლიდან. 1688 წელს ირანის შაპმა (სულეიმანმა) იგი გახტილა გადავიცნა და ქართლის მეფედ ერეკლე I – ნაბარალიხანი დანიშნა. 1703 წელს შაპმა (ჰუსეინმა) ქართლის მეფობა ისევ გიორგი XI-ს დაუბრუნა, მაგრამ სამშობლოში კი არ გამოისტუმრა, არამედ სპარსეთის ჯარის სპასალარად დანიშნა და ავღანელების წინააღმდევე ბრძოლა დაბავდა. იგი 1709 წლის აპრილში დაღატით მოკლეს ავღანელებმა.

1709 წელს შაპმა ქართლის მეფობა გიორგი XI-ის მმისმევილს, ლევანის უფროს შეიძლს – ქაიხოსროს უბოძა, მაგრამ ისიც სპარსეთის ჯარის სპასალარად დანიშნა და ავღანელების წინააღმდევე საომრად გაისტუმრა. 1711 წლის ოქტომბერში ქაიხოსროსაც გიორგი XI-ის ბელი ეწია. ვახტანგს კი ქაიხოსროს მეფობის დროსაც ჯანიშინის ტატელი ჰქონდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გიორგი XI თვითონ იყო მწიგნობარი და მწერალი, ბუნებრივია მისი ბრუნვა საქართველოში წიგნის ბეჭდების დამკვიდრებისათვის. ჯერ კიდევ პლუტ, 1680 წელს, გიორგის ბრძოლით, მის მდივანს – ბეგთაბეგ თანიაშვილს გადაუნესხავს, „ვეფხისტუმათსანი“, რომელიც ერთ-ერთ საუკუთხო ხელნაწერად ითვლება (3,359). გიორგისავე ბრძონებით ს. ორბელიანს „ეაშა ჭაბუკობისა და სიყრისის“ დაუწყია „ლექსიკონის“ შექმნა (3,455); შემოქმედის მიტროპოლიტს – იაკობ დუმბაძეს (1647-1713) გაუდექსავს ბაგრატ ბაგრონიშვილის (1511-1573) ანგიმაშმალანური პოლემიკური თხზულება: „მოთხოვთამ სულთა უღმრთოთა ისმაილიგთამ“ და სათავრად მიუცია „უსჯულოსხმი მუჯამედის და ქრისტიანეთ გაბაასება“ (2,337-338). გიორგი XI-ის ქალამს ეკუთვნის თხზულება „თხოვთანი სულთა და ხორცობანი“ (4,51).

გიორგი XI-ს ვახტანგი, დიდი სულხან-საბაბას აღმრღდილი, თავის მარჯვენა ხელად ეგულებოდა საქართველოს როგორც ეკონომიკურად მას კულტურული აღორძინების საქმეში. ამითომ იყო, რომ იგი ჯანიშინზე ბის პერიოდში მეფის უფლებებით იყო აღჭურვილი და ასეც მოიხსენი.



ଫଳିନ୍ଦ୍ରାଜେ ପ୍ରେସର୍ ପାଇଁ : ମିମିନ୍ନା ଏହି ଗାଁର୍ଜାଙ୍କ ହିଂସା
ଯୁଶାଲମିର୍ଗତ କ୍ଷାରତ ପ୍ରେସର୍ ପ୍ରେସର୍ : ତ୍ୟାମିପ୍ରକାଶିତ ପାଇଁ ମିନ୍ଦିଙ୍ଗ
ଫଳିନ୍ଦ୍ରାଜେ ମାର୍କ୍ଷାର୍ଥୀଙ୍କ ପାଇଁ : ଯିନି ହୈକ୍ସା ପରିଶୀଳନତା ଦୀର୍ଘ
ଦ୍ୱାରାବିନ୍ଦିତ କ୍ରମିତ କ୍ରମିତ ପାଇଁ : ତ୍ୟା ଯିବାର ମିନ୍ଦିଙ୍ଗରେମାନ ଏହି
ଏହି ମୁଖ୍ୟର୍ଦ୍ଦ୍ୱାଳିତା ହେଉଥିଲା ପରିମାଣ : ଯତ୍ନାରୀତିର ଏହି ତ୍ୟା ହେଲୁଏହି
ଦ୍ୱାରାବିନ୍ଦିତ ପ୍ରାତିକ୍ରିୟା କ୍ରମିତିରେ : ମୁଦ୍ରା କିମରନ୍ଦ୍ରେ ମୁଖ୍ୟର୍ଦ୍ଦ୍ୱାଳି
ମ୍ୟାନ୍ଦ୍ରାଜେ ଯିନି ଏଣ୍ଟର୍‌ପିଲ୍ ପ୍ରେସର୍ ହେଲା : ମୁନ୍ଦ୍ରାଜେ ଏହି ପରିଶୀଳନା
ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ : ମୁନ୍ଦ୍ରାଜେଙ୍କ ପାଇଁ : ମିନ୍ଦିଙ୍ଗ ମିନ୍ଦିଙ୍ଗ ଏହି
କାମ ମିନ୍ଦିଙ୍ଗରେ ଏହି ପାଇଁ : ମିନ୍ଦିଙ୍ଗ ମିନ୍ଦିଙ୍ଗ ଏହି
ମିନ୍ଦିଙ୍ଗ ମିନ୍ଦିଙ୍ଗରେ ଏହି ପାଇଁ : ଏହି ମିନ୍ଦିଙ୍ଗ ମିନ୍ଦିଙ୍ଗ ଏହି
ମିନ୍ଦିଙ୍ଗ ମିନ୍ଦିଙ୍ଗରେ ଏହି ପାଇଁ : ଏହି ମିନ୍ଦିଙ୍ଗ ମିନ୍ଦିଙ୍ଗ ଏହି

ებს მას თანამედროვე ქამთააღმწერელი: „ჯანიშინად თქმულთ, მაგრამ მეუკედ წოდებული, ბატონიშვილი ვახტანგი...“ (5,323).

დავუძრუნდეთ ისევ გიორგი XI-ის გერბსა და „ბეჭდის იჭმისაუზე ჭდების ისტორიას.

მკითხველისათვის რომ უფრო ნათელი იყოს განსახილველი საკითხი, მოგვყავს ვახტანგისუელ „ვეფხისტყაოსანში“ დაბეჭდილი გიორგი XI-ის გერბი და „ბეჭდის იგავი“ მთლიანად:

გასინჯეთ ბეჭდის იგავი: მსმენნო ნუ გაქვან წყინე ბა::

უსალმენთ ქნართ ცემა დავითის: თუმც რამედ იყო სმინე ბა::

ქრისტესა მოასწავებდა: ვინ დაქსნა ცრემლთა დინე ბა::

და: დავითის გომით ქორცეთშესმა: თუ ვითარ მხსნელმან ინე ბა::

ამ შერდულითა დავით სბლო: კოლიათს არ თუ გავებ და::

ლომნი გახეგისა სოლომონის: შველ სიბრძნეს მოუსწავებ და::

მქნელი ვინ აღთქმას უდებდა: ქმნელთ ეგრე გაუთავებ და::

და: ვით ძალედვა და შესგვანდა: მის მტერმბედ ეგრე დავებ და::

როს მქნელმან სათხო იჩინა: ქალწულის მუცლად დება ნი::

მით უყო წარმართო ყოველთა: ამ საქმით განათლება ნი::

ჯუარცმით გამოქსნით ყოვლით სულთა: იყო მის ქმნისა ნება ნი::

და: განკურნა წყლელნი ეწამლო: რომელი ვეჭირდა სნება ნი::

ოდეგ უქსოვა ქალწულმან: მქნელს კვართი ქსელით გლებე ლი::

იგი ელიობს წილად ხედა: მოვიდა ქართლად რებე ლი::

სად არის სახლად უფლისად: ხეეგი ცხოველი გებუ ლი::

და: აქა ძეს ჩუმნთუნ სულთა ქსნად: კურნებად იმედებუ ლი::

ქართველთ მეფენა დავითის: ვავარ გომით მოდგამობი თ ა::

თკა ყოვლად წმინდა უბიწო: არს მათ ძირთაგან შობი თ ა::

ვართ მისითქ წილად ხდომილნი: და მისი იმედობი თ ა::

და: ამად არ ვიქმნათ უხილავთ: მგრითაგან ლახვარ სობი თ ა::

სეგამბას ბეჭდევდენ ფრანგნი და: რესნი და მერმე ლახხელ ნი::

აქ არსად იყო აროდეს: ვერ ვპოვეთ მისნი მნახველ ნი::

გიორგის მეფობაშიგან: ვახტანგ აკორვა მსახველ ნი::

და: ამ ბეჭდებამ ახლა მის გამო: გაცედნა ყოვლინი მჩმახელ ნი::

ლოგიკური მოსამრებით, ეს ლექსი გიორგი XI-ის სიცოცხლეში დაწერილად უნდა ჩაგვეთვალა, რადგან ვლახხეთიდან სტამბის „მოდების“ იდეა „გიორგის მეფობაშიგან“ ჩაისახა და განხორციელდა. წიგნების გამართვაც მის სიცოცხლეში მიმდინარეობდა და, რაც მთავარია, – „ეს ბეჭდა ხოსრო მეფის ბე“ (ხოსრო მეფის ბეობაში. – პ.ლ.), კარგად ვერ ჯდებოდა ლექსის კომპოზიციაში.

ვახტანგის სტამბის პირველ წიგნში – სახარებაში – გერბი არ არის, მაგრამ ანდერძში ბეჭდის იგავი მოცემულია პრობად. პირველ გვერდზე: „სამღლო და სამღლელო სახარება აწ ახალი და პირველი დაბეჭდ-



იღი ქართულს ენაზედა, ემსა ამაღლებულისა და სახელოვანის საქართველოს მეფისა უფლისა უფლისა გიორგისა, იესიან დავითიაშვილის სოლომონიანისსა. შრომითა ურიადითა და წარგებითა და საფასეთასა, მართმადიდებლისა და განათლებულისა საქართველოს განმგებლისა ბაგონიშვილისა თვით უფლისა ვახტანგ ლევანის ძისათა „... მეორე გვერდში: „სადიდებლად წმიდისა სამებისა, მე გვარეტომობით, ძირმდგომობით დავითიანმან, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელობნის ქართველთა მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნისა ლევანისამან და განმგებელმან ქარლისამან ბაგონის შეილმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საქსრად სულთა წინათქმულთა მეფეთასა და მამისა და დედისა ჩემისა, სალხინებლად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულისა რესუდანისა, და ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაბრდელად (6,9).*

როგორც ვხედავთ, აյ ქაიხოსროს ხესნება არ ჩანს. წესით, გიორგი XI-ის გარდაცვალების შემდეგ, მეფედ „ჯანიშინად თქმული, მაგრამ მეფედ წოდებული ბატონიშვილი ვახტანგ“ უნდა დაემტკიცებინათ, მაგრამ მაპმა მეფედ მისი უფროსი ძმა – ქაიხოსრო დამტკიცა და სწორედ ამას გამოუწვევია ლექსის ბოლო სტრიქონში „ხოსრო მეფის გე“-ს ჩართვა.

მაგრამ „ქართულ წიგნში“ სამოციქულოს აღწერილობაში, რომელიც ქ. შარაშიძეს კავთვნის, „ბეჭდის იგავის“ ბოლო სტრიქონში „ხოსრო მეფის გე“** არ ფიგურირებს, „ვეზებისგაოსნის“ აღწერილობაში კი იკითხება: „ღერბის ქვემოთ, და შემდეგს აუნახსავ გვერდზე მოთავსებული ექვსსტროფიანი ლექსი წარმოადგენს 1709 წლის სამოციქულოს [6] ღერბის ქვეშ მოთავსებული ლექსის განმეორებას (6,22). ამასვე იმეორებს შ. კვახხავაცეც (10,158).

მაშასადამე, ა. შანიძისა და ქ. შარაშიძის მოსაბრებანი არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ბოლოს გაირკვა, რომ მათ სამოციქულოს ხევადასხვა ეგზემპლარი სქერიათ ხელთ. მოგვიანებით, როდესაც ქ. შარაშიძემ მონოგრაფიულად შეისწავლა ვახტანგ VI-ის სტამბის ისტორია, აღნიშნა: „1709 წელს დაბეჭდილ სამ გამოცემათაგან „სამოციქულო“ ყველაზე დიდი მოცულობის არის. ეტყობა, ამ წიგნის ნაბეჭდი ცალები სტამბილან გამოსული არ ყოფილა, როცა თბილისამდის მოუღწევია გიორგი XI-ის მეფობის ქაიხოსროს მეფობით შეცვლის ამბავს. ამის შედე-

* სტამბის მეორე წიგნის – დავითის ერთადერთი მოღწევული ეგზემპლარი თავნა კლეულია და ანდერძებში ვერ ვიშს ხელებთ.

** შემდეგ გამოცემებში ქაიხოსროს გვრბის ქვეშ მხოლოდ თრი სტროფია – „ამ შეუღულითა“ და „ქართველთ მეფენ“ და ეს სტრიქონი აღარ ჩანს.

გად სამოციქულოს დერბის ქვეშ მოთავსებული ლექსის ბოლოში ახალი მეფის, ქაიხოსროს (ხოსროს) სახელი ჩაუმატებიათ: „ეს ბეჭდოვნელი რო მეფის ზე“ (7,132).

ამრიგად, გაირკვა, რომ გიორგი XI-ის გერბი და „იგავი“ მის სიცოცხლეშია შექმნილი, მაგრამ სამოციქულოს სხვადასხვა ცალში ლექსის ბოლო სტრიქონი არის განსხვავებული.

„ვეფხისგყალოსნის“ გამოცემის წელი, ფაქტობრივად, უმეტობის წელი იყო, რადგან ვახტანგი ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული მეფედ.

ამიტომ, ბუხებრუად მიგვაჩნია მისი გადაწყვეტილება „ვეფხისგყალოსნის“ გიორგი XI-ის გერბისა და „ბეჭდის იგავის...“ იმ სახით დაბეჭდვა, როგორც მეფის სიცოცხლეში იყო შექმნილი. ამით მომავალმა მეფემ პატივი მიაგო მისი მოამავე ბიძის სხვენას.

ვახტანგის მოწიწების წინამორბედი მეფეებისადმი ქ. შარაშიძეც აღნიშნავს: „თავუკურცელის მეორე გვერდზე მოთავსებული სამეფო დერბი და მისი წარწერები გამოხატავს, ამავე დროს, ქართლის ფაქტური მმართველისა და ნაბეჭდი წიგნების გამომცემლის – ვახტანგის ჯეროვან ყურადღებას და პატივისცემის ოყიდიალურად ცნობილი მეფეებისადმი (გიორგი XI, ქაიხოსრო)“ (7,119).

განვიხილოთ მკვლევართა ზოგიერთი მოსაზრება ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების გაფორმების შესახებ.

ქ. შარაშიძეს მიაჩნია, რომ ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნების მორთულობა (კლიმენტი) ნაწილობრივ საქართველოშია დამზადებული „ოღონდ სახიფათოა როგორც ყველა მორთულობის ქართულად გამოცხადება, აგრეთვე ყველას გარედან მოგანილად ცნობა“ (7,107).

6. ბერძნიშვილი, რომელიც ა. შანიძესთან ერთად 1949 წელს რემონტში იმყოფებოდა, წერს, რომ ბექარქსაგში, აკადემიის სამკითხველოში მათ შეხვდათ ანთიმობის პრობლემებზე მომუშავე სანდუ ტურდო, რომელმაც თბილისში 1709 წელს დაბეჭდილი სახარება აჩვენა და განაგრძოს: „სანდუ ტურდომ ჩვენი ყურადღება მიაქცია იმ წიგნის მოკაზულობას და, ამავე დროს, გვიჩვენა ორი წიგნი. ერთი ანთიმობის ხელითაა ნაწერი და მის მიერვეა მოხატული. მეორეა არაბულ ქნაგე ნაბეჭდი სახარება. ორივე ამ წიგნის მოკაზულობა ისეთივე სასიათოა საა, როგორც ქართული სახარებისა, ხოლო მოგიერთი სამკაული არაბული სახარებისა სრულიად იგივეა, რაც ქართული სახარებისა. ასე რომ, შეიძლება უკვეთდ აღინიშნოს საერთო წარმომავლობა არაბულ-ქართული სტამბური სახარების მოკაზულობისა და ანთიმობის ხელნაწერი წიგნის მოხატულობისა“ (8,52–53).



ამის საფუძველზე მკვლევარი გ. პაიჭაძე ასკვნის, რომ შესაძლოა შინაგანგვით მიტვანოვანი მას „გოგიერთი კლიმა“¹, ნიმუში ან ნახაბი ჩამოიგანმდევრობა (984).²

მ. კვასხვაძის ამრით, რაკი წინა გამოცემებში (სახარება, დავითი) ბაგრატიონთა გერბი არ არის, იგი ქართველ გრავიორთა ნახელავია. გამონაკლისის გარდა, მათი ნახელავია სხვა გრავიურებიც. მას მიაჩნია, რომ „ვახტანგ მეექვსის სახელმწიფო მოღვაწეობის ერთ-ერთ სფეროს საგამომცემლო მოღვაწეობა წარმოადგენს“ (10,60) და განაგრძობს: „ბაგრატიონთა დერბი ვახტანგის წიგნებში აღსტურებს, რომ საქართველოში გიორგიანის დაარსება და ნაბეჭდი წიგნის გამოცემა... წარმოადგენდა ერთ-ერთ არსებით ღონისძიებას ცენტრალიზმებულ... სამეურ უო უფლებათა გამტკიცებისათვის. ვახტანგის საგამომცემლო მუშაობა არსებითად, მაშინდელ ღრიში სახელმწიფო გამომცემლობის დამკუიდრება იყო“ (10,62). იგი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ვახტანგის სგამის წიგნებზე დართული დერბები სახელმწიფი დერბებია“ (10,60).

ო. კასრაძე არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და ის კი კონცეფციას ასე აქალიბებს: „ყერადღებას იქცევს... ვახტანგის წიგნების დაბეჭდილი გერბი, რომელიც წარმოადგენს ბაგრატიონების საგვარეულო კუთხინილებას და არა სახელმწიფო ობრივ ჰერალდიკურ სიმბოლოს. ამას თვალწალივ მოწმობს გერბისავე სიმბოლიკაში ჩაქსოვილი ლეგენდა ბაგრატიონების დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად გამოცხადების შესახებ.“

რაც შეეხბა გერბების მოთავსებას ძეველ ქართველ ნაბეჭდ წიგნებში, მას იგივე მნიშვნელობა პქონდა, რაც ვახტანგის პირტერებს. ამით გამოხატვალენებ გამომცემლები ბაგრატიონთა ბრწყინვალე წარმომადგენლის – ვახტანგ VI-ის დვაწლას და დამსახურებების წიგნის ბეჭდების საქმეში. ამასთანავე, იგი წარმოადგენდა უმბლემას, მარკას, ანუ საფირმო ნიშანს სგამისას“ (4,52–53).*

რაც მთავარია, ორივე მკვლევარი მიღის იმ დასკვნამდე, რომ ბაგრატიონთა ეს გერბები სპეციალურად ქართველი წიგნებისთვის არის შექმნილი. განსხვავება ისაა, რომ პირველს იგი სამეფო გერბად მიაჩნია, მეორეს კი – არა. აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ ბაგრატიონთა ეს გერბები მოხსენებული არ არის ს. ვამსახურდიას, ნ. მოშიამეილის, ბ. ხიდურელის წიგნში: „საქართველოს სახელმწიფო გერბები და ღრომები“, ხოლო მ. ვალდოლესკის „საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკიდან“ გამომცემლობა „ხელოვანებაში“ იგი შეგნებულად ამოიღო (11,2).

* ჯერ-ერთი, პირველ გამოცემებში გიორგი XI-ისა და ქაბოსროს გერბები იძებლებოდა. გამოდის, რომ ვახტანგი თვითონ სტემდა პატივს წინამორბედ მეუკებს (ზემოთ ის. ქ. მარაშიძის მოსაზრებაც). 1712 წლამდე ვახტანგი თავის პირტერებსაც მოკრძალებულად, წიგნების ბოლოში ბეჭდავდა. შეორებულ კრითი და იგივე ნიშანი (გერბი) არ შეიძლება იყოს უმბლემას, მარკას და საფირმო ნიშანი.

თავდაპირველად გავარკვიოთ – ატარებდა თუ არა ვახტანგის სტამბა სახელმწიფო დაწესებულების ნიმუშებს. სახარების მეოთხე გვერდზე ვკითხელოთ: „ვახტანგი იგ უღისეს მოღვაწე და მთაღმო ხე ამბა ვლახეთით...“, „ვახტანგ მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავა-კეთე სტამბა“; თავუერცელებე კი – „...დაბეჭდილი შრომითა ურიადი-ოთ და წარგებითა და ხაფასე თათა (ხაზგასმა ყველგან ჩე-მია. - პ.ღ.) საქართველოს განმგებლისა ბატონიშვილის თვით უფლისა ვახტანგ ლევანის ძისათა“ (6,9).

„ურიადი შრომა“ თავისოთავად გასაგებია, მაგრამ გავარკვიოთ რას ნიმნაეს „წარგება“ და „საფასევ“.

„ლექსიკონი ქართული“: „საფასევ – საქონელი, უნჯი“ (12,59).

„წარგება – დახარჯვა“: „წარსაგებელი – დასახარჯვი“ (12,365).

დავით ჩუბინაშვილი: „საფასევ – ხარჯი, წარსაგებელი, სასყიდელი, უელი“ (13,1126).

აქედან ლოგიკური დასკვნა: თუ წიგნები ვახტანგის „წარგებითა“ და „საფასეთა“ იბეჭდებოდა, იგი მისი საკუთრებაა (დღემდე „ვახტანგის სტამბას“ მხოლოდ სიტყვის მასალად ხმარობენ) და რაკი საკუთრებაა, კუთვნილების ნიშანი – ექსლი ბრისი ამშვენებს, რაც წიგნის თავ-უერცელის მეოთე გვერდზე არის დაბეჭდილი. რაგომ არის იგი თავ-უერცელის შიდა მხარეს და არა ყდის შიდა მხარეს – პასუხს გაგვეუმს ყდების ისტორიის შესწავლა.

ქართულ სამეცნიერო ლიგერატურაში ჯერ კიდევ ა. ჯავახიშვილმა დასვა ქართული ხელნაწერი წიგნის ყდის კვლევის საკითხი, მაგრამ ვინაიდნ ქართული წიგნის ბეჭდვას ხელნაწერი წიგნის შექმნა არ შეუწვევთა, მკვლევარის პარალელურად განიხილავდნენ ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნის ყდების დაკამაცისა და მორთვის საკითხებს.

ქ. შარაშიძე: ვახტანგის სტამბის ჩინებული ყდები „თითქმის არ განირჩევიან ხელნაწერის ტვიფრული, ხშირად ოქროურვილი სამკაულით დამშვენებული ყდებისაგან“ (7,106).

შ. კვასხვაძე: „ქართულ წიგნს, ისევე, როგორც ქართულ ხელნაწერებ-საც, თავუერცელი იწყებს... ქართული წიგნი... ემყარება ქართული ხე-ლნაწერი წიგნის ტრადიციებს“ (10,26).

მკვლევარი მაია კარანაძე, რომელიც ქართული წიგნის ყდის ის-ტორიის საკითხებზე მუშაობს, პარალელურად განიხილავს ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნის ყდებს. მას მიაჩნია, რომ ვახტანგის სტამბიდან წიგნები თავუერცელით გამოღილდა და ყდით ხელნაწერი წიგნის მკაბმავები და მკინძავები მოსავლენენ. იგი წერს: „XVIII ს-ის 30-იან წლებში გადაწერილი ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნის ყდები იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ იქმნება შთაბეჭდილება, მკაბმავისათვის არა აქვს

მნიშვნელობა, ნაბეჭდ წიგნს უკეთებს ყდას თუ ხელნაწერს. შინაგანი ეს ერთი და იგივე პროცესია. რაც შეეხება ძველნაბეჭდი წიგნის განვითარების, ჩვენი აბრით, ის კერძო პირის ან უკლესის საკუთრებას წარმოადგენს და ისიც შეწირულობის სახით მიღებულს შეძლებული პირებისაგან“ (14,92).

ლ. კიხელიოვას მონაცემებშე დაყრდნობით, მ. კარანაძე აღნიშნავს, რომ უკროპის სტამბებში ყველა ძველნაბეჭდ წიგნს ყდა არ უკეთდებოდა, რადაც ნაწილი უყდოდ გამოდიოდა... უკროპის სტამბებში ყდებს ისევ ხელნაწერის მმოსველები აკეთებდნენ (14,94).

ამას შევვიძლია დაუმატოთ ვ. კუნინის მონაცემები ამ საკითხზე. საფრანგეთის კარლინალ ჯულიო მაბარინის ბიბლიოთეკის შექმნისა და განსაკუთრებით ბიბლიოთეკარ გაბრიელ ნიდეს ღვაწლის ეპლევასას იგი აღნიშნავს: „ერთხელ იგი (ნოდე. – პ.ლ.) შევიდა ცნობილ ვაჭარ ფუქსიან სენ-ჟაკის ქუჩაზე და ისე, რომ სატიტულო ფურცლებისათვის არც შეუხედავს, შეიძინა 23 შეკვრა ყდაგბლაუკრაზ წიგნი“ (15,176-177).

„სავარაუდო, რომ ვახეგანგ VI-ის სტამბიდან გამოსული პირველნაბეჭდი წიგნების (1709-1722) შემოსვაც იმავე წესით ხდებოდა, როგორც ეს მიღებული იყო უკროპის სტამბებში“, – დასძენს მ. კარანაძე.

იგი პერეთვე თვლის, რომ ანთიმოზ ივერიელმა სახარება საქართველოდან „უყდოდ მიიღო, თავად ჩაუსვამს ძვირფას ყდაში და ამ სახით მიურთმევად <<გოსპოდარისთვის>>“ (14,94).

თუ გავითვალისწინებთ ნ. ბერქნიშვილის მოსაბრებას ქართველი სახარებისა და ანთიმოზის ხელნაწერი და ნაბეჭდი არაბული სახარების მოხატვლობის მსგავსების თაობაზე, მ. კარანაძის დასკვნა მართუბულად უნდა ჩავთვალოთ.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ა. შანიძე, როდესაც ვახეგანგი სეული „ვეუხისტყაოსნის“ მოღწეულ ცალებს აღწერს, აღნიშნავს, რომ უმრავლესობას ყდაზე „მოჭვრეთილი“ ტყავი აქვს გადაკრული (1,402), უნდა ვირწმუნოთ ქართველ მევლევართა მოსაბრებანი იმის თაობაზე, რომ ვახეგანგის სტამბიდან წიგნები თავიზე ურცილი და გამოიღია და ყდებს იმავე უბანში ძველთაგანვე არსებულ სახელოსნოებში დახულოვნებული ოსტატები – ხელნაწერი წიგნის „მმოსველები“ და „მკაბმავები“ უკეთებდნენ.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ თავურცულით გამოვიდა ვახეგანგის სტამბიდან „ვეუხის ტყაოსნის“ და მევლევართა ყურადღება მიიქცია თავურცულის მეორე გვერდზე დაბეჭდილმა ბაგრატიონთა გერბმა, ჩემი მოსაბრებით, ექვედი და მა.

გადავხედოთ ექსლიაბრისის ისტორიას.

მსოფლიოში უძველეს ექსლიაბრისად ითვლება ქაშანურის ფირფიტა,

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ


ఏ తాడుని జీవ్యేత్తిక్కుచూస్తున్నాను గ్రంథాన్ని కూడా శుభ
మానవులు నొప్పించుకున్నారు.

၁၇၂၅

ପାଇଁ କିମ୍ବା ପାଇଁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ପ୍ରଦିପିତା କ୍ଷେତ୍ରରେ ପ୍ରେସରିଟିଯିଲ୍ ପାଇଁ ଏସିଥିରେଇ ମୁହଁ
ଲୋକ ମିଶ୍ନେରିବାରେ : ଫ୍ରାନ୍ସରେ କ୍ରିକ୍ଟିକିଳିଙ୍କିରେ

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ ଅନ୍ତରେ
ଏହି ପ୍ରାଣଦିନରେ ହେଲାମିଳିଗନ୍ତରେ ଯାଇଲୁ
ଅନ୍ତରେ ପ୍ରାଣଦିନରେ ହେଲାମିଳିଗନ୍ତରେ



რომელითაც ამენპოგპ III – ეგვიპტის ფარაონი (1455-1419) XVIII დინასტია – ანაბუქსლ აკეთებდა თავისი ბიბლიოთეკის ხელნაწერში სასამართლებრივი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში) (16,127).

სხვადასხვა ქვეყნებში ექსლიბრისებს (გერბებს) ამოაგვიურინებდნენ ხოლმე ხელნაწერი წიგნების ყდებშე, მაგრამ ექსლიბრისებს მასთან ბრივი გამოყენება დასავლეთ ევროპაში წიგნის ბეჭდვის დამკვიდრებას უკავშირდება. განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია XVI საუკუნეში, ხელოვნების აღორმინების პერიოდში. ამ დროს ექსლიბრისებს ქმნიდნენ ისეთი გენიოსები, როგორიც იყვნენ ალბრეხტ დიურენი, პანს ჰოლდაინი უმცროსი, ლუკას კრანახი-უფროსი. შემდეგ კი ექსლიბრისი რესეტში და ამერიკაში გავრცელდა.

საქართველოში ექსლიბრის კულტურის გაურცელება დასავლეთ ევროპიდან შემოსულად უნდა მივიჩნიოთ. მოუხედავად მნელბედობისა, დასავლეთ ევროპასთან საქართველოს ყოველთვის პერიოდ კავშირი. ამის საბუთი ბევრი გვაქვს: ფრანგ და იტალიელ კათოლიკე მისიონერთა მოგზაურობა და მოღვაწეობა საქართველოში; ქრისტეფორე დე კასტელის ჩანახაგების ძვირფასი ალბომი; თეატრაზე I-ის ელჩის ნაკოლობი ირუბაქიძე-ჩოლოვაშვილის მოგზაურობა იტალიასა და ესპანეთში, 1629 წელს რომში პირველი ქართული წიგნების გამოცემაში მისი მონაწილეობა; სეამბის სპეციალისტის მოწვევება უნგრო-ვლაბეთიდან; სულხან-ხაბა თრბელიანის ელჩობა ევროპაში და სხვ.

გადავხედოთ უნდამენტურ გამოცემებს – რას წერენ ექსლიბრისის შესახებ.

„ექსლიბრისი – წიგნის ნიშანი, რომელიც მიუთითებს წიგნის ვინმექადმი კუთვნილებას. დაწერებება წიგნის ყდის ან ბროშურის გარეკანის შიდა მხარეებს... განარჩევენ სუპერექსლიბრისს, რომელიც ამოიგვიფრება წიგნის ყდაზე ან ყუაზე, და ქაღალდის ექსლიბრისს, რომელიც, ჩვეულებრივ, ყდის შიდა მხარეს თავსღება. სუპერექსლიბრისის დამზადება ძვირო ჯდებოდა. ამიტომ, წიგნის ბეჭდვის დემოკრატიაციასთან დაკავშირებით უპირატესობა ქაღალდის ექსლიბრის მა მოპოვა“ (ხამგასმა ჩემია. – ნ.ღ.) (17,406).

„მე-16-17 სს-ში ექსლიბრისი პერიალდეკურ ხასიათს ატარებდა... მე-17 ს.-ის მძიმე, სამზიმო სტილი, შემდეგ, მე-18 ს.-ში მს უბ უქმა, მოხდებილმა კომპოზიციებმა შესცვალა“ (18,606).

სხვათა შორის, ჯ. ვათეიშვილის აღნიშნავს, რომ ვატიკანში მუშაობოს „ბიბლიოთეკა აპოსტოლიკაში“ ბარბერინის (უბაანო VIII) სახეამბოთ ფონდში ნახა „დაცული მირველი ქართული ნაბეჭდი ტექსტების... უნიკალური ცალები ბარბერინის ოქროთი მოვარაყებული საგვარეულო გერბით“ („პროპაგანდა ფილეს“ სტამბაში დამკვიდრებული ყოფი-

ლა ტრადიცია – ნებისმიერ ქნაგე გამოცემული პირველი წიგნი რომის ეპასთვის უნდა მიერთმიათ (19,42). უდავოა, რომ აქ გერბი ექსეჭუტუარისა რისად არის გამოყენებული.

საქართველოში ექსლიბრისის ისტორიას თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებას უკავშირებენ, მაგრამ ევროპულ კულტურას ნაჩიარები ქართველი მხატვრები აღიერები ქმნიდნენ ექსლიბრისებს. 1918 წელს დიმიტრი შევარდნაძემ თბილისის უნივერსიტეტისთვის შექმნა ემბლემა, ხოლო მისი ბიბლიოთეკისთვის – ექსლიბრისი. გურამ შარაძის ცნობით, 1918 წელს იაკობ ნიკოლაძეს ექსლიბრისი შექმნია კურნალ „პრომეთესთვის“. ექსლიბრისებს ქმნიდა დადო გუდიამვილიც.

ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ია გაჩეჩილამებე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე კალიგრაფ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ხელნაწერ საოჯახო ბიბლიოთეკის წიგნებზე აღმოაჩინა წიგნის ნიშანი – ყდაბე ამოტეფურული ორნამენტული ბეჭედი, რომელიც მთავრულით ჩაწერილია: ჩაჩიკას ძე ნიკოლოზ (20,165). როგორც ჩანს, საქართველოშიც იყენებდნენ ევროპულ ტეიფურულ სუპერექსლიბრისს.

შემთხვევაში აღვნიშნეთ, რომ მე-18 საუკუნე ტეიფურულიდან ქადალდის ექსლიბრისბე გადახსელის გარღმავალი პერიოდია. ქადალდის ექსლიბრისს კი ყდის ან გარეკანის სწორედ იმ ადგილას აკრავდნენ, სადაც ბაგრატიონთა გერბებიდან დაბეჭდილი.

განვიხილოთ „საგამომცემლო მარკის“ განმარტებანი:

„ს ა გ ა მ თ მ ც ე მ ლ თ მ ა რ კ ა . გამომცემლის ან გამომცემლობის საფირმო ნიშანი, რომელიც მოუთითებს გამოცემის წარმოშობასა და კუთხილებაბზე – წიგნის ბეჭდვის აღრეულ პერიოდში წიგნის ნიშანი და ადგილი (და არა მარკად – პ.დ.) გამოიყენებოდა გერბები, ემბლემები, გამომცემლის ინიციალები და სხვ.“ (18,192).

წიგნიმცოდნებითან დავა იმის შესახებ, თუ რატომ თვლიან ცნობილ მეცნიერებამ ფუსტისა და შეფერის (გერმანია), მანუციუსის – ალდაუფროსის (ვენეცია), პლანტენის (ნიდერლანდი), ბროკაშებისა და ეფრონის (ს.-პეტერბურგი) და ა.შ. წიგნის ნიშნებს „საგამომცემლო მარკებად“, შორს წაგვიყვანდა.

ჩემი აზრით, „საგამომცემლო მარკა“ ორგანიზაციებისა და სახელმწიფო გამომცემლობათა დამახასიათებელი ნიშანია. გარდა ამისა, საქართველოში ამ დროისათვის კარგად იყო ცნობილი რომში 1629, 1643 და 1670 წლებში გამოცემული ქართულ წიგნებზე დაბეჭდილი „კონგრეგაცია ფილებს“ საგამომცემლო მარკა, რომელიც წიგნის თავფურცელის პირველ გვერდზე არის მოთავსებული. ამდენად უნდა ვითქმიოთ, რომ ვახტანგს საგამომცემლო მარკის დაბეჭდვის ადგილი არ შეემლე

ბოლა. „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა წიგნების თავფურცელის მიღწეული გვერდზე რომელი (ჩარჩოში) და ყვავილიანი ვაზაა დაბეჭდილს, მოვალეობა ერთად, ბოგან ცალ-ცალკე. ა. შანიძე აღნიშნავს:

„როგორი ჩარჩოში. რადგანაც ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსნის ის ერთი ცალი (A), რომელსაც თავფურცელის ქვედა მხარე შემოუნახავს, ამ როგორის ნაწილში ოდნავ დაბინანებულია და სურათი კარგად არ გამოვიდოდა, ამიტომ იგი 1710 წელს გამოცემული კონდაკი იდან ამოვიდე“.

„უკავილი. ეს სურათი მე სხვა იმდროინდელ გამოცემუბში არ შემხვედრია.* გადმოღებულია ვეფხის ტყაოსნის ერთადერთი (A) ცალი იდან, რომელსაც ეს აღვილი დაუბიანებულად შემოუნახავს“ (1,406).

აქვე უნდა აღვინიშნოთ, რომ უკავილია ან კავილი მეტი მოსკოვში 1705 წელს გამოცემული „ლაუითნის“ თავფურცელზეც (6,5).

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვახტანგ VI-ს გერბი „საგამომცემლო მარკად“ არ გამოვყენებია.

უნდა გამოვრიცხოთ ზემოთ მოხსენიებული ერთი მოსაბრებაც: ბაგრატიონთა გერბი არ შეიძლება იყოს სტამბის „საფირმო ნიშანი“. „უირმა“ კაპიტალისტებური წარმონაქმნია და მას მრავალი დამახასიათებული ნიშანი აქვს (იხ. ქსე, ტ.10) და ამდენად, ვახტანგის სტამბა არ შეიძლება ჩაითვალოს უირმად.

მითუმეტქა, გერბი არ შეიძლება მივინიოთ სტამბის ემბლემად. „ემბლემა რაიმე ცნების, იდეის პირობითი, სიმბოლური გამოსახულება... მაგ: მტრედი – მშვიდობის ემბლემა“ (ქსე, ტ.4, გვ.135).

ვინ არის „ბეჭდის იგბვის“ ავტორი – სპეციალისტთა ძიების საქმეა, მაგრამ გარევეული ვარაუდის გამოთქმა შეიძლება.

ვახტანგ VI-ის ავტორობა გამორიცხულია. იგი თავისთავზე არ იტყოდ „ვახტანგ აკვარვა მსახუელნიო“ მაგრამ სტამბაში იმ ღრუს მუშაობდა მიქელი, რომელიც წიგნების ანდერძებში „მმართველად“ იხსენიება, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ თავფურცელზე კი ვკითხულობთ: „გაიმართა კელმწიუის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა“. პოემის ბოლოს დართულ ლექსში კი თავისთავს „მესტამბედ“ იხსენიებს.

მიქელის პიროვნებით აღრევე დაინტერესდნენ კ კეკელიძე, ა. ბარამიძე და სხვ. ხოლო მოგვიანებით რ. ფირცხალაიშვილმა სტაგიაში – „გაიმართა ხელითა... მიქელისათა“, საარქივო მასალებზე დაყრდნობით

* ბოლო გამოცემებში არის.



დაამტკიცა, რომ მიქელი იყო მწიგნობარ კავკასიძეთა გვარის წარმომადგენერალი. მათ ახლო ურთიერთობა ჰქონიათ მუხრანელ ბაზისაზე გიორგებთან, ორბელიანებთან და სხვა გამოჩენილ პიროვნებებთან; რომ „მიქელის მთელი ოჯახი ისტორიული ღოკუმენტების შემდგენელთა, ძველი წიგნების გადამწერთა და გამმართველთა, ე.ი. რედაქტორთა ოჯახისა (21,87); რომ მიქელის აღმრღვევის მელქისედეკ კავკასიძე ვახტანგ VI-ის მდივანია და ემიგრაციაშიც ხლებია მეუქს და მოსკოვში დიდ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა.

„დიდად განათლებული მწიგნობარი, ქართული სტამბის მესამირკვლეობა წრის წარმომადგენერალი... კორექტორნი და რედაქტორნი; ხელნაწერთა გადამწერნი და ისტორიულ ღოკუმენტთა, მათ შორის სამეცნისაფელთა შემდგენელნი, აღმზრდელ-პედაგოგნი, მაღალი რანგის სასულიერო მოღვაწენი, გამორჩეულნი ზნეკუთილობითა და განსწავლულობით, პოლიტიკურ სარბიულზე მუხრან-ბატონ ბაგრატიონთა ერთგულნი, არჩილის, ვახტანგ მეექსისა და ბაქარის თანხმბლებინი ემიგრაციაში და მათი ხვედრის ერთგულად გამზიარებელნი, ქვეყნის ჭირისა და უბედურების საკუთარ ბელზედ გარღამსახველნი – ასეთია ძველი ქართველი მწიგნობრის მიქელ რუსთველოლოგის დიდი და ღირსეული ოჯახის წინაპართა თუ მემკვიდრეობა სახე“ (21,101).

სხვა რომ არაფერი ვიცოდეთ მიქელის შესახებ, დიდ პოეტურ ნიჭია და რექსტში წვდომის უნარზე მის მიერ შეთხმული, ჩვენთვის ცნობილი ორი სტროფიც მეტყველებს. ამ უნარის გარეშე იგი ვერც „ვეჟხისტებულის“, თუნდაც სხვისი ნასწორების გამოცემას შესძლებდა, როცა ვახტანგი უკვე აღარ იყო საქართველოში.

ასეთ პიროვნებას აღბათ ხელეწიფებოდა ჩასწვდომოდა ვახტანგ VI-ის ახალგამრდობისდროინდელ ისტორიულ ნარკვეებს – „ბაგრატიონთა ნათესაობის წიგნი“ (9,85) და „იგავში“ ჩაექსოვა ჩვენთვის ნაცნობი სიმბოლიკა.

თუ დამტკიცდება, რომ ეს შესანიშნავი ლექსიც მიქელის კალამს ეკუთვნის, მის კოლორიტულ პიროვნებას კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი შეემეტება.

დამრემვებული ლიტერატურა

1. გოთა რესოველი, ვეფხის ტყაოსანი (ვახტანგისეული), 1975.
2. ა. კეკელიძე, მცველი ქართველი ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980.



3. ქ. კვევლი იძე, ბეჭდი ქართული ლიტერატურის ისტორია, გ. ქ. 1981.
4. თ. კახარაძე, ქართული წიგნის ბეჭდები კერძები, თბ., 1980. სამართლისა
5. ხეხნაძე ხხილაძე, ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, II, სპბ., 1854.
6. ქართული წიგნი, თბ., 1941.
7. ქ. გარაშიძე, პირველი ქართული სტამბა საქართველოში, თბ., 1955.
8. ხ. ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971.
9. გ. პაიჭაძე, ვახტანგ მევქევე, თბ., 1981.
10. გ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, თბ., 1952.
11. ქერალდიკა, ღროვანები, შეანდარტება, თბ., 1997.
12. ხ. - ხ. თრბეგლიანი, ლექსიკონი ქართული, გ. II, თბ., 1991.
13. ღ. ჩუბანაშვილი, რესულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1984.
14. გ. გარანაძე, ქართული წიგნის ყდის ისტორიისათვის, „მწიგნობარი – 95-96“, თბ., 1996.
15. გ. კენიანი, კარდინალი და ბიბლიოთეკარი, „მწიგნობარი – 98“, თბ., 1998.
16. გ. ხეხდაძე, ექსლიბრისმა დამეცნიერა, „მწიგნობარი – 85“, თბ., 1987.
17. Популярная художественная энциклопедия, II, М., 1986.
18. Книговедение. Энциклопедический словарь, М., 1981.
19. ა. ჩაქოვავა, ჯ. ვათეგიშვილი, პირველი ქართული გამოცემები, თბ., 1983.
20. ი. გაჩეჩილაძე, ექსლიბრისა უძველესი ნიმუშები ქართულ ხელნაწერებში, „მწიგნობარი – 82“, თბ., 1983.
21. რ. ფირცხალაძე მელია, გაიმართა ხელითა...მიქელისათა, „მწიგნობარი – 84“ (ნაწილი მეორე), თბ., 1986.

სულხან-საბა რეფერანტი – ვერსიზონატ რომი

XVIII საუკუნის სალექსო რეფორმა, რომელიც დავით გურამიშვილის სახელთან არის დაკავშირებული, ვერსიფიკაციულ სათავეს აღრინდეს თხბულებებში, ყველაზე შეტან კი სულხან-საბა თრბელიანის მიერ გადეჭვილ „ქილალია და დამანაში“ იღებს.

ეს ვრცელი პერიოდი რესტავრაციის სალექსო რეფორმიდან XVIII საუკუნემდე, ე. ახალ სალექსო რეფორმამდე, ძირითადად, ბურუსით არის მოცული.

მნელია დავეთანხმოთ იმ აბრს, რომ „ვეფხისგყაოსნის“ დაწერის შემდეგ საქართველოში ერთბაშად შეწყდა ლიტერატურული ცხოვრება. ხულონებას აქვს თავისი შინაგანი, იმანქნებური კანონები, რომლებიც ყოველთვის არ ემორჩილება ეპოქის ხასიათს. თუ კი ქვეყანა არ იყო ძლიერი პირისაგან მიწისა, თუ კი მეფენი მეფობდნენ, მთავარნი მთავრობდნენ, მლევდებინ სწირავდნენ, გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიც იქმნებოდა. ის ფაქტი, რომ ისინი ჩვენამდე სრულად არ არის მოღწეული, არ ნიშნავს ამ პერიოდში მათს უქონლობას. აქედან გამომდინარე, უმართებულობა ტერმინი დაცემის პერიოდი, რომელსაც ზოგჯერ XIII-XV საუკუნეების ქართული ლიტერატურის მიმართ ხმარობენ (ეს შენიშვნელია კიდევ). თუ კი ქართველი მეფეები – დავით აღმაშენებლი, თამარი, თემურაბ პირველი, არჩილი, ვახტანგ VI, თეიმურაბ მეორე, ამბევ ღროს, პოეტებიც იყვნენ, რა ღმერთი გაუწყრათ გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ მეფეს, აღექსანდრე დიდს და სხვებსა და სხვებს, მათი სულიერი მოღვაწეობის ნახანიც რომ არსად ჩანს! ეტყობა, იყო რაღაც, იქმნებოდა რაღაც და დაიკარგა. თუ კი ქვეყნის ამგვარი აოხრების ქაშს ალექსანდრე მეფე მხატვრების მოწვევას ფიქრობს ეკლესია-მონასტრების აღსაღვენად, რაფომ უნდა ვიფიქროთ, რომ იმავე ეკლესია-მონასტრებში ლიტერატურული ცხოვრება მთლიანად ჩამკვდარი იყო? ალბათ ითარიღებოთ და კიდევ თეოლოგიური ლიტერატურა, კელუსიაში სათქმელი საგალობლები, თრიიგინალური ითხბვებოდა, ზოგი მათგანი, შეიძლება, მაღალხარისხოვანიც იყო, მაგრამ, ემთავრებოს გამო, დაწვა, დაიფლითა, დაიკარგა, განადგურდა. გამორიცხული არ არის ამ



პერიოდის ლიტერატურული ძეგლების აღმოჩენის შესაძლებლობა, ამით წომ წევ ვიტყვით – დაცემის პერიოდი, აღორძინების პერიოდი და მა არ იყო, არც აღორძინება იქნებოდა).

ქართული მწერლობის განვითარება ერთი უწყვეტი პროცესი უნდა ყოფილიყო მეგად თუ ნაკლებად ინტენსიური პერიოდებით.

XVII საუკუნე რესთველური დექსის მონიპოლიის ხანაა. თუმცურაზ პ. არჩილი, იაკობ შემოქმედელი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის მიერ ჩახრუხაძის „თამარიანის“ მიბაძვას), მირითადად რესთველური დექსით წერდნენ (თექვსმეტმარცვლაანი დაბალი და მაღალი შაირი, თოხტაეპიანი სტროფით და ოთხჯერადი რითმით). ამასთან, ეპოსის ბატონობა კულავ განუხრელი რჩებოდა.

მაგრამ უკვე ამ საუკუნეში იწყება მცირეოდენი გადახვევები რესთველური სტილისაგან. არჩილი დათუნა ქვარიანსა და ბაბკა დაცალაძეს ასახულებს, მაგრამ თავად არჩილი, თუმცურაზ პირველთან და იაკობ შემოქმედელთან ერთად, ახალი პოეტური ფორმების მაძიებელი და შემომგანაა. რესთველის მიერ დაწუნებული მცირე კანოი („მეორე დექსა ცოტა“) თანდათან იმკვიდრებს ადგილს ეპოსის გვერდით. თუმცურაზის ანბანიკებანი, არჩილის „ჩახრებრ მარუნავი დექსა“, იაკობ შემოქმედელის პალინდრომი და მრავალი სხვა, არა შემთხვევითი, არამედ გაამრჯელი გადახრებია რესთველური ეპოსის სტილისაგან.

ეს გადახრები ეპოსიდან ლირიკისაკენ XVIII საუკუნეში უკვე კანონიშებულ სახეს იღებს. ამ მხრივ სტიმულის მიმეტები სულხან-საბა ორბელიანი გახდა, იმ უბრალო მიტების გამო, რომ მან „ქილილა და დამანაში“ ჩართული სპარსელი პოეტის ციტატები თარგმნა, მცირე ფორმის დექსია. ლირიკის განვითარებას მწვანე გრა გაქსნა. თუმცა მხოლოდ ეს არ არის სულხან-საბა ორბელიანის მთავარი დამსახურება. მისი ნოვაგორული ძიებანი ქართული დექსის სახეთა გამდიდრებისა და გამრავალუეროვნების გზით წარიმართა. რაღაც საბას სალექსო ფორმები სათანაბორი შესწავლილი არ არის, შევეცდებით დეტალური ანალიზით წარმოვაჩინოთ სულხან-საბა, როგორც ვერსიფიკატორი, დექსწყობის ახალი ფორმების შემომზანი.

„ქილილა და დამანას“ საბასეულ რედაქციაში ავტორის მიერ სახელდებული დექსის 20 სხვადასხვა სახეობა გვაქვს. ეს ფორმებია: შაირი, ლექსი, ჩახრუხაული, ფისტიკაური, ტაქი, მრჩობლედი, რველი, შეწყობილი, წყობილი, შერუელი, იამბიკო, უცხო, ჩახრუხაული ძაგნა კორულად, ჩახრუხაული მრჩობლედი, ჩახრუხაული შერეული, მრჩობლედი ჩახრუხაული, მრჩობლედი ფისტიკაური, მრჩობლედი შაირი, ჩახრუხაული ტაქი და ტაქ პი ჩახრუხაული.

თანამედროვე მეტრიკის პოზიციებიდან ამ ფორმათა უმეტესობა ცალკე



სახეობებად ნაწილდება. შაირი „ქილილა და დამანას“ საბახეულ რედაქტორი ციაში 9 ურთიერთგანსხვაებული სახითაა წარმოდგენილი: 1) 53/53, კატრული საბაზის ნი, ოთხჯერადი ბოლორითმით, 2) 53/53, რვატაქტედი, რვაჯერადი ბოლორითმით, 3) 53/53 – ცემპურული რითმით, 4) 53/53 – წინაცემურული რითმით, 5) 44/44, კატრუნი, ოთხჯერადი ბოლორითმით, 6) 44/44 – ცემპურული რითმით, 7) 44/44 – წინაცემურული რითმით, 8) 44/44 – სამჯერადი შიღარითმით და 9) 44/44 – შუარითმით. ამათგან პირველი და მეოთხე ჩვეულებრივი რესთველური ფორმებია – დაბალრუსთველური და მაღალრუსთველური (დაბალი და მაღალი შაირი). შეორე სახეობა შეიძლებოდა ორი დაბალი შაირის შეერთებად მიგვიჩნას, ერთიანი რითმით რომ არ იყოს შეერული (3,846). მონორითმით გადაბმული ორი სტრიფი კალექსის ცალკე სახეობას ქმნის. მესამე და მეოთხე სახეობების გამოყოფა შიღარითმით განაპირობა. ერთ შემთხვევაში დაბალი შაირის ტაქტს ცემპურული რითმია აქვს: „შპპრა შრომანათ ნარევი, სწნით აეჭო არენი“ (3,295). მართალია, ამ ტიპის სამივე ნიმუში ასონანსითაა წარმოდგენილი, მაგრამ ასონანსური რითმა არაერთხელ გვხვდება „ქილილა და დამანაში“. შეორე შემთხვევაში დაბალი შაირის ტაქტი წინაცემურული რითმით არის გამართული: „მუს სამართლები, მუს სამართლები, არ გარე ასონანს ასონას“ (3,441).

ცემპურული და წინაცემურული რითმები მაღალ შაირშიც ქმნიან ლექსის დამოუკიდებელ სახეობებს: „განგვია შენი რჩევა, მოგვხდეს, გვყოს არ აგდვევად“ (3,775) და „ბუბბერა გთა, გამწყო რაგმთა, გველსრულთა და სისხლის მსმელთა“ (3,391). ამასთან კრითად, აღსანიშნავია წინაცემპურული რითმის გამოძახილი ცემპურის უკან, რაც სამჯერად შიღარითმას ქმნის: „ძალლთა ჭირად, ხვისხაგო მგრირად, ფრინველთ ჭირვად იყო ნარვი“ (3,335) და ე.წ. შუა რითმა, რომელიც მოსაბღვრე სტრიქონებს ცემპურის გამჭიოფ ხაზებთან მოჰდის:

თვისსა ხელსა თქოთ ჭირად ადა, თქოთ ყოლე შეიკრებდა,
მისსა ქმნილსა ვინც ნახვიდა, თვალთ გაისათცრებდა (3,930).

შიღარითმის სხვადასხვა სახეობით მიღებული საღექსო ფორმები მაღალრუსთველურსა და დაბალურსთველურში გააბრუნებული არ უნდა იყოს, შემხთვევით ხასიათს უნდა აგარებდეს, მაგრამ რადგან ძველქართულ პოეტიაში და, კერძოდ, „ქილილა და დამანაში“ შიღარითმა ჩვეულებრივ გადაექსის ახალ სახეობათა შექმნის საფუძველია, ჩვენც უფლება გვაქვს მას ვერსიფიკაციული ფუნქცია დავაკისროთ.

მაღალსა და დაბალ შაირს ცალკეული მეტრული ვარიაციები აქვს (332/35, 35/26, 44/26), რაც არაიმვიათია „ქილილა და დამანას“ საბახეულ რედაქციაში, მაგრამ რადგან იგი შაირის გარდა სხვა საღექსო ფორმებ-

საც ახლაქს, მასშე აქ აღარ შეკტერდებით. ასევე არაფურს ვიტყვით ამონ/ იმურ რითმაზე, რომელიც ხაშანდობდეთ არა მხოლოდ შაძრომას გადასართოება არამედ, საბორგადოდ, ლექსის ყველა სახეობისთვის.

შაირზე უფრო ხშირი „ქილოლა და დამანაში“ ლექსია, ლექსი, როგორც ცალკე სახეობი ლექსისა. თუ შაირი საბამდე კი არა, თვით რესტორამდე იყო ცნობილი ქართულ წყობილსიღვამობაში, ლექსი – გარითმული ორგაუპელი – საბას შემოღებულია. ლექსი დაბალი და მაღალი შაირის თუქსმეტმარცვლიანი ფორმითაა წარმოდგენილი. მხოლოდ ერთგან გვეხდება რეამარცვლიანი დაბალი შაირი. მაღალ აშვათია შიღარითმუბიც, თუმცა მისი ცალკეული შემთხვევები ლექსის სახეობისა გამოყოფის საშუალებას იძლევა. ლექსი 5 სხვადასხვა ვარიანტის შემცველია: 1) 35/35 – გარითმული ორგაუპელი, 2) 44/44 – გარითმული ორგაუპელი, 3) 35 – გარითმული ორგაუპელი, 4) 35/35 – შეა რითმით და 5) 44/44 – წინაცემაზე რელი რითმით.

შაირის მეტრული ვარიაციები, რაზედაც ზემოთ მივუთითეთ, აქც ხშირია, ისევე, როგორც მოტნიმური რითმები.

„ქილოლა და დამანას“ ჩახრუხაულის, ტრადიციულისაგან განსხვავებით, ის თავისებურება აქვს, რომ იყო, უმცეს წილად, ორგაუპიანია. ერთგან უქვესგაეპიანიც გვხდება მონორითმით (3,287), მეორე შემთხვევაში კი მონორითმა დარღვეულია, რითმა აცალეკვებს კატრენსა და ორგაუპელს: ააააბბ (3,194). ერთ თოხსეტრიქტნიან ჩახრუხაულს (3,498) ყოველი მუხლი გარითმული აქვს – „თამარიანის“, „თამარ წყნარი, შესაწყნარის“ კალობაზე. სტროფი ერთი რითმი რითმი მოქმედდეს. ბოგჯერ ჩახრუხაულის პირველ სტრიქონს ერთი საერთო რითმა აქვს (შიღარითმა სტრიქონის ბოლო სატყვასთანა შეეღლებული): „შტრვდენ ქორთა, შავარდენს შორთა, კლანჭმახვილ სწრაფთა, მებრძოლთა სწროთა“ (3,206).

შავრამ ეს არ ქმნის ახალ ვერსიფიკაციულ ღირებულებას. სხვა, ზემოხენებული ნიმუშები კი ჩახრუხაულის 4 სახეობის გამოყოფის საშუალებას იძლევიან: 1) 55/55 – კატრენი მოსაბღვრე ბოლო რითმით და წინაცემაზე დარღველი შიღარითმით, 2) 55/55 – ორგაუპელი მოსაბღვრე ბოლო რითმით და წინაცემაზე დარღველი შიღარითმით, 3) 55/55 – უქვესგაუპელი მოსაბღვრე ბოლო რითმით და წინაცემაზე დარღველი შიღარითმით და 4) 55/55 – კატრენი მუხლით შემცველი ერთანა რითმით.

ცალკე სახეობად არ გამოვიყვანით ორი შემთხვევა, როცა ორგაუპიანია ჩახრუხაულის პირველი ტაქი ფისტიკაურია – შიღარითმის გარეშეცა და ტოვებული (3,352, 472). ანალოგიური ვითარებაა ფისტიკაურიმიც (3,320, 845).

საბას ფისტიკაურიც, ჩახრუხაულის მსგავსად, უფრო ხშირად ორგაუპიანია სხვა მხრივ იგი მიჰყვება ფისტიკაურის ტრადიციას – ოთხმულიანი ოცმარცვლებით და უშიდარითმო სტრიქონებით.



შიდარითმის უქონლობა ფისტიკაურის ვარიაციათა რიცხვებს ამცირებს. მხოლოდ ორი სახეობის გამოყოფა ხერხდება: 1) 55/55 – ორგაუპებულებრივი მოსაბღვრე რითმით და 2) 55/55 – კაგრენი მოსაბღვრე რითმით.

თუ ფისტიკაურის, ჩახრუხაულისა და შაირისთვის აუცილებელია მეტ-რის დაცვა, საბას მიერ შემოგანილი ბოგიურთი ფორმა მეტრის (საზომის) მიმართ ინდიურენტულია. ასეთია, კერძოდ, მრჩო ბლ გ დ ი . მრჩობლი საბას ლექსიკონის მიხედვით, ორს ნიშნავს და მრჩობლელიც ლექსის იმ სახეობას დაერქვა, რომლის სტროფები თრ-ორი ტაქტისაგან შედგება და გამართულია ორჯერადი, წყვილადი რითმით. მრჩობლელის მეტრი განსაზღვრული არ არის. აქ საბა გვთავაგაბობს თექსმეტარცვლიან და ოცმარცვლიან საზომებს. ბოგჯერ იგი საგანგებოდ მიგვანიშნებს კიდევ, რომ მრჩობლელი დაწერილია შაირის მეტრით („მრჩობლელი შაირი“), ან ჩახრუხაულის ფორმით („ჩახრუხაული მრჩობლელი“, „მრჩობლელი ჩახრუხაული“). თუ ამ მეტრულ მონაცემებს შიდარითმათა კომბინაციებს დავუმატებთ, მივიღებთ მრჩობლელის 5 სახეობას: 1) 53/53 – ორგაუპიანი სტროფებით და წყვილადი რითმით, 2) 44/44 – ორგაუპიანი სტროფებით და წყვილადს რითმით, 3) 55/55 – ორგაუპიანი სტროფებით, წყვილადი რითმით და წინაცემურული შიდარითმით, 4) 53/53 – შეა რითმით და 5) 44/44 – წინაცემურული რითმით. ერთ მრჩობლელს, რომელიც დაბალი შაირით არის დაწერილი, ბოლო სტროფი მაღალი შაირისა აქვს (3,560). მრჩობლელში სტროფთა რაოდენობაც ნებისმიერია. გამორიცხულია მხოლოდ ორსტრიქტინანი სტროფი, რომელიც ლ ე ქ ს მ ა დაიხა კუთრა. „ქილილა და დამანაში“ გხვდებით ორ, სამ, ოთხ და ხუთსტროფიანი მრჩობლელებს.

საბას მიერვეა შემოგანილი ჩვენს წყობილსიგვაობაში – რველი – მონორითმაზე აგებული რვასტრიქტინანი ლექსი. რითმისა და სტრიქონების რვაჯერადობამ განსაზღვრა ამ სალექსო ფორმის სახელწოდება. „ქილილა და დამანაში“ ავტოგრაფში 10 რველია, რომელებიც გრაფიკულად ან რვა სტრიქტადაა წარმოდგენილი (3 რველი), ან ოთხად (7 რველი), ორსავე შემთხვევაში რვაჯერადი რითმით. ოთხსტრიქტინანმა რველებმა დაბადეს ჭრი, თითქოს რველისთვის ნიშანდობლივი მხოლოდ რითმის რვაჯერადობა იყოს და არა რვასტრიქტინანია. მაგრამ საბას ავტოგრაფში ყოველი თითხსტრიქტინანი რველი სტრიქტითა შეაში, ცეტერის ხაზთან, სარითმო სიგვების ბოლოს, დიდი ინგერვალითაა გაყოფილი, რაც მის რვასტრიქტინანობას ადასტურებს (3,164-166). ასევე მცდარია გავრცელებული აბრი, თითქოს რველისთვის აუცილებელი იყოს საზომის რვამარცვლიანობა. „ქილილა და დამანაში“ ორი რველი ათმარცვლიანია, ორი ჰილევ თექვესმეტმარცვლიანია. ამის მიხედვით შეიძლება გამოიყოს რველის 4 ვარიანტი: 1) 44 – მონორითმიანი რვაგაუპელი, 2) 35 – მონორით-

მიანი რვაგაეპედი, 3) 5/5 – მონიტორინგითმიანი რვაგაეპედი და 4) 35/35 – მონიტორინგითმიანი რვაგაეპედი.

არც შეწყობილისა და წყობილის თვის აქტების შეწყობილისა სტრიქონის მეტრის. მართალია, საბას შეწყობილთა უმტკიცილა თექსმეტმარცვლიანი საბოლოო არის შესრულებული, მაგრამ, ამასთან ერთად, გვხვდება ოცმარცვლიანი და რეამარცვლიანი შეწყობილებიც.

კიდევ უფრო ნაირფეროვანია წყობილი. გარდა ზემოხსენებული საზომებისა, აქ შვილმარცვლებსაც ვხვდებით. წყობილისა და შეწყობილის განმასხვავებულ ნიმანთა შორის კველაზე უფრო მყარი ჩანს სტროფიკა. თუ „ქილილა და დამანას“ 13 შეწყობილიდან 12 კეცხაპიანიანი, წყობილებში ოთხგაეპიანობა ჭარბობს, 12 ნიმუშიდან მხოლოდ ორია კეცხაპიანიანი. მიუხედავად ამისა, წყობილი და შეწყობილი მაინც პევნანა ერთმანეთს. ორივესთვის ნიშანღლივია საერთო მონიტორითმიანობა.

შეწყობილის ვარიანტებია: 1) 35/35 – მონიტორითმიანი კეცხაპიაპედი, 2) 44/44 – მონიტორითმიანი კეცხატაპედი, 3) 55/55 – მონიტორითმიანი კეცხატაპედი და 4) 3/5 – გარითმული ორგაეპედი.

წყობილის ვარიანტებია: 1) 3/5 – მონიტორითმიანი ოთხგაეპედი, 2) 4/4 – მონიტორითმიანი ოთხგაეპედი, 3) 4/4 გარითმული ორგაეპედი, 4) 35/35 – მონიტორითმიანი კეცხატაპედი, 5) 5/5 – გარითმული ორგაეპედი და 6) 5/5 – გარითმული ორგაეპედით და ცეტურული რითმით.

შერეული გარითმების წესითაა გამორჩეული. შეწყობილის კეცხატაპიან მონიტორითმაში ერთი სხვა რითმაა შერეული: ააბაბა. მათუა ბარათაშვილმა „ჭამინიქში“ საბას ის შერეული შეიგანა, რომლის განსხვავებული ხრითმა დეფუქტურია: გარდაბანილი – ცვარული. ამან დააბნია ბოგი მეცლევარი და შერეულად ლექსის ის სახეობა მიიჩნია, რომელსაც ერთი რითმა ჩაგარღნილი აქვს. „ქილილა და დამანაში“ რომ ჩაეხედოთ, ნახაფდნენ, რომ სხვა ხუთივე შერეულს ხრითმა სწორი და გამართული აქვს (3,496, 544, 551, 571 და 691). ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში კი, შესაძლოა, საბამ თავდაპირველად სიგვეის სხვა ფორმა შეარჩია – გარდაბანული: „პირი ბროლ-ლალთა უმჯობე, ინათით გარდაბანული“. რითმა გარდაბანული ცვარული, მართალია, ასონასურია, მაგრამ საბასთვის მაინც ასარანია. შემდეგ, უკვე გამართულ ლექსში საბამ, სრულიად სამართლიანად, გაასწორა გარდა ბანული და მცდარი ფორმა, რამაც რითმის არსებობა საეჭვო გახადა.

შერეული, ისევე როგორც რვული და შეწყობილი, მყარი სალექსო ფორმაა, ვარიაციების გამომრიცხველი. ინტერესის აღმმერელია „ქილილა და დამანაში“ ორი იარ მბირთმა.

არც ერთს არა აქვს შენარჩუნებული ამ ცნობილი და გავრცელებული სალექსო ფორმის მეტრული სტრუქტურა (5/7). ერთი იამბიკო ათმარცვ



ლიანია (5/5), ხოლო მეორე – ცამეტმარცვლედისა და თექვსმეტმარცვლუდის ნაბერთი. არც უწითმობაა დაცული – იამბიკოთა სპეციული ჯერი თვისებში რომელი თრივე იამბიკო მოსაზღვრე რითმითაა გამართული. კლასიფიკირი იამბიკოს ნიშანთაგან საბას იამბიკოებს მხოლოდ ხუთგაეპიანობა შერჩა.

საბას დილმა ავტორიგეტმა განაპირობა სახეშეცვლილ იამბიკოთა შემდგომი გაურცელება. „ჭაშნიკის“ ქრესტომათიაში სწორედ „ქილილა და დამანას“ იამბიკო მოხვედა; დავით გურამიშვილმა იამბიკოს მხოლოდ სასულიერო შინაარსი დაუტოვა, ვერსიფიკაციული სტრუქტურის გარეშე.

ვერ ვიტყვით, რომ საბა იამბიკოს სპეციფიკურ ნიშნებს არ სცნობდა და იგი მხოლოდ ზოგადად ლექსის მნიშვნელობით ქმოდა, როგორც ეს სასულიერო მწერლობაში იყო მიღებული. მაშინ არც იამბიკოს სტრიუქტურული განვითარებულის გაუწევდა ანგარიშს. უფრო სარწმუნო ჩასს შემდეგი გარეულობა: საბამ კარგად იცის, რომ იამბიკო სასულიერო შინაარსის მქონე საღებასთ ფორმა, რომელიც არ მოუღვება საერთო ძეგლს. მით უმტკქს, მიუტივებელი იქნებოდა ამ ფორმის გამოყენება „ქილილა და დამანას“ გამლექსავი სასულიერო პირისათვის. ანდერში, რომელიც წინ უძღვის „ქილილა და დამანას“, საბა წესი იმის გამო, რომ იგი ბერმონაზონი, მოხეს წიგნის ნაცვლად, „ქილილა და დამანას“ აკეთებს, რაც მონაბეჭნისაგან „ეწესობ და ურიგო“. მაგრამ მეტის ბრძანება მოუვიდა და „უარი აღარ იქნებოდა“. ანდერძის ეს ადგილი გვაფიქრებინებს, რომ საბამ საგანგებოდ დაბრლება იამბიკოს სტრუქტურა, სასულიერო ხასიათის ლექსის საერთო ძეგლში თავისი ფორმა დაუკარგა, თუმცა რაღაც ნიშანი (ხუთსტრიქტიანობა) დაუტოვა, რომელიც მას ამ ფორმის სახელდების უფლებას მისცემდა. შეიძლება ვიკითხოთ – თუ ასე ერთდებოდა სასულიერო პოეზიის საღებასთ ფორმას, საერთოდ, რაგომ მიმართოთ? პასუხი ერთი შეიძლება იყოს: საბა ვერსიფიკატორია, იგი უძებს ახალ-ახალ საღებასთ ფორმებს და ეკვე არსებულს უყურადღებოდ როგორ დატოვებს? ხუთგაეპიანობა, რომელიც საბამ შეუნარჩუნა თავის იამბიკოს, „ქილილა და დამანას“ არც ერთ სხვა საღებასთ ფორმას არ ახასიათებს.

„ქილილა და დამანას“ პოეგიკის მკალევარნი და ქართული ლექსის სპეციალისტები საბას განსაკუთრებულ დამსახურებად თვლიან ჰეტეროსილაბური სტროფიკის შემოგანას. ეს აღნიშნული აქეს აკაკი გაწერელის (1,204), ალექსანდრე ბარამიძეს (2,424), მაგალი თოლეას და სხვებს. ლექსი „ექხო“ ანუ როგორც საბა მეორენაირად უწოდებს – „ოთხი ხეთი ლექსი“ მარცვალმონაცვლე საბომითაა შესრულებული. ათმარცვლებით (5/5) დაწერილი ყოველი სტროფის მეოთხე ტაქტი ცამეტმარცვლიანია (3 3 2/5). ეს პირველი შემთხვევაა ქართულ წყობილხიტყვობაში იმოსილაბიმის დარღვევისა; შემთხვევა, რომელიც შემდეგ მვეღქართულ პოეზიაში ნელ-ნელა გავრცელდა (მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშ-

ვილი, ბექისი), ხოლო XX საუკუნის დასაწყისში ქართული მეტრიკის ფოთ-
ერთ საყრდენად იქცა.

„უცხო“ სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. იგი ხუთსტროფანი ლექ-
სია თოხ-თოხ გაეპად წარმოდგენილი (ამიტომ ეწოდა „თოხი ხუთი ლექ-
სი“. სპარსელ თრიაგინალში, სადაც იგი საბადის „ბუსთანიდან“ არის ციტ-
ირებული, ეს სტრუქტურა დაცული არ არის (3, 1000, 1001). დაცული არ არის,
აგრეთვე, მეოთხე, განსხვავებული ზომის სტრიქნის განმეორება, რეფრე-
ნი – განსხვავებული რითმით და არც სტროფების პირველ სტრიქნთა
შიდა (ცეტურული) რითმი: „კარგს ქალს ვინ დირსა, მთარჩენს
ჭირსა ა“. როგორც ვხედავთ, „უცხო“ ვერსიფიკაციულად რითვილი ლექსია.

სალექსო ფორმებს: ჩახრუხაული, ფისტიკაური, მრჩობლები, ტაქპი და
სხვ. საბა, ღრო და ღრო, აუდლებს ლექსის სხვა სახეობებთან და კომ-
ბინირებული სახით გვთავაზობს: ჩახრუხაული შერეული (3,697), ჩახრუხ-
აული ძაგნა კორულად (3,596), ჩახრუხაული მრჩობლები (3,827), მჩრობ-
ლები ჩახრუხაული (3,929), მჩრობლები ფისტიკაური (3,937), მჩრობლები
შაირი (3,591), ჩახრუხაული გაეპი (3,334,340) და სხვ.

თითოეული ნიმუში ორივე სალექსო ფორმის ნიშნებს აღარებს. მა-
გალითად, ჩახრუხაული მერე კლი ჩახრუხაული 20-მარცვლიანი
საბორისა და წინაცემურული რითმის გამო, ხოლო შერეულია ექვსტაცი-
ანობისა და მონორითმაში შერეული რითმის გამო.

ეს კომბინირებული ფორმები უტყვარი საშუალებაა იმის გამოსაცნო-
ბად, თუ რა მიაჩნია საბას თითოეული ცალკე ალებული ფორმის სპეცი-
ფიკურ ნიშნებად. როგორც ვთქვათ, ჩახრუხაულისთვის ასეთი ნიშნებია: საბორი
და წინაცემურული რითმა, შერეულისთვის – ექვსტაციანობა და
მონორითმაში სხვა რითმების შერევა.

ჩახრუხაული მრჩობლები გრძელი სახრუხაულის გრძელების ერთსენტრებულ
სპეციფიკურ ნიშნებს ერწყმის მრჩობლების სტროფთა თრგაეპიანობა
და წყვილები რითმი (aab..).

მრჩობლები გრძელი ჩახრუხაული იგივეა, რაც ჩახრუხაული
მრჩობლები.

მრჩობლები ფისტიკაური აერთიანებს მრჩობლების სტროფთა თრგაეპიანობას
და წყვილების ბოლო რითმით.

მრჩობლები გრძელი გრძელი მრჩობლების ნიშნებს ემატება შაირის თუ
ექსმეტმარცვლიანობა.

საგანგებოდ უნდა შევწერდეთ სალექსო ფორმაზე ჩახრუხაული და გრძელი, სადაც საბა ჩახრუხაულს ლექსის ისეთ სახეობასთან
აუდლებს, რომელის ნიმუში ცალკე არ მიუცია. საბამ იყის, რომ არსებობს
ძველქართული სახე ლექსისა – ძაგნა კორული. შეიძლება მისთვის ცნო-



ბილიც კი იყოს იაკობ შემოქმედელის მიერ გაღლექსილი პოვმის – „უნიკალური ჯულის მოამბადისა და ქრისტენებით გაბაასება“ – სტროფი „აბანგულური მისამართის აბანაკად“, რომელსაც ითანე ბატონიშვილი ძაგნაკორულის ნიმუშად მოიხსენეს. საბას სურს თავის თარუმანში ყველა ქართულ საღვესთ ფორმას მოყეაროს თავი, მაგრამ ძაგნაკორული თავისი უსემანგიკო ტავტოლთვა მეტად თავისებურია და მთლიანად ვერ მოუდგებოდა „ქილილა და დამანას“ ტექსტს. ამიტომ საბა ძაგნაკორულის ფორმას მხოლოდ ნაწილობრივად იღებს. სტროფის მეოთხე რეფრენულ სტრიქონში პირველი ორი მუხლი ტავტოლთვისად: „ზარი დამეცა, ზარი დამეცა, პე, გონიერისა გასაკრთომელად“.

ბოლოსთვის მოვიტოვეთ ტაქპი, რომელიც ხშირი და მრავალსახეობრივია „ქილილა და დამანას“. ტაქპი შეიძლება იყოს: 1) თექსტმეტარცვლიანი დაბბალი შაირის, 2) თექსტმეტარცვლიანი მაღალი შაირის, 3) ოცმარცვლიანი და 4) ათმარცვლიანი.

მაგრამ ჯერ უნდა გაირკვეს – არის კი თავად ტაქპი საღვესთ ფორმა? ამ საკითხზე სცენიალურ ლიტერატურაში დავაა.

ზოგი ფიქრობს, რომ სადაც ჩვენი მოუტები ტაქპზე მიუთითოთ იქნენ, მხედველობაში აქვთ ლექსის (სტროფის) კონკრეტული ტაქპი (სტრიქონი) და არა ტაქპი, როგორც ქართული ლექსის სახეობა.

აშკარაა, რომ სულხან-საბახოვის ტაქპი საღვესთ ფორმაა. იგი ისუთივე დამოუკიდებელი უფლებით სარგებლობს, როგორც სხვა საღვესთ ფორმები: შაირი, მრჩობლელი, რევლი და ა.შ. კომბინირებულ ფორმებშიც ჩახრუხაული მრჩობლელის, ჩახრუხაული შერეველის და მრჩობლელი ჩახრუხაულის გვერდით გვხვდება ჩახრუხაული ტაქპი და ტაქპი ჩახრუხაული. ეს საბახეული კვალიფიკაციაა.

მართალია, როცა ტაქპი გრძელია და, მით უმეტეს, როცა ცეტურულრით მიანია, იგი შეიცავს ორად გაყოფის ტენდენციას და აღიქმება ორ ტაქპად, უ. ლექსისად. მაგრამ ეს მხოლოდ ტენდენციაა. ავტორისეული გრაფიკით კი იგი ერთი ტაქპია, ერთი სტრიქონი. საბახეული ტაქპი უსათუოდ ერთი დასრულებული აზრის მქონეა, რაც მის დამოუკიდებელ არსებობას განაპირობებს: „გაღიას შინა ნამწყვდევი გაფრინდა, როგორც ტრედია“.

უფრო მოგვიანებით ქართულ პოებიაში, კერძოდ, ბესიკისა და გრიგორ თრიბელიანის ლექსებშიც ცალკეა გამოყოფილი ტაქპები და მათი თავისთავადობა ჰქონს არ იწვევს.

შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს მამუკა ბარათაშვილის „ჭამნიკში“ უქაშირებულმა კვალიფიკაციამ: „ჩახრუხაულის ლექსი“, „ჩახრუხაულის ტაქპი“ და სხვ. აქ მაგალითად მოტანილია მთელი სტროფი ან საღვესთ ფორმა, რასაც შემდეგ მოსდევს მისი ორი სტრიქონი (ლექსი) და ერთი სტრიქონი (ტაქპი). იგულისხმება, რომ ტაქპი ამ სტროფის ერთი სტრიქო-

ნია. ერთ ნიმუშს („გრძელი შაირი სამკვეთი მამუქას თქმული“) აწერია
კიდევ: „ამისი ტაქპი“. მამუქასეული „ჩახრუხაულის ტაქპი“ სხვა შესაბუთება
საბასეული „ჩახრუხაული ტაქპი“ სხვა.

საბას კვალიფიკაციებში ბოგჯერ უტესტობა შეინიშნება. 340-ე გვერ-
დტე მოთავსებული ტაქპი ჩახრუხაული არ არის, რადგან იგი წანაცა-
ბურულის ნაცვლად ცეტერული რითმითა გაწყობილი: „ღვთისაგანა მაქებ-
ები ხახონა: შენს ჭანგთა ვნახო მიხი ახონა“.

ამ წესით ტაქპი ჩახრუხაული შეიძლებოდა დარქმეოდა დაახ-
ლოებით 30 ტაქპს, გაცილებით მეტს – ტაქპი - შაირი ბემოთგანხი-
ლულ კომბინირებულ ფორმებშიც გვაქვს ბოგჯერ ამგვარი შეუსაბამო-
ბა, მაგალითად, საგანგებოდ გამოყოფილი მრჩო ბლედი შაირი (3,591) არაფრით არ განსხვავდება შაირის საზომით დაწერილი
მრჩო ბლედი ბის აგან, რომელთა რიცხვი „ქილილა და დამანაში“
ოცდაათზე მეტია.

უნდა ვითქინოთ, რომ საბა ერთი-ორი მინიშნებით კმაყოფილდებოდა
და ყველა შემთხვევის აღნუსხვას საჭიროდ არ მიიჩნევდა. ერთხელ
გვითხრა, რომ მრჩობლები შაირის საზომით არის დაწერილით, რო-სამ
შემთხვევაში მიუთითა, რომ ეს ტაქპი ჩახრუხაულის ფორმითაა შესრულე-
ბულით და იგულისხმება, ანალოგიურ შემთხვევებს მკითხველი თავად
მიაგნებსო.

შეიძლება ეს იყოს ბოლომდე გაუსწობიერებული ინერცია სხვა კოშ-
ბინირებული ფორმების ანალოგით გამოწეველი. არც ლაფსუსებია
გამორიცხული. ბუნებრივია, ვეებერთელა თხბულებაში კალმისმიერი თუ
სხვა ხასიათის შეცდომები იქნებოდა და არის კიდევ: 1) 320-ე გვერდტე
ფისტიკაურის მეორე ტაქპი, ხოლო 345-ე გვერდტე ფისტიკაურის პირველი
ტაქპი ჩახრუხაულია (წინაცემურული რითმითაა გამართული), 2) 352-ე
და 472-ე გვერდები ჩახრუხაულის პირველი ტაქპები ფისტიკაურია (შო-
დარითმა არა აქვთ), 3) 478-ე გვერდის დასაწყისში მოთავსებული ლექ-
სი ბუსტად იგივეა, რაც 639-ე გვერდის შეწყობილი არის; გარდა იმისა,
რომ შეწყობილი ორგავებიანია და გარითმული, აქ საერთოა საზომიც –
რვამარცვლიანი დაბალი შაირი. შდო. ლექსი:

მთვარემან მჩე მოაწვია,
კრონოსთან და აწვია.

შეწყობილი არის თუ ღრუბელს ატარებს,
კლდე ქარსა გაიმხატვარებს.

4) 373-ე გვერდტე შაირი ორ ტაქპად არის წარმოდგენილი და ფაქ-
ტიურად ლექსი (ანდერძში, რომელიც მან წაუმდგარა „ქილილა და



დამანას“ თარგმანს, საბა შაირს ხშირად ორგაუპიანი ფორმით გვაწვდის, მაგრამ შემდეგ, როცა ორგაუპიან ლექსის თავისი სახელი მოუწახა, შეამჭიდროვა ყველგან ოთხგაუპიანია, გარდა ერთადერთი შემოხსენებული ნიმუშისა). 5) 283-ე გვერდზე, პირიქით, მოთავსებულია ოთხგაუპიანი შაირი და აწერია და ექსი და 6) 505-ე გვერდზე წარმოღვანილია ფიტიკური ტემატიკური ცოტნილიანი საბომითა და ბოლორითმით, აწერია კი და ექსი.

და ექსი 600-მდე ნიმუში „ქილილა დამანაში“ (იგი ყველა სალექსო ფორმაბე მეტია), არც ერთ შემთხვევაში არ უხვევს თექვსმეტმარცვლიანი შაირილან.

ამ უნგბლიერ დარღვევებსა და წინააღმდეგობებზე იმიტომ შევაჩერეთ ყერადღება, რომ საბას ლექსის სახეობათა კლასიფიკაციის დროს მწერლის კალმისმიერი ლაფსუსები გააზრებულ აქტად არ იქნას მიჩნეული.

შემაჯამებელი მსჯელობა საბას ვერსიფიკაციაზე მეტრიკით უნდა დავიწყოთ. ლექსის რა და რა საბომებია გამოყენებული „ქილილა და დამანაში“? რომელია ამათგან ძველი, აღრინდელი და რომელი ახალი, საბასული?

ადრინდელი ფორმებია: თექვსმეტმარცვლიანი დაბალი და მაღალი შაირი (53/53 და 44/44), ოფმარცვლები (55/55) და რვამარცვლები (4/4, 5/3). საბას მიერ შემოგანილია ათმარცვლიანი (55) და ცამეტმარცვლები (53/5).

თექვსმეტმარცვლიანი შაირის ფორმათაგან გაცილებით ხშირია და ბალი შაირი, იგი დაახლოებით ოთხჯერ მეტია მაღალ შაირზე. შაირის ფორმებს, ცხადია, საბა ერთმანეთში არ ურევს.

იმეიიათიდ ცამეტმარცვლები (53/5). იგი მხოლოდ ორ ლექსში გვხვდება, ისიც არა დამოუკიდებელი სახით, არამედ სხვა საბომებთან შეუდლებული. მაგრამ ცამეტმარცვლებმა საბას ნოვაგორის ტიტული მოუტანა, რადგან იგი სათავე გახდა ქართული ჰეტეროსილაბიტმისა. ერთგან ცამეტმარცვლები ათმარცვლიანი ლექსის რეფრენია („უქხო“, მეორედ კი ხუთრაებიან ლექსში პირველ თოხ აღილს იჰერს („იამბიკ“, 3,401).

რვამარცვლიანი მაღალი შაირით აქვს საბას დაწერილი ხუთი რვეული და სამი წყობილი, საიდუსტრიალური:

რა ისტატი ახორ სხმიდა,
მისი გველი სხვას იწვროიდა:
ონით ხრმალებრ მტერთა სრვიდა

და ა.შ. („რვეული“)

რვამარცვლიანი დაბალი შაირის ნიმუშია:

კოშაკმა უოხრა დედასა,
სიტყვასა გადარებ ყბუდასა
და ა.შ. („რვეული“)

უდავობა. მკითხველისათვის აშკარაა, რომ წინადაღება მექანიკურად არის გაწყვეტილი, ქვემდებარე მეორე სტრიქონისა გადასული, სტრიქონის უძველეს თვეში პაუზა შესუსტებულია, კლასიკური დექსის მწყობრი რიტმული დინამიკა და დარღვეულია.

რითმის უწყეცია სალექსო ფორმის შექმნაში ადგილმდებარებით ამოიწურება: სად არის მოთავსებული სარითმო სიგყვები და რა ხერხით ირითმება სტრიქონები? ამ თვეაღსაბრისისთ საკმათო მრავალფეროვანია „ქილილა და დამანას“ პოემია. ბოლორითმასთან ერთად ხშირია შოდარითმა, იგი წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმით: ცეტურული, წინაცემა ბურული, წინაცემულ-ცეტურული, შეურიცხვის რითმი. საბა ტრადიციას მიჰყება, კველა ეს ფორმა, ბოგი გაუცნობილებელი სახით, ნაცნობია კლასიკური დექსისათვის. სიახლე, რომელიც საბამ მოიგანა, ბოლორითმის სახეობებს შეეხება. ორჯერადი (aa), წყვილადი (aabb), ექვსჯერადი, რვაჯერადი რითმები და, განსაკუთრებით, შერეული რითმა (aababa) სრულიად უცხო იყო აღრინდელი ქართული პოემისათვის.

როგორც ცნობილია, ადგილმდებარების გარდა, რითმის მრავალი სხვა პარამეტრი აქვს. საბას რითმა ყოველმხრივ შესწავლას საჭიროებს, მთა უმეტეს, რომ იგი მაღალი ღირებისაა.

არ შეიძლება ორითდე სიგყვა არ ვთქვათ რითმის ევფონიაზე. საბა კლასიკური ბუსტი რითმის ერთგულია. ხშირად რითმის თანაცალები ურთიერთ იდენტურია (ომონიმური რითმი), ხშირად კი რითმის უმოკლეს წევრი მთლიანად. არის შესული უგრძესში (შეთავსებული რითმი). საბას ომონიმური რითმები, რომელთა რიცხვი საგრძნობლად დიდია, „თამარიანისგან“ განსხვავებით, უფრო მარტივია და ადვილად გასაშიფრო.

ჩვენი ყურადღება მიიქცია კონსონანსის ორითდე ნიმუშმა, რომელებიც, ცხადია, შემთხვევითია, მაგრამ თანამედროვე მკითხველისათვის საინტერესო: მონაცემები რეორდის - მონაცემების (ჩახრებაული, 575) მრავალმარცვლიანი, შედგენილი რითმაა და შეუძინებელი გამოცვლით – მოუღოდნელობის ეფექტს ქმნის.

კიდევ უფრო შემთხვევითია შერეული დაბოლოების რითმა, როცა რითმის ბოლოში ერთმანეთს ხელებიან ხმოვანი და თანხმოვანი: „განგზა ბაა შენი რჩევა, მოგვვდეს, გვყოს არაბრდვევად“ (3,775).

ცხადია, მხოლოდ გერსონიკაციული ანალიზით ვერ შევქმნით წარმოდგენას, „ქილილა და დამანას“ დექსის ღირსებაზე, საბას პოეტურ ხელოფრიბაზე რაც ჩვენში ამრთა სხვადასხვაობის საგანიც ყოფილა (ა. ბარამიძე, ვ. გაბეგვირია). საბას პოემია, თქმა არ უნდა, საბას პროზის დონეზე ვერ დგას; არაიმეიათია უუკრული, სილადეს და სილამაზეს მოკლებული მრჩეობლე

დღები, შაირები თუ ჩახრუხაულები, თუმცა ამის განზოგადება არ შეიძლება.

კურძოდ, „ქილილა და დამანას“ ამ ლექსებს წუნს ვერავინ დასდებს:

ნიადაგ ჭირთა ვაბივარო
ყოველნი თვისი წესითა,
არავინ არის აბატი,
სად მოვრჩებოდე მე, სითა? (ლექსი, 691).

ანდა:

თუ ამას წინათ ჩემს ხელთა
იყო ჩემივე ნებანი,
რა თქვენა გნახე, დამვარდა,
თქვენ წინა აქვან დებანი (ლექსი, 377).

კარგი სტრიქონები შემთხვევით არ იწერება. მაგრამ ამჯამად საბას პირების ვერსიფიკაციული მხარე გვაინტერესებს, მისი სალექსო ფორმული, რომელიც მიღებულია საბომების, სტროფული ნაირსახეობებისა და გარიათმების სისტემების კომბინირების შედეგად. ამ გზით იქნება 41 სალექსო ფორმა, კ.ა. ლექსის 20 სახეობა, რაც „ქილილა და დამანამია“ უიჭირებული, 41 სალექსო ფორმას გვაძლევს. მაგალითად, სხვადასხვა ფორმულია: 53/53 კატრუნით და ოთხჯერადი ბოლორითმებით და იგივე საბომი რვა ტაქტებით და რვაჯერიადი ბოლორითმით.

ამ სალექსო ფორმებიდან პირველ ცხრა ადგილზე მაირია (პირველ ოთხზე და ბალი შაირი, მე-5-9-ზე კი მაღალი შაირი). მე-10-12 ნომრები ღვევეს ს უჭირავს, მე-13-16 ნომრები - ჩახრუხება, მე-17-18 ნომრები - ფიხი ფიჯა ურს, მე-19-21-ე ნომრები - მრჩობლება, 22-ე-25-ე ნომრები - რეულება, 26-ე-28-ე - მეწყოლება, 29-ე-32-ე - წყობილება, 33-ე-34-ე - მერგელება, 35-ე-36-ე - იამბიკოსება, 37-ე ნომერში თთხილი უთიო ღვევესი („უცხო“), 38-ე ნომერზე - ჩახრუხება, მე-40 ნომერზე - ჩახრუხება ული მრჩობლები და, ბოლოს, 41-ე ნომერზე - ჩახრუხება ული ძაგლი აკორეულება.

ამას უნდა დაგემატოს კიდევ ერთი სალექსო ფორმა იმ სამილევ თრიაგინალური ლექსიდან, რომელიც, აგრეთვე, საბას სახელით არის ცნობილი: „ანბანთქება“, „საბას ნათქვამი“ („სიცყვის კონაბე“ მინაწერი) და „საბას ნათქვამი“ („მოვგბაურო ეტლი მკრთოვარე“).

საბას „ანბანთქება“ ამ განვისელებული სალექსო ფორმის იმგვარი სახეობაა, რომელშიაც ყოველი ახალი სიტყვა ანბანის ახალი ასოთი იწყება („ალამი ბასრი გალესული...“) და ქართული ანბანის მთელი რიგი ერთ სტროფში თავსდება. საბას „ანბანთქებას“ ამავე ფორმით გაეპარ-

სუხა არჩილი („სულხანის პასუხად“), რაც იმაშე მეტყველებს, რომ ლექსი აღრეა დაწერილი, საბას ერთსკაცობაში, „ქილილა და დამანას“ გალექს-ვამდე.

ამრიგად, სულხან-საბა თრბელიანი 42 სალექსო ფორმის ავტორია, რაც იმ ღრუისათვის მეტად მნიშვნელოვანი სიახლე იყო. მის მფრ შემოტანილი და სახელდებული ტაქტი, ლექსი, მრჩობლები, წყობილი, შერეული, რვული და სხვ. საქმით ფართოდ გაერცელდა ძველქართულ პოეზიაში და ბოგიერთი მათგანი (მრჩობლები, შერეული, რვული) დღესაც რომ შემოქმედებით პრაქტიკაში იყოს, ამით თანამედროვე მეტრიკა მოიგებდა.

სულხან-საბა თრბელიანი გამოჩენილი ვერსიული კატერია. მირითადად მისმა ვერსიული კაციამ მოამზადა ნიადაგი დავით გურამიშვილის სალექსო რეფორმისთვის.

დამუშავებელი ლიტერატურა

1. ა. გ ა წერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953.
2. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ბეჭდი ქართული ლიტერატურა (V-XVIII სს.), თბ., 1954.
3. „ქილილა და დამანა“, ტექსტი დადგინა, შესაფალი, კომენტარიუბი და ლექსიაკონი დაწერთო მ. თოდევამ, თბ., 1975.
4. ა. ხინობიძე, პოეტიკური ძიებანი, თბ., 1981.

მითის მხატვრული ტრანსფორმაცია მოდერნისტულ მოთხოვბაზე

მრავლად მოგვეპოვება. საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა და პირადი ბიბლიოთეკები და „ქართველები ბრუნავდნენ არა მხრილებულებისა კუთარი ბიბლიოთეკის ხელშექებლობაზე, არამედ უკლესია-მონასტრების წიგნთასაცავების ბედზეც. ისინი მესწირავდნენ რა ხელნაწერს ამათუ იმ მონასტერს, წინასწარ უთვლიდნენ წყველა-კრულვას მას, ვინც გაბედავდა და მათ შეწირულებას მიითვისებდა ან დააბიანებდა“.⁷ ეს კრ. „დამსკველი“ წარწერა მფლობელის უფლებას ამჟაიღრებდა წიგნზე და ამით ამრობრივი მნიშვნელობით შორეულ ანარეკლს პოულობს ექსლიბრისთან. წყველითი წარწერის ნამუშს გვაძლევს XVIII საუკუნის კალაგრაფის ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ანდერიძის მონაცევითი, სადაც კეთხლობთ: „წყველი იყოს ის კაცი თუ ქალი, რომელმაც თხოვნით წაიღოს და ამის პატრონს დაბავიწყდეს და აღარ გამოიწიოს. წყველი იყოს, რომელსაც აქედამ ამბავი მოეწონოს და ან რვეული ამოგლიჯოს და ან ფურცლი აღმოხიოს და ან უბრალო არშიაზე ბლაჯვა დაუწყოს ან ფინთად და უნაღელელად და ნისიათ იქმაროს“⁸. ან კიდევ ამგვარი მინაწერი შოშიგა ერისთავის დაკვეთით შესრულებულ გულანში: „ძემან კაცისამან ანუ დიღმან, ანუ მცირემან, ანუ მეფემან, ანუ მთავარმან, ანუ ეპისკოპოსმან, ნათესავმან ადამიასამან ეს გულანი გამოიხოს ამ სახლს ან ძალით წაიღოს, ანუ ნებით გასცეს, ანუ სხვამან, ანუ ნათესავმან ჩ-ნ-მან, სახლისა ამის ჩ-ნისაგან წარიღოს და დაუკარგოს სახლსა და ნათესავსა ჩ-ნსა, ჩემსამც ცოდვასა და კანონს ქუშშ არის და მეორედ მოსლვას ჩემი ცოდვის პასუხის გამცემი ის იყოს. ვინც ეს წიგნი...ამ სახლიდამა დასაკარგვად ქელ-ყოს, ღმერთმან ნუ უხსნას მის სულსა ნურც წირვითა, ნურც ლოცვითა, ნურცა გლახაკთა მიცემითა“⁹.

ამგვარი წარწერების რიცხვი ძალზე დიდია და აღარ გავავრმელებთ მათზე საუბარს, ვიგყვით მხოლოდ, რომ ჩვენც ვიმიარებთ იმ მკელევართა აბრს, რომლებიც თვლიან, რომ ამ წარწერებსაც და ექსლიბრისსაც წიგნის „დაცვის“ უფრქცია აქვთ დაკისრებული და სწორედ ამაში გამოხატვება მათი „მსგავსებაც“, თუმცა ეს მსგავსება, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამრობრივ გაგებას გულისხმობს.

1709 წელს, ვახტანგისეულ სტამბაში დაბეჭდილი სახარების ერთ-ერთ ეგბემპლარზე, რომელიც ინახება საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატაში ($\frac{1}{1709}$), წიგნის მფლობელის საკუთრების გამოხატვის ახლუბერი ფორმა გვხვდება. ეს არის გენასული მიტროპოლიტის ეფთემეს ბჭეჭ

7 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1962, გ.I, ნაკვეთი I, გვ. 70.

8 იქვე, გვ. 69.

9 იქვე.

დი, რომელიც სფრაგისტიკის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს და 1781-
1822 წლებით თარიღდება.¹⁰ ბეჭედი დასმული იყო მიტროპოლიტ ეფთვამებეს
შექმნილ ამა თუ იმ საბუთზე და მის ხელმოწერის აღასტურებული
სახარებაში, იმ ფურცელზე, რომელზეც ვახტანგ მეუქვის პორტრეტია მო-
თავსებული, პორტრეტის ზევით „გაკრელი ხელით“ შესრულებულია წარ-
წერა: „ეს სახარება გოლოგნის ეკლესის არის“ და წარწერის ბოლოს
დასმულია გენასტელი მიტროპოლიტის ეფთვამებეს ბეჭედი, რომელიც ბალტე-
შერალად იკითხება, ძლიერ შესამჩნევადა დაბეჭდილი ფურცელზე ეს
არის რვაკუთხა მოხამატულობის ბეჭედი (18x16), გარშემო მხედრული, შეა-
ში ასომთავრული ლეგენდით (ილ.1). ამ წიგნზე ხელით შესრულებულია
მინაწერი, მრავალრიცხვან პირთა პიროვნების აღმნიშნელი წარწერები,
რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მან სხვადასხვა პატრონის ხელში გამოი-
არა, მაგრამ ამ წარწერებს შორის ჩვენთვის ყერადსაღებია წიგნის მფლო-
ბელის ფორმად საკუთრების აღმნიშნელი ბეჭდის გამოყენება.

საკუთრების აღმნიშნელი წარწერები ახლავს 1709 წელს გამოცემულ,
ვახტანგის სერიაში სტამბაში დაბეჭდილი სახარების მეორე ეგზემპლარსაც
(ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q 912), რომელიც ვერცხლის მოოქროვილ ყდა-
შია ჩასმული (22,5x20) და ძვირფასი თვლებით არის შემკული (ფირუზი,
ზურმუხტი). ყდის უკანა მხარეს, ორამატებული ჩარჩოს ქვევით ამოჭედ-
ილია ტექსტი: „მთავრინია უკატირინა. ჩყოგ წელსა“.

წიგნს აქვს თეთრი, სადა ფორმაცია ფორმაციის შემდეგ, მეორე ფერ-
ცელზე, მარჯვენა მხარეს არის შესრულებული მინაწერები: 1. „ჩყიბ წელ-
თა, ოდიშის დედუქლის, წერეთლის ასულის მართას მშითუს არის ეს სახა-
რება“. 2. „ღმერთო, შეიწყალე დაქლიანი ლეონ“, წარწერის დასასრულს
ლევან დადიანის ხელმოწერად რესულად „ლეონ დადიანი“. ამ წარწერებს
ქვევით კი მოჰყვება ტექსტი: 3. „ეს წმინდა სახარება მოვაჭედინეთ და
შევამკეთ თვლებით მე და ძემან ჩემმან კნიაგრა მეგრელისამან
ნიკოლაობმან და დავახვენეთ ჩვენს საბაჟებულო სასახლეს, კელესიასა
შინა, გორდეს. 1872 წელს, 9 მაისს. მთავრინა უკატირინა“. წარწერა დას-
რულებულია ეკატერინე ჭავჭავაძის ავტოგრაფით. ტექსტის დასასრულს,
ბოლო ცარიელ ფურცელზე, ასევე ხელით არის ნაწერი: „ქ: ოდეს ეამთა
ვითარებისაგან მეფე ვახტანგ მიბრძანდა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს[!],
თან ვიახელ ნიკოლოზ აბაშიშვილი; ვეკურთხე არქიმანდრიიგად, დიდის
ქალმწიფის ბრძანებითა და წმინდის სინოდის შენდობით და კურთხევი-
თა ქ: ქ ს ჩდლვ, თვესა სეკდებურის: ქ:“¹¹

ეს წიგნი ხელნაწერთა ინსტიტუტში მოხვედრამდე თავად ლევან და-

10 ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, I, თბ., 1978, გვ.115.

11 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, გ.II, თბ., 1958,
გვ.334-335.

დიანის საკუთრება იყო და დადიანთა საგვარეულო ბიბლიოთშემაში ანა-
ხებოდა. წიგნზე შესრულებული წარწერები საფერადლები ცნობებს ჰქმდ-
დის მის მფლობელთა შესახებ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი წერტილის
ყდის უკანა მხარეს ამოჭედილი ის წარწერაა, რომელიც გვამცნობს, რომ
„მთავრინა ეკატირინა“-სია ეს სახარება. წიგნის მფლობელის სახელის
ყდაზე დატვირთით ერთგვარად შინაარსობრივი ასოციაცია იქმნება
სუპერიუქსლიბრისთან.

სუპერექსლიდიბრისის მსგავსი ნიშანი აღმოჩნდა აგრეთვე XVIII საუკუნის ხელნაწერებშე, რომელიც კალიგრაფიული ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ არის შესრულებული. ეს სუპერექსლიდიბრისი 1983 წელს გამოავლინა კ- კეკალიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ია გაჩერილაძემ და „მწიგნობარი-82“-ის კრებულში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ექსლიდიბრისის უძველესი ნიმუში ქართულ ხელნაწერებზე“,¹ ამითომ ჩვენ ამ ექსლიდიბრისზე დაწვრილებით აღარ ვისაუბრებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს ოვალური ფორმის მცენარეული დეკორისაგან და ასომთავრული შრიფტისაგან შევსებული დამდაწიგნის ორივე მხარეს წინა და უკანა ყდაბეჭდი არის დაგვიფრული (ილ.2). ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ამგვარი სუპერექსლიდიბრისით შემკული ოთხი ხელნაწერი: 1) წიგნი ისტორია, I-93 წ. A-1168; 2) ხელნაწერი კრებული, 1774-1779წ., A-860 (A-999); 3) რუსუდანიანი – 6. ჩაჩიკაშვილის მიერ შევსებული და აკონტაული, XVIII ს., S-3698; 4) კრებული, H-341. 6. ჩაჩიკაშვილის კუთვნილი ერთ-ერთი წიგნი ინახება ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტის განყოფილების საცავში. ეს არის ერეკლე II-ის სტამბაში 1783 წელს დაბეჭდილი კონდაქ (K 2532/309). ამ წიგნის ტვიფარიც ზემოთ ნახსენები ჩაჩიკაშვილისეველი სუპერექსლიდიბრისის იდენტურია.

ჩაჩივაშვილის ეული სუპერექსლიბრისის მსგავსი მოხატვულობის ტვიფიარს მივაკვლიერთ XVII-XVIII საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის უკანა მხარეს. ეს არის ხელნაწერთა ინსტიტუტი დაცული ქამ-გულანი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-938), (იღ. 3). წიგნი ტყავგადაკრული ხის ყდითა ძემოსილი, იგი სქელტანიანია, სამუალო ზომის (19,1x15), კარგად შემონახული მოყავისფრო-მოყვითალო ყდით. წინა ყდა უფრო შევხებულია კომპოზიციით, მასზე დატვირულია ჯვარცემის სცენა. უკანა ყდაზე კი მეტი თავისუფალი არეა დატოვებულია. ცენტრში მოთავსებულია სუპერექსლიბრისი, რომლის გარშემოც ყდის სიბრტყე თავისუფლია. წიგნის ნიშანს ოვალური მოხატვულობა აქვს და გარშემოვლებულია ოთხ კუთხა ჩარჩოთი. სუპერექსლიბრისის ტვიფარი ძალზე დამიანებულია, ზედა მარცხენა

12 „მწიგნობარი-83”, თბ., 1983, გვ. 183-187.

1



გენათელი მიტროპოლიტის ეფთვიმეს ბეჭედი



2

კალიგრაფიული ნიკოლოზ ჩახიგაშვილის
მიერ შესრულებული
სუპერექსლიბრისი

3



ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული
ჟამ-გულანის (XVII-XVIII ს.)
სუპერექსლიბრისი
(მოხაზულია ორიგინალიდან)



4

„ეამის წირვა ანუ კონდაქი და კურთხევანის“ (XVIII ს. ხელნაწერი)
სუპერექსლიბრისის ნიმუში (ამოხაზულია ორიგინალიდან)

მხარეს არ იყოთხება, ფონი ბრტყელია, მხოლოდ ქვედა ნაწილში გაითხება ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები (ო, ნ, ვ, ლ, ძ, ე). სამწუხანოლო, ჩაუკუნ ვერ შევძელით შერჩენილი ასოებისაგან სახელის ან გვარის სრულად ამოკითხვა, ვრცელდება მოცემული ანდერძით გავარკვით წიგნის მფლობელის ზუსტი ვინაობა. ერთ-ერთი შერჩენილი დაბიანებული ასოს მოხაზულობა წაგავს ასო ლ-ს და ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაულოთ, რომ იგი დაქარაგმებულად წარმოადგენს გვარს – ლესელიძე, რადგან შემწირველის ანდერძმი ხშირად არის მოხსენიებული ვინმე იოსებ ლესელიძე: 286 გვერდზე ვაითხეულობთ: „მოიხსენე უფალო, წინამდღარი ეს იოსები... ეამნი ეს იოსების არის. გაბრიელ, იყითხე!“, 288-ე გვერდზე: „უღირსმან მღრღელ (I) მონაბორნმა, წინამდღარმა იოსებ, თქვენს წმიდას გრიგოლს მცირე ესე ქამ-გულანი შეცხადოთ, საობად ამ ცოდვილისა სულისა ჩემისად. ღიამშობელო, მოგვიხსენენ“, 289-ე გვერდზე: „ელა... [პი]რველ მოქმედსა დიდისა მეუფისა წინაშე კადნიერად მდგომარეობა წმიდასა ღიამშობელსა და საყვარლად უფლისად ძმად წოდებულსა იაკობს შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი მე, წინამდღვარსა (I) იოსებისა (II) ლესელიძეს (III) ჩემი ცოდვილი სულის საცხოვნებლად და ძმის ჩემისა ა-ბიმის (IV) სადღეგრძელოდ და გაბრიელისა ჩემისა გასამრღელად და წასამართებლად, ამინ, უფალო, და კირიელებისონ“. ძირითადი ტექსტის დასასრულს, ბოლო უურცელზე დართულ მოხსენიებლებში კი მრავალი აღამიანის გვარია ჩამოწერილი, მათ შორის: ქეთევან იოსელიანი, თამარ ლევალვაბერიძე, გელუანის ქალი, იოვანე მღვდელი კაჯაღმაძე... და სხვა მრავალი. ამ ჩამონათვალშივეა ისევ საგანგებოდ გამოკვეთილი იოსებ ლესელიძე – „[მ]ოიქსენე, უფალო, ორსავე ცხორცბასა შინა იოსები ლესელიძე და მეუღლე მისი თამარ ხოშტარის ქალი, ამინ და კირიელებისონ“ (289 გვ).¹³ ამ წარწერებზე დაყრდნობით მივცით თავს ნება სუპერექსლიაბრიასბე შერჩენილ დაბიანებულ წარწერაში გვარი ლესელიძე გვეგულისხმა, თუმცა დაბუსტებით ძნელია ამის მტკიცება.

სინის მონასტრის ქართულ ხელნაწერებში აკადემიკოსი ნიკო მარი აღწერს რა Sin 68, მრავალთავს – ტყავისაგან შესრულებული ყდის წინა მხარებე შენიშნავს სტილიზებულ ტოლფერდა ჯვარზე შემოვლებულ კვადრატულ ჩარჩოს, რომლის ზედა ნაწილში, ასომთავრულით შესრულებულია დაქარაგმებული სახელი გ ბ-ლ – გაბრიელ და ამ პიროვნებას ხელნაწერის მფლობელად ან წიგნის შემმოსველად მიიჩნევს.¹⁴

13 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სამოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H. კოლექცია), გII, თბ., 1951, გვ. 311-313.

14 Mapp H. Я., Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.-Л., 1940, გვ. 171, გამ. III.



სეპერემბერის ნიმუში გვხვდება აღრეთვე XVIII საუკუნის ხელ
ნაწერ წიგნზე „ქამის წირვა ანუ კონდაკი და კურთხევანი“ (ხელნაწერი 2012 წლის ივნისი). A-107, XVIII ს.). ეს არის დიდი ზომის წიგნი (25,5 x 18,5), მუქ
ოქროსფერი ტყავის გადაკრელი ხის ყდათ, რომელის ცენტრში დაგვი-
ფრელია ექვსფერულება ყვავილი ფურცლებს შორის მოხდენილი, მრგვლო-
ვანი ასოებით ჩასმულია წარწერა – „ზოსიმე“ (იღ. 4).

კავი თავის გარეშე მომდევნობილი იყო. მაგრავ მდიდრულია, მაღალმხატვრულ დონ-
ყდის საერთო კომპოზიცია მეტად მდიდრულია, მაღალმხატვრულ დონ-
ებია გაფორმებული. მის კომპოზიციას ქმნის ოთხივე მხრიდან შემო-
საბლურული მსხვილი, ორნამენტული ჩარჩო, შედგენილი მცნარეული
მოტივებისაგან. ორნამენტული ჩარჩოს შიგნით მოქაუებული თოხ კუთხა
სიბრტყის თოხივე კუთხეში ფრთხოსანი ქერუბინებია მოთავსებული. კო-
მპოზიციის ცენტრში აღნიშვნული ორნამენტული ვარღულია, წარწერით,
რომლის თოხივე მხარეს, გვერდზე, ქვევით და ზევით — თოხი პაგარა-
ბურთულისაგან შედგენილი დეკორია ჩასმული, რომელიც აქცებს ჩარ-
ჩოსა და ვარღულს შორის დარჩენილ ცარიცხელ არეუბს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უძველეს წიგნთა განკუთვნილებაში ინახება „ვეფხისტყაოსანი“, გადაწერილი 1839 წელს, თბილისელი სომხის ავეტიქ გორგაზანივის მიერ (თსუ, F 20242). ეს არის დიდი ბომის (34,2 x 21) სქელტანიანი წიგნი (292 ხელნაწერი გვერდი) კარგად შემორჩენილი, სქელ მუყაობები ყავისფერი ტყავით გადაკრული ყდით. ყდის წინა მხარეს, ბედა ნაწილში, ამ ყავისფერ ტყავზე ამოჭრილია პატარა ბომის ოთხკუთხედი (6 x 8,5) და შემცირებულია წითელი ფერის ტყავი, რომელზეც დაგვიფრულია ოქროსფრით შესრულებული მრიოფი სომხურ და ქართულ ენბბზე – „ავეტიქ გიორგი ჭანოვ“ ყუაბეც, ბედა ნაწილში, ასევე ამოკვეთილია პატარა ოთხკუთხედი და იქაც წითელი ტყავია ჩაკრული, წიგნის სათაურის ტექსტით – „ვეფხისტყაოსანი“. აქაც ტექსტი ოქროსფრად ყოფილა დაფარული.

წიგნის ტექსტი შესრულებულია მოხდენილი მხედრული ხელით, შავი მელნით, სათაურები – სინგურით, ილუსტრაციები არ ახლავს. წიგნის ტექსტის თავშიც და ბოლოშიც რამდენიმე ცარიელი ფურულებულია დატოვებული. როგორც ჩანს, წიგნის ფურცლები ჯერ აიკინძა და შემდეგ შეივსო ტექსტით, ამის გამო დასაწყისში ისეთი გრძნობაა, თითქოს წიგნს რამდენიმე ფორმაზეც აქვს.

ფორმაციები, მარცხენა ზედა კუთხეში (იქ, სადაც უქსლიბრისის დასტურა ვად მიჩნეული ადგილია) ვარდისფერ მელანში დასველებული საბჭოდაც ით ბეჭედია დარტყმული. ბეჭდის ფორმა თვალურია, ორნამენტით მოს შემკული, გვირგვინს გვაგონებს. თაფ-ბოლოში თვალურად შეკრულ თრ ლენგტე სომხური შრიფტით წერია თვანებს თუმანიანის, ცნობილი სომხის მწერლისა და საბოგადო მოღვაწის, გვარი და სახელი. ეს იმას ნიმნავს, რომ წიგნი, სანამ თსუ-ს ბიბლიოთურაში მოხვდებოდა, თვანებს თუმანიანის საკუთრებას წარმოადგენდა. ტექსტის დასაწყისის გვერდით ფურცელზე გურბის მსგავსი მრგვალი ნიმანია მქრალად შესრულებული (ცუდად ჩანს), ტექსტის დასასრულს, ბოლო გვერდზე (292 გვ.) თოხკუთხა ფორმის წაკვეთით კუთხეებიანი ბეჭედი (თევზი) არის რამდენჯერმე დასმული, ზედ დაწერილია: „მხოლო ავეტიქ გირგიჯანე“ წიგნის ბოლოს არის მინაწერი, ანდერძი: „მწერლობითა ჩედურეთში მცხოვრებული ავეტიქ გირგიჯან-ოვისაგან კუთილ მიღრეკილ მკითხველონ თუ შეცდომა რამე იხილოთ, ნე შეურაცხყოფთ, არამედ გამოუცდელობასა ჩემსა შეუნდეთ ჩელო-სა წელსა (1839) ღვინობის თეს პ-სა დღესა“ დაწერილია წითელი მელნით, კალიგრაფიული ლამაზი ხელწერით, იქვე მიწერილია ლექსად: „ხელი ვერ გამოვიმინე, ქადალდმა მიყო ზიანი, მელანმა უფრო ფურითა, მან შექმნა მიზებიანია: ასო ვერ დაუსვი გაწყობით, ვერც ჸ-იე ლამაზიანი და მაინც ვწერდი ყოველდღე, როცა დღე ვნახე მშიანი“ ანდერძში გორგიჯანოვად ნახსენები, ყდის ბედაპირზე ამოტვიურული გვარი გირგიჯანოვად იკითხება.

ამრიგად, ამეამად საქმე გვაქსს სუპერექსლიბრისის გამოყენებისათვის შემუშავებულ ახლებურ ფორმასთან. როგორც ჩანს, წიგნი აიკინძა ცარი-ელი ფურცლებით, რასაც მოწმობს ტექსტის თაფ-ბოლოში დარჩენილი სუფთა, გამოუყენებული გვერდები (ტექსტის წინ ხუთი ცარიელი ფურცლია, ზედ მხოლოდ მინაწერებია აქა-იქ გაფანტული, ტექსტის ბოლოს; 292-ე გვერდის შემდეგ, სრულიად ცარიელი ცხრა ფურცლია, მხოლოდ მეათე გვერდზე მინაწერი). ხელნაწერის დასრულების შემდეგ მფლობელი ცალკე დაატვირთნა სუპერექსლიბრისის კომპოზიცია, რომელიც შესრულებულია თოხკუთხა ფორმის პატარა წითელ ტყავზე სუპერექსლიბრისის შემსრულებელი რომ სხვა პიროვნება უნდა იყოს, გვარში დაშვებული შეცდომაც გვაფიქრებინებს.

სუპერექსლიბრისის კომპოზიცია შედგენილია წვრილი, თოხმხრივად შემოსაბლერული ჩარჩოთი (იღ. 5). ჩარჩოს ბოლები შევსებულია კლაკ ნილი წვრილი დეკორით, ხოლო ამ პატარა თოხკუთხედის თოხივე კუთხეში ერთნაირი ორნამენტული ელემენტიდან ჩასმული, რომლითაც ივსება კუთხეებში დარჩენილი არები. სუპერექსლიბრისბე განლაგებული ტექსტი, ნათლად წასაკითხი შრიფტით, ხალვათად არის განაწილებული. ზედ



S U R Y A R

၁၂၆

۱۳۶۵

ପାତ୍ରବିଦ୍ୟା

5

1839 წელს გადაწერილი „ვეოქნისტყაოსნის“ სუპერექსლიმრისი (ამოხაზულია)



6

„კავკასიის სამუსიკო საზოგადოების“
ექსლიტრისი (XIX ს. 70-იანი წლების დასაწყისი)

ნაწილში სომხური ასოებია ორ ზოლად დაწერილი, ქვევით კა შედარც
ბით მომცრო გომის ქართული შრიფტია, ასევე ორ ზოლად ჭანაბაზებული.
ამრიგად, ეს არის სრულიად მარტივი, ნათლად აღსაქმელი ტვიფრული კომპოზიცია, რომლის არსებობასაც კიდევ უფრო უსვამს ხაშს მისა
ფერი (წითელი) და სპუსიალურად ყდაზე ამოკვეთილი თოკუთხედის
არსებობა. ასევეა, როგორც ჩანს, ყუაზეც ყუა შემკულია, ექვს ნაწილად
დანაწევრებული, ზიგზაგისმაგვარი დეკორით შევსებული, ვიწრო ბოლებით,
ისინი ისეთივე სახისაა, როგორც სუპერექსლიბრისის ჩარჩოს დეკორი.
გედა ნაწილში მოქეცელი თოხუთხედი ამოჭრილია და შიგ ჩასმულია
წითელი ტყავი, წარწერით „ვეფხისგყაოსანი“.

ყველა მონაცემის მიხედვით, ყდაზე დატვიფრული ნიშანი სუპერექს-
ლიბრისს წარმოადგენს, იგი შესრულებულია 1839 წელს და ექსლიბრისის
ხელოვნების კიდევ ერთ აღრეულ ნიშანთა რიცხვს მიეკუთვნება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში კი გვხვდება ექსლიბრისის პირვე-
ლად გამოყენება იმ „კლასიკური“ სახით, რაც ამ ნიშანის ხმარებისათვის
არის საბოგადოდ მიღებული. ეს არის ცალკე ფურცელზე დაბეჭდილი,
ფორმატი დასაკრავად გამიმზული წიგნის ნიშანი (იღ. 6), იგი განკუთვ-
ნილია „კავკასიის სამუსიკო საბოგადოებისათვის“. ეს ექსლიბრისი მოხ-
სენიებული აქვს კ. ანთიძეს ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV
საერთაშორისო სიმპოზიუმზე წარდგენილ მოხსენებაში.¹⁵ ავტორი ამ წიგ-
ნის ნიშანს 1870 წლით ათარიღებს იმ მოტივით, რომ ეს ექსლიბრისი შან
ნახა დ ციციშვილის კოლექციაში შემონახულ „კავკასიის სამუსიკო სა-
ბოგადოების“ კუთვნილ ერთ-ერთ წიგნზე. სამწუხაროდ, ჩვენ ვვრ მივაგწ-
ით დ ციციშვილის კუთვნილ ამ წიგნს, მაგრამ თვითონ ეს ექსლიბრისი
მოგვაწოდა ქართული ექსლიბრისის კოლექციონერმა ბორის პოლიაკმა.

„კავკასიის სამუსიკო საბოგადოება“ დაარსდა 1871 წელს, „...ენთები-
ასტა ჯვეუის თაოსნობით, რომელსაც სათავეში ედგა კ. კაუნერი, გაიხ-
სნა ჯერ „კავკასიის სამუსიკო საბოგადოება“ (1871.17.III), ხოლო შემდეგ
დაარსდა სამუსიკო სკოლა (1871.1.X).¹⁶ ამრიგად, ამ ექსლიბრისის შექმნა
მართლაც 1870-იანი წლების დასაწყისში მომხდარა, რადგან ამ საბოგა-
დოებამ სულ რამდენიმე წელი იარსება.

ექსლიბრისის კომპოზიცია მცირე გომისაა (70x70), გამოსახულია
მუსიკალური საკრავები, რომელთაც აერთიანებს გვერდზე და ქვედა
ნაწილში რკალად შემორგებული ლენტი, რომლის ბოლოებიც თრივე მხა-
რეს გადადის და დეკორატიულად გადაკეცილი დანარტკებით არის ჩამოჭ-

15. *А н т и ძ ე Э . , Из истории грузинского экслибриса. Материалы IV международного симпозиума по грузинскому искусству, Тб., 1983, 9 с.*

16. *ღოღონებაძე ლ . , ჩოჯავაძე თ . , ჩხილვაძე გ . , ქართული მუსიკის ის-
ტორია, I, თბ., 1990, გვ. 78.*

ვებული აქეთ-იქით. სიმეტრიულად განლაგებული ლენტის ფორმა აწეს-როგოს თითქოსძა დაუდევრად ერთმანეთზე მიყრილი ინსტრუმენტების გროვის. კომპოზიციის ცენტრში გამოხატულია თარი, საღამერი, ვიოლინო, კლარინეტი და ფანდური. ამ უკანასკნელის ფორმა ძალზე უხეში და მოუქნელია. წიგნის ნიშანს არ ახდავს წარწერა „ექსლიბრისი“, დეკორატიულად გარსშემოვლებულ ლენტზე, რუსულ ენაზე წერია მხოლოდ „ქვეპაიის სამუსიკო საზოგადოება“, მაგრამ წარწერა „ექსლიბრისი“ ბევრ აღრეულ წიგნის ნიშანზე არ გვხვდება. ეს ექსლიბრისი შესრულების სტილით XVIII საუკუნის რუსული წიგნის ნიშნის ნიმუშებთან პოულოს მსგავსებას. თუნდაც იმ ნიშნით, რომ ექსლიბრისი მოცემული ქართული ინსტრუმენტის ფანდურის ფორმა, მეტად გაუხეშებულია და არარეალური, გვაფიქრებინებს, რომ ამ წიგნის ნიშნის შემსრულებული ოსტატი უქორული უნდა ყოფილიყო, ვისთვისაც ეს ინსტრუმენტი უცხო, გაუცნობიერებული იყო. ავტორის უცხოელობაზე (იგი, ალბათ, რუსი მხატვარი იყო) წიგნის ნიშანზე წარწერის რუსული შრიფტიც მეტყველებს, რომელიც ძალზე გამართულად და ოსტატურად არის შესრულებული.

ამრიგად, დღესდღეობით მიკვდეულ და ბემოთ განხილულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ექსლიბრისის კელტურას XVIII საუკუნიდან კურება საფუძველი, რაგრამ აგი მაინც ერთეული მაგალითების სახით გვხვდება და განვითარების უწყვეტი სისტემერი ხასიათი XX საუკუნემდე არ აქვს მიღებული.

XVIII საუკუნის ექსლიბრისის ნიმუშები შესრულების თვალსაბრძანით ეროვნული ნიშნის მაგარებელია (დეკორი, მრიუქი) და მათი „ქართულობა“ არავითარ კვეს არ იწვევს (ილ.2,4). კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ საქართველოში უკვე XVIII საუკუნიდან მყარად, გაცნობიერებულად არის ათვისებული „სუპერექსლიბრისის“, როგორც წიგნის მულობულის საკუთრების აღმნიშვნელი ნიშნის კელტურა.

ქართული ექსლიბრისის განვითარების აღრეულ ნიმუშებში გამოიკვეთა წიგნები საკუთრების აღნიშვნის ყველა ის ფორმა, რა ფორმითაც ექსლიბრისის კელტურა ყველა სხვა ქვეყანაში ვთარებოდა, წარმოშობილია რამდენიმე სახის საკუთრების განმსაზღვრელი ნიშანი:

1. ექსლიბრისის „წინაპარი“ ეწ. „დამცველი-წყევლითი“ წარწერები.
2. პირადობის დამაღაცეურებელი ბეჭდის გამოყენება (გენათელი მიტოლიტი ეფთვიმებ, ილ.1).
3. საკუთრების დამაღაცეურებელი წარწერა ამოჭედილი ძვირფასი ქვებით შემკულ ვერცხლის ყდაზე („მთავრინა ეკატირინა“).
4. აშკარად „სუპერექსლიბრისის“ ფორმა – ყდაზე დაგვიურებული წიგნის ნიშანი, რომელიც შრიფტით და დეკორით არის შეღგნილი (ილ.2,3,4,5).

5. წიგნის ფორმაციები დასაკრავად განსაზღვრული, 1870-იან წლებში მცხა-
რულებული, ექსლიბრისის „კლასიკური“ ნიმუში (იდ.6). როგორც ძღვის-
ნეთ, ამ უკანასკნელს, შესრულების ხასიათით, აშკარად რუსი მხატვრის
ხელწერა ატყვია. ეს სრულიად ბუნებრივია, რაღაც XIX საუკუნე ის დროა,
როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის უშაუალო შემადგენელ ნა-
წილს წარმოადგენდა და მისი როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული
ცხოვრება რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებასთან
მჭიდრო კავშირში წარიმართებოდა.

ამრიგად, ქართული ექსლიბრისის ისტორიის ჩანასახში, ერთი მხრივ,
ჩნდება წმინდა ეროვნული სულით შებავებული, ორგანულად განვითარე-
ბული „სუპერექსლიბრისის“ სახე და, მეორე მხრივ, ექსლიბრისის
„კლასიკური“ ნიმუშის გარედან შემოტანილი ფორმა, რომლის ჩანასახიც
XX საუკუნის 20-იანი წლებიდან სრულიად ახლებულ ხასიათს იძებს და
თანამედროვე ქართული ექსლიბრისის განვითარების საფუძველი ხდება.

კენები პრინციპები და მისი იღუსაფრაცხები იღია ჭავჭავაძის თხზულებაზე პრეზენტაციის

ჰერიკ პრინცესი განათლებული, მხატვრული კულტურით გამორჩეული პიროვნება იყო. მისმა მოღვაწეობაში საქართველოში შესამჩნევი კვალი დატოვა.*

ჰერიკ თევდორეს ძე პრინცესი, წარმოშობით პოლონელი, დაიბადა ქუთაისში 1869 წლის 6 ნოემბერს. მამამისი ქუთაისში მსახურობდა სამოქალაქო დარგში. მამის გარდაცვალების შემდეგ იგი დედასთან ერთად იგადიაში გაემგზავრა. მან ფლორენციაში ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა, მაგრამ 1889 წელს ქუთაისში დაბრუნდა, რათა სამხედრო ვალდებულება მოეხადა. შემდეგ სწავლა გერმანიაში განაგრძო კარლსრუედის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე, პარალელურად აკვარელით ფერწერაში ოსტატდებოდა. 1895 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ისევ იგადიაში ჩავიდა და სამხატვრო განათლების მიღება დაახსრულა.

თბილისში პ. პრინცესი 1898 წელს ჩამოიდა და ამ დროიდან მისი ბედი მჭიდროდ დაუკავშირდა საქართველოს კულტურას. მისი ინტერესების სფერო ფართო იყო — იგი ორგანულად ათავსებდა შემოქმედებასა და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მაგრამ უმთავრესი იყო სიძველეებით, ძველი ქართული ხეროთმოძღვრების ძეგლებით გატაცება, რომელიც მთელს მის სიცოცხლეს გასდევდა და მის შემოქმედებას თავისებურ ხას-ათს ანიჭებდა.

მხატვრის ყურადღების გარეშე სამოგადოებრივი ცხოვრებაც არ დარჩენილა. ამას მოწმობს დოკუმენტური ჩანახატები, გამოქვეყნებული გატეტანობის ფურცელის „სურათებიან დამატებაში. მათგან განსაკუთრებით

* მაღლიერებით უნდა გავიხსენოთ აწ გარდაცვლილი მხატვრები დავით ციცაშვილი და დავით გაბაშვილი, რომლებმაც თავიანთი შასწავლებლის შესახებ ბევრი რამ მიამდეს. პ. პრინცესის ბიოგრაფიის თარიღები მომაწოდა დ. ციცაშვილმა.

საყურადღებოა 1905 წლის რევოლუციის დროს მომხდარი მოვლენების ამსახველი ნახატები. ნახატებისთვის შერჩეული სიუკეტები მიუწოდებული რომ მხატვარი დემოკრატიულ იდეაბს იმიარებდა.*

ჰ. პრინცეს კის პედაგოგიური მოღვაწეობა დაკავშირებული იყო კაზმულ ხელოვნებითა ხელისშემწყობი საბოგადოების სამხატვრო სასწავლებელთან. აյ ის 1902 წლიდან ასწავლიდა, ხოლო 1918-1921 წლებში ამ სასწავლებლის დირექტორი იყო. თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებიდან, 1922 წლიდან ვიდრე 1937 წლამდე, ის აკადემიის პროფესორი იყო და შეთახსებით ინდუსტრიულ ინსტიტუტშიც მუშაობდა. ის ასწავლიდა პერსპექტივას, არქიტექტურულ ნახატს, აკვარელით ფერწერას. მხატვარი და ციცილმული – თვითონაც შესანიშნავი პედაგოგი, ისენებდა, რომ ჰ. პრინცეს კის სტუდენტებს ძალიან საინგენიერო დაგვალებებს აძლევდა და ამასთან თითოეულის მიღრეკილებასა და შესაძლებლობას ითვალისწინებდა. ეს მეცანისტების განსაკუთრებულ ხალის ანიჭებდა. ვ. ბერიძე მოგვითხრობს ჰ. პრინცეს კის სახელოსნოს შესახებ, რომელიც სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ კორპუსში იყო მოთავსებული. მხატვარი ხშირად იქ აგარებდა ლექციებს.¹ სტუდენტებს იმიდავდა მშენებერი წიგნები და სურათები, ლამაზი საგნები, ხიბლავდა სახელოსნოს არქისტული განწყობილება (ამ სახელოსნოს ფოტო გამოაქვეყნა ეთერ ციცილმულმა).² თითქმის ყველა მხატვარი და არქიტექტორი, ვინც 1920-1930-იან წლებში თბილისში მიიღო უმაღლესი განათლება, ჰ. პრინცეს კის მოწაფე იყო.

ჰ. პრინცეს კის ეკუთვნის ნაშრომი ხაზროვანი პერსპექტივის შესახებ, რომელიც 1924 წელს გამოიცა ქართულ ენაში. როგორც ჩანს, ეს მისი ლექციების ნაწილი იყო. მას პერნდა ნაშრომები კლასიკური ორნამენტისა და არქიტექტურის გაფორმებაში უერთის გამოყენების შესახებ. მხატვარი მონაწილეობდა სამუნიცირო ექსპედიციებში – აწარმოებდა არქიტექტურის ძეგლების ჩახატვასა და აზომვას. მას ქართული ხალხური ხელოვნებაც იმიდავდა.³

დაუდალავი შრომის შედეგად ჰ. პრინცეს კის მდიდარი მასაბალა დაუგროვდა, რომელსაც იგი პედაგოგიურ და შემოქმედებით პრაქტიკაში იყუნებდა. ჰ. პრინცეს კი აქვარელისტი იყო და შესრულებული პერნდა უამრავი სურათი ქართული არქიტექტურის ძეგლებისა. მის მიერ შექმნილი წიგნის დეკორი ილია ჭავჭავაძის თხბზულებათა გამოცემისთვის მკაფიოდ მეტყველებს, თუ რა ფაქტიად გრძნობდა მხატვარი ქართული ხუროთ-

* განსაკუთრებით საინგენიერო „ცნობის ფურცელში“ მოთავსებული შემდეგი ნახატები: სომებ-თათართა შეტაკება ტფილიში, 1906, № 309; მოსახლეობის განხრებია ქაზარი, 1906, № 375; დამსჯელი ექსპედიციის მტაბის უფროსის განხრალ გრიაშნოვის მკაფიოდნობის შემდეგ არსენ ჯორჯიაშვილის კომენდანგის სამშართველოში წაჭვანა, 1906, № 372.



მოძღვრების სილამაზეს. არქიტექტორ ანატოლი კალგინთან ერთად მან შეასრულა თბილისის სათავადაზნაურო სააღვილმამულო ბანკის შენობას პროექტი, რომელიც 1912 წელს კონკურსის შედეგად იქნა მიღებულ ადგინდება — საკუთრივ არქიტექტურა ა. კალგინს ეკუთვნოდა, დეკორის დამუშავება — პ. პრინცესკის (ეს შევენიერი ნაგებობა ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი კორპუსია). ოსტატურად გამოიყენა პ. პრინცესკიმ ორნამენტული დეკორი, როცა 1926 წელს თბილისში რეინიგზის სამმართველოს შენობის ფასადის რეკონსტრუქცია განხორციელდა.

პ. პრინცესკი — საყოველთაოდ აღიარებული მხატვარი და პედაგოგი — სამოცდარვა წლისა იყო, როცა 1937 წელს პოლიტიკური რეპრესიების შესვერპლი გახდა. მის დაპატიმრებამდე საბჭოთა კავშირიდან გაასახლეს მისი მეუღლე — იგბლიველი მარია პერინი, რომელსაც თბილისში საბალეტო სტუდია პერინდა. მ. პერინის მოწაფეები იყვნენ ვახტანგ ჭაბუკიანი, ელენე ჩიკვაიძე, ლილი გვარამაძე, ირინე ალექსაძე და სხვ. მ. პერინის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ქართული საბალეტო სკოლის ჩამოყალიბებას. პ. პრინცესკის შვილები და ნათესავები არ დარჩენია. მისი მდიდარი არქივი და მხატვრული მემკვიდრეობა ძირითადად განადგურდა. ნამუშევრების მცირე ნაწილი შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული, ნაწილი კი კერძო კოლექციებში დაიქცასა.

მხატვრის ნამუშევართა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი იღუსგრაციები იღლა ჭავჭავაძის თხბელებათა ერთოომეულისათვის. ეს გამოცემა 1914 წელს განხორციელდა და საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. სარედაქციო კომისიის წევრები იყვნენ კ. აბაშიძე, ი. გველევანიშვილი, ი. გომართელი, ი. ბურაბაშვილი, გ. ლასხიშვილი, ი. ფანცხავა, ნ. ჩიგოგიძე, ი. ჯავახიშვილი. წიგნის გამომცემელი მიხეილ გველევანიშვილი იყო. წინასიცყვაობაში ის წერდა: „საერთოდ ქართველ საზოგადოების ერთსულოვან თანაგრძნობას და დახმარებას უნდა მიეწეროს ის არაჩვეულებრივი მოვლენა, რომ ამისთანა ძვირფას წიგნს დღეს ვაწვდით ყველას წოდებისა და შეძლების განურჩევლად. წიგნის დამკვეთთა შორის არიან თავადი და აზნაური, მუშა და გლეხი, ვაჭარი და მოხელე, მდვდელი და ბერი. ამ შეერთებული შრომის და თანაგრძნობის წყალობით დღეს გვაქვს წიგნი — ერთგვარი ცდა სალიტერატურო სამხატვრო გამოცემისა, რომელიც ნაბიჯის წინ წადგმად მინდა და დავსახო ქართულ ბეჭდით და გამომცემლობით საქმეში“.⁵ წიგნს დართული აქვს კრიული და საინგენიორო წერილები მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რომელთა ავტორები არიან გრიგორ ყიფშიძე და კიგა აბაშიძე. მათ გონიში მკეთრად იგრძნობა მწვავე ტეივილი და დანაკლისის განცდა, რომელიც იღიას მკელელობაში საზოგადოებას

დაუტოვა. ტექსტს ამდიღებს დოკუმენტური ფორმასადა: მწარლისა
და მისი ახლობლების პირგრაფები, მისი ბიოგრაფიისთვის მნიშვნელოვანი
ვანი ადგილების ფორმულარათუბი. ყურადღების გარეშე ვერ დაშვენოთავა
ამ გამოცემის მხატვრული მხარე სარედაქციო კომისიის წევრები სა-
განვითოდ ზრუნავდნენ თითოეულ გვერდზე ტექსტის სათანადოდ გან-
ლაგებაზე წიგნის შენიშვნებში (გვ. III) მითითებულია, რომ ილიას თხბუ-
ლებები მათი შექმნის ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის დაბუ-
ჭდილი წლების, თვეებისა და რიცხვების გათვალისწინებით, „მხოლოდ იქ,
საღაეს თვით ლექსის მომა და გარევნობა მოითხოვდა რამდენიმე ლექ-
სის ერთს გვერდზე დ მოთავსებას, რაც უფრო მეტს შეისა და სილამაზეს
აძლევდა წიგნს, კომისია არღვევდა ამ წესს. მაგრამ ქრონოლოგია წე-
ლიწადების მიხედვით მათიც ყოველთვის სახისკად დაცულია“.

ცხადია, წიგნის მხატვრული გაფორმება ამ გამოცემის ერთ-ერთი მნიშ-
ვნელოვანი მხარე იყო და მას გარკვეულ მოიხოვნებს უკუნიდნენ. ჯერ
კიდევ XIX საუკუნის ბოლოს გ. ქართველიშვილის მიერ „ვეუსისტყაოს-
ნის“ გამოცემის დროს წამოჭრა ამოქანა შექმნილიყო იმგვარი გაუორმუ-
ბა, რომელიც წიგნის სპეციფიკურ, ქართულ იერს მიანიჭებდა. მაშინ გრიგორ
ტატიშვილმა ქართული ხეროვნმოძღვრების ორნამენტები გრაფიკულად
გადაამჟავა და წიგნის სამკალის ელ ემენტებია შექმნა. XX საუკუნის
დასაწყისში ამგვარივე მოიხოვნა არქიტექტორებსაც წარუდგინეს. სათ-
ავადაბნაურო სააღილმაშელო ბანკის შენობის პროექტის საკონკურსო
პირობის მიხედვით შენობა „ქართული სტილის“ უნდა ყოფილიყო. ა. კალ-
გინის და პ. პრინცესის პროექტი აღმოჩნდა ერთადერთი, რომელიც ამ
პირობას აქმაყოფილებდა.⁴ სრულიად კანონმიტიურია ის, რომ ილია ჭავ-
ჭავაძის თხბულებათა გამოცემის მხატვრული გაუორმება და იღუსტრა-
ციების შესრულება სწორედ პ. პრინცესის მიანდეს. ამ დროს იგი ცნო-
ბილი იყო, როგორც ქართული ხეროვნმოძღვრების მცოდნე საუცხოო აქ-
ვარელისტი. პ. პრინცესი გ. ტატიშვილის მიერ დაწყებულ საქმის გამგრ-
ძელებდა და თავისებური წელით შეაქვს ქართული წიგ-
ნის გაფორმებამ. ამასთან ქს წიგნი გამოცემულია XX საუკუნის დასაწყი-
ში რესეტში გამოცემული საკუთხესოდ მიჩნეული წიგნების დონეზე.

ილია ჭავჭავაძის „თხბულებანი“ სქელტანიანი წიგნია, მისი ყდის
გაფორმება უაღრესად სადაა. მუქი მწვანე ფერის ყდის კუთხეები, ყებ და
ყეიდან ყდაზე გადმოსული ზოლი შავი ტყავით არის დაფარული. შავი
ზოლის ზემო ნაწილში მოთავსებულია ილიას ავტოგრაფი დამახასიათე-
ბელი ხვეულებათ. ყებაზე ამოგვიფრულ ჩარჩოებს შორის ოქროსფერი
წარწერაა. შთაბეჭდილებას ქმნის შავი, მწვანე და ოქროს ფერების დახ-
ვწილი შეხამება და მასალის მაღალი ხარისხი. ასევე მშვინიერი ხარისხ-
ისაა წიგნის ფურცლების პერგამენტით შკრივი ქადალდი, გვერდებზე

ବିଜ୍ଞାନ
ଅଧ୍ୟାତ୍ମିକାମଣି
ତଥା
ବିଜ୍ଞାନାଧିକାରୀ

ପ୍ରକାଶକ I.

1914


ବ୍ୟାକାଳିକ

ମିଶ୍ରମିଲ୍ ପ୍ରେସରିସ୍ ଓ କୋମିଲ୍ ପ୍ରେସରିସ୍

ა და თუნდ მოგებდე, არ მეშინიხ,
მარამ კი ისე, რომ ჩემი გვადი
ნახონ მათ, ვინც ჩემს უკნ გლიხ,
თქვახ: ძღვირული მან თვისი ვძლი;

რომ ჩემს სძევლავზედ დაუყდებულმან,
ქართველმა ჩემგან ძალამობულმან,
გულ წრფელობით და სიმართლით,
მე ჩაძამხოს თუნდ ჩუმის სმითა:

— იქავ მშვიდობით შენს მეუდრო პილში!...
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდ;
თქვას შენი ქნარი შორს ჩვენება — ჩრდილში
აძართ ჩვენთვის არ ხმაურობდ.



ილია ჭავჭავაძის ოხზულებანი. ბოლოსართი. მხატვარი პ. პრინცესკი



ქორვლის დედის

„ომისა, პიშილი წიგნელისაგან,
ახას მიმდელი ჰიმელისა.“

ლებნიერი

ქორვლის დედო! ტყეუ ქორვლისა
უწის ძმულს უზრდიდ შეიღსა;
ქ დედის ხეხისობის ქიოისი შთისა
ძის უმხადვის პოძველ გმორჩა...

კ გდეჭირ ის დროცდ... კიდა ჩადგელმა,
კორვების ქამეუ დაბეგრედ ბერმა.

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი. თავსართო. მხატვარი პ. პრინცესკი



Э У З а

«Въ труде проходитъ жизнь его
И не приносить ничего».

I

თავისართი ლექსისაძეს „მუზა“. მხატვარი ჰ. პრინცევსკი



ილიუსტრაცია მოთხოვბისათვის „ოთარანთ ქვრივი“. მხატვარი ჰ. პრინცევსკი

ჩექსტის ირგვლივ ფართო თეთრი არეებია დატოვებული. ბომიერად არის გაფორმებული საგიგელო ფურცელი – ორნამენტის ჩარჩოში მოთაკაზუალური ბელი წარწერა. ორნამენტის წილის ნახაგი შავ ფონზე გრაფიკულად მკაფიოდ არის შესრულებული. ხლართის მოგივის შესვლით წარწერის გასწვრივ ხაზებაშელია ფურცელის განივი დერძი. ზესგად არის შესრულებული მრგლოვანი, ლამაზი მრიიფით გაკეთებული წარწერების ბომები და აღვილი. ფრონტისპირზე მოთავსებულია ილა ჭავჭავაძის პორტრეტი, გიგა გაბაშვილის მიერ შესრულებული 1907 წელს. გექსგში ჩართულია ილუსტრაციები ცალკე ფურცელებზე, რომელთაგან რამდენიმე ფერადია. წიგნის გექსტის ამკობს თავსართები, ბოლოსართები, მთავრული ასოები. რამდენიმე აღვილას თავსართად გამოყენებულია ხელოვნების ცნობილი ნიმუშები. მაგალითად, ლექს „ბაბალეთის გბა“ დართული აქვს ბეთანიას გაძრის კედლის მხატვრობის ფრაგმენტის რეპროდუქცია თამარ მეფის გამოსახულებით, ლექს „პარიი“ – რეპროდუქცია დელაკრუას სურათისა „თავისეულება ბარიკადებზე“. ამგვარი მასალის ჩართვა ისევე, როგორც დოკუმენტური ფოტოებისა, შესავალ ნაწილში არ არღვევს წიგნის მხატვრულ მთლიანობას, მათი რაოდენობა, მასშტაბი და აღვილი კარგად არის გააბრებული.

წიგნის დეკორი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ერთ ჯგუფს შეადგენს ტუშითა და კალმით დახაგული ბოლოსართები, რომელებისთვისაც არქიტექტურის ძეგლების ორნამენტული მოგივებია გამოყენებული. ეს შავ-ტერირი აქსენტები განსაკუთრებით უფექტურია ლექსების გექსტის ქვეშ დარჩნილ თეთრ სიბრტყეზე და კარგად ეხამება ასევე ტუშით დახატულ მთავრულ ასოებს. თავისი ხასიათით ეს დეკორი საგიგელო ფურცელის გაფორმებას უკავშირდება. საერთოდ, დეკორის ელემენტები გარკვეულ სიახლოეს ავლენენ გრიგოლ ტატიშვილის წიგნის გრაფიკასთან.

ამ წიგნის მხატვრულ სახეს, მის თავისებურებას განსაზღვრავს პ. პრინცესის მიერ აკვარელით შესრულებული თავსართები, ბოლოსართები და ჩანართი ილუსტრაციები. თავსართებსა და ბოლოსართებს შორის არის ნახაგები, რომელთა სიუჟეტი უშეადვიდ გექსტს უკამინდება. ასეთებია, მაგალითად, ნახაგები „მუშა“, „იანიჩარი“, „ქართველის დედა“, „გუთის დედა“, „გლახის ნაამბობი“ და სხვ. ეს ნახაგები ფაქტობრივად ილუსტრაციებია, რომელიც მათი გრძისა და წიგნის გვერდზე მიჩნილი აღვილის წყალობით, წიგნის სამკაულის ფუნქციისაც ასრულებენ. მაგრამ არის თავსართები და ბოლოსართები, რომელთათვისაც მხატვარი უხვადისენებს ორნამენტით შემქელ ხუროთმოძღვრული დეტალების ჩანახაგებს. ეს დეტალები პეიზაჟის ფონზეა მოთავსებული. სწორედ ამ ნახაგებში გამოვლინდა განსაკუთრებით მხატვრის დიდი ინგერესი და სიყვარული

ქართული არქიტექტურის ძეგლებისა და პეიზაჟისადმი, რომელმც თუ განულად არის ჩაწერილი ძველი ციხეები და ტაძრები. ის უკურებს მათ მხატვარ-არქიტექტორის თვალით. დეგალუბი ისეა დახაგული, ჩრდილოებით დია, მათ წინ უსწრებდა ნატურილინ ჩახაგვა. ამ ძეგლების სიყვარულით და მათი სილამაზით აღტაცება შესაძლებელს ხდიდა ასე დაბეჯოთებით, დაწვრილებით და, ამავე ღრის, ცოცხლად თითოეული მოგივის აკვარცულით შესწრებას ისე, რომ ორნამენტის ნახაგის პლასტიკურობა და ძარღვიანობაა გადმოცემული. პეიზაჟი რომანტიკულ განწყობილებით არის გამსჭვალული. ამას განაპირობებს ეკლესიების გუმბათები, ციხე-სიმაგრეების ნანგრევები, რომლებიც ნაგურამიც აღამიანს წარსულზე, სილამაზის წარმავლობაზე ფიქრსა და სევდას აღუძრავს.

სიუკეტური თავსართები, ისევე, როგორც არქიტექტურული დეგალებით სგან შედგენილი კომპოზიციები, ერთი და იმავე ხერხით არის დახატული. მხატვარი ფიგურას, ან არქიტექტურულ დეტალს პირველ პლანზე ათავსებს, ხოლო პეიზაჟს – შორის, სიღრმეში სათანადოდ შემცირებულ მასშტაბში გამოსახავს. ამის შედეგად პირველი პლანის გამოსახულება უფრო მოცულობითად გამოიყერება. პლანების დაპირისპირება გარკვეულ სიურცობრივობას ქმნის, მაგრამ ბომიერს და უერცლის სიბრტყე არ ირღვევა. მეორე პლანის ნახაგები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩარჩოთია შემოზღუდული. მოჩარჩოების ფორმა სხვადასხვაა. არის წრიოლი, ან ტეხილი ხაზით მოხაზული ჩარჩოები, მაგრამ უფრო ხშირად – სწორკუთხაა. ჩარჩოს გარეთ გამოტანილი პირველი პლანის გამოსახულება თავისუფლად არის განლაგებული და ტექსტით დაფარულ გვერდს ჰარმონიულად უკავშირდება. პირველი პლანის გამოსახულებათა ამგვარი განლაგება შესრულების სილადის მთაბეჭდილებას ქმნის, ხოლო ნახაგების ასმეტრიული ხასიათი გვერდებზე მათი განთავსებისას ვარიირების საშუალებას იძლევა. წიგნის დეკორაციულ გაფორმებაში ნახაგების ჩართვის კარგი მაგალითია ორი გვერდი, რომელიც ერთდროულად განიხილება გადაშლილ წიგნი. მარცხნა გვერდზე მოთავსებულია ლექსი „დაკ, თუნდ მოვკვდე...“ და ბოლოსართი, მარჯვენაზე – ლექსი „ქართვლის დედას“ და თავსართი. მარცხნა გვერდზე ტექსტს მეტი ადგილი უკავია, ვიღრებოლოსართის არქიტექტურული ფრაგმენტებისა და პეიზაჟის გამოსახულებით. მარჯვენა გვერდზე კი თავსართ-ილუსტრაციას მეტი ადგილი ეთმობა, ვიღრებოლოს. თავსართზე გამოსახულია ჩუქურთმიან ქაბეგ ჩამომჯდარი ქართველი ქალი, რომლის ბურგსუკან თხეკუთხა ჩარჩოში ჩასმული პეიზაჟია. ქალის ფიგურა წინა პლანზეა გამოტანილი და აკვარელი თითქოს ქემოთ, ტექსტისკენ იღვრება. ასამეტრიულია ნახაგების კომპოზიციათა აგებაც და ნახაგების გვერდებზე განლაგებაც. მაგრამ მათ შორის სრული თანაფარდობაა დამყარებული. ამას ხელს უწყობს



ბოლოსართის და თავსართის ჩარჩოების გამეორება, მარჯვენა კომპოზიცია ჩატარებული ხუქურთმიანი ქვა, რომელიც თათქოს ბოლოსართის მოგივის გამჭვივებულ ძელების წარმოადგენს, და ლექსების წინ მთავრული ასოების შავი აჭარნები.

მხატვარი ნახაგების განაწილებისას ფურცელს არ ტვირთავს და აღწევს წონასწორობას გვერდის ტექსტით დაფარულ ნაწილსა და ნახაფს შორის, რაც სიმშეიდება და სილამაზეს ანიჭებს მთელ წიგნსა და ცალკეულ გვერდს. სხვადასხვა მოხაზულობის ჩარჩოების გამოყენება ნახაფის ცალკეული ნაწილების „კადრისტებისათვის“ მოდერნის სტილის წიგნის გაფორმებაში ნაცადი, გავრცელებული ხერხი იყო და გვიანაც, 1920-იან წლებში, ჟურნალებისა და წიგნების გაფორმებაში იჩნდა თავს. მოდერნის ხელოვნების პრინციპს შეესაბამება აგრეთვე რეალისტურად გაგვისული და შესრულებული ფორმების დეკორატიულ მოგივებად გამოყენება.

თავსართი და ბოლოსართი ილუსტრაციები, ისე როგორც ჩანართი ილუსტრაციები, თხრობითი ხასათისაა. თითოეული ნაწარმოებიდან მისი სიუკეტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ეპიზოდია დასასურათუბლად ამოჩრეული. ეს სრულიად კონკრეტული ეპიზოდებია და ჩანართის ტექსტის გენესიდან ამოღებული შესაბამისი სტრიქონები ერთვის. ტექსტი აღისალად არის საპოვნელი თავსართისა და სოლოსართი ნახაგებით დახურათებული აღგილება. მხატვარი თითქმის დოკუმენტური სიბუსტით მისღებს მწერლის თხრობას, პერსონაჟების გარეგნობის და მათი გარემოს აღწერას. ჰ. პრინცესი ძალიან თავშეკავებულია თავისი დამოკიდებულების გამოვლენისას და ამაში მისი – პიროვნებისა და მხატვრის თებება ჩანს. თუმცა სიუკეტების შერჩევაში სციალური მომენტების, სოციალურ უსამართლობის ხაზგასმის ფენდენცია არის შესამჩნევა, ნახაგები მკვეთრ პროცესს არ გამოხატავს. პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ თავსართ-ილუსტრაცია ასურათებს ეპიზოდს, როცა გაქროს მოხუცი მამა ბატონს ეახლა და შეიღის დაბრუნება სთხოვა, მაგრამ მხატვარი გარომგების სცენას კი არ ხატავს, არამედ ამ ეპიზოდის დასაწყისს. ბოლოსართზე წარმოდგენილია ტყეს შეფარებული და დამეგობრებული ზაქრო და კაკო ყაჩაღი. ჩანართი ილუსტრაციისთვის მეურმისა და ზაქროს შეხვედრის ეპიზოდია აღბული. აქევე დართული კუდიგორის მთისა და შარაგბის ფოტო მხატვრის ნახაგებს თავისებურ უტყეარობს ანიჭებს. მოთხოვთ „გლახის ნაამბობის“ თავსართიზე გამოსხული წიგნებით ხელში ძველ კედელთან ჩამომჯდარი გაბრიელი და მისი მეგობარი; ჩანართი ილუსტრაციისთვის ეპიზოდის, მეორე – სიკვდილის პირის მისეული გაბრიელისა და მისი ძველი მასწავლებლისა და მოძღვრის შეხვედრას. ბოლოსართზე მოცემულია დათიკოსა

და გაბროს ბოლო, საბედისწერო შეხვედრა, მაგრამ არა მათი შეტაყის
მომენტი, არამედ წინამორბედი – საუბრის სცენა. საინტერესოა ამას
ლექსისთვის „მუშა“: თავსართმე გამოსახულია ძველი თბილისის ტაპუ-
რი ფიგურა – მძიმედ დაგვირთული კურნიანი მუშა, წელში მოხრილი,
თითქოს წუთით შეზერბული და მკითხველისკენ მომზირალი. ბოლოსარ-
თგე იგივე მუშაა სახლის კედელითან ტაირითის ჩამოქანელად დასახ-
ვენებლად ჩამომჯდარი. მხატვარს შეეძლო ლექსიდან უფრო ღრამატუ-
ლი, მძაფრი ეპიზოდი აერჩია, მაგრამ მან დახატა ის, რასაც ხშირად ხედაჭ-
და თვითონ თბილისის ქუჩებში.

ილუსტრაციები ნათლად მეტყველებუნ, თუ როგორ იყო გაგტაცებული
მხატვარი ქართული ხუროთმოძღვრებითა და ეთნოგრაფიით. ხალხის
ყოფაცხოვრების დამახასიათებელი ნივთები, რომლებიც ამჟამად სამუშაუ-
მო ექსპონატებად არის გადაქცეული, XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ
ცოცხალი ყოფის შემადგენელი ნაწილი იყო. მხატვარი გულმოლგინედ
ხატავს ბავშვის აკვანს, ურეშს, საყოფაცხოვრებო საგნებს, სხვადასხვა სო-
ციალური ფენის წარმომადგენელი პერსონაჟების განსაცმელს. ყოფითი
საგნები დიდი სიყვარულითა და გემოვნებით არის შერჩეული და მკითხ-
ველს მათი გულდასმით გაცნობის სურვილი ებადება, ისინი ნაწარმოების
პერსონაჟების ხასიათების მკაფიოდ გამოკვეთას უწყობენ ხელს. კო-
მიობიციებში, რომელთა სიუკეტი ამას მოითხოვდა, დაწვრილებით არის
წარმოდგენილი შენობების ონგერიერები. მაგალითად, ილუსტრაციებში
პოემისათვის „განდეგილი“ დიდი ყურადღებით დამუშავებული ინგრე-
იერი, ხატიანი ნიში, კედლის მხატვრობა ბერის სულიერ ცხოვრებაზე მიან-
იმნებს. ილუსტრაციაში მოთხრობისთვის „ოთარაანთ ქერივა“ მხატვარი
ზუსგად მიპყვება ილიას აღწერას და ქართველი გლეხის საცხოვრებლის
მშვენიერ სურათს ქმნის. მის მიერ დახატეული თავადის ბინის ნიმუშს წარმოად-
გნენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ილუსტრაციები მოთხრობისათვის
„კაცია-ადამიანი?“ და მათ შორის ნახატი, რომელზედაც გამოსახულია
თავისი სახლის აივანზე ჩამომჯდარი ლუარსაბი და მის წინ ეზოში
მდგარი მოურავი. გააბრებულია თითოეული დეტალი – სახლის კედლის
არათანაბარი წყობა, აივნის მორყეული რიელები, ლუარსაბის გარეგ-
ნობა – მისი ჩიბუხი, მაღალი ქედი, გრძელი უღვაშები. მისი მოღუნებული
სხეული მძიმედ ეყრდნობა მოაჯრის, მის წინ კი მშვიდად დგას ლაბათია-
ანად და უბრალოდ ჩატული მოურავი. მხატვარმა თითქოს ნაცურიდან
დახატეული ლუარსაბ თათქარაბის გრაფიკული სახე შექმნა.

პოემა „მჩრდილი“ დასურათებულია პეიზაჟებით. ფერად
ჩართულ ნახაგტე კლოდვანი ხეობაა წარმოდგენილი, სიღრმეში დიდებუ-
ლი თოვლიანი მოებით. მაგრამ აქაც ტექსტში ჩართულია ნახაგები –



არქეოლოგიური პეიზაჟები – მცხეთა და ძველი თბილისი. როგორც ჩანს, ეს ნახატები ნატურიდან არის შესრულებული. განსაკუთრებით საინტერიერული სოა თბილისის ხედი – მტკვრის ხეობა, მარცხნივ – ნაწილი, მარჯვნივ – მეტების პლატო. კარგად ჩანს ძველი, ბანიანი სახლებიც, რომლებიც საკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო თბილისში. ამჟამად ამ ნახატებს ნამდვილად დოკუმენტური მნიშვნელობა აქვთ.

გარკვეული ისტორიული ეპოქის დამახასიათებელი გარემოს, ისტორიული კოსტიუმებისა და იარაღის გამოსახვით დაინტერესებულ მხატვარს განსაკუთრებით მდიდარ მასალას აძლევს პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“. თავსართ-ილუსტრაციაზე წარმოდგენილია ხის ჩრდილში ჩამომჯდარი მეფისნდერი და მისი მსმენელები, ჩანართი ილუსტრაციული ეთმობა მეფე დიმიტრის ამბავს. მეფის თბილისიადან გამგზავრება – მეფე დიმიტრი ცხენოსნების ჯგუფის ცენტრშია გამოსახული. მასთან გამოსათხოვებლად გამოსული ხალხი შეუვნილია მთის კალთებში. მეორე პლანზე ძველი თბილისის ხედი იძლება – მოჩანს მეტები და ნაწილი ციხე (ისევ არქიტექტურული მოტივი). მეორე ნახატზე ყაენის წინაშე წარმდგარი მეფეა გამოსახული. ფურადლების ცენტრშია მეფის დირსუბით ასესაცეკვე, კეთილშობილი ფიგურა. ორივე კომპოზიციაში მეორების, საერთ და სახული იერო პირების, მეფისა და ყაენის განსაცემით, კაენის კარავი და მისი მორთულობა დაწვრილებით არის დამუშავებული.

ფურადი ილუსტრაციების ფერთა გამა მშვიდია და თავშეკვებული. პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ მი ილუსტრაციაშიც კი, საბაც ყაენის კარავია მოცემული აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი სიმიღლირით და ფურადოვნებით, მხატვარი თავს არიდებს სიჭრელეს, მკეთრი ფერებს. „განდევილის“ ილუსტრაციაც კი მოლურჯო მოყავისურით გამაშია გადაწყვეტილი. აქ განსაკუთრებით კარგად ჩანს, თუ რა სწორულებულად ფლობს მხატვარი აკვარელის ტექნიკას, რა სიამოვნებით გადმოსცემს ქათიანი ქვის ფაქტურას. გამჭირვალე აკვარელის ტექნიკა კარგად ფურადულად ნახატების მშვიდ, წენარ განწყობილებას, რომელიც ილუსტრატორის მხატვრული მიღვომით არის ნაკარნახევა.

მხატვარი კომპოზიციის აგებისას გამოსახვის ობიექტისგან საქმაოდ დაშროებულ ხედების წერტილს იწჩევს ისე, რომ ფიგურები მთლიანად ჩანან. მხატვარი არ მიმართავს მათ მკეთრად გადიდებას, დაპირისპირუბასა და გადაკვეთას, ფიგურები ორგანულად არის ჩაწერილი გარემოში. მხატვარი თავს არიდებს პერსონაჟების მოძრაობის, უსტიკულების ხაზგასმას, რაც აგრეთვე ხელს უწყობს თავისებური სიმშვიდის განწყობილების შექმნას.

შეიძლება მხოლოდ ვივარაულოთ, რომ სარედაქციით კომისიის წევრუბი ილუსტრაციებისთვის სიუჟეტების ამოკრეფისას ეხმარებოდნენ მხატ-




ვარს რჩევით, ან განსაზღვრავდნენ ნახატების რაოდენობას. საჭუროებულიდათ, ისინი იღია ჭავჭავაძის თხბულებების მხატვრის ეულ გრაფიკულ ინტერეტაციას იმიარებდნენ. ამას ამტკიცებს თუნდაც ის, რომ ი. ჯავახიშვილმა 1920-იან წლებში საქართველოს ისტორიული რუკის მხატვრული გაფორმება ისევ პ. პრინცესის მიანდო.

იღუსტრაციები იღია ჭავჭავაძის თხბულებათა კრებულისათვის პ. პრინცესის – მხატვრისა და მოქალაქეს მისწრაფებებსა და გატავებებს ავლენს. მათ საფუძვლად ედო ქართული ხელოვნების ძეგლების გამოვლენისა და ათვისების სურვილი. სიძველეებისა და ეთნოგრაფიისადმი ინგერესი დამახასიათებელი იყო ევროპული და რუსული მხატვრული კულტურისათვის XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.⁷ საქართველოს ნიადაგზე ამ მოვლენას სპეციფიკური ხასიათი ენიჭებოდა, როგორც ეროვნული მოძრაობის თავისებურ გამოძახილა.

პ. პრინცესი იღია ჭავჭავაძის თხბულებათა პირველი იღუსტრაციი იყო და მისმა ნახატებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ქართველ მხატვრებზე, რომლებმაც შემდგომში დაასურათეს იღიას ცალკეული ნაწარმოებები. ეს წიგნი ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვაითობას წარმოადგენს და დროთა სვლამ კი მას ეპოქის დამახასიათებელი უტყუარი საბუთის ხიბლიც შესძინა.

დამოგაბული ლიტერატურა

1. პ. ბერიძე, მოგონებები, თბ., 1987, გვ.333.
2. გ. ეიცი ძვილი, სადიბაინო პროექტირება საქართველოში, თბ., 1997 (რუსულ ენაზე).
3. გ. ეიცი ძვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ.14-15.
4. გ. ბერიძე, პენრიკ პრინცესი, „სპექტრი“, ალმანახი 1, თბ., 1989, გვ.50.
5. იღია ჭავჭავაძე, თხბულებანი, მიხეილ გელევანიშვილის გამოცემა, ტფ, 1914, წინასიცვაობა.
6. გ. ბერიძე, პენრიკ პრინცესი, „სპექტრი“, ალმანახი 1, თბ., 1989, გვ.50.
7. Д. В. Сарабъянов, Русская живопись XIX века среди европейских школ, Москва, 1980, стр.181.



କାନ୍ତେଲୁ ଜୀବଶଳୀଙ୍କ

წიგნის აგრძა ხომალდება, რომელიც მოგ-
გაურობენ ღრეის ტალღებე და თავიანთი
ქვირვასი ტვირთი შრობილად მიაქვთ თარ-
ბილან თარსამდე.

ურენსის ბეჭონი

ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძე

ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პებლიცისგის ნიკო ნიკოლაძის პირადი არქივი მისმა მემკვიდრეობმა 1942 წელს დასასავად გადასცეს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებას.

რესუდან ნიკოლაძე ასე იგონებს ამ ფაქტს: „ბედნიერები ვიყავით, რომ ჩვენზე ბევრად უფრო სანდო და ერთგულმა მომვლელებმა ჩაიბარეს ჩვენი მმობლების ძვირფასი განძი. ესენი იყვნენ ამ არქივის მომავალი დამტეშავებელი და ნამდვილი „ჰირისუფალნი“. ჩვენი პირველი ბიბლიოთეკის მცოდნე და ამ საქმის ენთუზიასტი, პროფესიონი ნიკო ლორთქიანი ჯილდი (დიდი ჯიხაიშიძე), იმგამად საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადვილე და მისი შესანიშნავი თანამემწვე და თანამორაბმე, ჩვენს მიერ „წიგნების ჯადოსნად“ წოდებული თამარ მაჭავარიანი, ყველა დარგის მევლევარისათვის კარგად ცნობილი ჩვენს რესპუბლიკაში“.¹

ამ უნიკალურ არქივში ქართველოლოგით დაინტერესებული მკვლევარი ნახავს როგორც ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების, ხელნაწერი თუ ბეჭდეური წიგნის, პრესისა და გამომცემლობის ისტორიის ამ-სახველ დოკუმენტებს, ისე ჩვენი კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებითი ურთიერთობისათვის საინგრეგეო პრისტოლარულ მემკვიდრეობას. აქ მკითხველი იპოვს ყველა იმ დიდი ისტორიული მოვლენის გამომახილს, რომელიც კი საქართველოში, რესეპტა თუ ეკროპაში მომხდარია გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე. ეს ფონი მოითვლის 8133 ერთეულს. აქვეა მეტად მდიდარი ფოტოარქივიც, რომელშიც დაცულია 1207 ბიბლიოგრაფიული ერთეული. ფოტოსურათების უმრავლესობას ნაჩუქრობის წარწერები ამშვენებენ.

ნიკო ნიკოლაძის არქივში შემავალი ბლვა მასალიდან წინამდებარე წერილში ჩვენ შევხებით მხოლოდ ერთ მცირე ნაწილს. ამ მასალაში, რომელიც თითქოსდა ერთი პიროვნების, ნ. ნიკოლაძის მეუღლის ოლღა გურამიშვილის ცნოვებას ეხება, ნათლად ჩანს მთელი იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების ამრები, ინტერესები, სწრაფვა, რაც შეიძლება მეტად გაისარჯონ საყვარელი სამშობლოს საკუთილდეობოდა.



ოლღა გურამიშვილი დაიბადა 1855 წლის 8 (21) აგვისტოს. 1871 წელს
წარჩინებით დამიაკრა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი (ნ. მიჭიდვების
არქივში ინახება ო. გურამიშვილის აგენტაგი, რომელმიც აღნიშვნულია,
რომ მას სახწავლებელი თქოთს მიურით დამთავრა).² ნიშიერ გოგონას
სწავლის გაგრძელების დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ თავადი აღვეშან-
დო გურამიშვილი ქალიშვილის უცხო ქვეყანაში გამგზავრების სახიდე
წინააღმდეგი იყო. განათლების სრულყოფა იმ დროს მხოლოდ საბლ-
ვარგარეთ შეიძლებოდა, რადგან თბილისში უმაღლესი სახწავლებელი
არ იყო. პეტერბურგის უნივერსიტეტში კი ქალებს არ იღებონენ. ახალ-
გამრდა ქალს მხსნელად გიორგი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე მოევ-
ლინენ. სწორედ მათი დახმარებით, სხვისი პასპორტით ოლღა გურამიშ-
ვილი შევიტარიაში გაემგზავრა. ამ ფაქტს თბილისში დიდი ძეიოგაჟე
გამოუწევედა. „სისკრის“ თანამშრომლის მიხეილ თემანიშვილის ქალ-
იშვილი ბარბარე 1873 წლის 16 თებერვალს თავის მქას გიორგის აგა-
რიანებს: „რომ იცოდე, რა შემთხვევა მოხდა აქ. ოლიკო გურამიშვილი
ციურისს წავიდა, ეს არავის შეაგყობანა – არც დედას, არც მამას და,
რასაკირუებულია, არც ბიბას (აღვეშანდო თემანიშვილს). ნიკოლაძემ აიღო
პასპორტი თავის დებისათვის, მაგრამ წახელით მარტო კრითი წავიდა,
ხოლო მეორის სახელით თლიკო გაემგზავრა“.³

ნიკო ნიკოლაძე ქალთა უმაღლესი განათლების მგბნებარე მომხრე
იყო. იმდროინდელი საშეალო სკოლები მასწავლებელთა დიდ სიმცირეს
განიცდიდა, რადგან საშეალო სკოლაში სწავლების უფლება მხოლოდ
უმაღლესი განათლების მქონე პირებს ეძღვოდათ, ასეთების რიცხვი კი
იმ დროს ძალიან მცირე იყო. „მამა ცდილობდა თბილისისა და ქუთაისის
ქალთა ჯგუფის უცხოეთის უნივერსიტეტში მოწყობას; მას სურდა ქალებს
ევროპის ქალაქებში საფუძვლიანი განათლება მიეღოთ“, – იგონებს
რესულან ნიკოლაძე.⁴

სხვა ცნობილი მოღვაწეებიც აქტიურად ცდილობდნენ ქართველი ახ-
ალგაბრდების დახმარებას. არქივში დაცულია პუბლიცისტისა და მთარგ-
მნელის ივანე მესხის წერილი თლდა გურამიშვილისადმი, რომელშიც ის
აგყობინებს, რომ ერთმა პიროვნებამ ქართველი მოსწავლე ახალგაბრ-
დობის დასახმარებლად გადასცა უკული და მორიდებით სიხოცეს, აიღოს
ეს ფული თავისთვის და სხვა ქართველი მოსწავლე ქალებისთვის: „გამოწე-
და ერთი კეთილგონიერი კაცი, რომელსაც სულით და გულით სურს, ჩვენ
აქ – სამზღვარგარეთ მოსწავლე ახალგაბრდებს (რასაკირველია ქარ-
თველებს) დაგვეხმაროს მაგერიალურის მხრით. საბოგადოთ ჩვენი ახ-
ალგაბრდობისათვის ის გრუნავს, მაგრამ უმეტესი მისი ფურადღება ჩვენ-
შეა მოპყრობილი. – მე თავათ მქონდა იმ კაცთან მოლაპარაკება და
მითხრა, რომ ის ყოველთვის მშათ არის ჩვენ დაგვეხმაროს არამც თუ



Е. ВЕСТИ



Тифлисъ.

ოლღა გურამიშვილი XIX ს. 80-იან წლებში. თბილისი

დრო-დროით შემწეობით, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ კი ჩვენგანი ვანშე მოსურნე გამოჩნდება მისგან ყოველ თვეები გადაჭრილი ხარჯებით, რომ ის ყოველთვის მზათ არის 100-120 ფრანკამდი თვეები ეგზაზნის რომელიმე კარგს და საიმედო ჩვენ მოსწავლე ყმაწვილი[“]:

საბღვარგარეთ უმაღლეს განათლებამიღებული ქართველი ქალები მოღვაწეობას იწყებდნენ პედაგოგიურ ასპარეზზე და მთელ თავიანთ ცოდნას ეროვნულ საქმეს ახმარდნენ.

შვეიცარიაში სასწავლებლად წასულ ყმაწვილ ქალებს ნიკო ნიკოლაძემ გზად, თურქეთში, საბერძნეთსა და იგალიაში უმეტერა. შემდევ ისინი ციურისში დაბინავა, თვითონ კი პარიშს გაემგზავრა. მას მერე ნიკოსა და ოლდას მიმოწერა თითქმის სიცოცხლის ბოლომდე არ შეწყვეტილა. „ჩვენი მშობლების მიერ მრავალი ათეული წლის მანძილზე (1873-1927) წარმოებულ მიმოწერას ხუთი ამერიკული ყუთი უჭირავს. შვიდი ათასშე მეტი წერილია დაცული. ვუიქრობ, რომ ეს მეტად საინტერესო და საჭირო მასალაა“, – ვეითხეულობით რესუდანს ნიკოლაძის მოგონებებში[“].

ქართველ სტუდენტთა ცხოვრება შვეიცარიაში განსაკუთრებით საინტერესო გახდა მას შემდეგ, რაც 1873 წლის მარტში მათ დააარსეს საბოგადოება „ულელი“. ამ საბოგადოების მიმანი იყო საბღვარგარეთ მყოფი ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის გაერთიანება, უკროპის სოციალური მოძრაობის და აბროცხნების გაცნობა, ერთმანეთისათვის ცოდნის გაზიარება, დახმარება და საერთო ძალებით მშობლიური ლიგერატურის წინ წაწევა. ნიკო ნიკოლაძე ფრიად დაინტერესებული იყო „ულდის“ ყოველდღიური საქმიანობით. პარიზიდან მოწერილ ერთ-ერთ წერილში იყო საყვედურობს თლდა გურამიშვილის: „რაგომ ასე ცოგას იწერები „ულდის“ ბედისა და მოღვაწეობის შესახებ...“ (1874 წლის 6 ივნისი).[?]

თლდა გურამიშვილის ფოტოარქივში უხვადაა იმ წლების ამსახველი ფოტომასალა. მათ შორის საპატიო აღგილი უჭირავს საბღვარგარეთ განათლებამიღებული პირველი ქართველი ქალების – კატო ნიკოლაძის, კაგარინე მელიქიშვილის, თლიმიშავად ნიკოლაძის, მაშიკო წერეთლისა და ეფემია ელიოზიშვილის ფოტოებს. იქვეა „ულდის“ წერების ჯგუფური სურათიც მასზე გამოსახული არიან: ივანე მაჩაბელი, თთარ დადუშეკლიანი, ვასილ მაჩაბელი, პეტრე გრიგორის ვანე, ივანე ხორჯაძე, დავით გურამიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, დავით სარაჯიშვილი. სურათის მეორე მხარეს რესუდან ნიკოლაძის ხელით აწერია: „ულდის“ ჯგუფი პარიზში 1875 თუ 1876 წელს[“].

ციურისში თლდა გურამიშვილი დაუახლოვდა რუს ემიგრანტებსა და ფრანგ კომუნარებს. მათი გავლენით დაინტერესდა სოციალიზმისა და ინგრენაციონალიზმის საკითხებით. ხ. ნიკოლაძის პარიზში ვეღდებით ლუა ბლანის „საფრანგეთის ისტორიის“ პარიზში გამოცემულ თრგომეულს, რომელიც აკინძულია თოხ წიგნად. პირველი წიგნის ფორმაციები რ. ნი-



კოლაბის მინაწერიდან ჩანს, რომ ეს წიგნები 1872-1879 წლებში ოლღა გურამიშვილისათვის უწევებდა პარიზის კომუნის მონაწილეს გუსტავ დეკანზე და ლეონ ბოლონის მიერაცხოვდა, როგორც უმიგრანტი. წიგნები ნაზუქრიობის წარწერა არ არის, ვინაიდან ამით წიგნის საბლვარზე გამოტანა შეუძლებელი გახდებოდა. ოლღა გურამიშვილის ალბომმა შე მოგვინახა გუსტავ დეკანზე როგორც მონაწილე და მონაწილე მონაბეჭდისა, რომლის გამოსვლებაც გატაცებით უსმენდა ოლღა გურამიშვილი I ინტერნაციონალის შეკრებებშე. იმავე ჟერიოდს ეკუთვნის აგრეთვე უმიგრანტი ფრანგი კომუნარების მონაწილესა და გაარის უოტონბის სურათზე გაიარს ხელში უჭირავს წიგნი, რომელზედაც ფრანგულად ყოფილა წარწერა: „მმობა, ერთობა, თავისუფლება“. რეჟეტის ქანდარმერის შიშით, ეს სიგყვები ოლღა გურამიშვილს მელნით წაუმლია 1876 წელს, როცა ის ენევიდან საქართველოში ბრუნდებოდა.

ოლღა გურამიშვილის ცხოვრებისა და მოლვაწეობის ეს პერიოდი აღწერილი აქვს ცნობილ რეს ხალხოსან-რევოლუციონერს ნიკოლოზ მორიზონტის თავის წიგნში „ჩემი ცხოვრების მითხოვები“. იგი დიდი სითბოთი იგონებს თავის ახალგაბრდა მევობარს: „...თავადის ქადა გურამოვა განსაკუთრებით უფექტური იყო თავისი გასათცარი სამხრეთული სილამაბით. ჩვიდმეტით წლისა იქნებოდა, საშუალო განის, საცხე მკურდითა და ვიწრო წელით. იგი მევობორებს მორის იჯდა და დიდი შავი თვალებით აღვროთვანებით აღვენებდა თვალს შალენის მგბნებარე მოხსენებებს, რომელიც ეტყობოდა, რომ ყოველთვის გამორჩეულად მისთვის საუბრობდა, თუმცა ისინი პირადად არ იცნობდნენ ერთმანეთს“?

6. მორიზონტი მორიდებით გვამხელს, რომ იგი გატაცებული იყო ოლღა კო გურამიშვილითა და მაშიკო წერეთლით. როგორც ჩანს, მხოლოდ იგი არ ყოფილა მოხაბლული ქართველი ახალგაბრდების სილამაბითა და ჰერა-გონებით. 6. ნიკოლამის არქიეპი დაცულია, ასევე ხალხოსან-რევოლუციონერ ნიკოლოზ საბლინის, 1875 წლით დათარიილებული, ოლღა გურამიშვილის, მარიამ წერეთლისა და კაბერინე ნიკოლამისადმი მიძღვნილი ლექსი „Мои муки или три грации.“¹⁰

1873 წლის ნოემბერში ქართველ სტუდენტთა უმეტესობა ენევაში გადადის. ენევაში ჩასვლისთანავე ციურისის „უდლის“ ყოფილმა წევრებმა ჩამოაყალიბეს ენევის „უდლი“, რომელმაც სამოქმედო პროგრამა გააცხოველა, თავისი მოქმედება დაკავშირა რეჟეტისა და დასაცლეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას და ლიტერატურულ მუშაობასაც მეტი გასაქანი მისცა. გიორგი წერეთლის ჩადგომაში საბოგადოების სათავეში, „უდლის“ შეკრებაზე უფრო მიმზიდველი და შინაარსიანი გახადა. 1874 წლის მაისში ოლღა გურამიშვილი აგყობინებს ენევიდან პარიზში ნიკო ნიკოლამეს: „ასეთი კარგი შეკრება კარგა ხანია არ გვჭრია. მე მგონია, რომ მის შემდეგ ყოველმა ჩვენგანმა რაღაც მაინც გამოიტანა. ათ

საათამდე ვკითხულობდით „ვეფხისგყაოსანს“. ათი საათიდან პირველ საათამდე კა ვეცნობოდით გამოეტებიდან შეკრებილ ცნობებს. ძიქადამის ეს ნაწილი მე ძალიან მომეწონა. გ. წერეთელმა წარმოადგინა ცნობება გერმანიაშე, ძალიან ნიჭიერად, ლოდიკურად. მან მიმდინარე მოვლენები გაგვაცნო, მაგრამ, რათა ისინი უფრო მკაფიო გაეხადა, მოგვითხრო მოკლედ წინა ისტორია. ის არ კითხულობდა, არამედ გვამბობდა, რა თქმა უნდა, ქართულად, ისე მოხდენილად, კარგად... ვლაპარაკობდით, ვკამათობდით, ვუსწორებდით ერთმანეთს და ყველაფური ეს იყო მშვიდობიანად, უკინკლაოდ, უბოროფოლ...“¹¹

თუ როგორი გატაცებით სწავლობდნენ და მუშაობდნენ ქართველი ახალგაზრდები შევიცრიაში, კარგად ჩანს გაორგა წერეთლის წერილიდან ნიკო ნიკოლაძისადმი: „საცავარელო ძმათ ნიკო, თითქმის ეს ორი კეიირაა, რაც ციურისში ვარ. ამ ღროის განმავლობაში უნევაც მოვიარევ ყმაწვილები ვნახე და მეტი არ შეიძლება, ისე კმაყოფილი დავრჩის, ყველანი კარგათ არიან, ითმენენ ბევრს გაჭირებას უფლობის გამო, მაგრამ წარმოიდგინე, ისე მხიარულათ არიან, თითქოს ეს მუდამი გაჭირება იმათ უფრო ახალისებს, თითქოს ასე ამბობდენ: ეს რა გაჭირებაა ჩვენთვის, ჩვენ გახსერებულ საკირეში რომ ჩაგვაროთ, მაშინაც იმ ებრაელ ყმაწვილებსავით ვიგალობებთო, რომელიც ნაბუქოლონისორმა ჩაყარა გავარვარებულს საკირეში თავის აბრეგბე მტკიცებ დამყარებისათვის. ჩუმის აბრით, ყველანი სამაგალითონი არიან“. იქვე გორგა წერეთელი ახასიათებს რამდენიმე მათგანს და მათ შორის თლდა გურამიშვილსაც: „გურამოვა, გურამოვა? – თჲ, რა არსება! მე მარგო ამ პირველ ნახვაშე წარმომიდგა იმისი ბლვასავით მოულეველი კარგი თვისებები. ორჯერ სამჯერ დავაკეიირდი იმის წარბებს და თვალებს, იმის გაბუშტელს ცხვირს და იყი ვისი სახე წარმომიდგა? როდესაც ვეფხვი (ნაც) პირველ გამოვა სანადიროთ და ყოველ ბუჩქს დაწვრილებით გადაავლებს თავის თვალების შექს, რომ არა გამოეპაროს რა, რომ თავისი მსხვერპლი ხელითგან არ წაუკიდეს. სწორეთ ამგვარივე მთაბეჭდილება ჰქონდა ჩემზე გურამიშვილის ქალს. მე ვფიქრობ, თუ ნორმალურათ წავიდა იმისი გონების წერთან, ის უნდა გახდეს რამე კარგათ მოზრდილს საქმეში მოთავეთ და ძალის შემაერთებლათ. ამასთან რა გულჩეილია, რა მხურვალე გრძნობის არის! ამასთან რა გამბედავი და თავაგამტეტებით ხელ ამდებია იმაზე, ვისაც სწობს უდირსად და დარწმუნდება, რომ იმისთვის ერთდროს მახლობელი და ძვირფასი გვამი აღარ ვარგაო. რამდენათაც მურვებალე გრძნობისა არის თავისიანისთვის, იმდენათვე გულგამეხებული და შეუწყალებელია იმ თავისიანისათვის, რომელიც იმის აბრით საქმისთვის დაკარგულა“.¹² წერილი დათარილებულია 1873 წლის 1 დეკემბრით.

მამის გარდაცვალების გამო 1876 წელს ო. გურამიშვილი სამშობლოში დაბრუნდა. თავდაპირველად კერძო პასიონში დაიწყო მასწავლებლად“.¹³

ბლობა, მაგრამ მაღვე მან იმდენად გაითქვა სახელი, რომ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძემ 23 წლის ახალგამრდა ქალი მათ მიერ უპირატესად ნიღ ვაკების სათავადაზნაურო სასწავლებელში მიიწვიეს რუსული ენის მასწავლებლად (მანამდე ვაჟთა სკოლებში მხოლოდ მამა კაცები ახალგადნენ). ამ სკოლაში სწავლობდნენ მეტწილად კახეთიდან ჩამოყალიბი დიდ მემატელეთა შეიღები, რუსული ენის საესებით უცოდინარი ყმაწყვილები, რომლებიც სასწავლებელში ერთ ან ერთნახევარ წელიწადში უნდა დაუკავშირდნენ რუსულ ენას. ოლდა გურამიშვილის მოსწავლეებმა ერთ წელიწადში ისეთ წარმატებებს მიაღწიეს, რომ ნიკო ლომოური – იმ სასწავლებლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და მათი პასიონის უფროსი, სულ აღგაცემით იმურნებდა ოურმე: „ოჰ, შენი ჭირიმე, ჩვენთ ოლიკო... დედამ რომ შეიღი გაბარდოს, ემაგრე შენისთანათ!“¹³

ოლდა გურამიშვილი პეტლიცისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა გამეოთ, „ობიტორის“ მუშაობაში, რომლის დახურვის შემდეგ მიემგზავრება პეტერბურგს. იქ მან დაპყო მანამდე, სახამ „ობიტორის“ რედაქტორი ნ. ნიკოლაძე სგავროპოლში იყო გადასახლებული. პეტერბურგში ო გურამიშვილი ესწრება კრებებს ნ. მიხაილოვსკის კონსაკირაციულ ბინაშე, ხვდება ნ. საბლინს, რომლის ბინაშე მზადდება მეფის მკალელობა. მკალელობის შემდეგ იგი ორჯერ დაკითხა ლორის-მუდოქოვამა და პეტერბურგიდან სამციოდლომი გამოიძევა.¹⁴

1882 წელს ოლდა გურამიშვილი ისევ ახერხებს პეტერბურგში დაბრუნებას ნიკო ნიკოლაძესთან ერთად და ხდება წევრი მწერალთა წრისა, რომელიც გამოსცემდა უკრაინლს „ოტეჩესტვენიე ბაპტისტი“. ნ. ნიკოლაძის არქივში დაცულია ე. ლუბროვინას ფოთში გაგზავნილი წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი, რომელიც იგი იგონებს ნ. მიხაილოვსკისთან მეურნობის წლებს და მეტად თბილად იხსენებს ოლდა გურამიშვილს: „შეიცვალა თუ არა, თუ ისევ ის „კავკასიონი პერი“ („Кавказская пери“), რომელსაც ჭევიდან გადაყავდა მთელი ჩვენი ლიტერატურული ელიტა? თუ დრომ მასაც დააგვით თავისი კვალი? ძალიან მინდა ორივეს ნახვა... ხელს გარის მევთ და გულითად სალამს კვედლენი ოლდა ალექსანდრეს ასეულს!“¹⁵

1883 წელს ნიკო ნიკოლაძისა და ოლდა გურამიშვილის მრავალი წლის მეცნიერობა და ერთობლივი საქმიანობა ქორწინებით დაგვირგვინდა. ნ. ნიკოლაძის არქივში დაცული საბუთიდან ვიგებთ, რომ ჯვარი ქაშუათის ეკლესიაში დაუწერიათ 1883 წლის 29 ივლისს.¹⁶ საქართველოში დაბრუნებული ოლდა ნიკოლაძე კვლავ განათლების დარგში მოღვაწეობს. სოფელ დიდ ჯიხაიში აარსებს ქალთა მირეულ სკოლას, ფოთის ქალთა სკოლას გარდაქმნის ქალთა გიმნაზიად, ამავე ღროს განაგრძობს პეტლიცესტურ მოღვაწეობასაც. მაგრამ, რასაც არ უნდა საქმიანობდეს ოლდა გურამიშვილი, იგი, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის დედა და მეუღლის ერთგული თანაშემწეა. ისინი ერთად ეწევიან ცხოვრების ჭაპანს და, საღა

არ უნდა იყვნენ: თბილისში, ბერლინში, პეტერბურგში, ფოთში თუ და /
ჯიხაძემში, მათთვის პირველ რიგში სამშობლოს ინტერესები დგას ამჟამად ასელიკიანი
მისწრაფებით გრძილებულ ისინი თავიანთ სამ შეიღს.

* არწივის მუნიციპალიტეტი – ნიკო ნიკოლაძის შეილიმუდი.



მოაღნიობენ ფერომანგანუმს ფოთში, ნაცვლად მაღის საზღვარგარეთ გატანისა. ყოველ შემთხვევისათვის მე კველაფერს ვაკეთებ, რომ ჩემი შეიღებს – ქიმიკოსებს შევუქმნა მათთვის შესაფერისი ასპარეზი საქართველოს ანობისათვის სამშობლოს საკეთი დღეს დადგება დრო და შესაძლებელი გახდება ჩვენს ქვეყანაში ნედლეულის ადგილზე დამუშავება, ყველა ჩვენი თანამემამულე მიიღებს შემოსავლიან სამუშაოს. დამიჯერება, ქს სულაც არ არის ქიმერა, არამედ სავსებით შესაძლებელი სინამდვილის პერსპექტივა. ჩვენზე დამოკიდებული მისი განხორციელება¹⁹.

ნიკო ნიკოლაძისა და ოლდა გურამიშვილის ეს ოცნება, მართალია, ფოთში არ განხორციელდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მათმა ვაჟმა, ცნობილმა მათემატიკოსმა და მთამსვლელმა გორგო ნიკოლაძემ, დადგებული საცდელი ღუმლის მოწყობით, საფუძველი ჩაუყარა ბესტაფონის ფერომანგანუმის ქარხანას.

ოლდა გურამიშვილი გარდაიცვალა 1940 წლის 24 მაისს, თბილისში. 1956 წლის 10 სექტემბერს მისი ნემტი დიდების პანთეონიდან მთაწმინდაშე გადასაცენებს და სახელოვანი მუსლინი გვერდით დაკრძალეს.

დამრევებაზე ლიტერატურა

1. რ. ნიკოლაძე, ცხოვრების დიდ გმაზე, თბ., 1975, გვ.32.
- 2 საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, საბუთი № 40-345.
3. გ. აბგიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული სამოგადოებრივი ამროვნების ისტორიიდან, თბ., 1959, გვ.457.
4. რ. ნიკოლაძე, ცხოვრების დიდ გმაზე, გვ.47.
5. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, საბუთი № 40-817.
6. რ. ნიკოლაძე, ცხოვრების დიდ გმაზე, გვ.32.
7. გ. აბგიანიძე, ნარკვევები..., გვ.468.
8. საქართველოს კრიტიკული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, ფოტო NP 595.
9. იქვე, საბუთი № 38/16; Н. Морозов, Повести моей жизни, М.; 1918. – II, с. 221-224, 269-270.
10. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, საბუთი № 38/6.
11. И. Месхи. Пишу тебе... – Тб., 1980. – с. 117.
12. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, საბუთი № 13/308.
13. რ. ნიკოლაძე, ცხოვრების დიდ გმაზე, გვ.130.
14. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, №№ 38/18, 38/21, 38/22.
15. იქვე, საბუთი № 40/403.
16. იქვე, საბუთი № 40/935.
17. იქვე, საბუთი № 21/66.
18. იქვე, საბუთი № 62/1.
19. იქვე, საბუთი № 62/62.

მარიამ ჯამბაგურ-ორბელიანი

მარიამ ჯამბაგურ-ორბელიანი, ქართველი არისტოკრატიული წრის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, თავისი დროისათვის კარგად ცნობილი საბოგადო მოღვაწე ქალი, იმ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა დედა დედები და მამა კეროვნად არ არის შეფასებული და უართო საბოგადოებისათვის უცნობი არიან.

მარიამ ჯამბაგურ-ორბელიანი დაიბადა ქ. თბილისში, 1852 წლის 11 ივნისს. იგი ასული გახლდათ ერეკლე მეფის გამორჩეულად საყვარელი შვილის – თეკლას უმცროსი ძის, ცნობილი რომანგიკოსი ჰოეგის ვახტანგ ვახტანგის ძე ჯამბაგურ-ორბელიანისა.

მარიამის დედა, ეკატერინე ვასილის ასული ილინა კაია, დედით ქართველი იყო. ვასილ ილინსკის, სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციის უფროსს, ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი მარიამ ელიობიშვილი.

მარიამ ჯამბაგურ-ორბელიანმა ოჯახშივე მიიღო მაღალი არისტოკრატიული წრის შესაფერი აღმრდა-განათლება. სახელოვანი მამა-ბიძების გარემო მომავალ მამულიშვილად აყალიბებდა პატარა მარიამს, რომლის გელბე, ხასიათისა და ამოროვნებაბე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მისმა გამდელმა ქეთვევანმა, მეჯვრისხეველი გლეხის, გოგოლაშვილის ქალმა, რომელიც ბავშვი მიუყვანიათ თეკლა ბაგონიშვილის სასახლეში და იქიდანვე გამხდარა ბავრაგიონთა ჭირ-ვარამის მომსწრე და მობიარე. იგი მარიამს აღრეულ ასაკშივე მოუთხოობდა მისი სახელოვანი წინაპრების შესახებ.

ცხრა წლის მარიამი დედამ ძმასთან, შემდეგში ცნობილ იურისგ ნიკოლოზ ჯამბაგურ-ორბელიანთან ერთად ევროპაში სამოგბაუროდ წაიყვანა. მათთან ერთად იმოგბაურეს გიორგი მეთორმეგის მმისწულმა ირაკლი ბაგონიშვილმა, გიორგი ერისთავმა (ვახტანგ ორბელიანის დეიდაშვილმა) და ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ. იყვნენ იგალიაშიც. ეს ის დრო იყო, როდესაც იგალიის ეროვნულმა გმირმა ჯუბეკე გარიბალდიშ ჩრდილოეთი იგალიია აესტრიელებისაგან გაათავისუფლა და ჯარების შესაგროვებლად შეა იგალიაში დაბრუნდა. ქართველ მოგზაურებს ერთ საღვეურებე ჯარისკაცებით სავსე მაგარებელი დახვდათ. ირაკლი ბავრა-



մահում չամձայլուր-ռահելունի

გიონს უთქვამს, რომ იგალიელებმა სამშობლოს დაპყრობილი ნაწილი დაიბრუნებს, კი. მათ შეძლეს ის, რაც ჩვენ ქართველებმა, ვერ შევუდღოთ. შემდევ მარიამისთვის უთხოვია: „აბა, ფანჯარასათან მიღი და დაუკუთხე იგალიელ ჯარისკაცებს, გაუმარჯოს იგალიას“. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე დაიყვირა ეს სიტყვები მარიამმა. პასუხად იმისთანა ვაშას დაუგრიალია, რომ ყველა მგგავრი ფანჯარას მიეკრძია.

მაშინ პირველად დიდი სიძლიერით გაიღვიძა მარიამში პატრიოტულ-მა გრძნობამ, რაც არასოდეს განელებულა მასში, თუმცა მან ნამდვილად იცოდა, რომ ყველა მისიანი საქართველოს შავ ბედს დასტიროდა. მეტად კი მისი უფროსი ბიძა ალექსანდრე (ჭყპლია) ორბელიანი – საბოგადო მოღვაწე, მწერალი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, ეკუნიალ „ცისკრის“ თანამშრომელი და „მამების“ თაობის იდეური ხელმძღვანელი, რომელიც მარადებაშს სამშობლოს განთავისუფლებას ნაგრობდა...

სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისა და გუვერნიორთაგან მომზადებული მარიამი დაუეფლა რუსულ, ფრანგულ, იტალიურ და გერმანულ ენებს. 16 წლისამ მიიღო თბილისის ქალთა კურსების სიმწიფის ატესტაცია.

1872 წელს იგი ცოლად გამყვა ალექსანდრე (საშიკო) ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანს, ლამისყანელ მემამულეს, რომელსაც პავების კორპუსი ჰქონდა დამთავრებული და იმხანად აღიუტანტა შსახურობდა თავადლევან მელიქიშვილთან. ჯამბაკურ-ორბელიანები ზამთარს თბილისში ატარებდნენ, ზაფხულობით კი ლამისყანაში ცხოვრობდნენ, სადაც მათ მდიდარი ოჯახი ჰქონდათ.

ცედ პირობებში ცხოვრობდა სოფელი იმ დროს. არ იყო სკოლა, საავადმყოფო, წყაროს წყალი. მარიამის აზრით, მემამულე მოვალე იყო, თავად მიეხედა მამულებისთვის და ეპატრონა სოფლისთვის. ასევე ხედიდა (ხანდაგმელი ლამისყანელები დღესაც ყვებიან „ის სულგანათლებული ორბელიანები ნამდვილი პატრიონები რომ იყენენ ხალხისა“).

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა ლამისყანელებს დაწყებითი სკოლა მოუწყო, რომლის ერთადერთი მასწავლებელი თავადევე იყო.

სოფელში მაღარია მძვინვარებდა. მძინარე ქსნიდან გამოყვანილი წყალი სასმელად უვარებისი იყო. ორბელიანებმა საკუთარი ხარჯით მოწვეულ ინფინერს წყაროს წყალი გამოაყვანინებ. თავად მიჟყავდათ ექიმი მძიმე ავადმყოფებისათვის. საფუძველი ჩაუყარეს საფოსტო მომსახურებას: დაიქირავეს კაცი, რომელსაც რკინიგზის სადგურ კასპიდან ურნალ-გაბეთები და წერილები აპქონდა სოფელში. გლეხები დიდად ემადლიერებოდნენ თრბელიანებს.

მაღალ საშიკო ორბელიანი მეფისნაცვალმა აღიუტანტად აიყვანა. ორბელიანები კვლავ თბილისში დაბრუნდნენ.

1879 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სა-



შოგადოების“ დაარსებისთანავე, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი მისი ნაში დაიღილი და დამტექმნებული წევრი გახდა. ამავე წელს ამ სამოგადოებში თბილისში გახსნა ქართული სათავადაზნაურო სკოლა. მალე მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი აირჩიეს დასახელებული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრად. როგორც ამ კომიტეტის მისაღებიდან ჩანს, მისი წევრუბი და თავმჯდომარები ხშირად იყვლებოდნენ, რაც მარიამ ორბელიანს არასოდეს შეხებია. 35 წლის განმავლობაში ის იყო ამ კომიტეტის თავმჯდომარის უცვლელი მოადგილე, ფაქტიური თავმჯდომარე და ნამდვილი ხელმძღვანელი. თვით ამ სკოლის, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის გეგმა მან ჩამოიტანა შევეციდან.

იმავე დროს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი აირჩიეს სამუსიკო სასწავლებლის კომიტეტში. ამ სასწავლებლის დირექტორი იყო ცნობილი მუსიკოს-ეთნოგრაფიკომპოზიტორი და პედაგოგი მ. იმოლიტოვ-ივანოვი. აი, რას წერს იგი თავის „მოგონებებში“: „...სუიტა „ივერია“ მე მივუძღვა ნი ჩვენი სამოგადოების თავმჯდომარეს ქუთა მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანს, რომელმაც უდიდესი დახმარება გამიწია მუსიკალურ სასწავლებელში (ამჟამად საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორია. – ს. ც-უ). კლასების გადაკეთების საქმეში. კავკასიაში მუსიკის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მოღვაწის გაწეული მუშაობა“.

1886 წელს ჩამოყალიბდა „მასწავლებელ ქალთა სამოგადოება“, რომელ საც თავმჯდომარეობდა ცნობილი სამოგადო მოღვაწე ქალი ანასგანია თუმანიშვილი-წერეთლისა. გამგეობის წევრად არჩეულ იქნა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი. სამოგადოება მიმნად ისახავდა პედაგოგიურ სარბიელზე ქალის შრომის გამოყენებას, ქალის უფლების დაცვას და სხვა. დასახელებული სამოგადოების შესახებ იღია ჭავჭავაძე წერდა: „პირველი მაგალითია, რომ ქალებს თავისი საქმე დაეწყოთ... თავისი საკუთარი მხედობა, საკუთარი თაოსნობა და საკუთარი თვითმოქმედება უარჩმლად აუღიათ, რომ თავის საკუთარის ძალდონით წინ აღედგნენ ქალთა დამჩაბერავს გარემოებასა და ბედი, შეძლებისამებრ, თავისკენ მოაგრიალონ. ამ თვითმოქმედებაშია მთელი სიმძიმე ამ თავმოსაწონი და პატიოსანი საქმისა, ამასთანავე სახელოვნებაც, და ამაზედვეა დამყარებული იმედი გამარჯვებისა“.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი 33 წელი პატრონობდა „მასწავლებელ ქალთა სამოგადოების“ სკოლას ქართულ, სომხურ, რუსულ სექტორებით ანად. იგი მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდა საპატიო მოვალეობას. მთელი მისი საქმიანობა იქით იყო მიმართული, რომ ქართული გიმნაზია მხოლოდ სახელით არ ყოფილიყო ქართული. მას თავისი ბინაზე არაერთხელ გაუმართავს სამზრუნველო და პუდაგოგიური საბჭოს გაერ-

თიანებული კრება, რომელსაც დიდი ივანე ჯავახიშვილიც დასწრებია განუსაზღვრავს გიმნაზიის საეპლი გზაზ.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის დაუდალავი მცდელობით, მას შექრეს შეკრებილი ფულით 1906 წელს გაიხსნა პირველი ქართველი ქალთა სკოლა, რომლის კომიტეტის თავმჯდომარე თავადვე იყო 1917 წლამდე.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა საკუთარი ხარჯით, იაკობ გოგებაშვილისა და პეტრე უმიკაშვილის დახმარებით 1894 წელს გამოსცა თავისი მამის, პოეტ ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანის ლექსები ილია ჭავჭავაძის წინასიცყვაობით.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა დახმარება აღმოუჩინა ილია წინამდლობრიშვილს საგურამოში სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნაში. მანვე სოფელ აგენში (ცორის რაიონი) გაახსნევინა სკოლა, რომლის ხარჯები სანახევროდ გაიმიარა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცვალებელ საზოგადოებასთან. მას ჰყავდა სტი ჟენდიაგები ქართულ ვაჟთა სკოლაში, რესერტისა და საბლვარგარეთის უნივერსიტეტებში.

ქართველი პროგრესული საზოგადოების წინაშე არ წამოჭრილა საკითხი, მის გადაჭრაში აქციური მონაწილეობა არ მიეღოს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს. ეროვნული საქმის კეთება მისი ცხოვრების წესი იყო.

1917-1918 წწ. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი უდალაგო თანამდგომი იყო ივანე ჯავახიშვილისა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

იმავე პერიოდში დამოუკიდებლობა ს გამაზე მდგომ საქართველოს ისტორიული სენი მოებალა, განცალკევერულობა და კაცოშეუთანხმებლობა. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს გულს ჲელავდა „სხვადასხვა პარტიუბად დაყოფილი სამშობლო, რომლის შეგნებული ნაწილი ამხედრებულიყო ერთმანეთშე“, „შეერთებაშია ჩვენი ძალა, ჩვენი ხსნა, შევერთდეთ თავისუფლებისათვის“, — ემუდარებოდა იგი ყოველ ქართველს და თანაც საყვედერობდა: „ნეთუ მონობის ბორკილები ისე კარგად მოგიხდა, რომ აღარ გვინდა მოვიმოროთ“.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა კარგად იცოდა, ის, რაც შეა საუკუნეებში ფეოდალური დაქუმაციებულობა იყო დედა სამშობლოსათვის, მას მეოცე საუკუნეში პარტიული უთანხმოება ერქვა!

1918 წლის 26 მაისს ახდა მამულიშვილთა ოცნება — აღდგა საქართველო! მაგრამ ვაი, რომ არც სატანას ემინა. სამი წლის შემდეგ კვლავ მონობის უდელი დაედგა ქართველთ სამშობლოს. „ოჳ, მაისო ოცდაექცხო, მაგყუარავ, გულში დანაც! — მწარედ ამოიკვენება მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა 1921 წლის 23 თებერვალს, თუმცა მომავლის იმედი მაინც შერჩა: „ძალიან მაღონებს ჩვენი ქალანდელი ცხოვრება, ამასთან სრული იმედი მაქვს, რომ ჩვენ სამშობლოს უკეთესი დრო მოელის ახლო მომავალში

და არც ერთი წელი არ მიუკეთდება „სასოწარკვეთილებას“ (კერძო წერილი სასახლეში იღილან).

მარიამ და საშიკო ჯამბა კურორტელიანებმა, თავად უშვილოებმა, მშობლიური ამაგი დასდეს მარიამის მმისმვილებს. ივანე ჯავახიშვილი და კიტა აბაშიძე სიძეები იყვნენ ჯამბა კურორტელიანთა, რომელთა მაღლიანი კალთა ეფარათ აბაშიძეებს, ჯავახიშვილებს და მათ უმრავ ნათესაობას. ისინი ერთად ცხოვრობდნენ თბილისში და ორბელიანთა კუთვნილ სასახლეებში ლამისყანასა თუ ატენში. ერთხანს ლამისყანის სასახლე თრბულიან-აბაშიძე-ჯავახიშვილთა საბათუელო საცხოვრისადაც ირიცხებოდა, მაგრამ აირია წუთისოფელი და გაუბიარავი არც ორბელიანებისა და ლამისყანელების დამოკიდებულება დარჩა. 1924 წელს მარიამი, ამ დროს იუველირის იყო, იძულებული გახდა წახულიყო ლამისყანიდან. ამ ის უკვე ქვრივი იყო, იძულებული გახდა წახულიყო ლამისყანიდან. ამ იერიდან მისი და მისი ნათესავების ერთადერთი საცხოვრებელი თბილისის ბინა იყო.

მარიამ ჯამბა კურორტელიანი სიცოცხლის უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. იყო ფრანგული ენის მასწავლებელი. მას არაერთხელ უთქვაშს, მას შემდეგ, რაც ყველაფერი ჩამომერთვა, ჩემი შეუდარებელი სიძის – ივანე ჯავახიშვილის კმაყოფაზე ვიმყოფაში.

მარიამ ჯამბა კურორტელიანი გარდაიცვალა 1941 წლის 23 აგვისტოს.


მოგონება

ხატება შემომრჩენია
 ფერგადასული დღის:
 ჩემი ფიქრების ფერია
 ბაღმი გრძელ სკამჩე ბის.

ხშირნი წამწამნი ფარავენ
 თვალთა საამო ფერს,
 და ვერ გაიგებს ვერავინ,
 წიგნს კითხულობს თუ თვლემს.

ხმა მახლობელი ნაბიჯის
 აპწევინებს თავს,
 პატარა სხივი მზისდარი
 აუციმციმებს თვალს,
 და მე ვარ ძალგე მდიდარი,
 რომ არ უდიმის სხვას.

...ჩემი ფიქრების ფერია
 გრძელ სკამჩე აღარ ბის...
 ხატება შემომრჩენია
 ფერგადასული დღის.



მსოფლიოს გერილი- ანეგზე

მცენარეი ის კაცია, რომელსაც მისწოდება ყველა სხვაგვ
ძვირად უზღვება.

თომას მანი

საღომა ფუბანებიშვილი

აღმესანდრ პუშპინის «ეგგენი რევეზი» ერთი ლიტერატურული წყარო



ალექსანდრ პუშკინი, რომელიც, თ. დოსტოევსკის თქმით, „რუსული პოეტის მზეა“, – მხოლოდ ლიტერატურის ერთი ციაგი ვარსკვლავთაგანია.

1829 წელს ა. პუშკინმა საქართველოში იმოგზაურა: საქართველოს სახელმძღვანელო გზის გავლით თბილიშიშ ჩამოთვიდა; სამი კვირა დაჟყო აქ საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებს ებმიანება ნარევევი „მოგაბურობა არმრუმში“, ბრწყინვალე ლექსები: „საქართველოს მთებზე“, „კავკასიონი“, „მონასტერი ყაბბევზე“, „ბუაზი“, „ნუ იმდერ ჩემთან, ლამბაზო ქალო“ და სხვ.

თბილიშის პრესაში ა. პუშკინის სახელი პირველად 1829 წელს გამოჩნდა. პოეტის სიცოცხლეშივე მისმა პოეზიაშ დიდი პოპულარობა მოიპოვა საქართველოში.

მისი ლექსები თარგმნეს ა. ჭავჭავაძემ, გ. ორბელიანმა, ს. რამმაძემ; მემდეომში – ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, რ. კრისთავმა, აგრეთვე, ტ. ტაბიძემ, პ. იაშვილმა, ვ. გაფრინიძაშვილმა და სხვ.

ა. პუშკინის სახელი რუსული პოეტის სიმბოლოთა იყო უაღრესად პოპულარულია ჩვენში დღესაც: არძელდება მისი შემოქმედების კალევა და თარგმნა.

მაგრამ, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ა. პუშკინის „ევგენი თხევანის“ ერთ-ერთი ლიტერატურული წყარო ცნობილი ინგლისელი მწერლის ჩარლზ რობერტ მეტიურინის (1782-1824) რომანი „მოხევიალე მელმოთია“. სწორედ ამ საკითხს ებმიანება საღომა ფუბანებიშვილის წერილი (რედ.).

„ევგენი ონეგინის“ პირველიცე სტროფების შინაარსი თითქმის ჩელმიწევენით სიბუსტით ემთხვევა ქართველი მკითხველისათვის შესახურდას ცნობილი, თავის ღრობე კი, ევროპაში ერთგვარად სკანდალური დიდების მქონე ინგლისელი მწერლის – ჩარლზ რობერტ მეტიურინის როւელი და ვრცელი რომანის „მოხეციალე მელმოთის“ დასაწყისს.

საყოველთაოდ ცნობილია, როგორ იწყება ა. პუშკინის პოემა: მძიმე ავადმყოფმა ბიძამ გამოიძახა სოფელში, საღაც იგი ცხოვრობდა, თავისი ძმისწელი – ევგენი ონეგინი. ეს უკანასკნელი მიიჩქარის ავადმყოფიან, როგორც მისი ერთადერთი მემკვიდრე.

ჩ.რ. მეტიურინის რომანი კი ასე იწყება: „1816 წ. შემოდგომაზე, დუბლინის ტრინტი კოლეჯის სტუდენტი ჯონ მელმოთი გაემგზავრა თავის მომაკვდავ ბიძასთან, სოფელში. ეს ბიძა იყო მისი ოცნებების მიზები, მდოდარი, ეცოლო და ბებერი. ჯონი თბოლია, უმცროსი ძმისშვილი, ბიძა კი – უცოლო და მოხეცი. ჯონს ბიძასადმი ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობები ამომრავებდა – იგი მას ამიდავდა კიდევ და შიშაც ჰკვრიდა. შიში და ლგოლვა ერთმანეთის შეგზაუბოდა, საერთოდ, ჩვენ ასე ვაფასებთ ადამიანს, რომელსაც ჩვენი ბიძების, მსახურებისა და მშობლების აბრით, ხელთ უყრიდა ჩვენი სასიცოცხლო ძალები და შეუძლია მათი გაწევება, ან გაგრძელება“.

ალბათ ზედმეტია „ევგენი ონეგინის“ დასაწყისის ციფირება, რადგან ყველას გვახსოვს, რა ამბივალენტური განწყობით (მელმოთის მსგავსად) მიიჩქარიდა ონეგინი მომაკვდავ ბიძასთან.

დამთხვევა რომ შემთხვევითი არ არის, ამას მოწმობს ა. პუშკინის პოემის კიდევ ორი ფრაგმენტი: პოემის III თავში ვკითხულობით: „и стал теперь её кумиром Мельмот, бродяга мрачный“, ხოლო VIII თავში პოეტი გადმოგვცემს მაღალი საბოგადოების წარმომაღგენელთა პზრს ონეგინზე: „Чем ты не явится? Мельмотом, космополитом, патриотом?“

ა. პუშკინი „მოხეციალე მელმოთს“ მოხსენიებს იმ რომანთა შორის, რომელიც ონეგინს შედამ თან დაპქონდა, თღონდ, ეს ცეკვატი მხოლოდ შავ ხელნაწერებში გვხვდება და პოემის საბოლოო რედაქციაში არ შესულა.

რა ვიცით იმ მწერლის შესახებ, რომელიც ა. პუშკინის ასეთი ინტერესის საბამი იყო? ჩარლზ რობერტ მეტიურინი დაიბადა ქ. დუბლინში, 1780 წლის 25 სექტემბერს. სწავლობდა ცნობილ ტრინიტი კოლეჯში. მისმა პირველმა რომანმა „საბედისწერი შერისგება ანუ მონგორიოს თჯახი“ (1807) მიიქცა ვალტერ სკოფის ყურადღება. ვ. სკოფი მუდამ მხარში ედგა და ეკონომიურადაც ეხმარებოდა ახალგაზრდა მწერალს. მანვე წააკითხა ჯ. ბაირონს ჩ.რ. მეტიურინის მიესა „ბერტრამი“. ჯ. ბაირონს რეკომენდაციით, ეს პიესა დაიდგა ლონდონის ერთ-ერთ თეატრში და წარმატება და პოპულარობა მოუხვეჭა ავტორს.



ჩ.რ. მეტიურინის შესახებ ცნობები არ მოიპოვება არც ისეთ სოლიდურ დაწერობრივ ენციკლოპედიაში, როგორიც არის რუსული „მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედია“ და არც „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“.

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ არის პატარა წერილი ჩ.რ. მეტიურინის „...ავტორია პირველი „გოთიკური“ ანუ საშინელებათა რომანების ციკლისა „საბედისწერო შერისგება ანუ მონგორიოს თჯახი“ (1807), „ველური ირლანდიელი ბიჭი“ (1808), „ირლანდიელი ბელადი“ (1812), რომელთაც აქვეყნებდა ჯესპერ მერფის ფსევდონიმით. პოპულარულია მეტიურინის დრამა „ბერგრამი“ (1816) და რომანი „მოხევიალე მელმოთი“ (1820).

ცნობა, რომ ჩ. რ. მეტიურინი არის ავტორი პირველი „გოთიკური“ რომანისა, არ შეეცერება სინამდვილეს. საქმე ის გახლავთ, რომ „მოხევიალე მელმოთს“ ახასიათებენ, როგორც სწორედ უკანასკნელ და საკუთხევი ნიმუშს ეწ., „გოთიკური“ რომანებისა, ეს თხზულება გაეღვნოს არსეული სინამდვილის უარყოფის რომანგიკული პათოსით, დამჟეხტებულია იდეით, რომ ბოროტება სხვადასხვა სახით ბატონობს სამყაროში. სწორედ ამ ბოროტების მხილებაა ავგორის მიზანი. განსაკუთრებით ითქმის ეს თხზულების მიზანობებზე, სადაც აღწერილია ინგლისისა და ირლანდიის ცხოვრება, ესანეთის კათოლიკური მონასტრები, ინკვიტიციის სასამართლო და ციხეები.

ამ რომანის პათოსი ეთიკურია. ერთი ფრაზით ამის გამოხატვა ასე შეიძლება: აღიარებულია აღამიანის გასათეარი შეუდრეკელობა, მისი ნებისყოფა, რაც უპირისმირდება არაბუნებრივ ძალთა ხიბლს, ცდუნებას. იმდროინდელი ინგლისისთვის ტრადიციული და მისაღები იყო მეტიურინის განყენებული რელიგიური იდეა – იმქვეყნიურის უპირატესობა ამ-ქვეყნიურზე.

„გოთიკური“ რომანების მამამთავრად ითვლება პორას უოლტონი (1717-1797) რომანით „ოტრანგოს ციხესიმაგრე“ (1764). განსაკუთრებით საინტერესოა ანა რადეკლიფს ცნობილი რომანები „უდოლფის საიდუმლო“ (1792), „იგალიელი“ (1797), მეთიუ ლეისის რომანი „ბერი“ (1760). საერთოდ, ტერმინმა „გოთიკური“, რაც შეა საუკუნეების ინგლისში ბარბაროსის სინონიმი იყო, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მნიშვნელობა შეიცვალა. ზემოხსენებული ტიპის (სამინელებათა, იდუმალების) რომანების მოქმედების აღვილი იყო ძველი გოთიკური ნანგრევები. სწორედ ამიტომ ეწოდა მათ „გოთიკური“. მი დროის გამოხენილი მოღვაწეების აბრით, მათი ხილვა აღმიანს უნერგავდა მელანქოლიურ აბრებს, ნოსტალგიის გრძნობას წარსულისადმი და მიგვანიშნებდა მომავალ ბედზე (როგორ არ გავიხსენოთ ა. ჭავჭავაძის „გოგჩა“?).

სალიტერატურო კრიტიკაში გაერცელებულია ამინიჭომ ამ ტრისტის მწერლობას ახასიათებს ინტერესი ნგრევის, სიკედილისა და სასაფლავოსადმი, მიღრეკილება მოვარის პეიზაჟებისკენ. XVIII საუკუნის ბოლოსთვის ის-გლისური მწერლობის „გოთიკური“ ფრთა დამთრგუნველი, იდუმალი და შიძისმომვრცელი გახდა.

ჩ.რ. მეტიურინი ერთხანს ეპიგრენად მიიჩნიეს. „გოთიკურმა“ მიმართულებამ იმ დროისათვის თავი მოაბეჭრა მკითხველს, მაგრამ მეტურინის რომანები ახალი სიტყვა იყო ინგლისის მწერლობისა. მან „გოთიკური“ რომანი უაღრესად მიმმიდველი და თანამედროვეობის შესატყვისი გახადა. ამავე დროს, შეიქმნა ახალი – რომანტიკული სტილის წინამორბედიც.

„ჩემი ნიჭი გამოიხატება იმაში, რომ ბნელი წარმოიქსახო უფრო ბნელად“, – ეს ჩ.რ. მეტიურინის სიტყვებია.

„მოხეტიალე მელმოთი“, რომელიც 1820 წელს გამოქვეყნდა, ჩ.რ. მეტიურინის უმნიშვნელოვანესი რომანია. მწერალმა მასში მუშაობა დაიწყო 1817 წელს, უმიმდესი სულიერი დეპრესიის ეპიზოდით. თანამედროვეთა გადმოცემით, ამ უტარმაზარი და ურთულესი რომანის წერის პროცესი ქანცავდა და და ფიტავდა მწერალს. კომპოზიციის თვალსაზრისით, რომანს ანალიზი მოყენება. მინაარსობრივადაც „მოხეტიალე მელმოთი“ ურთულესი ფილოსოფიური რომანია, რომელიც მერყეობს რეალურსა და გამონაგონს შორის. ჩანართი ნოველების სიმრავლე, მოქმედების სხვადასხვა გეოგრაფიული ფონი (ირლანდია, ინგლისი, ესპანეთი, ინდოეთის ოკეანის კუნძული), ირაციონალურისა და რაციონალურის მონაცელეობა – მნელად აღსაქმელს ხდის რომანს.

150 წლის მელმოთი (აგასფერის ლეგენდის შორეული გამოძახილი), ავტორის ჩანაფიქრით, დემონური ძალების მსხვერპლი, მათი იმულებითი იარაღია. განგება მას სჯის, რადგან ახალგაზრდობაში იგი ჩასწვდომია სამყაროს საიდუმლოების. მელმოთს კაშეპამა ელვისებური მშერა აქვს, რაც მიანიშნებს მის კავშირს იმპერიუმის სამყაროსთან; მის არაამქვეცნიურობაზე მეტყველებს თითქოსდა მიწის წიაღიძან ამოხეთქილი უწარი მუსიკაც, რომელიც მუდამ თან სდევს მას და საფანის მოახლოებას ატყობინებს.

ასეთი ირეალურ ამბებში ჩ.რ. მეტიურინმა ოსტატურად ჩართო თანამედროვეობა და მათაფრადაც გაბარიტიკა, რითაც ძლიერ გააღიმიანა კლერიკალებიც და კრიტიკოსებიც.

„მოხეტიალე მელმოთმა“ იმთავითევე დიდი აღიარება მოიპოვა, და საგულისხმოა, რომ საფრანგეთში მეტი პოპულარობით სარგებლობდა, ვიღრე ინგლისში, თუმცა არც იქ აკლდა თაყვანისმცემლები.

ჩ.რ. მეტიურინს სიცოცხლეშივე ერგო დიდი, მაგრამ ხანმოკლე აღ-

არება. რომანის გამოქვეყნებიდან 4 წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა და
მაღალ მიღვიწეს კიდეც.

ჩ. რ. მეტიურინის შემოქმედება ახალი წახნაგებით გამობრწყინდა XIX
საუკუნის ბოლო ათწლეულში და ეს იყო მისი თხზულებების ჰემპარი-
ტად მაღალი ღირებულების დასტური.

თავის დრომები ჩ. რ. მეტიურინის ნიჭი ინგლისში იმათაც კი აღიარეს,
ვინც მის მასწავლებლებად ითვლებოდნენ: მეთიუ ლუსმა, უილიამ გოლდ-
ვინმა... მოგვიანებით, უილიამ თეკერეიმ, ოსკარ უაილდმა, რობერტ სტიუ-
ტენმა, ედვარ პომ... თეკერეის მოხუც გორეთებზე უთქმაში: „პოეტის მოელ-
ვარე თვალებმა მეღმოთი გამახსენა“.

ოსკარ უაილდმა დიდი როლი შეასრულა ჩ. რ. მეტიურინის პოპულარ-
იადაცაში. იგი ენათესავებოდა კიდეც დიდ მწერალს: უაილდის დედა იყო
მეტიურინის დისმევილი. უაილდმა ფსევდონიმიც ასეთი შეირჩია – სებას-
ტიან მეღმოთი. ჩ. რ. მეტიურინის აშკარა გავლენა შეინიშნება ოსკარ
უაილდის „დორიან გრეის პორტრეტში“ (1891).

აღსანიშნავია ის დიდი რეპონანსი, რაც „მოხევიალე მეღმოთმა“ მოახ-
დინა საფრანგეთში. რომანი 1820 წელს ვე ითარგმნა ფრანგულად. ფრანგმა
რომანგიკოსებმა – შარლ ნოდიემ, ვიქტორ ჰიუგომ, ალფრედ დე ვინიძ
იგი თავის მოძღვრად მიიჩნიეს. ონირე დე ბალბაჟის აღრუული რომანი
„ორი ბერინგელდი“ დაწერილია მეტიურინის აშკარა ზეგავლენით, გან-
საკეთრებით აღსანიშნავია „შაგრენის ტყავის“ (1835) სიახლოეს ინგლისუ-
ლი მწერლის რომანებთან. ო. ბალბაჟის ეკუთვნის თხზულება „შეწყ-
ალებული მეღმოთი“. ფრანგი მწერალი ჩ. რ. მეტიურინის ბაირონისა და
გორეთეს ბადალ მწერლად მიიჩნევდა. ჩ. რ. მეტიურინისგან არის დავალუ-
ბული შარლ ბოლევრიც.

მაგრამ დაეცემუნდეთ ა. პუშკინს.

რესეტში ჩ. რ. მეტიურინის სახელი პირველად გვხვდება მის სიცოცხ-
ლეშივე, 1816 წელს. რესი მკითხველი იქნობდა მის პიშებს, მაგრამ იგი
პოპულარული გახდა მხოლოდ XIX საუკუნის 30-იან წლებში, საფრანგუ-
სოს გავლენით. რესელ ენაზე „მოხევიალე მეღმოთის“ ნაწყვეტები 1831
წელს გამოქვეყნდა. სრული სახით კი ფრანგული ენიდან თარგმნილი
რომანი რესმა მკითხველმა 1833 წელს მიიღო. მაგრამ ბევრმა მათგანმა
აღრევე იცოდა ამ რომანისა და მისი ავტორის შესახებ და მათ შორის
იყო ა. პუშკინი, რომელმაც ოდესაში წაიკითხა ჩ. რ. მეტიურინის რომანი
(„ევანი ონეგინის“ წერა მან დაიწყო 1823 წლის 29 მაისს კიმინოვში,
შემდეგ მუშაობა გააგრძელა ოდესაში).

„ევანი ონეგინის“ შენიშვნებში ა. პუშკინი „მოხევიალე მეღმოთის“
გენიალურ ქმნილებად მიიჩნევს. წერილში აღექსანდრე რაევსკისადმი
ის წერს ევგენი ონეგინის „მეღმოთურ“ ხასიათზე: საინტერესოა, რომ ამ



წერილის შავ ხელნაწერში სიტყვა „ბაირონული“ „მელმოთურიმზე“ მნიშვნელოვანი უკველილია, რომ მეტიურინის რომანის იქნობდა ა. პუშკინის მეგობართა წრე, ხოლო „ბაირონული“ და „მელმოთური“ იმდროინდელი საზოგადოებისთვის იდენტური ცნებები ყოფილია. ა. რაევსკის „მელმოთად“ მოიხსენიებს ს. ვოლკონსკია პირად წერილში ა. პუშკინისადმი. არც ის ფაქტი უნდა იყოს ინგერესმოკლებული, რომ ა. პუშკინის ლექსში „და მონი“ სწორედ ა. რაევსკის სახე, მისი „მელმოთური“ ხასიათია დახატული.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ა. პუშკინმა „მოხევიაღე მელმოთა“ ოდესაში, ს. ვორონცოვის მმართველობის დროს გაიწნო. ცნობილია ს. ვორონცოვის „ანგლომანობა“. მის ბიბლიოთეკაში მუდამ ნახავდით ინგლისური ლიტერატურის სიახლეებს, მის სახლში კი მუდამ სტუმრობდნენ ინგლისელები. ალბათ, გენიალური პოემის „ევგენი ტნეგინის“ წერის პროცესს წინ უსწრებდა ჩ. რ. მეტიურინის რომანის გაცნობა, ჩანს ა. პუშკინი ბევრს ფიქრობდა რომანის პროგაფონისტები - ბედკრულ მოხევიაღე მელმოთაზე.

აქეს თუ არა ა. პუშკინის გმირს საერთო ჩ. რ. მეტიურინის გმირთან? რასაკვირველია აქეს, რაც გამოხატა ა. პუშკინმა ორიოდე სიტყვით: „ნიდაკა მრაჩინი“ (დაღურემილი, პირქუში მოხევიაღე). რამდენად შეუსაბამება ევგენი ტნეგინის ეპითეგი „მოხევიაღეს“? ონეგინი ბევრს მოუგზაურობს, უფრო ბუსტად, იცვლის ადგილსამყოფელს იმიტომ კი არა, რომ მოგზაურობის ქინი აქეს, თუმც ა. პუშკინი ამბობს: ჩემი გმირი მზად არის, ჩემთან ერთად გაემგზავროს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ ტნეგინის მოძრაობის მიზეზი არის ის სენი, რაც იმდროინდელ ბრწყინვალე ახალგაბრძობას სჭირდა - ეწ. ცლინ, მოწყვენა, სევდა. ევგენი ტნეგინი პეტერბურგიდან მიემგზავრება სოფელში, შემდეგ მას ვხედავთ მოსკოვში, ნიქნი ნოვგოროდში, ასერიახანში, კავკასიაში, ყირიმში, ოდესაში... არის თუ არა ევგენი ტნეგინი დაღვრუებილი? ხშირად, ძალიან ხშირად ის ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორც პეტერბურგის სალონებში, ისე სოფელში ყოფნისას...

აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ევგენი ტნეგინის სახის შექმნისას ა. პუშკინმა ჩ. რ. მეტიურინის გმირის თვისებები ძალზე გედაპირულად მიაწერა თავის გმირს და ამ მსგავსებაზე რამდენჯერმე მიუთითა კიდეც.

პ. პუშკინი და აღმოსავლეთი

მთელი თავისი, სამწუხაროდ, ასეთი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე რესი პოეტი ალექსანდრ პუშკინი დიდ ინტერესს იჩინდა აღმოსავლეთისადმი, კერძოდ, უფერესი და უძლილესი აღმოსავლეური მწერლობისადმი. მით უფრო გასაკვირია, რომ იმ ბლვა მასალაში, რომელიც პ. პუშკინის შემოქმედებისადმია მიძღვნილი, არ მოიძებნება ამ პრობლემისადმი მიძღვნილი თუნდაც სპეციალური მონოგრაფია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ ავტორთა ნაშრომებში აისახა ამ საკითხის სხვადასხვა ასპექტი (მხედველობაში გვაქვს ე. კრაჩიოვსკის, მ. ალექსეევის, ლ. ასათიანის, კ. აივაზიანის, ა. შხითარიანის, მ. აბადოვსკის, ი. ორბელის, შ. ყურბანოვის, ა. რობერტფელდის, დ. ბელკინის, ი. ბრაგინის და სხვ. გამოკვლეული ისუთი ასევეტებისა, როგორიც არის პ. პუშკინი და არაბული სამყარო, პ. პუშკინი და ჩინეთი, პ. პუშკინი და სპარსელი მწერლობა, პ. პუშკინი და საქართველო, პ. პუშკინი და სომხეთი, პ. პუშკინი და აშერბაძენი და ა.შ.).

შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთით დაინტერესების საფუძველი პოეტის ბიოგრაფიაში უნდა ვეძებოთ. პოეტი აღრიცხვე ეცნობა ოჯახური გრადიციით შემონახულ ცნობებს შავკანიანი წინაპრის იბრაჟი ჰანიბალის შესახებ, რომლის სახე შემდგომში სხვ ცოტხლად დახატა თხელებაში (პირობითი სათაურით) „პეტრე პირველის არაბი“. აღსანიშნავია პ. პუშკინის უბრწყინვალესი ლექსიდას ცაკლი „ყურანის მიბაძვანი“, სადაც აშკარად იგრძნობა პოეტის მიერ ამ ძეგლის არა ზედაპირული, არამედ საფუძვლიანი შესწავლა.

პ. პუშკინი კარგად იცნობდა მის თანამედროვე უკრნალისტასა და მწერალს, ორიენტალისტს თვიპ სენკოვსკის (იმავე ბარონ ბრამბეუსს). პ. პუშკინისა და ა. ლელვიგის მიერ რედაქტირებულ აღმანახში „ჩრდილოეთის ყვავილები“ ხშირად იძეჭდებოდა ო. სენკოვსკის მიერ არაბული იდან გაღმოღებული მოთხოვდება. პ. პუშკინი იცნობდა არაბულ დამწერლობას და აპირებდა არაბული ენის შესწავლას.

ამჯერად შედარებით დაწვრილებით გვსურს შევეხოთ პ. პუშკინის მიმართებას სპარსელ პოეტიასთან. ცნობილია დიდი გოეთეს სიტყვების სპარსელებმა შეიძი პოეტი აივანეს უკვდავების კვარცხლბეკტე, მათ გარდა

კი რამდენია ჩემზე უკეთესით. სხვათა შორის, სწორედ ა. პუშკინის მოღვაწეობის აღრეულ წლებს დაქმთხვა გოეთის სახელგანიქმულო „დახმაულურ-აღმოსავლური დივანის“ შექმნა (1815-1819). თათქოს მექვანილრეკტიონით გადაეცა მას დიდი გერმანელის მიერ წამოწყებული საქმის გაგრძელება – აღმოსავლური, პირველ რიგში, უძლილრესი სპარსული კლასიკური მწერლობის ტრადიციების შერწყმა დასავლურ ნორაგორულ ძიებასთან, ბუნებრივი და ორგანული აღმოსავლურ-დასავლური სინთეზი. ვფიქრობთ, რომ შეიკრიბოს ა. პუშკინის მიერ აღმოსავლურ თემებზე დაწერილი პოეტური თუ პრობაჟლი ნიმუშები, მივიღებთ არანაკლებ მთამბეჭდავ „დივანს“ (კრებულს).

„ბახჩისარაის შადრევანს“ ეპიგრაფად წამდვვარებული აქვს პრობაჟლი ციფაგა ცნობილი სპარსული დიდაქტიკოსის საადი შარიაზელის (XIII ს.) პოემიდან „ბუსთანი“ („წალკოგი“): „ჩემსავით მრავალთ მოუნახულებოათ ეს შადრევანი; მაგრამ ზოგმა მათგანმა უკვე დატოვა ეს ქვეყანა, ზოგიც შორსაა წასული სამოგზაუროდ“. სადი (ა. პუშკინი ხან ამ ფორმას ხმარობს, ხანაც გავრცელდის – საადი. ორივე ფორმა შესაძლებელია). იგივე ციფაგა ლექსალ გვხვდება პოემაში „ევგენი ონეგინი“ („არ არის ბოგი, მოგი შორსაა, როგორც ოდესიდაც საადიმ ბრძანა“).

პოეტის წერილებიდან, თანამედროვეთა მოგონებებიდან, მის პირად ბიბლიოთეკაში არსებული წიგნებიდან და, რაც მთავარია, პოეტური შემოქმედებიდან ნათლად ჩანს, რომ ა. პუშკინი კარგად იცნობდა საადისა და პაფიქის ლირიკას, „ვარდულბულის“ პოების (ასე ეწოდება 1827 წელს დაწერილ ლექსის, რომელიც ასე იწყება: „მდუმარე ბაღში, გაბაჟხულბე, ღამის წყვდიადში, აღმოსავლეთით მოფრინილი ნაში ბულბული ვარდებს უგალობს“; იხ. აგრეთვე ლექსები „ტკბილ შადრევანთა სიგრილეში“, სადაც კითხება: „ეტროულნენ ყირიმს საადის ძენი“; „არსებობს ვარდი გასაოცარი“; „გაფიზიდან“; „ვარდო-ქალწულო, ღაბორეილი ვარ“; „წუხელ ლეილამ მიმატოვა“; „არაბულის მიბაძვით“; „ვარდი“ და სხვ.). ამ ცოდნის წყარო სხვადასხვა შეიძლება ყოფილიყო. სწორედ ამ წლებში ყალიბდებოდა ვერაპეტრი ირიენტადისტიკა, იძექდებოდა აღმოსავლური პოეტური ნიმუშების თარგმანები ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე, გამოკვლევები მათ შესახებ. ორიენტალისტური გატაცება იგრძნობოდა ევროპელ მწერალთა შემოქმედებაში. ყოველივე ამას არ შეეძლო მიეყრი ა. პუშკინის ყურადღება.

ა. პუშკინი მეგობრობდა ალექსანდრ გრიბოედოვთან, რუსეთის სრულუფლებიან ელჩთან სპარსეთში, რომელიც კარგად იცნობდა ამ ქვეყანას და ბევრის თქმა შეეძლო მისთვის. მთამბეჭდავად აღწერს ა. პუშკინი თავის თხბულებაში „მოგზაურობა არმტრუმში“ ტრაგიკულად დაღუპული ა. გრიბოედოვის ცხედართან შეხვედრას. იქვე დაწერილებით არის

გადმოცემული სპარსელი პოეტის ფაზილ-ხანის გაცნობა, რომელიც წერილი გადავალი უფლისწელის ამბლაში იმყოფებოდა. მათი საუზრუნველი დან ირკვევა, რომ ა. პუშკინს უკვე იცნობდნენ თავრიბში. ა. პუშკინმა საგანგებო პოეტი სცრიქონები უძღვნა ფაზილ-ხანს („კეთილი იყოს სუსიანი ჩრდილოეთისკენ შენი მსვლელობა, იქ ხანმოკლეა გაბატხული, მაგრამ იცნობენ ჰაფეზისა და საადის განთქმულ სახელებს“). მას ამ შეხვედრის ჩანახატებიც კი შეუსრულებია.

როგორც ითქვა, აღმოსავლურ თემატიკას ა. პუშკინი უმთავრესად ეკრო-ჟული წყაროებით ეცნობოდა. მაგრამ ზოგჯერ ამ წყაროთა დატუსტება გარკვეულ სიმნელეებთან არის დაკავშირებული. ასე, მაგალითად, ა. პუშკინის ერთი დაუმთავრებელი ფრაგმენტი, რომელიც 1821 წელს დაიწერა, აშკარად აღმოსავლურ იერს აგარებს, თუმცა კარგა ხანს ითვლებოდა ორიგინალურ ნაწარმოებად. აქ აღწერილია „ერთი საწყალი მუხლიმის“ – მეშეგის ოჯახის ამბავი. მას ჰყავდა საყვარელი მუედლე ფატიმა, რომელიც ყოველ წელს შვილით აჯილდოვებდა ქმარს. მეშეგი უვლიდა ჯოგს, ფუტკარს, ვენახს, შრომასა და გარჯაში ტოლი არ ჰყავდა, თაყვანს სცემდა ალექსანს და ქმაყოფილი იყო თავისი ბედით. ერთ მშვენიერ დღეს ფატიმამ, რომელიც ამ დროისთვის სამი თვის ორსული იყო, მოინაგრა კათმაკი (მაწონი): სულო ჩემთ, კონებას ვკარგავ კუჭი მეწვის, მთელი დამე არ მიძინია, ცოტა კამახა უნდა მიშოვო, თორუებ გავგიუდები! მეშეგმა სტაცა ხელი ლითონის თევზს, დაბლცა ცოლ-შვილი და გაუდგა გზას. სულ მაღლე მიაღდა ველად გაშლილ სოფელს. კი არ მიდიოდა, მიურინავდა. მაგრამ დაბრუნებულს დაღლამ უწია, ფეხს ძლიერ დგამდა და დასვენება გადაწყვითა. მდინარის პირას ერთ ჩრდილოებზე აღვისლ მიაგნო, სურნელოვან ბალახში გაიმორა და მეფესავით ტყბილად ჩაიძინა...“

რადგან ა. პუშკინს მოქმედების ადგილად ფრაგმენტში იურმუფი (იგივე გურგუფი) აქვს დასახელებული, კარგა ხანს ამ ნაწყვეტს გამოცემებში ასეთი შენიშვნა ერთვოდა: „როგორც ჩანს, ეს არის სახუმარო არაკის დასაწყისი ყირიმელ თათართა ცხოვრებიდან, რომელიც ასე უყვარდა პუშკინს...“

ჩემთვის სრულიად მოუღლონად ამ ფრაგმენტის წყაროს საკითხის გადაწყვეტას წავაწყდი ცნობილი ირანისტების იური მარისა (1893-1935) და კონსტანტინე ჩაიკინის (1889-1939) მიმოწერის გამოსაქვად მომზადების დროს. სამწუხაროდ, ამ მიმოწერას მათი ავტორების მსგავსად ტრაგეული ბედი ერგო. იური მარი, ნიკო მარის უმცროსი ვაჟი, აღრევე დაგვადდა ტებერკულომით, სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა თბილისა და აბასთუმანში, სადაც გარდაიცვალა ორმოცდაორი წლისა ისე, რომ ვერ მოასწრო თავისი შესაძლებლობის მეთედის გამოვლენა. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა სიკვდილის შემდეგ თრ წიგნად გამო-

აქვეყნა იოსებ მეგრელიძემ (1936 და 1939 წწ.), მაგრამ მრავალი დღეა და
ჩანაფიქრი დარჩა იმ მდიდარ კაისტოლარულ მიმოწერაში, რომელმაც
კარგა ხანს გამოუკვეყნებელი და უცნობი იყო მკითხველთათვეში. კამიჟი
ქვეყნების შეეძლებლობისა და აკრძალვის მთავარი მიზები იყო მისი
ადრესაგების „ხალხის მტრებად“ შერაცხვა 1937 და შემდგომ წლებში.
ერთ-ერთი მათგანი, შეიძლება ითქვას, უმთავრესი იყო მოსკოველი ირანის-
ტი კ. ჩაიკინი, რომელიც ი. მარმა გაიცნო და დაუკავლოვდა თვირანში
ყოფნის დროს 1926-27 წლებში. მხოლოდ 1976 წელს ი. მარის მუდლის
სოფიო მარის დახმარებით, რომელმაც ფაქტობრივად გადაარჩინა ეს მი-
მოწერა, მოხერხდა მისი გამოცემა თბილისში.

1934 წლის 8 მაისით დათარიდებულ ვრცელ წერილში, რომელსაც იუ-
მორისტელი დასათაურება აქვს („ავრაყა ფარიშან“ – დაუანგული ფურ-
ცლები ანუ მარისა და ჩაიკინის მიმოწერის უფასო დამატება), კ. ჩაიკინმა
ერთ-ერთ პარაგრაფში (VII. პუშკინიანა-ასჯადიანა. სენსაცია) განიხილა
ა. პუშკინის ზემოაღნიშნულ ფრაგმენტი და ზუსტად მიუთითა მისი წყა-
რო: ფრანგი ბოეგის ა. ბოლორონ დე სენესეს (1643-1737) გალექსილი აღ-
მოსავლური „მოხეგვიალე“ არაკი „კაიმაკი ანუ დაკარგული ნდობა“. იქვე
მოგანილია ამ არაკის დასაწყისის ფრანგული ტექსტი და შედარებულია
ა. პუშკინის ფრაგმენტის დასაწყისითან, რაც უკველად აღასტურებს მათ
იდენტურობას (ა. პუშკინი თავისუფლად ეპურობა დედას, რომლის მიხედ-
ვით მოქმედება ბურსაში ვითარდება).

ა. პუშკინის ფრაგმენტი იქ წყდება, სადაც შინ მობრუნებულ მეპმეტს
გზაში ჩაეძინება. კ. ჩაიკინი აგრძელებს თხრობას სენესეს მიხედვით: ხო-
დან ჩამოცოცლება გველი, შეჭამს კაიმაკს და სანაცვლოდ თეუმშე თქროს
მონეტას (ცხაის) დაუტოვებს. გამოღვიძებული „მუსლიმი“ პირობას დებს
გველთან, რომ ყოველ დღე მოუტანს კაიმაკს და მიიღებს ოქროს, თანაც
აღთქმას დებს, რომ ამ წყალობისთვის ხუთი წლის შემდეგ მოინახულებს
მექას. გავა ხუთი წელი და სამლოცველოდ გამზადებული მეპმეტი
სთხოვს გველს, ჩემს ნაცვლად ჩემი შვილი ისმანი შეისრულებს ამ მოვა-
ლეობასთ. ერთხანს ვაჟი მართლაც ასრულებს მამის დავალებას, შემდეგ
მობებრდება და ერთბაშად გამდიდრებას განიმრახავს, გველს მოკველავ
და მთელი სიმღიდო მე დამრჩებათ. მაგრამ ვაჟმა მხოლოდ კუდი წაა-
ცალა გველს, რომელმაც დაახრით იგი. დაბრუნებული მამა ჯერ გლო-
ვობს შვილს, შემდეგ კვლავ სურს აღადგინოს გველთან ძველი ურთიერ-
ოობა, მაგრამ ამაღლ...

დღეს პუშკინისტებისათვის ცნობილია ეს ფაქტი, ოღონდ არა მცონია
მათ იცოდნენ, რომ კარგა ხნით ადრე, ჯერ კიდევ ოცდათიან წლებში იგი
დაადგინა ირანისტმა კ. ჩაიკინმა. საგულისხმოა აგრეთვე, რომ მან ამ
სიუკეტური დეტალის პარალელს მიაგნო XI საუკუნის სპარსელი პოეტის



ასჯადის ფრაგმენტში, რომელიც სპარსულმა განმარტებითმა ლექსიკონ-მა შემოგვინახა (აქეც თრსული ცოლი ქმარს რაღაც დავალებას აძლევს) და შემოგვინახა (აქეც თრსული ცოლი ქმარს რაღაც დავალებას აძლევს).

საინტერესო ტიპოლოგიური პარალელი გვაქვს აგრეთვე ა. პუშკინის „კარად აღმოსავლური წარმოშობის ზღაპართან,,ოქროს მამლის ზღაპარი“ და XI საუკუნის პოეგის ასაღი ტუხელის საგმირო-საფალავნო პოემაში „გერშასფნამე“ მოტანილ დეტალთან: პოემის გმირი ჩინეთის ფახუურთან ბრძოლის დროს წააწყდება კერპთაყანისმცემელთა ტაბარს, რომელშიც აღმართულია სვეტი. ამ სვეტზე ზის ოქროს მამალი, რომელიც ტრიალებს და ყივის, ხოლო თუ დაინახავს ჩამქრალ ჩინალ დანს, ნისკარგით ანთებს. გავიხსენოთ, რომ ა. პუშკინის ზღაპრის მიხედვითაც ოქროს მამალი, რომლითაც ერთმა ბრძენმა დააჯილდოვა მუშა დაღონი, მაღალ წვეტიან სვეტზე ტრიალებს და მგრის დანახვაზე ყივილს იწყებს...

ცალკეა შესასწავლი ა. პუშკინის თხზულებათა სპარსული თარგმანუბი. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ცნობილმა პოეტმა აბულ-ყასემ ლაპუთიმ (1887-1957). მაგრამ, როგორც ჯერ კიდევ ა. მარმა აღნიშნა ოცანა წლებში, ა. პუშკინის პოეტიკა ძნელად გასაგები აღმოჩნდა სპარსული მკითხველისათვის. საჭიროა ახალი, უურო მაღალმხატვრული თარგმანუბი, რათა ა. პუშკინის ლირიკის „მიუწვდომელი უბრალოება“ მახლობელი და მისაღები გახდეს მისთვის (თუკი ეს საურთოოდ შესაძლებელია).

აღმასახლ პუშკინის ერთი ლექსის უცნობი თარგმანი

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს მომხდარმა პოლიტიკურმა ამბებმა შეივალეს საქართველოს კულტურული ცხოვრული ბის მდინარება. რუსეთის ქალაქებში იძულებით დამკვიდრებული ქართველობა ყოველნაირად ცდილობდა მშობლიური მწერლობის დაწინაურებას. განსაკუთრებით გამოიკვეთა პეტერბურგის ემიგრანტული სკოლა, რომელიც შეეცადა ევროპული და რუსული განმანათლებლობის შემოგანას და დამკვიდრებას ჩვენმდი. ქვეყნის გათავისუფლების საშუალებათა ძიებაში განმანათლებლობას ქართული ემიგრანტული არისტოკრატია გადამწყვეტ მნიშვნელობას აწიჭებდა.

ქართველ შემოქმედთა ძალთა მობილიბადა დაიწყო მშობლიურ გარუმოსაგან მოშორებით – უცხოეთში, რუსეთში. სწორედ ამამ განაპირობა ის ფაქტი, რომ თვით საქართველო ში XIX საუკუნის დამდეგისათვის ქართული სიტყვის ნამდვილ ოსტატთა ხმა აღარ ისმოდა; ერთგვარი შემოქმედებით დამილი დამკვიდრდა და მხოლოდ უკვე არსებულის – ორიგინალურისა თუ ნათარგმნის გადაწყვიტით იფარგლებოდნენ ქართველ მწიგნობართა შესამჩნევად დაწინებული კადრები. ამ პერიოდში ტოსნ რუსეთში გადახვეწილი შემოქმედი იძლეოდნენ, მაგრამ ბაგონიშვილთა კოლონიამ მხოლოდ ერთი მიმართულებით შეძლო შემოქმედებითი ენერგიის განვითარება, ძველი მეცნიერებლის ისტორიულ და მეცნიერულ გაამტებას დაუდო მყარი საფუძველი და ამიტომ საფსებით ლოგიკური და ბუნებრივი იყო, რომ მეცნიერული ქართველობობა გაჩნდა და გარკვეული პროფილით (იმდროინდელი ევროპული სტანდარტების შუაბამისად) გამოიკვეთა სწორედ პეტერბურგში. პეტერბურგის ადგილობრივი სამეცნიერო წრეებისათვის ქართული სამყარო სრულიად უცხოი იყო და თავისთავადობით იზიდავდა მათ.

ცხადია, ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ქართულმა მეცნიერულმა ფილოლოგიამ და ლიტერატურისტცოდნებამ ტაშ-ფანდურით დაიწყო ზეალსვლა. ამ საქმეს დასჭირდა თავდადებული, თითქმის თავგანწირებამდე მისული შრომა ქართველ ემიგრანტთა, ჩინიან თუ უჩინო მოღ

ვაწეთა, მაგრამ პეტერბურგში (და არც სხვაგან) არ შეიძლებოდა დანადუ ბელიყო ჭეშმარიაზი ცეცხლი მხატვრული შემოქმედებისა. როგორიც ერთგულიც უნდა ყოფილიყო ქართული კოლონიის წევრების საქმიანობა, პეტერბურგში XIX საუკუნის დამდეგს შემოქმედებითი აღი არ აინთებოდა, რადგანაც მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი თაობისათვის არ არსებობდა შთამაგონებელი ძალა მშობლიური ქვეყნისა. რამდენადმე გადავუკევთ მსჯელობას და ვიტყვით, რომ დავით გურამიშვილის მაგალითი ნათქვამის საწინააღმდეგოდ არ გამოღება. პეტერბურგელ კალმოსანთა შორის, ცხადია, დავით გურამიშვილის ფარდი შემოქმედი არ იყო, თანაც მათი მოღვაწეობა განსაზღვრული იყო მეცნიერული ფილოლოგის მკაცრი მოთხოვნებით. ამიტომ თუ კი რომელიმეს პქონდა ლალი შემოქმედებითი ნიჭი, იგი შეზღუდული იყო და გარკვეულად კალაპოტში იყო გამოკეტილი. ამიტომა, რომ ამ ღროს ქართველ ემიგრანტ-მოღვაწეთა შორის მთარგმნელობითი საქმიანობაა წამყვანი.

ერთვნული მხატვრული შემოქმედების გაცოცხლებისათვის საქართველოში მჩაღდება პოხიერი ნიადაგი. კრიზისი, რომელიც ბესიკიდან დაიწყო და თითქმის გრიგოლ თრიპელიანამდე გაგრძელდა, არც მოკლე იყო, არც მაინცდამანც გრძელდა. პირველი სიტყვა ამ კრიზისის გადალახვისათვის ა. ჭავჭავაძემ თქვა. ა. ჭავჭავაძემ გადაუხადა ხარკა (საქართველოდიდი) პეტერბურგში დამკვიდრებულ პოეტურ სტილს, მაგრამ ამავე ღროს შეძლო ახალი პოეტური სიტყვის თქმა, ახალი განწყობილების, ინგონაციების შემოგანა. ა. ჭავჭავაძის პოებია მართლაც გარდამავალი ეტაპი იყო ძველსა და ახალს, კწ. გარდამავალ სტილს შორის, რომელიც XIX საუკუნის დამდეგს დამკვიდრდა რესეტში და ნაწილობრივ ჩვენშიც. ამ მოჩვენებით მა გაორიენდამ და შემოქმედებითი კრიზისის დაძლევამ გახადა ა. ჭავჭავაძე ახალი ქართველი ლიტერატურული სიტყვის ფუძემდებლად.

ახალი ქართველი ლიტერატურის ჩამოყალიბებაში პეტერბურგის (და არა მარტო პეტერბურგის) ქართველი კოლონიის კალმოსნების არავითარი როლი არ მიუძღვით, თუმცად მათი კეთილშობილური საქმიანობის იგნორირებაც არ იქნებოდა მართალი. მათ უნდა მიეზღოთ თავიანთი დამსახურებისათვის, მაგრამ მათი როლი ერთობ მოკრძალებულია, თუ საერთოდ უმნიშვნელო არ არის.

ერთი ცხადზე უცხადესია, რომ რესელი მწერლობის ნიმუშების (ვგულისხმობ არა ლიტერატურულსა და ისტორიულ-ფილოსოფიურს) შემოგანა მათ დაიწყეს და ეს სრულიად ბეჭედრივი იყო, რადგანაც, როგორც ვთქვით, მათი ძირითადი ლიტერატურული საქმიანობა მთარგმნელობით განისაზღვრებოდა. სწორედ ამ თავდაღებული ადამიანების შემოქმედებითი ფაქტებია არსებითად წარმოდგენილი პეტერბურგის წიგნთსაცავების საარქივო მასალებში.

პეტერბურგის ეროვნული ბიბლიოთეკის (მცელად მ. ვ. სალინებური შექმნინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა) ხელნაწერთა საფაუნდმ 80-იანი წლების დამდეგს გამოჩნდა ყველასაგან მიერწყებული ყურადღებულ შიც თავმოყრილი აღმოჩნდა მდიდარი საარქივო მასალა ითანებ ბატონიშვილის კოლექციიდან. 1987 წელს განყოფილების თანამშრომელმა ოლგა ვასილიევამ ჩვენი დახმარებით შეაღინა კატალოგი: „Собрание грузинских рукописей царевича Иоанна (Грузинского), опись II“. გამოვლენილი დოკუმენტები არის ითანებ ბატონიშვილის პირადი საარქივო ფონდის მასალა. ეს დოკუმენტები გახული საუკუნის 90-იან წლებში შეუძლია მასალა, თავის დროზე აკადემიკოს ნიკო მარს შეუღენია „Краткий каталог собрания грузинских рукописей, приобретенного Императорскою Публичною библиотекою в 1896 году“. აღწერილობა დაბეჭდილია წიგნში: „Отчет Императорской Публичной библиотеки за 1896 год“, გამოქვეყნდა 1900 წელს, ამ მასალის საფუძველზე ა. ჯავახიშვილმა ქურნალ „მოამბეში“ გამოაქვეყნა წერილი: „საქართველოს სამუფლო ტახტის მემკვიდრეები მეფის ხე დავით და ბატონიშვილი იულონ“. 60-იან წლებში ამ მასალაზე მუშაობდა ლ. შექელევა (იბ. იქვე № 157 ნომრით დაცული მასალა). ანდრო აბრამიშვილმა ნახა ეს მასალა და ერთი წერილი გამოაქვეყნა კიდევ შემდეგ ეს მასალა თვალს მიეფარა და მხოლოდ, როგორც ვთქვით, 80-იან წლებში გამოჩნდა. საარქივო მასალაში 157 ერთეულია. აქედან 106 ისტორიული დოკუმენტი, პირადი წერილი, ხოლო დანარჩენი ლიტერატურული ძეგლების ნაწყვეტებია.

ამ დოკუმენტში № 114 ერთეულად დაცულია ა. ჟუმინის ლექსის – „Морфей, до утра дай отраду“ ქართული თარგმანი. იქვეა წარმოდგენილი რუსული ტექსტიც, ქართული თარგმანიც და ქართული თარგმანის ტექსტიც რუსული ტრანსკრიფციით. ა. ჟუმინის ეს ლექსი პირველად გამოქვეყნებულა 1824 წელს ეკრალში „Полярная звезда“¹. თავდაპირველად იყო „В лицейской редакции называется“, „К сну“, – ვკითხულობთ აკადემიური გამოცემის კომენტარიუმი შემდეგ ავტორს სათაურად მიუცია „К Морфею“². ამ გამოცემაში ლექსის დაწერის თარიღიად 1816 წელია მითითებული.

მორფევსი (Morphéï.., ბერძ. Mօրփեան) მითოლოგიური პერსონაჟია. მისი ახსნა ასეთია: „სიმრის მომავლინებული ფრთისანი დათავაბა, პი წნოსის ვაჟი, ანგიურ ხელოვნებაში გამოისახებოლა ფრთისან მოხუცად. გადატანითი მნიშვნელობით მორფევსი ტებილ სიმრანს ნიშნავს. გამოთქმა „მორფევსის მბრძანებლობის ქამს“ – სიმრის დრო“³. ქართულ თარგმანში, ისევე როგორც ორიგინალში, სათაური დამოწმებული არ არის. მოგვაქვს ხელნაწერიდან რუსული ტექსტი (მაგრამ არა ძველი ორთოგრაფიით) თარგმანითურთ.



Морфей, до утра дай отраду
Моей мучительной любви,
Приди, задуй мою лампаду
Мои мечты благослови!

Сокрой от памяти унылой
Разлуки страшный приговор,
Пускай увижу милый взор,
Пускай услышу голос милый.

Когда жь умчится ночи мгла
И ты мои покинешь очи,
О если бы душа могла
Забыть любовь до новой ночи.

Սուսրածմազ, Ռյալո, Ձեյ Ֆեօնշիձ
Քանչյալը և օպատությունը մեռուց Վյոնշինք գուշակաց
Մուզեց, Զաթրացի լամբրու ծռվյոնինձ,
Այշրտեց զալսի-մթրաեցի լոնցիձ.

Ե զանցեացյ շնդու գոնցիձ
Ցարսածեցյ զանցրու սխճ զանինցիձան!
Մութցաց, լուշրությ սացրու մոնցիձ
Զա լուր մայց մասսա սմասա սմոնցիձան.

Ռոցյ զանցությ լամօսա նեցլու,
Զա նենց գանցեցու ուցալու սածարնեցլու,
Նցրամբ ձալ-էցյան եւլի յև սայմեցլու,
Յոնցոցյ ըրուոնա սեւա լամեցլու մեցլու.

յարտյալ Ֆյոնինանամո արնօմենյալո լոյժիօս աճրյալո տարցմանօ ար-
սեծոնա լինօմանո ար օյտ (ար արօս մօտօտյուլո օյտ ո. լորոմանցօլօս
մոյր Մեջցանուու ծոծլուցրայումօյ, տե. կրյուլուո „Ֆյոնին սայարտցելու-
մու“, 1939) մոյեցեցազած օմօսա, րոմ ն. մարս տացօս լորույ ամ եղենանցրուան
დայազմուրյատօտ գայուցույնա ჩանանցրուան. գամուցլուու տարցման յարտյալ-
րուսյալո լություրացրույլո յրուուրուոնօս օւցուրուանո ախալու մոմենցի
մշմուայեն.

Ճ. Ֆյոնինան մշմույթեցյանա յարտյալո սածոցալույ գուց յուցիօս սօվու-
լիլումօվ գայեցնո. ⁴ Թնցերուս մօսածմօ, րա տյմա շնդա, յեցրուծուրցիօս յար-
տցելոմա մուզանցյանամա – ծագոնումցուցյանամա զա մատմա տանմելույնամա հորյու-
մա գաձալցույց զա գաձարուցըլուս սայարտցելումօյ. գանսայուրյուլո պյուրա-
զուցյանա զա մուրյանա տյոմյուրամ ծագոնումցույց, ճ. կացքազամյ զա սուլ. համած-
յան տյոմյուրամն տցուուց յուարցմնա ճ. Ֆյոնինան լոյժիօս „Օ մուզա պլամեննայ“
զա մշտակնա տացօս յրույլու Հ-28 (G-25; H-20), ման տացօս տարցմանօ
գայերնու սեւօս տարցման մույտացիւնա տյուբաձա մտարցմենյալո ար
արնօմենաց, մեռուու մշյոննաց: „յը մշուրյ զա մուրյուլո“). այսուլույնուու
ոտյան, րոմ ամ մշուրյ տարցմանտան (դ.4) մոցանուու որուցունալուս թյիշ-
քո յարտյալո ցրանեցրուուտ զա մշուրյ րյուսյալ-յարտյալո լոյժիօս յունա.

Ճ. Ֆյոնինան մարտունյանալ, րուցուրյ ჩանս, զա մնցերուս օվազուա յարտցել
ծագոնումցուցյանա. յեցրուծուրցիօս մօսաց ելոնանցրու անցըլուցոյ յո արօս
մշտակնու ճ. Ֆյոնինա (դ.4). պյուրուուրուս կարուամո մշուրյ զա մուրյուլո սայերնուու
բայսյան. լուր աելու տապյանամբ լուրյուլո զա մուրյուլո որուցունալուս մա-
լա. լուր մուրյուրուս մուրյուրուս „իմո մշուրյ“ (մու պուտ), րածյան
ճ. Ֆյոնին յուտյամ:

Для твоего поэта
Настал великий пост,
Люблю тебя, моя комета,
Но не люблю твой длинный хвост.

ხოლო ამავე კოლექციის მეორე ხელნაწერში (H-27) ჩახატულია ა. პუშკინი⁵ (თუმცადა ბ. ტომაშვილი და ა. ვეისი კაცეგორიულად არ იმიარებენ, ამ ვარაუდი).

სოლომონ რამაძეს, რომელმაც პეტერბურგში თემურაბ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით მიიღო განათლება, ეკუთვნის ა. პუშკინის ლექსუბის ადრეული თარგმანები. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერში H-28 ვკითხულოთ: „ა. პუშკინი, სტანი, სოლომონ რამაძისაგან რუსული ენით გადმოლექსულინი“). უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, ქართულ პერიოდი კართულ გამოცემაში იმ დროს (საბლივერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათაგანი“, 1832 წ., № 5) დაისტაბა ა. პუშკინის ლექსუბის თარგმანები: „ლახინი“ („Весёлый пир“), „ღიმპანური ბალადა“ („Испанский романс“). დაუბეჭდავი ლექსუბის თარგმანთა არსებობის შესახებ ინფორმაცია ქართული სამოგადოებისათვის ცნობილი ყოფილა. მაგალითად, ა. პუშკინის „ბამთრის საღამოს“ („Зимний вечер“) შესახებ გიორგი ერისთავი წერდა: „Об сочинениях мне известно: „Исповедь Наливайко“, перевод Григория Орбелианова, басни „Медведь и баран“ сочинение Размадзе, также „Вечер“ его же перевода“⁶.

გამოკლენილი დღემდე უცნობი თარგმანი რამდენიმე საკითხს აყენებს. პირველი: რუსული ორიგინალის ხელნაწერი და რუსული ტრანსკრიფციი შესრულებული ქართული თარგმანის ხელი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვან სხვაობს. აშკარაა, რომ რუსული ტექსტი სხვა ხელით არის შესრულებული და ტრანსკრიფციით შესრულებული კი სხვა ხელით. მართალია, ორივეს დამწერი რუსულში კარგად გაწაფები პიროვნებაა, ორივე დაწერილია ფაქტიად, აშკარად პროფესიონალის მიერ. ორიგინალის მწერლისათვის ასოთა გამოხატვის მანერა ჩვეულებრივია და, შეიძლება ითქვას, მშობლიურიც ეს ერთი შეხედვითაც კარგად ჩას. მეორე: ხელიც გამოკვეთილია, გადამწერი ლაბად ფლობს წერის მანერას, მაგრამ პირველს ვერ შეეძრება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ იგი შეიძლება რუსულში კარგად გაწაფები ქართველის მიერ იყოს დაწერილი. იგი არ უნდა იყოს რუსის მიერ ქართველის კარნახით დაწერილი. ამას ვაჟიფერებინებს ის, რომ ქართული ბეერების გადმოცემისას არ არის დაშვებული არც ერთი შეცდომა, მექანიკურად დამწერს უნებლიერ, კალმისმიერი შეცდომა აუცილებლად მოუვიდოდა.

ქართული ტექსტის ქალიგრაფიაც საგანგებოა. ტექსტი დაწერილია დიდი მონომებით, ყოველგვარი შემოკლებებისა და ქარაგმების გარეშე. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ არც ერთხელ არ არის ძველი ასოები გამოყენებული (შე მერვეს ხმარება ამ დროს ჩვეულებრივია). ტექსტი აშკარად გამიზნულად არის გადაწერილი. სამწეხაროდ, კალმისმიერი შეცდომა აუცილებლად მოუვიდოდა.

და კვირვებამ, ამ პერიოდის სხვა ტექსტებთან შედარებამ ხელშესახები არაფერი მოგვცა. დაბეჭითებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომელიც ქართული ტექსტის დამწერი პეტერბურგელ კალიგრაფიულ ტრადიციაზე ბზე მიუთითებს.

ჩნდება რამდენიმე კითხვა: რატომ არის ორიგინალის ბოლოს და თარგმანის ბოლოსაც ავტორის გვარი საგანგებოდ მიწერილი? როგორ ავსნათ, რომ საგანგებოდ აკურატულად გადაწერილი ორიგინალის ტექსტის პარალელურად წარმოდგენილია ასევე ლამაზად გადაწერილი ქართული თარგმანის ტექსტი? დაბოლოს, როდის უნდა ეთარგმნათ ლექსი და ვის? კითხვები უაღრესად დამაფიქტურებელია.

როგორც ბევრი მივუთითეთ, ა. ჟუმკინს ლექსი 1816 წელს დაუწერია (სხვადასხვა სათაურის მიუყიად მისთვის), ხოლო გამოუქვეყნებია 1824 წელს (დღეს ლექსი ქვეყნდება უსათაუროდ). ჩვენს ხელნაწერში ლექსი უსათაუროდ არის წარმოდგენილი, არც ორიგინალს და არც თარგმანს სათაური არა აქვს.

ლოგიკურად ვიფიქროთ, რომ ქართულად ლექსი ითარგმნა მისი დასტამბების (1824 წ.). შემდეგ, თუ ამ დასკვნას მივიღებთ, ჩვენ მაინც ხელთა გვაქვს ა. ჟუმკინის შემოქმედებითი ნიმუშის ერთ-ერთი აღრეული ქართული თარგმანი. მაგრამ არის ერთი ანგარიშგასაწევი ფაქტი. ხელნაწერს, რომელშიც წარმოდგენილია ლექსის რუსული და ქართული ტექსტები, აქვს ჭირნიშანი – 1822 წელი. ამ თვალსაზრისით ხელნაწერებზე დაკვირვება (ქართული მასალების მიხედვით) აჩვენებს, რომ XIX საუკუნის 20-აან წლებში ქადალდის შენახვა დიდი ხნით არ ხდებოდა. ამიგომ საფიქრებელია, რომ არ არის გამორიცხული სწორედ 1822 ან 1823 წლებში შექმნათ ჩვენი ხელნაწერი. და თუ ამ მოსაზრებას გავიტარებთ, მაშინ უნდა დავხსკვნათ, რომ ა. ჟუმკინის ლექსი ქართულად უთარგმნიათ ორიგინალის გამოქვეყნებამდე. ამ დასკვნას ერთგვარად მხარს უჭერდეს ორი გარემოება. პირველი: ლამაზად გადაწერილ ორიგინალს მიწერილი აქვს ავტორის გვარი, სახელის გარეშე ტექსტი რომ გამოცემიდან (ურნალიდან) ყოფილიყო გადაწერილი, მაშინ ავტორის გვარის მითითების აუცილებლობა აღარ უნდა ყოფილიყო, თუ მაინც დამაინც, – მიეთითებოდა აფერონის სახელიც. მეორე: ლექსი დასტამბა და მკითხველმაც, რუსმაც და არარუსმაც, ძლიერებულ ავტორის ვინაობა. თუ ჩვენი მსჯელობა მისაღებია, მაშინ დიდი პოეტის ლექსის ტექსტი უნდა მომდინარეობდეს უშადლო ავტორის ვინაობაზე. მაგრამ ავტორის ვინაობა თუ მაინც დამაინც, მიეთითებოდა აფერონის სახელიც. მეორე: ლექსი დასტამბა და მკითხველმაც, რუსმაც და არარუსმაც, ძლიერებულ ავტორის ვინაობა. ნებაში მიეთითა ავტორის გვარი. ქართველი მა მთარგმნელმა ასევე ლამაზად მასწერა თორიგინალს ქართული თარგმანის ტექსტი, ავტორის მითითებით. ვისთვის უნდა ყოფილიყო გამიზნული ეს უკანასკნელი? ვინ უნდა ყოფილიყო საგანგებოდ გაფორმებული ხელ-

ნაწერის აღრესაგი? ვფიქრობთ, ალექსანდრე პუშკინი.⁷ მეორეც, ნაფე
ვამს უნდა აღასტურებდეს რესულად მიწერილი ქართული თაროგმანის
არსებობაც. ქართველ მკითხველს რესული ტრანსკრიფციით შესრულებული
ბული ტექსტი აბსოლუტურად არ სჭირდებოდა. ასევე, ჩვეულებრივ რეს
მკითხველსაც ქართულად აღდერებული ლექსის ხმოვანება არაფრად ეს-
აჭიროებოდა. ერთადერთი პიროვნება, ვინც უნდა დაინტერესებულიყო
ლექსის ხმოვანებით, რიგმისა და რითმის შესატყვესობა ვეფონიურად
ეგრძნო, უნდა ყოფილიყო მხოლოდ ავგორი – ალექსანდრ პუშკინი.⁸

ბუნებრივად იმადება კითხვა: ვინ არის მთარგმნელი და როგორია
თარგმანი? სამწუხაროდ, მთარგმნელი ცნობილი არ არის, მაგრამ ერთი
უკველია, რომ იგი პეტერბურგის ლიტერატურული სკოლის წარმომად-
გნელია და მწიგონიბარ ბაგონიშვილთა წრეში გრიალებს. ამ პერიოდის
ქართველ მთარგმნელთა შორის, ვინც დიდი დაინტერესება გამოიმჟავ-
ნა ა. პუშკინის შემოქმედებისაბმი, გამორჩეულია ხოლომონ რაზმაძე
თითქოს არაფერი უძლის ხელს დასახელებული ლექსის მთარგმნელად
იგი მივიჩნიოთ, მაგრამ ერთი რამ მაინც დამატებული ცნობილია. ხოლომონ
რაზმაძის თარგმნილი ლექსები ცნობილია და მათ რიცხვში დასახელებ-
ული თარგმანი არ ჩანს.

ვარაუდს, რომ ლექსი გამოქვეყნებამდეა თარგმნილი და ა. პუშკინის
ავგორიფიდან უნდა იყოს გაღმოყვანილი, არ უნდა უშლიდეს ხელს პრაქ-
ტიკულად არაფერი. საქმე ის არის, რომ ბაგონიშვილთა წრის ბევრი
ქართველი მოღვაწე ა. პუშკინთან ახლო ურთიერთობაში იყო. პეტრე
ივანეს ძე შალიკაშვილი, დიმიტრი ციციშვილი (1775-1835), სერგეი ივანეს
ძე დავითაშვილი (1783-1878) და სხვ. დაახლოებული იყვნენ ა. პუშკინ-
თან და შეეძლოთ ლექსის მიღება. პ. შალიკაშვილის შესახებ ა. პუშკინ-
მა „ევგენი ონეგინის“ 1825 წელს დასტაბული პირველი თავის წინ შეიტ-
ანა მონაკვეთი – „პოეტის საუბარი წიგნის გამყიდველთან“, რომლის
შესახებ დიდი პოეტი ვიაზმეს ის წერდა: „Ты увидишь в „Разговоре“
мадригал Шаликову. Он милый поэт, человек достойный уважения, и
надеюсь, что искренняя и полная похвала с моей стороны не будет ему
неприятна. Он именно поэт прекрасного пола“.⁹

ქართველ პუშკინიანას შეემატა დღემდე უცნობი თარგმანი კიდევ ერთი
ლექსისა, რომლის მთარგმნელი, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის.

ლექსის თარგმანი აშკარად მაღალი ღირსებისაა, არის ზუსტი, შესანიშ-
ნავად გადმოვიცებს პოეტის განწყობას და ქვერს პოეტურად, არ შევცდებ-
ით თუ ვიტვით, მუსიკალურადაც.

ასეთია ჩვენი ამრით ისტორია ა. პუშკინის ლექსის ახალგამოვლენი-
ლი ქართული თარგმანისა.

1. Академическое издание сочинений А. С. Пушкина, 1950, т. I, с. 209.
2. A. S. Пушкин, Сочинения в трёх томах, 1985, т. I, с.137.
3. მოთლოფური ლექსიკონი, შეადგინა ბ. გაურინდაშვილმა, თბილისი, 1972, გვ.206.
4. ქართული პუმპინიანას შესახებ ლიტერატურა ძალბე დილია. დაქსახევლებით მხოლოდ ნაწილს: კ. მადური, ქართველი მწერლები რესერვი შესახებ, 1962; ბ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967; И. Богослов, Из истории грузино-русских литературных взаимосвязей, Тб. 1967; ბ. ალანია, სოლომონ რამმაძე, თბ., 1968; ი. გრიშაშვილი, პუმპინის პირველი მთარგმნელები, დაბეჭდილია წიგნში „ლიტერატურული ნარკვევები“, 1952, გვ.111-130; გ. ლეონიძე, აღ. პუმპინი და დიმიტრი თუმანიძეთი, „ქართული მწერლები“, 1929, №8-9, გვ.112-114.
5. K. Дондуа, Пушкин в грузинской литературе, დაიბეჭდა კრებულში „Пушкин в мировой литературе,“ Ленинград, 1976, с. 199-214.
6. გ. გოგიაძე. ქართული კურნალისტების ისტორია, თბ., 1954 წ. გვ.188-189; შდრ. M. Горгидзе, Грузины в Петербурге, Тб., 1976, с. 125; A. B. Модзалевский и В. Д. Дондуа, Запись грузинской песни в Архиве А. С. Пушкина. Пушкин, Временник, кн. I, Л., 1936, с. 297-301.
7. ოფ ავე, მათი როგორ მოხვდა ხელნაწერი ითანებ ბატონიშვილის არქივში და არ აღმოჩნდა ა. პუმპინის პირად მასალებში? ამაზე ერთადერთი პასუხი არსებობობს, რომ მთარგმნელი ბატონიშვილების ამაღის წევრია (ეს უკველია) და მან, კი. მთარგმნელმა, ხელნაწერი მიართვა ჯერ ითანებ იმედით, რომ იგი შეძლებდა ავტორისათვის გადაცემას.
8. დაახლოებით მსგავსი ფაქტი ა. პუმპინის ბიოგრაფიიდან ცნობილია. პოეტს თბილისში ყოფის დროს მოუსმენია დიმიტრი თუმანიშვილის ლექსიზე – „ახალ აღნაგო სულ“ შექმნილი სიმღერა როგორც ჩანს, პოეტს მელოდია მოსწონებია და დაინტერესებულა ტექსტით თოხის სტრიფი შვილიდან (პირველი სამი და მეექვსე) უთარგმნია და შეეტანია „არზრუტში მოგზაურობაში“ („, Голос песен грузинских прятен, мне перевели одну из них слово в слово...“).
9. M. Горгидзе, Грузины в Петербурге, с. 133.

გოდო არველაპ

«თანამოქმარეო, საღავი თქვენდა!..»

ოვანეს თუმანიანი იყო უდიდესი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს საქართველოს პატივისმცემელი და მოყვარული ყოფილიყო. ეს სიყვარული ქართველი ერისა მან უპირველესად თავისი მოქალაქეობრივი პოზიციით გამოხატა. დაშნაკურმა მთავრობამ გამოუქადებლად ომი რომ დაუწყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (1918 წ.), ოვანეს თუმანიანის რამდენიმე შვილი ერევანში ჩარჩა. პოეტმა შვილებს შეუთვალა – თუ ქართველების წინააღმდეგ ომში მონაწილეობას მიიღებთ, დაგწყველით და შეგაჩვენებთ, როგორც მშობელიო! ეს იყო სიყვარულის დიდი აქტი და ასევე შეაფისა ტიციან გაბიძემ. რაოდენ გულსატკენია, რომ აფხაზეთში ბაგრამიანის ბაგალიონის მიერ ქართველთა გვნოცილში მონაწილეობა დღემდე არც ერთ ერევნელ სომეხ მწერალს, მეცნიერსა და საბოგადო მოდეაწეს არ დაუგმია...»



ოვანეს თუმანიანის მხატვრულ და პებლიცისტურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს და მის მრავალსაუკუნოვან მწერლობას. ქართველი ხალხის უდიდესი სითბო და სიყვარულია ჩაქართვილი მის მიერ 1913 წელს გამოქვეყნებულ წერილში „დღეგრძელობა ქართველ ხალხს“. იგი წერს: „მებო, ქართველებო, ჩვენო მრავალსაუკუნოვანი მმანო, მუდამ თავისუფალნო და კეთილშობილნო მმებო! თუ სუ-

ლის ჭეშმარიგი ანარეკლია ლიტერატურა, პოეზია კი ამ სულის გამომხატველია, მაშინ თქვენთან მომაქვს სომხობის სული, როგორც ყველაზე მაღალი და კეთილშობილი, რაც შესაძლოა ხალხს და ადამიანს ჰქონდეს ამ სტატიშივე მწერალმა ხაზი გაუსვა ერთ-ერთ კეთილშობილ მხარეს ქართველი ხალხისას: „თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიო მეტობელ ხალხთა ურთიერთობებს, აუსილებლად დამეთანხმებით, ქართველები, როგორც მეტობლები, ერთი საუკეთესონი არიან“.

დიდ სომებს პოეზის ეკუთვნის, აგრეთვე, არაერთი ლექსი, რომლებშიც გულწრფელად უმდევრის საქართველოსა და ქართველ ხალხს. ესენია: „შერიგება“, „ნ. ბარათაშვილის საფლავთან“, „საქართველოს პოეტებს“ და სხვა.

არა, რესთველის ოქროს სიტყვები
როდი ხმაურობს მჭლედ და ღუნედა,
მის ამაყ აჩრდილს ღებს თქვენ მიძყვებით,
ვერა გძლევთ ტანჯვა საუკუნეთა.
თანამოძმენი, სალამი თქვენნა!
პოეტიაში წვა გვრგოთ ხვედრად
და არარაგმა – როგორც ლეგვდა –
გული გაიპო თქვენ შესახვედრად.

პოეზის ეს სიტყვები ლიტონი სიტყვები არ არის. მას ჭეშმარიგად სწამდა ქართველ და სომებს ხალხთა ძმობა-მეგობრობა, რომლის გასამტკიცულ ბლად ყოველ ღონეს ხმარობდა.

ოვანეს თუმანიანმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოში გაატარა და აქვეა დასაფლავებული (1869-1923). ამ გარემოებამ, ბუნებრივია, გარკვეული გავლენა მოახდინა მის მხატვრულ შემოქმედებაზე. მას მოუმებში გამოყენებული აქვს ქართული ხალხური თქმულებები. აი, რას იგორნებს მეორე დიდი სომები პოეზი ავეტიქ ისააკანი: „1901 წლის სექტემბერში ოვანესი აბასთუმანში მკურნალობის შემდეგ აღექსანდროპოლიში ჩამოიდა. ახალქალაშვი გავლისას ფარავნის ტბის სანახავად ახულა. იგი დიდი ხანია ფიქრობდა ამ ტბის შესახებ არსებულ ლეგენდაზე. ოვანესი აღტაცებით ლაპარაკობდა ფარავნის ტბისა და თმოვგის ციხეების შესახებ არსებულ ლეგენდაზე. მის პოეტურ წარმოსახვაში თანდათან ისახებდოდა ეს მშვენიერი პოემები. სწორედ ჯავახეთში მოგზაურობის შემდეგ პოეტმა შექმნა პოემები – „ფარავნა“ და „თმოვგის ციხე“.

ამ პოემებში გამოყენებულია ქართული თქმულებები და ლეგენდები: „თაფარავნელი ჭაბუკი“ და „თმოვგი და დამკალა“ და სხვა.

ოვანეს თუმანიანის პოეზის ნიმუშები ქართულად პირველად თარგმნა იოსებ ბაქრაძემ („შურისძიება მგოსნისა“, „ნუ, ნუდარ ეძებ...“). თარგმანები გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ (1899 წ., №91), მაგრამ



უნდა ითქვას, რომ ოვანეს თუმანიანს ქართველი მკითხველთა სამიზნება-დოქტორი ძირითადად მაინც იოსებ გრიშაშვილის სწორუპოვარი თარგმანებით გაეცნო („საქართველოს პოეტებს“, „შერიგება“, „ანუშ“, „მაღლი და კატა“, „ფარვანა“, „ერთი წვეთი თაფლი“ და სხვა).


ვ. გაფრინდაშვილს ეკუთვნის თარგმანი ბალადისა „ახთამარი“. ოვანეს თუმანიანის პოეტის თარგმანებითან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1969 წელს მისი ლექსებისა და პოემების ქართველი კრებულის გამოსვლა. ამ კრებულში თითქმის მთლიანად არის შესული ი. გრიშაშვილის, გ. აბაშიძის, კ. კალაძის, რ. მარგიანის, თ. ჯანგულაშვილის და სხვა-თა თარგმანები.

ქართულ პერიოდულ პერიაში, 1908 წლიდან მოყოლებული, სისტემატურად ქვეყნდებოდა ოვანეს თუმანიანის პრიზის თარგმანებიც. მთარგმნელები ძირითადად იყენენ ნ. კარაპეტიანი, ი. ბეგლაროვი, არტ. და არჩ. დავთიანები და სხვანა.

ქართველ პოეტებს განსაკუთრებული მეცნიერებლათა აკავშირებდათ ოვანეს თუმანიანთან. ტ. გაბიძე ასე იხსენებს: 1920 წელს, 7 მაისს გამართულ ქართულ პოეტის სადამოს: „მახსოვე, ყოველდღე დადიოდა მაშინ ჩვენთან ოვანესი. კითხულობდა ყოველ წერილმანს და ბოლოს გაპიჩნდა, რომ მას უფრო მეტი გაეკეთებინა საქმისათვას, ვიდრე ყველა ქართველ მწერალს ერთად“. გამოჩენილი სომეხი პოეტის შესახებ სიყვარულით სავსე მოგონებები დაგვიტოვეს გ. რობაქიძემ, ი. გრიშაშვილმა, გ. ლეონიძემ და სხვებმა.

ოვანეს თუმანიანის დაკრძალვაზე სიტყვა უთქვაშს ახალგაზრდა პოეტს ი. გრიშაშვილს: „ძვირფასო ოვანეს! სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს დავალებით მსურს ორიოდე სიტყვა გითხრათ: ჩვენ, ქართველი პოეტები, დღეს თქვენთან მოვედით არა ისე, როგორც თქვენს რჯახში დავდიოდით შებლგახსნილნი და მხიარულნი, არამედ მოვედით გულჩათუთქულნი, გულჩაქსეულნი.

ძვირფასო ოვანეს! თქვენ გიყვარდათ ქართველი ხალხის კულტურა და გწამდათ მხოლოდ პოეტია. პოეტის გარეშე კი თქვენი ფიქრი ის იყო, აგესინთებებინათ ორი ერის მეგობრობა. თქვენც აკაკივით ქადაგებდით, რომ „ერთი ერის უბედურება მეორეს სიკეთეს არ მოუგანსო“.



ବୋଧନୀ...
ବୋଧନୀ...
ବୋଧନୀ...

08052010, რომ აღაშიანი ეულტერული გახდეს, მხრ-
ლოდ ერთი საშუალება არსებობს – წიგნების პითხებ.
ანდრე მორუა

აბუსერისძე ტბელის თხზულებათა სრული პრეპარატის პირველი გამოცემა

თითქმის საუკუნენახევარია, აბუსერისძე ტბელის პიროვნება და მისი თხზულებები სამეცნიერო ინფერენციების საგანს წარმოადგენს, რაც გამოხატა მისი ცალკეული ნაშრომის პუბლიკაციებით და სამეცნიერო გამოკვლევებით. ამ მეცნიერთა შორის ქართული კულტურული მემკვიდრეობის მკვლევართა დიდებული სახელებიც არის: მარი ბროსკა, რომელმაც 1868 წელს გამოქვეყნებული ნაშრომით სათავე დაუდო XIII საუკუნის პირველი ნახევრის ამ გამოჩენილი ქართველი მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლას, დიმიტრი ბაქრაძე, თელო კორდანია, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკლიძე, მოსე ჯანაშვილი, ლევან მუსხელიშვილი და ა.შ. ამ პრობლემების შესწავლაში წეილი შეიგრანა მომდევნო თაობის არაერთმა ცნობილმა მეცნიერმა და ახალგაზრდა მეცნიერმა.

აბუსერისძე ტბელის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ხანგრძლივ კულევას და მის თხზულებათა ტექსტების მეცნიერულ-კრიტიკული პუბლიკაციის საქმეს გვირგვინი დაედგა 1998 წელს მისი ნაწერების სრული კრებულის გამოცემით, რომელიც შეასრულეს ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ მიხეილ ქავთარიასა და დავით ხახუაშვილის რედაქტორობით. ეს სქელდანიანი წიგნი (542 გვ.) აჭარის ავტოორიგინარი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შეკვეთით გამოაქვეყნა გამომცემლობა „აჭარამ“.

აბუსერისძე ტბელმა, აჭარა-ხიხანის ერისთავთერისთავის ოჯახში აღმრდილმა შემოქმედმა, თავისი წვლილი შეიტანა ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში და თავისი მრავალმხრივი ნიჭი გამოამდეგნა სამი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ქანრის თხზულების შექმნით:

1. „გალობანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოვანე მახარეგბლისა და წმიდისა იოვანე თქროპირისანი, ერთბამად შემოკრუბილნი ერთმოსეხნაეობისათვეს და ერთმადლისათვეს“ დახელოვნებული პიმოგრაფის მიერ შექმნილი პოეტური თხზულებაა, რომელიც რვაოდ-

ანი ჰიმნოგრაფიული ქანონის მიღებული ტრადიციის მიხედვით მოს დაწერილი, მაგრამ ორიგინალობას ამჟადაფნებს სამი, სხვადასხვა კრიტიკის, განსხვავებული მოღვაწეობის ხასიათის პირთა ერთ საგადლობელში შემოკრებით. ამიტომ მისი პრაქტიკული ღიგურგიული დანიშნულება საეჭვოა და იგი ავტორის პირადი ღრმადმორწმუნეობისა და მინაგან განწყობილებათა გადმოცემას უნდა ემსახურებოდეს.

2. „ახალი სასწაული წმიდისა გიორგისა“ რომელსაც ერთვის აბუ სერისძეთა საგვარეულო მატიანუ, გადმოცემული ავტორისეულ ანდერძში, წარმოადგენს ეროვნული სულითა და იუმორით გაედგნთილ მხატვრულის გორიულ პრობაზე თხზულებას, რომელიც არ ჰგავს წმინდა გიორგის შესახებ შექმნილ სხვა არც ორიგინალურსა და არც ნათარგმნ შეგვლს. ავტორის რწმენით, წმინდა გიორგი მოულ საქართველოსთან ერთად მისი მშობლიური კუთხისა და საგვარეულოს მფარველიც არის. ავტორის ამრით, წმინდა გიორგის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მისი სახელობის ეკლესიების შენება ყოველი მორწმუნის ვალდებულებაა და მით უფრო ფასეულია, რამდენადაც ეს მშენებლობა წარმოუდგენლად როგორ პირობებში მიმღინარეობს. წმინდანის მიერ ჩადენილი სასწაულების არეალი ამ თხზულებაში ერთი კუთხით შემოიფარგლება, ხოლო ამ სასწაულების კეთილი შედეგი ამ კუთხის ადამიანებზე ვრცელდება.

3. „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განვებითა“ არის აბუსერისძე გბელის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ამონოვნების უთვალსა-ჩინოები ძეგლი, რომელშიც საეკლესიო კალენდრის თეორიული საფუძვლების კვლევასთან ერთად მოცემულია ამ საკითხებში სასწავლო-პედაგოგიური სახელმძღვანელოს მიზანდასახულებაც. ავტორი ცდილა საჯმაოდ როგორ გამოითვლით აპარატზე დაყრდნობით ემცნებინა, თუ რაომ თანხვდება ერთმანეთს ბიბანტიურ და ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში პასქალური თარიღები მათ წელთაღრიცხვებს შორის 96-წლიანი განსხვავების მიუხედავად. თხზულებაში გამოვლენილია ავტორის საფუძვლიანი მათემატიკური ცოდნა და ქრონოლოგიის საკითხებში პროფესიული წვლომის უნარი.

აბუსერისძე გბელის დასახლებული თხზულებები თავმოყრილია 1233 წლის A-85 ხელნაწერში, რომელიც გამომცემელთა გამოკვლევით თვით ავტორის მიერ შედგენილ და ნარედაქციებ კრებულს წარმოადგენს და გარდა თავისი თხზულებებისა მასში შეუტანია იოანე პეტრიწის, არსენ ბულმაისიმისძის, საბა სვინგელობისა და სხვათა თხზულებებიც. რომ არა აბუსერისძე გბელი, ქართული კულტურის ისტორიისათვის უცნობი იქნებოდა საბა სვინგელობის სახელი, რადგან მისი ჰიმნოგრაფიული თხზულება „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი“, რომლის



შესახებ ანგონ ბაგრატიონი ამბობს, რომ ის „საკურველი, შეენური ფრა-
სითაა“ დაწერილი და უხუმკობით განმექარეველი“, მხოლოდ ამ კრებულს შემოუნახავს და ეს თხზულება ავტორს აბუსერისძე გბელის დაგაღვენით
უნდა დაეწერა, როგორც ამას წიგნის გამომცემლები ფიქრობენ.

აბუსერისძე გბელის თხზულებათა სრული კორპუსის პირველ პუბ-
ლიკაციაში, რომლის შინაარსი და გამომცემელი-რედაქტორთა კოლექ-
ტივი გენოტიპი წარმოვადგინეთ, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური მეცნიერუ-
ბის მაღალ მოთხოვნილებათა ღონისძიებების შესრულებული თითოეული თხზუ-
ლების მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილ ტექსტთან ერთად მოცემულია
ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეტაპები და
გამოკვლევები თითოეული თხზულების აღვილის შესახებ ძველი ქართული
მწერლობის ისტორიაში.

გამომცემელ-ავტორთა მიერ ჩატარებულმა ტექსტოლოგიურმა მუშაო-
ბამ აბუსერისძე გბელის ცალკეული თხზულების აღრინდელი პუბლიკა-
ციების დაფუძნები და ხარვეზი გაასწორა, რაშიც მათ დაეხმარათ ხელ-
ნაწერში, სხვადასხვა აღგილას, ამიებზე გაკეთებული ავტორისეული შენიშ-
ვნები, რაც მანამდე შეუმჩნეველი დარჩა, არადა ამ შენიშვნებში კარგად
ჩას აბუსერისძე გბელის რედაქტორული უნარი, ტექსტოლოგიურ-
ფილოლოგიური ალდა და მეცნიერული მუშაობის გამოცემილება.

აბუსერისძე გბელის შემოქმედების შესაფასებლად განსაკუთრებული
მნიშვნელობა აქვს ხელნაწერის (A-85) ანდერძს, რომელიც შეუმჩნეველი
დარჩათ აღრინდელ მკვლევართ და პირველად სარეცენზიო წიგნში ქვეყ-
ნდება. ხელნაწერის ზანდუკას ყურადღებით ამოკითხვამ გამომცემლებს
საშუალება მისცათ, გაერკეთ პროტაული მხატვრული თხზულების ზეს-
გი სათაური, რომელიც აღრინდელ გამოცემებში და გამოკვლევებში მეტ-
ნიერთა შეხედულებისამებრ ფიგურირებდა: „ახალი სასწაული წმიდ-
ისა გიორგისანი“, რაც ზუსტად შეესაგებისება თხზულების შინაარსს და
მიჯნას მას წმინდა გიორგის სხვა, მრავალრიცხოვან ნათარგმ „სასწაულ-
თაგან“. ამავე ზანდუკას მიხედვით დაკონკრეტდა მეორე, სამეცნიერო-
კალენდარული თხზულების სათაურიც: „ქრონიკონი სრული მისითა საუ-
წყებლოთა განვებითა“. გამომცემელთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ
მათ გამოავლინეს ამ თხზულების ერთი, დამატებითი თავი დღის საძიებ-
ლის შესახებ, რომელიც კრებულის სხვა აღგილას იყო განთავსებული.
ასევე დადგენილი იქნა 532-წლიანი ცხრილის („სრული ქრონიკონის“)
თავდაპირველი სახეც, რომელსაც აღდგენილი ტექსტის ნიშნებისა და
მინაწერების საშუალებით საენობაროსთან ერთად სასწაულო-გრაფიკული
უუნქციებიც ჰქონდა დაკისრებული. ავტორის მითითებებზე დაყრდნო-
ბით დადგინდა თხზულების ბოლო თავის ჭეშმარიტი წყობაც, რომელიც

თავის დრობე გადამწერის დაუდევრობით იყო აღრეული. საგანგებო აღნიშვნის ღირსია გამომცემელ-ავტორთა მიერ შედგენილი სიმურნია-ლექსიკონი, რომელშიც აბუსერისძე ტბელის თხბულებუბში ხმარებული ყველა სიტყვაა დაფიქსირებული.

აბუსერისძე ტბელის თხბულებათა სრული კრებულის გამომცემელთა გან მიხეილ ჭავთარიასა და ნარგიშა გოგუაძეს ფილოლოგიური სამეცნიერო სამოგადოების წინაშე საგანგებო წარდგენა არ სჭირდებათ, ხოლო მათი რეპუტაცია კიდევ უფრო განამტკიცა მათ მიერ ამ წიგნში წარმოდგენილმა ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურმა ძიებებმა და მეცნიერეულმა გამოკვლევებმა.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ამ გამოცემის მესამე მონაწილის – რაულ ჩაგუნავას დვაწწლი. მართალია, იგი სპეციალობით არ არის ფილოლოგი – ის ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატია, ქიმიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მაგრამ ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებით დაინტერესებამ, რაც რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო, იგი ნამდვილ ფილოლოგისგორიკოსად ჩამოაყალიბა. მისი წიგნებით – „ვახტან VI-ის ქიმია“, რომელიც რუსულად 1984 წელს გამოვიდა, და „ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა“ (1986-1990 წწ.), გამოიკვეთა მისი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფერო – ძველი ქართული მწერლობის სამეცნიერო დარგი. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა აბუსერისძე ტბელის თხბულებათა კრებულში რ. ჩაგუნავას მიერ „ქრონიკონის“ ტექსტის გამართვით და ამ ძეგლის ცალკეული საკითხების გამოკვლევებით, რითაც მან ამ მნიშვნელოვან ნაწარმოებს პირველად მიუჩინა სათანადო ადგილი ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში.

წიგნს ერთვის წინათქმა და რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

ორი პრეპული და ორი გახსენება

მოხდა ისე, რომ ხუთშაბათს, რაღაც საქმეზე უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსიდან (რომელიც, აგრე ათ წელზე მეტია, ვმუშაობ, მაგრამ ვერა და ვერ შევეგუა) პირველ კორპუსში გადავედი. აქაურობა შინაურივით მეგებულია, ამჟღალულია ნახევარსაუკენოვანი მოყონებები, აუცილებლად უნდა შეკრიტიკოვოდ და მოვითქმა სული გრილ ვესგიბითულში, გავხელო გრძელ, მზით განათებულ დერეფანს (ერთ დროს დეკანაგების ბუდეებით რომ იყო გადახერგილი და ერთ მათგანში მეუ რომ ვიყავი შეცემული, სასწავლო ცხრილის შედგენით დაკავებული ლაბორანტი), გაფიქსირო მეცნიერ-მუშაკ-თა დარბაზში გაფარებული საათები, მივესალმო გარდასულ მასწავლებელთა და მეგობართა აჩრდილებს...

ამჯერად პირდაპირ „ძია მოსეს კიბეებთან“ მოთავსებულ წიგნების მაგიდასთან მივეღი, სადაც უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ დასტამბული ახალი წიგნები იყიდება (საოცარია, როგორ ახერხებს ამ მძიმე ვითარებაში ჩვენი გამომცემლობა და სგამბა თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებას, ყოველ მისვლაზე რაღაც ახალს აღმოვაჩინ, ფასუბიერ ასაგანია). პატარა ვარიდისფური წიგნის ყდიდან ნაცნობმა სახემ შემომანათა: მაღალი შეძლი, უკან გადავარცხნილი თმა, გამჭოლი პროფილი, თეთრ პერინგგჩე დაბნეული პაწია არტისტული ბაბთა. ქვემ უბრალოდ აწერია: „გ ურა ამ ჭილა შვილი ი“.

...ოცი, ოცდახუთი წლის წინანდელი ამბავია. გაფხულის ერთ ცხელ სა-
დამოს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში გვიანობამდე შევრჩია. გა-
რეთ რომ გამოვვედი, ბინდ-ბუნდი იდგა. მოპირდაპირე მხარეს გადავედი
ტრანსპორტში ჩასაჯდომად. იქვე უნივერსიტეტის თანამშრომელთა საცხ-
ოვრებელია სახლია აღმართული. უჩვეულო გამოცოცხლებამ მის პერი
ჩემი ყურადღება: სადარბაზოებთან ხალხი გრიალებდა, ჯგუფ-ჯგუფად იდგა,
ზოგი შეღიოდა, ზოგი გამოიიდა. გამახსენდა, მისაღები გამოცდების
დღეები იყო, კომისიების წევრთა უმრავლესობა ხომ ამ სახლში ცხოვრობ-
და (საპროგექტოდ მოსულნის მათ ემბდონენ). უცბ, თითქოს ძლიერმა
ქარმა ფოთლები ახვეგათ, ყველა საღლაც გაქრა. გაოცებული ვუყურებდი,
როგორ ეფარგებოდნენ დაგვიანებული სადარბაზოს კარებსა თუ სახლის

ხიმინჯებს. ვერაფერი გავიგე, ვიდრე არ დავინახე პირველი საბაზო
ზოდან დანჯად გამოსული მაღალი ლანდი: გურამ ჭილაშვილი შემწირე
ძაღლს ასეირნებდა!

გურამ ჭილაშვილი და მისაღები გამოცდები – ეს, აღბათ, ლეგენდებით
აღსასე თემაა და შემთხვევითი არა არის, რომ მას საქმაოდ დიდი ადგ-
ილი ეთმობა კრებულში გამოქვეყნებულ წერილებსა თუ მოგონებებში.
გურამ ჭილაშვილი – პრორექტორი, მეორე დიდი შემადგენელი ნაწილია
უნივერსიტეტისა და მისი პირადი ბიოგრაფიისა. ის თითქოს არსად ჩან-
და (როგორც გამოცდების დროს), მაგრამ ყველგან იყო, უკრო ზუსტად,
ყველაფერის კერძოში იყო. ერთხელ (სამწუხაროდ, მხოლოდ ერთხელ)
დაჭირდა მასთან მისვლა რაღაც თხოვნით (მეგონა, არც მიცნობდა), გვა-
ან საღამოს დავიმარტოხელე თავის ვიწრო კაბინეტში. იშვიათად თუ
როდესმე ვინმე ასე სწრაფად ჩამწვდორა თხოვნის არსში და ასე რაციო-
ნალურად გადაუწყვეტია საკითხი. აშკარა დაღლილობის მიუხედავად
წვრილად გამომკითხა, რა ხდებოდა ფაკულტეტზე, ურთ ჩემს ნამრობებს
ჩამომიგდო საუბარი. გამოცებული და მოხიალელი წამოველი...

როდესაც უსამართლო გაუგებობა მოხდა და მას თანამდებობის
დატოვება მოუხდა, ღროვებით უნივერსიტეტს გარიდებული ვიყავი. შეგო-
ბრებისგან ვიცოდი, რა ვაკეაცური ღირსებით ჟირა თავი, თუმცა ყველაზე
მტკიცნეული ამ გიასის ადამიანებისთვის უსამართლობა და უმაღურობაა.
უნივერსიტეტში რომ დავბრუნდა, გურამ ჭილაშვილი უკვე ლოგინს იყო
მიჯაჭვული. ცოტა ხანში ჩვენი ფაკულტეტის „შრომების“ მორიგი ტომი
გამოქვეყნდა. გამახსენდა მისი ინტერესი ჩვენი დარგისაბმო. ტომის რე-
დაქტორობა მოვიმიტებულ კისარგულე ჩემი მეგობრისა და ჭილაშვილებ-
ის ოჯახის ახლობელის მანანა ტუსკიას მეგზურობათ და ბაგონ გურამს
შინ ვესტერკ. იწვა, ეძინა. ვიდრე მისი შესანიშნავი მუელლე და ქალიშ-
ვილი ნამცხერით გვიმასპინძლდებოდნენ, გაიღვიძა. მის საწოლ თოახში
შევეღით და მოგონილი სიმბოლით მოვიკითხეთ, შემდეგ „შრომების“
შედგენილობაზე ჩამოვევდე სიგავა. გამომართვა, წელა გადაათვალიერა
და უცებ დავინახე, როგორც ჩამოუგორდა ლოყაზე ცრემლი. ეს იმდენად
მოულოდნელი იყო, თავგარი დამეცა. დიდხას აღარ გავჩერებულვართ.
სულ მაღლ გურამ ჭილაშვილი გარდაიცვალა...

ასეთი ფიქრები აღმიძრა პატარა, მშვენივრად შედგენილმა კრებულმა
(შემდგენელ-რედაქტორი პროფ. ნოდარ ტაბიძე). აქ გაცილებით შეგია
ნათქვამი უპირველესად გურამ ჭილაშვილზე, როგორც პიროვნებაზე,
როგორც შესანიშნავ ფიზიკოსზე, მონოგრაფიების ავტორზე, პრორექტორზე,
უსამართლობითა თუ ავადმყოფობით დაჩაგრულ გულსა და უნებლიე
ცრემლებზე (მხედველობაში მაქვს ვახტანგ ტუსკიას, გია არსენიშვილის,
ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ვაშაკიძის, ნოდარ კეკელიძის, თეიმურაბ კო-



პალეომცილის, მარიამ ლორთქიფანიძის, ვაჟა ოკუჯავას, ნოდარ გაბიძის, მშევარდ შანიძის, ლევან ჭილაშვილის, ანზორ ხელაშვილის, ალექსანდრე ჯავახიშვილისა და სხვათა წერილები).

ცხადია, მაშინვე შევიძინე, კითხვა რომ დავიწყე, პირველივე წერილის პირველი ფრაგაბა ასეთი იყო: „გურამ ალექსანდრეს ძე ჭილაშვილი დაიბადა 1928 წლის 17 სექტემბერს, ქ. გურჯაანში, მოსამსახურის ოჯახში“. ჩემს კალენდარს დავხედე: იდგა 1998 წლის 17 სექტემბერი, ხუთშაბათი დღე. გურამ ჭილაშვილს 70 წელი შეუსრულდებოდა. ხდება ასეთი დამთხვევა. ის კი უკვე რვა წელია, საბურთალოს პანთეონში განისვენებს...

*
* *

ორმოცდაათიანი წლები იწურებოდა. იმხანად საქართველოს მუნიციპულიტეტი აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად პროფ. დავით გამგებარლაშვილი დაინიშნა. მან სასიკეთო რეორგანიზაცია ჩაატრანსიცია განხორციელდა. მან შორის მეც აღმოჩნდა. ინსტიტუტი აკადემიის ძირითად შენობაში იყო განთავსებული, დღევანდელი პ. ინგოროვას ქუჩაბზ. არ იყო დიდი კოლექტივი, იგრძნობოდა ერთმანეთის პარტნიორებმა, კოლეგიალობა, საქმის დიდი სიყვარული. ამავე შენობაში იყვნენ ენათმეცნიერებისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები. ერთმანეთს კარგად ვიცნობდით, ვმეგობრობდით.

ერთ მშენიერ დღეს, უფრო ბუსტად, დღის ბოლოს სამსახურიდან მარტო წამოვედი (თანამშრომლები, ჩეულებრივ, ჯგუფ-ჯგუფად გამოვდიოდით) დღევანდელი გ. ლეონიძის ქუჩას გამოვჭევი და მოვენის კუთხიში შევჩერდა. გაბატონეულის მშვიდი საღამო იღვა და ხელით ვტკბებოდა. ბავშვობა ამ უბანში მქონდა გაგრძელებული და, თუმცა იმ დროს უკვე სხვაგან კუხოვრობდი, ყოველი ნახვისას მოგონებები მეშლებოდა ხოლმე. ასე ვიდექი ჩემთვის, რომ გვერდით საუბარში გართულმა ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ჩამიარეს. ბევრ მათგანს ვიცნობდი, რადგან ჩემი ბიძაშვილი, უდროოდ გარდაცვლილი ლალი გვახარია ამ ინსტიტუტის თანამშრომელი იყო. მათ შორის თავისი უჩვეულო სიღამაზითა და სინაგითით ბრწყინვალდა გერონტი ქიქოძის ქალიშვილი მანანა.

უცებ, მეც არ ვიცი, რაგომ, ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ახალგაზრდა კაცმა, უფრო ბიჭი რომ ეთქმოდა. სამუალო სიმაღლის, განთხელს, ატალებული თმითა და კეხიძის, ქართული ცხეირით, XIX საუკუნის ჭაბუკური იერი ჰქონდა. ყურადღება მიიქცია უმთავრუესად მისმა ნერვიულმა მოძრაობამ, დაქინებულმა შჩერამ, რომლითაც ვიღაცას დაექცებდა და თან ხეს უფარებოდა. მშერას თვალი გავაყოლე და სულ აღვილად და-

ვადგინე, ჭაბუკი მანანა ქიქოძეს მისლევდა, მაგრამ არ სურდა, რომ იყო შეუმნიათ. ისე იყო შეპყრობილი ამ მიზნით, კურავის ამხნევდა, ამაღებული კი მოედანზე მიღების ხალხი ირეოდა. მანანა და მისი მეგობრები გატაცებით საუბრობდნენ, ხან შექერდებოდნენ, ხან ტააგთ აგრძელებდნენ გზას. ჭაბუკი ხან ჩერდებოდა, ხან მისლევდა, სულ ასე ხეებს მოფარებული, მსუბუქად გადარბოდა ერთი ხისგან მურისკენ. კარგახანს ვაღევნებდი თვალს და მიკვირდა, რადგან ვიცოდი (მაშინ თბილის ხომ შედარებით პატარა იყო და ერთი წრის ადამიანებმა თითქმის ყველაფერი ვიცოდით ერთმანეთის შესახებ), რომ მანანა გათხოვაიდა იყო, თანა მისი მეუღლე თბილის ში გამორჩეული, ლამაზი და თითით საჩვენებელი პიროვნება იყო. ნეტავრისი იმედი აქეს ამ საცოდავს-მეთქი, გავიყისქრე და გზა გავაგრძელევ.

რა ვიცოდი, რომ გავიდოდა დრო, და ეს ჭაბუკი მიაღწევდა თავის საწადელს. რა ვიცოდი, რომ გავიდოდა დრო, და ეს ჭაბუკი დაწერდა თავის ერთ-ერთ უმშვენიერეს ქსეს – „როგორ უკარდათ საქართველოში“, რომელიც ასე მთავრდებოდა: „...ყველაფერი ძველდება მშის ქვეშეთში, კვდება, იფიტება, მტვრად და ფერფლად უბრუნდება მარადისობის წიაღს... ინავლება სიყვარულიც“

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბროწეველის ლორთქო ფესვები ღონივრად გაძვევთენ ქვის ბალავარს და სარკოფაგის ათასწლოვანი სიგრიძილიან კვლავ ამოგაბეგიბდება, „ვით ბაზმა გაუქრობელი“, ჩვილი, სამარადისო ხმა: ძევახ, სიცოცხლე ჩემთ!“

და რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, აღტაცება და გულისტყავლი, როდენ საც იგივე „სამარადისო ხმა“ მომესმა კრებულიდან „ჯართ ელი მწერლობის დეკანი“ რომელიც უძლენება გურამ ასათიანის დაბალების 70 წლისთავს. უფრო ბესტი თუ ვიქენია, ამ კრებულში მოთავსებულ მშვენიერ ფოტოებს მორის არის ერთი, რომელგედაც გამოსახულია მანანა, გურამი და მათი პირმშო, ხოლო იქვეა ფოტოპირი გურამის წერილისა მანანასაბადმი ახეთი დასაწყისით: „ჩემთ სიცოცხლე ვავლაფერო, რასაც ვხედავ განვიცდი, მქმის, ვეხები, ქუთხები, ვიგორებ, ვონც ბობ – აბსოლუტურად ყველაფერი და კავშირებულია შენთან. გადაწყვეტილი მაქეს დავწერო ჩვენი სიყვარულის სტორია“...

მან შეისრულა თავისი დაპირება!

გურამ ასათიანი შედარებით გვიან გავიცანი, ჩენ უფრო მეტი საერთო მეცნიერო გვყავდა, ვიღრე უშეალოდ ვმეგობრობდით. რამდენჯერმე შევხვდი მას მოსკოვში. არ შეიძლებოდა მის მიმართ გულგრილი კუთხილი იყბევი, ისეთი მომხიბლავი იყო ის ურთიერთობაში, კამათში, ღროსფარებაში. ამ ურთიერთობის შესახებ მეტყველებს მისი სულგრძელი წარწერა ერთ-ერთ წიგნზე: „შურა გაბარიას, კარგ კაცს, ძველისმცელი სიმპათიებით, შენი გ ასათიანი, 16.XI.78“.

ოცი წელი გასულა მას შემდეგ! ის კი უკვე თექვსმეტი წელია, რომელიც დილების პანთეონში განისვენებს...

გურამ ასათიანის 70 წელი შესრულებოდა. როგორც აღინიშნა, ამ თარიღს მიეძღვნა ზემოხსენებული კრებული (შემდგენელ-რედაქტორი გურამ გვერდწითელი), რომელიც შემდეგი განყოფილებებისაგან შედგება: წერილები; მოგონებები; გამოსათხოვარი; მიძღვნითი ლექსები. ავტორთა შორის მრავლად არიან მისი სიყრმის მეგობრები, კოლეგები, მოწაფეები, თაყვანისმცემლები, ქართული მწერლომისა და კრიტიკის გამოჩენილი წარმომადგენლები (ირაკლი აბაშიძე, გრიგორ აბაშიძე, ნოდარ ლუმბაძე, სარგის ცაიშვილი, არჩილ სულაკაური, თამაზ ბიბილური, ლევან ასათიანი, გურამ ბენაშვილი, გამა აბგაიანიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, თემო ჩირგაძე, ვახტანგ ანანიაშვილი, ნოდარ ცერცვაძე და სხვ). წერილებსა და მოგონებებში სრულად იკვეთება გურამ ასათიანის არაჩვეულებრივად ლალი (როგორც მისი ვაჟი ლევანი წერს: „სილადე მისი ხასიათის ერთ-ერთი არსებითი თვისება იყო“), ამაყი (თუმც არა ქედმაღლური), იუმორით აღსავს პიროვნება. მაგრამ ამ გარეგნულად დარღიმახნდელი ყოფის მიღმა იმაღლებოდა დრომა განსწავლულობა, დახვეწილი ლიტერატურული აღლო და გემოგნება, სიახლის გრძნობა, აუცილებლობის შემთხვევაში დაბაბული მრომის უნარი, რის გარეშე ვერ დაიწერებოდა „მერანი“ და მისი ავტორი „„ვერცხისგყაოსნიდან“ – „ბახტრიონამდე“, „ქართველი ლირიკოსები“, „თანამდევი სულები“, „საუკუნის პოეტები“, „კლასიკა და თანამედროვეები“ და მისი გედის სიმღერა – „სათავეები“. ამ წიგნის გარდა ხომ იყო მრავალი წერილი, მოხსენება, უკრნალ „ლიტერატურნაია გრუმიას“ რედაქტორობა, განყოფილების გამგეობა...

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ბორის პასტერნაკის აღტაცება ჭაბუკი გურამ ასათიანის პიროვნებით, მასთან პირველივე შეხვედრის შემდეგ რომ გამოხატა ტიციან ტაბიძის მეუღლის ნინო ტაბიძისადმი გამოგზაუნილ ბარათში.

* * *

...ორი პატარა კრებული, ორი სრულიად განსხვავებული პიროვნების საღმი მიძღვნილი, რომელთაც ერთი მთავარი თვისება აერთიანებოთ: გამორჩეული დირსება. და კიდევ გულისტყოფილი ნაადრევი განშორებისა.

იონებ გრიშაშვილის «ქაღაქური ღემსიპონი»

„თბილისი, რომელმაც მრავალი უცხო ქულტურული ნაკადი შემოიერთა, ქართულ ყაიდაბეჭმნა და გადაახალისა, მუდამ გამოირჩეოდა თავისი შნით, ჩატულობით, სიმღერით, ენით, საუბრის კილოთი. თბილისური კილო, თბილისური მეტყველება ჯერ კიდვ ბევრ რასმე საიდუმლოს ინახავს და ამ საუნჯის გამომზეურება, მოხმარება, ქართულ ეროვნულ ენაში ჩართვა მომავლის საქმეა“ (ბ. ჯორგებაძე), – ეს მანამდე ითქვა, სანამ დღის სინათლეს იხილავდა იოხებ გრიშაშვილის მრავალწლიანი თავდაღებული შრომის შედეგი – „ქაღაქური ღემსიპონი“, რომელიც 1997 წელს გამოსცა გამომცემლობა „სამშობლომ“.

ერთია ფასდაუდებელი ძიება და ღვწა ღიღი პოეტისა და მერე – თავდაღებული შრომა ქაღაბატონ რუსებან კუსრაშვილისა, რომელმაც იოხებ გრიშაშვილის არქივში დაცულ ამ უნიკალურ მასალებს ღექსიკონის სახე მისცა და გამოსაცემად მოამზადა.

თბილისური მეტყველების, თბილისური ქართულის როლი და მნიშვნელობა, ცხადია, კარგად ესმოდა დიდ ივანე ჯავახიშვილს; ამიტომაც იყო, როცა მან სამვილიშვილო საქმეს დაუდო სათავე – საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მასალების შეკრება დაიწყო – საქართველო 25 სამეშაო რეგიონად დაყო და თითოეულ რეგიონში მაღალკალიფიციური მეცნიერი მიაკვინა, თბილისი ცალკე რეგიონად გამოიყო და აქ მასალის შეგროვება იოხებ გრიშაშვილს მიანდო. 1935 წელი იყო.

ცხადია, იცოდა დიდმა ივანემ, ვის ანდო ქაღაქური ღექსიკის შეგროვება; იოხებ გრიშაშვილი მას შემთხვევით არ შეურჩევია. XX საუკუნის დასაწყისში თუ ვინმემ იცოდა ყოველივე ის, რასაც თბილისური ერქვა – სიტყვა, აღათ-წესი, ყოფა-ცხოვრების ნებისმიერი წვრილმანი დეტალიც კი – ეს იოხებ გრიშაშვილი იყო, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოპემის“ ავტორი. აღბათ ისიც იცოდა ი. ჯავახიშვილმა, რომ პოეტს ქაღაქური ღექსიკის შეგროვება დიდი ხნის დაწყებული ჰქონდა.



დიახ, პოეტის არქივში დაცული „წინათქმა“ რომელსაც ფრჩხილებში მოიწოდილი აქვს „მასაბლები ქალაქის წინათქმისათვის“, კალენდრის ფურცელების უკანა (ცარიელ) გვერდებზე გაკეთებული; კალენდრი 1928 წლისაა. ცხადია, ეს წინათქმა ამავე პერიოდშია შექმნილი; როგორც ჩანს, მკვლევარს სალექსიკონო მასალა 1928 წელს უკვე მოპოვებული აქვს (ყოველ შემთხვევაში, ძირითადი ნაწილი მაინც) და წინათქმას უკეთებს...

გამომცემლის, ქალბატონი რ. კუსრაშვილის, სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არქივში დაცული სალექსიკონი მასალა მკითხველამდე უაღრესად საინტერესო ლექსიკონის სახით მოვიდა (წიგნი 304 გვერდს შეიტაცეს). გვჯერა, მის ავ-კარგზე ბევრი ითქმება; ამჯერად ჩვენ ფაქტი აღვნიშნეთ ამ ლექსიკონის გამოცემისა და მადლობა გვინდა შევკადროთ ქართული სიტყვისა და საქმისათვის დამაშვრალ პოეტს. და კიდევ იმათ, ვინც იმრუნა იმისათვის, რომ პოეტის დიდ შრომას დღის სინათლე ეხილა...

დაინტერესებული მკითხველისათვის ლექსიკონის შინაარსს, მის დანიშნულებას კარგად წარმოაჩენს თავად ავტორისეული განმარტება „წინათქმიდან“: „ეს არ არის „გრიშაშვილის ლექსიკონი“, როგორც პოეტის. ჩემი ლექსის ენა დაეძმობილა ძველი მწერლების ენას (შოთას, საბას, ივ. მაჩაბლის, შექმპირის, გრ. ყიფშიძისა და ივ. მაჭავარიანის თარგმანებს). რასაკვირველია, მაქვს ქალაქის ლექსიკის სურნელებაც, მაგრამ ესეც მაშინ, როცა აბრის გამოსათქმელად სხვა საბადლო სიტყვა არ არსებულა. შეიძლება აქ იყოს ბევრი სიტყვა გულუბრყვილოდ ახსნალი, ე.ი. მისი შესატყვისის, მისი ძირის ჩემებურად ახსნა, მაგრამ არავთარი პრეტენზია არა მაქვს – „მცოდნეობის რაყამი“ მიეიკრა და შოთას სახედარივით ვუცილობდე. მე მხოლოდ ეს სიტყვები დავაგროვე და, როგორც მასალა, დავტოვე ძველი თბილისელი პოეტის სახსოვრალ“.

დაბოლოს: „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ ბოლოთქმაში პოეტი არაერთგზის იმეორებს: „მე თბილისი მიყვარს“. წინამდებარე ლექსიკონი სწორედ ამ სიყვარულის ნაყოფია.

«ჯგურ-ხატია საღიღებები»

გასულ წელს მკითხველმა მიიღო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტის კათედრის მიერ მომზადებული საყურადღებო კრებული „ჯ ა რ - ხ ა მ თ ა ს ა დ ი დ ე ბ ლ ე ბ ი“ – ტექსტები შეკრიბეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ბურაბ კინაძემ, ხეთისო მამისიმედიმვილმა და ტრისტან მახაურმა (გამომცემლობა „ნეკერი“. რეცენზები ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინათინ ოჩიაური). ის მიეძღვნა ჯვარ-ხატთა აწ გარდასულ ხუცს-ხევისბერთა ხსოვნას. კრებულის შემდგენლები მაღლიერებით იხსენიებუნ ამ ხუცს-ხევისბერთ და მაღლის მოახსენებენ დღეკრძელთ, რომლებიც დღემდე მამაპაპურად უძღვებან ჯვარ-ხატთა სამსახურს.

კრებულში შესულია აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთის საკულტო ტექსტები – ჯვარ-ხაგთა ღღეობებზე ხუცეს-ხევისბერთა მიერ წარმოსათქმელი სადიდებლები, ღოცვები, დამწყალობნებანი. მისი შედგენილობა ძალია: წინათქმა (ბ. კინაძე), შესავალი (ბ. მამისიმელიშვილი, ბ. კინაძე, ტ. მახაური), ტექსტები (მასალა დალაგებულია საყმოების მიხედვით: ხევსურეთი – პირაქეთი ხევსურეთი, შაგილის მხარე, მიღმახევი, ჯეთა, არხოგი, უცნობი საყმო; ფშავი – ლაშარის ჯვარი, გოგლაურთ თემი, ქისტაურთ თემი, გაბიდაურთ თემი, უძილაურთ თემი, ცაბაურთ თემი, მათურის თემი, უკანა ფშავის თემი; ხორხის ხეობა; მთიულეთი; გუდამაყარი; ხევი; თუშეთი; ნაქადაგრუები); საძიებლები; ჯვარ-ხაგთა სახელები, ქრისტიანული ტერმინები და ცნებები, ადგილის სახელები; ლექსიკონი, შემთკლებანი, ინგლისური რეზიუმე.

ამ ტექსტების ჩაწერა თუ პუბლიკაცია კარგა ხნის წინ დაიწყო. ამ საშეიღიო მენილთ საქმის სათავეებთან ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, პეტრე უმიკაშვილი და სხვა გამოჩენილი მოღვაწენი იღენენ. მათი საქმიანობა სასახლელოდ განაგრძეს აკაკი შანიძემ, გოორგი ჩიგაიამ, რუსულან ხარაძემ, სერგი მაკალათიამ, ვერა ბარლაველიძემ, ალექსი ოჩიაურმა, თინათინ თბიაურმა და სხვებმა, მაგრამ დიდი სამუშაო შესასრულებელი იყო – ჩასაწერი, გამოსაცემი და შესასწავლი იყო დიდალი მასა-



ლა. და აი, კრებულის შემდგენლებმა იკისრეს ამ სამუშაოს შესრულებაზე მათ მოიარეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, ჩაიწერეს დიდძარებული მასალა, გამოიყენეს არქივებში დაცული ჩანაწერები (რუსულპარავნული მარადის არქივი, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტების არქივები, განსაკუთრებით – უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის არქივი და სხვ.), ისარგებლეს აღრინდელი ჟუბლიკაციებით და ხანგრძლივი და გულმოდგინე მუშაობის შედეგად საგნის უსაბაძლვრო სიყვარულითა და ღრმა ცოდნით შეადგინეს კორპუსი, რითაც შეავსეს ეროვნული ფოლკლორისტიკის შესამნევი ხარევბი.

საგულისხმოა, რომ უკანასკნელ ხანამდე საკულტო ტექსტებს ქართულ ფოლკლორისტიკაში ნაკლები ყურადღება ექცევოდა; მათ უპირატესად მითოლოგიის ან პოეზიის კანონში განიხილავდნენ და უნებლივით უგულებელყოფდნენ მათ სპეციფიკას, ჩრდილში რჩებოდა მათი ფუნქცია საზოგადოების რელიგიურ ცხოვრებაში. სამწებაროდ, რადგან არ სებობდა კორპუსი, ბევრი რამ უნიობი იყო და საკულტო ტექსტები არ შეისწავლებოდა (ან თითქმის არ შეისწავლებოდა) რელიგიური, ეთნოფრანგიული, პოეტიკური თუ ლინგვისტური კუთხით. ახლა გზა ხსნილია: გამოჩნდა დიდძალი მასალა, რომელსაც იმედია, ჯეროვნად გამოიყენებენ არა მხოლოდ ფოლკლორისტები, არამედ ენათმეცნიერები, ეთნოლოგები და ქართველობრივისტები სხვა დარგების წარმომადგენლები.

სარეცენტიო კრებულის გამოცემამ ერთხელ კიდევ ცხადყო ფოლკლორული კესპერიიების ჩატარების აუცილებლობა, გამოქვეყნებული მასალა მოწმობს, რომ მთიანეთის ბოგიერთ კუთხეში (ხევში, თუშეთში...) შედარებით ნაკლებად არის ჩაწერილი საკულტო ტექსტები, რადგან მათი მცოდნეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა და ბოგან საკულტო-ტეპირნისტები ტექსტი აღარავის ახსოვს. ასე რომ, შემორჩენილ ხეცეს-ხევისბერთა დაძებნა და მათგან უკვლევი ტექსტების ჩაწერა საშური და გადაუდებელია.

იმედია, ფოლკლორისტიკის კათედრა კვლავაც ინგენსიურად იმუშავებს ამ მიმართულებით და გაამდიღრებს მის ფოლკლორულ არქივს, ხოლო შემდგომი კვლევა-ძიებით აამაღლებს ეროვნული ფოლკლორისტიკის დონეს.

ყოველივე ბემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ „ჯვარ-ხაგთა სადიდებლები“ არა მხოლოდ ქართული ფოლკლორისტიკის, არამედ საერთოდ ქართველობრივის მკირფასი შენაძენია.

ქართული ფილოგიური მეცნიერების პირვანი შენაძენი

1996 წელს გამოქვეყნდა ედიშერ ჭელიძის მონოგრაფია „ძეგლი ქართული საღვთის მეტყველო ტერმინოლოგია“ (I). წიგნი დიდგანიანია, შეიცავს 692 გვერდს, ივარაუდება II ტომის გამოცემაც, საღაც ამავე თემასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები იქნება განხილული. ნაშრომი ემყარება სევერიანე გაბალონების „ექსტა დღეთამს“ უძველესი ქართული თარგმანის ტექსტის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ და ტერმინოლოგიურ კალეგას და როგორიც აეგორი წერს: „შეისწავლის ძირითადი საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე ჩამოყალიბებისა და ეპოქალური ცვალებადობის ისტორიას...რაც დღემდე მონოგრაფიული განხილვის წესით, სტრუქტურული მთლიანობით არავის შეუსწავლია“. ეს ფაქტი, მით უმეტეს, აღსანიშნავია, რადგან, თავი რომ დავანებოთ ქრისტიანული მწერლობის მქონე სხვა ენებს, თვით ბერძნული და ლათინური საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაც კი მისი ისტორიითურთ დღემდე მონოგრაფიულად არავის შეუსწავლია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი კვლევის თავისი ახლებური მეთოდით ახალი სიტყვაა ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში.

მონოგრაფია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში (გვ.5-86) მოცემულია სევერიანე გაბალონების თხზულების „ექსტა დღეთამს“ ქართული თარგმანის ფილოლოგიური ანალიზი. ეს ნაწილი ძირითადად იმის დამტკიცებას ემსახურება, რომ თხზულება თარგმნილია უშაალოდ ბერძნულიდან. მეორე ნაწილში კი, რომელსაც ნაშრომის მთელი 600 გვერდი უჭირავს (გვ.89-683), თარგმანის უძირითადესი საღვთისმეტყველო ტერმინების ანალიზის საფუძველზე გარკვეულია ამ თარგმანის განსაკუთრებული ტერმინოლოგიური არქაულობა, რის შედეგადაც მიღუდებულია მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ სევერიანე გაბალონების აღნიშნული თხზულების თარგმანი ქართული მწერლობის უაღრესი ეპოქის (V საუკუნის პირველი ნახევარი, ან მეა წლები) ძეგლად უნდა

ჩაითვალოს. ამ ეპოქის წერილობითი ძეგლები ქართულ სინამდვილეზე მი დღემდე გამოვლენილი არ ყოფილა, ასე რომ, ეს დასკვნა ძალის მიერგობდა ჩვენი მწერლობის პრესტიჟისათვის საერთოდ. აյ თუ დღისხმება ის ფაქტიც, რომ ბერძნულიდან შესრულებული ეს თარგმანი წინ უსწრებს ქართულ-სომხური ლიტერატურული თანამშრომლობის დაწყებას, რაც V საუკუნის შემდეგი ივარაუდება (გვ.683).

ნამრომის მეორე ნაწილი 12 თავისაგან შედგება იმ 12 ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინის მიხედვით, რომელიც წიგნის ავტორის განხილვის საგანს წარმოადგენს. ეს ტერმინებია: უსაია, უიუსის, პიპოსტასის, მონოგენეს, სტოიხიონ, პიულე, ორთოდოქსია/ორთოდოქსოს, კანონ, აისთესის/აისთეტერონ, აიგია/აიგიონ, პოიოტეს/პიოონ, ასომატოს.

დიდძალი რაოდენობის ძველი ქართული მწერლობის ძეგლების შესწავლის საფუძველზე ავტორი აღვენს ქართულ ტერმინთა შესაბამისობას აღნიშნულ ტერმინებთან. თითოეული ამ ტერმინისა და მისი ქართული შესატყვისების განხილვის შემდეგ ე-ჭელიძე იმასაც არკვევს, თუ შესაბამისად რომელ ტერმინს იყენებს სევერიანე გაბალონელის თხზულების ქართველი მთარგმნელი. ნამრომიდან აშკარად ჩანს, რომ ტერმინები, რომლებიც პერძნული შესაბამისი ტერმინების შესატყვისად არის ამ ძეგლში ნახმარი, ყველა ძალზე არქაულია.

ძველი ქართული მწერლობის სხვადასხვა პერიოდის ძეგლებში დიდძალი ტერმინის გამოვლენამ და განხილვამ შესაძლებლობა მისცა წიგნის ავტორს, დაედგინა მეტად მნიშვნელოვანი კანონბომიერება, სახელდობრ, რომ „ტერმინული ქმნადობის პროცესი მყარად იცავს უწყვეტებ ეპოქალურ მონაცემლებას: ათონურ სკოლას უშუალოდ ასაზროებებს წინაათონური ეპოქა, საკუთრივ ათონური სკოლის უშუალო მემკვიდრეა (თეოფილე ხუცესმონაბონთან ერთად) ეფურემ მცირე, რომელიც უშუალო საფუძველს უქმნის არსენ იყალთოელს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უშუალო მესამირკვლეა გელათის საღვთის-მეტყველო სკოლისა“ (გვ.408-409).

ე. ჭელიძის მონოგრაფია კარგად გვარწმუნებს იმაში, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლების ტერმინოლოგიური შესწავლა უთუოდ არის ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენი მათი ფილოლოგიური კვლევის სწორად წარმართვისათვის. მეთოდი ნამდვილად ამართლებს და საფუძვლიანადაც. სევერიანე გაბალონელის „ექსითა დღეთაში“ გარდა ნაშრომში გამოვლენილია არა ერთი სხვა ძეგლიც, რომელთა დათარიღება და აგრიბულია სწორედ ტერმინთშესატყვისობის მემვეობით ანდა მისი დიდი დახმარებით არის შესაძლებელი.

ვ. ჭელიძეს ამ ნაშრომში განსაკუთრებით მაღალ დონეზე ქვეს ჩატარებული ბიბანგიური მწერლობის ცნობილი ძეგლის „სახისმეტყველის“ (იგივე „ფიბილოგი“) ქართულ-სომხური ტექსტების „ტერმინი ნოლოგიური კვლევა. ტერმინულთან ერთად ცნობილი სტილისტური მასალის მოშველიებითა და გამოყენებით ნაშრომში ძალის დამაჯერებლადა დასაბუთებული, რომ ეს თხბულება ქართულ ენაზე უთარგმნაათ არა VIII საუკუნეში (როგორც ნ. მარი თვლიდა), არამედ V საუკუნის შეა წლებში. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ „სახისმეტყველის“ კვლევისადმი მიძღვნილი ნაწილი ამ მონოგრაფიაში სრულიად განსაკუთრებულია. მისმა გაცნობამ არ შეიძლება არ აღაფრითოვანოს უკლებლივ ყველა სპეციალისტი.

ტერმინოლოგიური კვლევის საფუძველზე (ისევ ენობრივ-სტილისტურ მონაცემებთან შეთანხმებით) ავტორი ახდენს „საბა განწმედილის ცხოვრების“ ქართული თარგმანის გადათარიღებასაც და იგი ამ ძეგლ-საც დაახლოებით ორი საუკუნით აძველებს. დასკვნა სავხებით დამაჯერებელია. სხვა მაგალითები: ტერმინთშესაგყვისობის მეთოდის გამოყენებით ორკვევა ისიც, რომ ამონიოს ერმისის თხბულებათა ქართულ ენაზე მთარგმნელი არავითარ შემთხვევაში არ არის იოანე პეტრიწი, რისი დამტკიცების ცთუნებაც არსებობდა მანამდე ქართველ ფილოლოგთა წრეში.

მაქსიმე აღმსარებლის თხბულებები „ორასეული“, „ოთხასეული“ და „თავინი ათხეთშეტნი“, რომელთაგან პირველი ორი კ. ეკაელიძეს ნაკოლობ გულაბერისძის თარგმანად მიაჩნდა, ხოლო მესამე – ეუთვამე ათონელისეულ თარგმანად, ტერმინოლოგიური კვლევის შედეგად ეურემ მცირის თარგმნილი აღმოჩნდა. ეურემ მცირის თარგმნილი აღმოჩნდა აგრეთვე Jer.23 ხელნაწერში ეფრემის თარგმანთა შორის მოთავსებული იოანე დამასკელის ენკომია იოვანე თქროპირისადმი, რომლის მთარგმნელის შესახებ მანამდე საკუთოდ არაფერი იყო ცნობილი.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ნაშრომში „კლემაქსის“ პეტრე გელათელისეული თარგმანისა და Ath.6 ხელნაწერის აგრიძელის გარკვევა და ამასთან ერთად პეტრე გელათელის საღვთისმეტყველო სტილის თავისთავადობის წარმოჩენა: სწორედ ტერმინთშესატყვისობის მიხედვით გაირკვა, რომ Ath.6 ხელნაწერის ტექსტები თარგმნილი უნდა იყოს პეტრე გელათელის მიერ.

ფილოლოგიურ კვლევაში ტერმინთშესაგყვისობის მეთოდის სარგებლიდანობა კარგად ჩანს აგრეთვე ბასილი დიდის „ექსტა დღეთახსა“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისთვას“ თარგმანებში „საგრძნო-

ბელისა“ და „საცნობელის“ ხმარებასთან დაკავშირებით. ის ფაქტი, რომ გრძნობის ორგანოთა ტერმინულ აღმნიშვნელად პირველი იყვნების „საცნობელს“, ხოლო მეორე – „საგრძნობელს“, მკვლევარს სრულიად სამართლიანად აფიქტურებინებს, რომ ძველ ხელნაწერებში ასერიგად შეწყვილებული ეს ორი თხზულება სხვადასხვა მთარგმნელს უნდა ეკუთვნოდეს.

საკითხების სიმრავლითა და შესაბამისად მნიშვნელოვანი დასკვნებითა და დებულებებით უხვად დატვირთული ეს მონოგრაფია მეტად ძვირფასი შენაძენია ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისა. იგი დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც ფილოლოგ მკვლევართ, ისე ამ მეცნიერებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

პრეგული - «0ლ0ა ჭავჭავაძე ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ»

კრებული - „იღია ჭავჭავაძე ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ - მიზნად ისახავს, რაც შეიძლება მეტი სისრულით გააცნოს მკითხველს დიდი ქართველი მწერლის შეხედულებები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მათ რაობასა და დანიშნულებაზე, ხელოვნის მისიასა და შემოქმედებითი პროცესის სპეციფიკაზე, თარგმანისა და კრიტიკის ფუნქციაზე და ა.შ. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ესა თუ ის აჩრი მხოლოდ იღიას კუთვნის და მანამდე არავის გამოუთქვამს. ამჟამად ყველასათვის ნათლად არის ცნობილი, რომ იღია ჭავჭავაძე იგიარებდა მოწინავე რესა და დასავლეთ ევროპის მოაბროვნების შეხედულებებს, როგორც ხელოვნების არსია და დანიშნულების, ასევე სხვა მრავალი საკითხის შესახებ. ის კიდევაც იმოწმებდა და ეკრანზობოდა მათ, მაგრამ სხვისი ნააბრევის ბრმად გადმოგანა არასოდეს უცდია. მისი მსჯელობა ეფუძნებოდა საკუთრივ ნაგრძნობსა და განცდილს. პროფესორ გრიგორ კიკნაძის სიგვენებით რომ ვთქვათ, „იღია ჭავჭავაძე მაინც ყოველთვის რჩებოდა დამოუკიდებელ ქართველ მოაბროვნედ“. მის მიერ სხვადასხვა ავტორის მოხმობა გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების სასიცოცხლო ინტერესების ჩვენების, „პატრიოტული ხედვის“ დამკვიდრების მიზნით. „არაფერი ისეთი არ გაუხდია მწერალს განსჯის საგნად, რაც უშეალოდ ქართული ვითარებით არ იქნებოდა ნაკარნანავეია“ (ლ. მინაშვილი). ამრიგად, იღიას შეხედულებების ორიგინალობას კი არ უნდა მიექცეს არსებითი ყურადღება, არამედ იმ პრინციპების სიახლეს, რომელსაც იღიას შეოქმნას ქართული ლიტერატურისათვის განმსაზღვრული ფუნქცია ჰქონდა.

კრებული საშეალებას აძლევს ქართველ მკითხველს, გაიაბროს უდიდესი მოღვაწის - იღია ჭავჭავაძის პიროვნება კიდევ ერთი კუთხით, იღია - როგორც თავის ქვეყანაში უაღრესად თანადროული მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური პრინციპების დამამკიდრებელი.



თუ რაგომ იყო რეალისტური პრინციპების დამკვიდრება დროული ქართული ლიტერატურისათვის, ამაზე პასუხს თვითი ილია იძლევა თავისი სტატიაში – „წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“. ილიამ წარმოაჩინა მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების უწყვეტი გზა. ოცდაათიანი წლების დახასიათებისას იგი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდის პოეზია „უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ჭირსა და ლინს გვიგბალობს, ვიდრე მოაბრე ცხოვრების აზრთა სვლას და წარმატებას“. ილია ამის მიზეზსაც ასახელებს, მაგრამ ლიტერატურის განვითარებისათვის სწორედ „მოაბრე ცხოვრების აბროთა სელას“ მიიჩნევს საჭიროდ. მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში მინელდა ინტერესი რომანტიზმის მიმართ. ამას განაპირობებდა ძირითადად ორი ფაქტორი: ერთი მხრივ, რეალიზმის განვითარება, რაც აუცილებელი იყო ქვეყნისათვის, თუ სურდა ჩართულ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში; მეორე მხრივ კი, საბოგადოების ამოქმედებისაკენ სწრაფა, რაც პიროვნული გრძინობების გამოხატვას, მწერლის სუბიექტურ ასპექტში განხილულ სინამდვილეს არ შეეძლო. არ არის საკამათო, რომ გრიგორ და ვახტანგ ორბელიანების პატრიოტიზმი განსხვავებულია პატრიოტიზმის იმ ფორმისაგან, რომელსაც სამოციანელები გვთავაზობენ. ისინი ჰვიტეტით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ მოქმედების პრინციპს უსახავენ მწერლობას სახელმძღვანელო პრინციპი პად. მათი თავკაცი და იდეური სელისჩამდგმელი კი ილია ჰავჭავაძეა.

ბუნებრივია, დღევანდელი ფართო მკითხველი იმიანრებს ან არ იმიანრებს ილიასეულ პრინციპებს, რომელიც რეალისტურ მსოფლმხედველობაზეა დაფუძნებული. ადამიანის ბუნების მრავალუროვნება განაპირობებს ხელოვნებისა და ცხოვრებისადმი მიღდომის მრავალუროვნებასაც, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეალისტურ პრინციპებს კველა დროში ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ხოლო ილიას ეპოქაში მათ სასიცოცხლი ფუნქცია დაეკისრიათ. უნდა გავითვალისწიოთ ის სტორიული კითარებაც, რომელიც ამ პრინციპების არსებობას განსაბოლოვავდა, რაც ცალმხრივი შეფასებისაგან თავის დაღწევის საშუალებას მოგეცემს. თავად ილია მოგვიწოდებს სტორიამბის პრინციპისაკენ თავის სახელგანთქმულ სტატიაში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავების მიერ „შემლილის“ თარგმანზე-და“. იგი გმობს სენგიმენტალიზმს, მაგრამ აღიარებს ამ მიმართულების გარკვეულ მნიშვნელობას განვიღილი სტორიული პერიოდისათვის. ილია ჰავჭავაძის ნააბრევს კი არა მხოლოდ თავისი დროისათვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, არამედ დღესაც ინარჩუნებს აქტუალურ, შემეტნებით ღირებულებას და მომავალშიც შეინარჩუნებს, რადგან ილიამ

ჩამოაყალიბა და დაასაბუთა ქართული მწერლობის განვითარების
ეროვნული გზა.

პიროვნება ვალდებულია პასუხი აგოს გარესამყაროს პროცესუალურ
ყველაზე დიდი მოვალეობა კი პოეტს აკისრია, რადგან ის არის, როგორც
ამ პროცესების შეუღამაზებელი ამსახველი, მან კის მამხილებელი, ამავე
დროს ერის წინამდობლი, მისი ჰერა-გონების წარმმართველი და ყვე-
ლაზე მეტად პასუხისმგებელი – ამ უმაღლეს მორალურ პრინციპებს
თვით დღევანდელი მკითხველიც კი ვერ აღიქვამს გულგრილად, რად-
გან მათი დაცვა ჩვენი ქვეყნის ბედს წარმართავს, ხოლო მოვალეობა
სამშობლოს წინაშე არასოდეს ბარდება წარსულს, მართალია, კრებუ-
ლი „ილია ჭავჭავაძე ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ განკუთვ-
ნილია ქართული ესთეტიკური აზრისა და საბოგადოდ ლიტერატურისა
და ხელოვნებით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის, მაგრამ ფარ-
თო მკითხველისათვის მას ის მნიშვნელობაც უნიჭება, რომ ეროვნული
თვალთახედით გაიამროს სამოციანელთა საგვივარი, ილიას სატკი-
ვარი და თუ მთელი ერის მეთაურის როლის შესრულება არ ძალუმს,
მისი მესახედი პასუხისმგებლობა მაინც იკისროს საკუთარი ცხოვრების
წინაშე.

კრებულის გამოცემის ინიციატორი პროფესორი გრიგორი კიკნაძე
იყო, რედაქტორი ჩვენს სინამდვილეში უკვე აღრე არსებული ასეთივე
კრებულისა „ვაჟა-ფშაველა ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ“.
შესავალ წერილში ბატონი გრიგორი აღნიშნავს: „კრებულის შედგენი-
სას რედაქცია იმ მიზნით ხელმძღვანელობდა, რომ ჩვენი საბოგადოებ-
ისათვის ისეთივე წიგნი მიეწოდებინა, როგორიცაც აქვს რეს მკითხვ-
ელს თავისი თითქმის ყოველი მნიშვნელოვანი მწერლის შესახებ“. მის
სიტყვებში ჩადებულია აზრი, რომ ამდაგვარი გამოცემები ჩვენი სი-
ნამდვილისთვისაც საჭირო და აუცილებელია, რაც უწინარეს ყოვლისა
ილია ჭავჭავაძის კრებულის გამოცემას უნდა ეხებოდეს, რადგან ილ-
იამ და სამოციანელებმა შეტყვათი, პოლემიკური ხასიათის წერილებით
ფაქტიურად დაამკიდრეს ის ლიტერატურულ-ესთეტიკური გარემო,
რომელიც უკვე სხვანაირი ფორმით გააშუქა ვაჟამ. გრიგორი კიკნაძემ
„ვაჟას კაბინეტთან“ შემოიკრიბა სპეციალისტთა წრე, რომელიც შეუდგა
ილიას ნააზრევის თავმოყრასა და კრებულისათვის მომზადებას.
გარკვეული მიზებების გამო მას სამუშაოს შესრულება არ დასცალ-
და. უფრო მოგვიანებით კრებულის შესადგენად მუშაობა განაახლა
თხუ ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაშ პროფ.
პროკლე კეკელიძის ხელმძღვანელობით; ხოლო „ილიას კაბინეტმა“
დღიდან დაარსებისა პირველ ამოცანად კრებულის მომზადება და



გამოცემა დაისახა; ხელახლა წამოიწყო ეს საქმე, რადგან აღრეული მასალები ვერ მოიპოვა. კაბინეტის ხელმძღვანელის, პროფესორ ლადო გოგიაშვილის ინიციატივითა და დიდი მონდომებით ყოველივე წარმატებით დაგვირგვინდა.

კრებულისათვის მასალის შერჩევასა და გამოსაცემად მომზადება-ში აქტიურად და გულითადად მონაწილეობდნენ „ილიას კაბინეტის“ თანამშრომლები: თამარ ხვედელიძე, რუსუდან კვირკველია, ეკა ვარდოშვილი, რუსუდან ჯალაძონია, მარიკა გოგიაშვილი, მედებ კვაჭანტირაძე.

ჩვენი საზოგადოების დიდმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა კრებულის შექმნაში. მასში თაგმოყრილი ილიას ნააზრევი იმდენად მრავალმხრივია, რომ სარედაქციო კოლეგია ლიტერატურისა და ისტორიის სხვადასხვა სფეროს მკლევარებს აერთიანებს. სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: გიორგი აბაშიძე, ნიკო ბერძენიშვილი, კორნელი დანელია, იუბა ვეგენიძე, თენგიზ კაკაჩიშვილი, როინ მეტრეველი, ლადო მინაშვილი (მთავარი რედაქტორი), სალომე ყუბანეიშვილი, ჯუმბერ ჭუბბურიძე, ელგუჯა ხინთიძე, სოლომონ ხუციშვილი; ხოლო რეცენზიტები – რევაზ სირაძე და ნინო ქლენტი. სარედაქციო კოლეგიის წევრებთან ერთად კრებულის შედგენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ოლეგ ლაბარტყავაძე და ივანე ჯაგოლიშვილმა.

კრებული გამოიყარო ტრ გომად. მასში სრულყოფილადაა თავმოყრილი ილიას ლიტერატურული ნააზრევი. მასალა განლაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით; წინ ერთვის პროფ. გრიგორი კინაძის სტატია – „ილია ჭავჭავაძე ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნების შესახებ“, ხოლო ბილოსიტეკვაობად – მთავარი რედაქტორის პროფ. ლადო მინაშვილის წერილი – „ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია“. უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის თხმულებათა აკადემიური გამოცემის ტომებიდან ამოკრებილი ტექსტების გარდა კრებულში ახალი მასალაც შევიდა შემდეგი წიგნების მიხედვით: თ. ნაკაშაძე, ნ. კორძაია, ილია ჭავჭავაძე, ბიბლიოგრაფია (1837-1907), თბ., 1966; ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, ილია ჭავჭავაძე – ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, თბ., 1987; აგრეთვე ილია ჭავჭავაძის კერძო მიმოწერილი დამატებითი წერილები, რომლებიც შესული არ არის თხმულებათა ათგომებულის შეათე ტომში. ეს წერილები შეარჩიეს და სათანადო კომენტარებით წარმოადგინეს ქალბაგონებმა ლუბა მეფარიშვილმა და ნორა კოტინოვმა, რომლებმაც გამოსაცემად მოამზადეს ილია ჭავჭავაძის თხმულებათა ოცნებულის XVII-XVIII ტომები – ილიას კერძო მიმოწერა. მიუხედავად იმისა, რომ თხმულებათა აკადემიური გამოცემის (ოცნების) გამოცემა დაისახა; ხელახლა წამოიწყო ეს საქმე, რადგან აღრეული მასალები ვერ მოიპოვა. კაბინეტის ხელმძღვანელის, პროფესორ ლადო გოგიაშვილის ინიციატივითა და დიდი მონდომებით ყოველივე წარმატებით დაგვირგვინდა.

ტომად) მეხუთე ტომი (ტომის რედაქტორი გიორგი აბაშიძე) ეთმობა ილიას წერილებს ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, მწერლების გამოცემა მაინც მეტად მნიშვნელოვანი საქმეა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასში თავმოყრილია არა მხოლოდ წერილები, არამედ ის ნაწყვეტები მხატვრული შემოქმედებიდან, პუბლიცისტიკიდან, კერძო მიმოწერიდან, აგრეთვე ცალკეული გამონათქვამები, რაც უშუალოდ ლიტერატურასა და ხელოვნებას ეხება. ეს გაუადვილებს ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს კვლევა-ძიებას.

კრებულის გამოცემა არა მარტო წარმატებით დაგვირგვინებაა „ილიას კაბინეტის“ მიზანდასახული საქმიანობისა, არამედ კიდევ ერთი მცდელობაა საქართველოს უდიდესი მოაბროვნის, მწერლის, ესთეტიკოსის, ლიტერატურის თეორეტიკოსის, ისტორიკოსისა და კრიტიკოსის – ილია ჭავჭავაძის ღვაწლის არდავიწყებისა და დაფასებისა ჩვენს სინამდვილეში.

რევაზ მიხელის ძე გიგანტის შეკვეთი

რევაბ მიშველაძის „წიგნს „ასი ახალი ნოველა“ საქმართ საინტერესო
ლიტერატურული ისტორია აქვს. მთელი წლის განმავლობაში გამოი-
შანენის“ კოველი ახალი ნომერი კვირაში სამჯერ მწერლის ახალ ნოვე-
ლას სთავაზობდა მკითხველს. ამდენად, სამოგადოებრივი თუ პოლი-
ტიკური ცხოვრების სიახლეებთან ერთად გამოიყოს მკითხველები ქართუ-
ლი ლიტერატურის სიახლეთა საქმის კურსშიც იყვნენ. მეორე მხრივ,
რევაბ მიშველაძის ნოველები უმეტესწილად სწორედ სოციალურ-პოლი-
ტიკური პრობლემების გააბრება-გაცნობიერებისაკენ მოუწოდებდა მათ
და გამოიყოს რედაქციის არჩევანი საკუთხით გამართლებულად ისახუ-
ბოდა. „ასი ახალი ნოველის“ წარასიცყვაობაში აკორი ამგვარად
აფასებს თავის შრომას: „სხვა შემთხვევაში ას ნოველას ჩვეულებრივ,
აღბათ, ხუთ წელიწადშე აღრე ვერ დავწერდა. გამოიყო მიმარტებინებდა,
მაგრამ ცვდილობდა, მხატვრულ პრობაში ეკრანალიზმი არ შემპარვო-
და, მოვლენათა ცხელ კვალტე დაწერილ ნოველებს ნაჩაქარევობა არ
დატყობილდა. ეს კი გიგანტურ ძალისხმევას მოითხოვდა. დავიღალე, მა-
გრამ პირობა შევისრულე, არც კი ვიცი, არის თუ არა სხვა მაგალითი,
მწერალს თითქმის მთელი წლის განმავლობაში გამოიყენების გველა
ნო-
მერში თითო ნოველა დაეხეჭდოს“. ამგვარ მოვლენას მართლაც შეი-
ძლება ვეწოდოთ ლიტერატურული მარათონი; აკორიც, პირველი
ბერძნები მარათონელის მსგავსად, შეჯიბრში იწვევდა არა სხვა მწერ-
ლებს, არამედ საკუთარ თავს და გარემომცველ რეალობას, რადგან მან
საკუთარი შემოქმედებითი კრედო იმთავითვე დაუკავშირა მწერლის
უფლებას, იყოს ქვეყნის ცხოვრების ამსახველი და რეალობის შინაგან
განმაპირობებელ მიზეზთა გამომსხაველი.

რევაბ მიშველაძის ახალი ნოველები საკაოლ კომპაქტური ფორმისაა. ეს, ბუნებრივია, ნოველის სპეციფიკათ არის გამოწვეული. სათქმელის პრობლემურობა, აქტუალურობა ნოველებს ანიჭებს ამ ლიტერატურული ფორმისათვის დამახასიათებელ კონცერტობასა და სიმბაზრებს, ხოლო პრობლემის ორიგინალური კუთხით წარმოჩენის უნარი მათ საინტერესოსა და სახალისოს ხდის მკითხველისათვის. სწორედ ამა-

ტომ ეს თხზულებები ბუსტად მოერგო გამჭვის პერიოდულობისა და კომპაქტურობის პრინციპსაც, მაგრამ, როცა მკითხველმა „პრემიუმი ნოველა“ საქმაოდ სქელგანიანი წიგნის სახით მიიღო, ერთბაშად გამოიკვეთა მათი მთლიანობაც, ურთიერთკავშირიც, ეს კი იმითაც არის განპირობებული, რომ ლატერატურული მოღვაწეობის ათწლეულების მანძილზე ავტორი კალმის ორიოდე მონასმითაც ახერხებს, გაამთლიანოს კონკრეტული სათქმელი თავის ბოგად მსოფლმხედველობრივ, მოქალაქეობრივ თუ მხატვრულ კონცეფციასთან.

საკუთრივ რაჩე მოგვითხრობს მწერლის ასი ახალი ნოველა? ისინი მოგვითხრობენ, ჟაირველეს ყოვლისა, ჩვენი თანამედროვეობის შესახებ, იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც ხდება 90-იანი წლების საქართველოს პოლიტიკურ თუ საბოგადოებით ცხოვრებაში. მაგრამ ამ მოვლენათა მასშტაბი, ბუნებრივია, არ შეესაბამება მცირე ფორმის თხზულების მოცულობას. სწორედ ამიგომ რ. მიშველაძე მიმართავს ლიტერატურის ერთადერთ და ნაცად ხერხს – ბოგად მოვლენებს წარმოგვაჩენს გარდატეხილს პიროვნების სულიერ პრიმბაში. მის ნოველათა პერსონაჟები თავიანით უბრალო, აღამიანური თვალთახედვით აკვირდებიან გარესამყაროში მიმდინარე პროცესებს. ხმირად ავტორი მიშნად ისახავს, მათი სადა ენია (ზოგჯერ დიალექტურ ფორმათა სიუხვით რომ არის აღბეჭდილი) მოგვითხროს დიდი პოლიტიკის თამაშების შესახებ. ამ პერსონაჟთა პროტოტიპები ის აღამიანები არიან, ვინც პირადად იწვია ჩვენი საუკუნის ისტორიულ კატაკლიზმათა სისასტიკე. ისინი ამ მოვლენათა სიღრმეში იმყოფებიან და სწორედ ამიგომ უფრო ბუსტად გრძნობენ სიმართლეს. მათ ბუსტად იციან, რომ სიცრუე იწყება იქ, სადაც აღარ ფასობს ერთი აღამიანის სიცოცხლე, ერთი აღამიანის ძნელებელობა. ინდივიდის ბედის გაუფასურება ხომ სულიერ ფასეულობათა დევაბლვეციის უმთავრესი ნიშანია. განა სამყაროს ბოგადი არსის თვალსაზრისით შეიძლება იყოს რამე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე აღამიანის სული, რომელიც თავის თავში მართლაც მოიცავს მოელს სამყაროს? ამის გამო მწერლისათვის მოვლენათა შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი არსებობს და ეს კრიტერიუმია პიროვნების ბედი, ინდივიდის თვალთახედვა. რასაკვირველია, ნოველათა მხატვრული დრო ყოველთვის XX საუკუნის 90-იანი წლების შესაბამისი არ არის. ზოგჯერ ავტორი მოგვითხრობს დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის ისტორიებს, რომელთაც კვლავ დაბრუნეს აქტუალობა 90-იან წლებში. ზოგჯერ მოქმედება ფანგასტიკურ მომავალში – ოცდამეტოე ან ოცდამეათე საუკუნეშია გადატანილი, მაგრამ ამ ნოველებშიც მომავლის ქართველები ინტერესითა და შეცდუნებით აკვირდებიან თავიანთ თანამომეუბს მეორე ათასწლეულის მიწურულიდან. ეს მაგალითებიც ნათუ

ლყოფს, რომ მწერალი არასოდეს ღალატობს თავის დროს და არა-
სოდეს ღალატობს ინდივიდს.

წიგნისათვის „ასი ახალი ნოველა“ რევაზ მიშველაძეს 1998 წელს
მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. რამდენა-
დაც ეს პრემია შოთა რუსთაველის სახელს ატარებს, საქართველოს
წარსულისა და აწმყოს მწარე შეესაბამობაც ხდება საცნაური: რუსთავე-
ლი ხომ ქართველებისათვის სულიერი ბეობის სიმბოლოა, თანამედ-
როვე მწერალი კი ქართველთა სულიერი სიმბიმილის სურათს წარ-
მოგვიჩენს. მეორე მხრივ, ეს ერთადერთი სურათია, რომელიც ამ პერი-
ოდის რეალურ, ობიექტურ ვითარებას შეიძლება შეესაბამებოდეს. რე-
ალობისა ობიექტურობისათვის თვალის გასწორება კი მუდამ წარმოად-
გენდა ერისა თუ პიროვნების სულიერი წინსვლის ერთადერთ წინა-
პირობას.

ოთარ ბაქანიძე - «უკრაინული ლიტერატურა»

პროფესორი ოთარ ბაქანიძე ათეული წლების მანძილზე იკვლევს ქართულ-უკრაინული ლიტერატურის ურთიერთობის საკითხებსა და საკუთრივ უკრაინული ლიტერატურული პროცესის თავისებურებებს.

ამ პერიოდში მან დაწერა რამდენიმე მონოგრაფია და მრავალი სამეცნიერო-ლიტერატურული სტატია, ასევე შეასრულა პრომაული ნაწარმოებების თარგმანი.

ო. ბაქანიძეს წერილი მონოგრაფიის სახით აქვს გამოცემული „ქართულ-უკრაინული თეატრალური და ლიტერატურული ურთიერთობანი“, რომელშიც ბევრი მასამდე უცნობი ფაქტი არის მიკვლეული და მეცნიერულად შესწავლილი. მისი წიგნები გრიგორი სკოლორიძის, ტარას შევჩენკოს, ივან ფრანკოს, ლეხია უკრაინკას, მაქსიმ რილსკის, ოლეს გონჩარის შემოქმედებაზე არის უაღრესად საინგერენის სფერო ჩვენი ლიტერატურათამცოდნეობისა.

რამდენიმე წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცეა თ. ბაქანიძის წიგნი – „ნარკვევები უკრაინული ლიტერატურის ისტორიიდან“, რომელშიც მცელი და ახალი უკრაინული ლიტერატურის არაერთი გამოჩენილი მწერლის შემოქმედებაა განხილული. 1997 წელს ამავე გამომცემლობამ დაბეჭდა უკრაინული ლიტერატურის მეორე ნაკვეთი, რომელშიც შევიდა ოთხი კლასიკოსი: პანახ მირნი, ივან ფრანკო, მიხაილო კოციუბინსკი და ლეხია უკრაინკა. მათი შემოქმედება მოიცავს XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და ჩვენი საუკუნის ლიტერატურულ ცხოვრებას, ვიდრე 20-იან წლებამდე. მართალია, ამ პერიოდის უკრაინულ მწერლობას ამშვენებს მრავალი სხვა მწერლის სახელიც, მაგრამ ამ ოთხეულის შემოქმედება უაქტობრივად შემოიფარგლებს ამ დროის ყველა უკრაინულ თემასა და პრობლემას. ამავე დროს ამ მწერალთა სახელი დაკავშირებულია მნიშვნელოვან მხატვრულ სიახლეებთან და ორიგინალური გზების ძიებათან. უკრაინულ ლიტერატურაში ეს ოთხეული გამოირჩევა მყარი მსოფლმხედ-

ველობრივი პოტიციითა და ეროვნულ-სოციალური ხედვით. ამიტომაც ლიტერატურული პრობლემის დამუშავებისას მათი შემოქმედდა განვითარდ განსაბალვონული მიმართულებისაა.

ეს პერიოდი უკრაინულ ლიტერატურაში არის კრიტიკული რეალიზმის მოწიფებისა და მისი კლასიკური განვითარების ხანა. ამ ღროის საბოგადოებრივ ცნობიერებაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე ხალხოსნობა, რომელიც აიღვალებს ეროვნულ ინტელიგენციას და მას მთავარ საზრუნოად მიიჩნევს უბრალო ხალხის ცნოვრების კულტურული დონის ამაღლებას. და ბოლოს, ეს არის მოდერნისტული მსოფლიშედველობის დამკავდრების ხანა, რომლის წიაღმიც წარმოიშვა სოციალურ-ფისტოლოგიური ნოველა – ერთი საუკეთესო მონაპოვართაგანი ახალი უკრაინული ლიტერატურისა. რეალისტებმა ლიტერატურაში მოიგონეს ახალი მხატვრული პოტიცია, სახეები, ორიგინალური საშუალებები. მათი შემოქმედუბის ძირითადი თემა გახდა თანამედროვეობის სოციალური და ეროვნული ყოფა, ადამიანის შინაგანი სამყაროს წარმოსახვა. ამ მწერალთა ეძიებული სახეები ამავე დროს ეპოქალურიც არის და უპასუხებებს დროით წამოჭრილ მოთხოვნებს. ამ ეტაპზე უკრაინულმა ლიტერატურამ შექმნა უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული კლასიკური ტიპები და ეროვნული აღორძინებისათვის თავდადებულ ინტელიგენტთა სახეები.

უკრაინული კრიტიკული რეალიზმის, ისე როგორც საერთოდ რეალიზმისათვის, თეორიული საფუძველი მატერიალური ქსოვებიკა, პრაქტიკული შემოქმედების ბაზა კი – ხალხის მძიმე მატერიალური ყოფა. რეალისტებურ პრობლემი მკვიდრდება ეპიკური მასშტაბები, კრიტიკული რეალიზმი აღწევს თავის აპოგეას პანას მირნისა და ივან ფრანკოს შემოქმედებაში. მათ მრავალპლანიან სოციალურ რომანებში ლიტერატურის პრობლემები გადაწყველია ეპოქის მძიმე სოციალურ რეალობასთან.

ო. ბაქანიძის წიგნში სკრუპულობურად არის განხილული თითოეული კლასიკოსის შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკა, მისი ორგანული კავშირი უკრაინული ხალხის მძიმე ეროვნულსა და სოციალურ ყოფასთან. XIX საუკუნეში უკრაინები მწერლები დად ყურადღებას უთმობენ ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის საკითხს, ლიტერატურის უკატემოქმედებას სინამდვილებე. ამიტომაც უკრაინული ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი გმირია ინტელიგენტი-მეცნიერი, მოაბროვნე, რომელიც იღვწის უკრაინული ხალხის სოციალური ყოფის გაუმჯობესებისათვის. XIX საუკუნის მეორე ნახევარში უკრაინული ლიტერატურისათვის ძალიან აქტუალურია კაპიტალიზმის განვითარება, მისთვის თანამდევი გარიგიკული მოვლენების და გლეხობის გაპროლეტარების პროცესის ფართოდ წარმოსახვა.

პანას მირნის სოციალური რომანების („განა ბლავიან ხარები, როგორ ბაგა სავსეა“, „როსე კი პი“) ანალიზის საფუძველზე ავტორი გვიჩვენებს უკრაინული რეალიზმის დიდ მიღწევებს. უკრაინული პროგრესიული რომელმაც ლიტერატურის ცენტრში თანამედროვეობის კარდინალური ეროვნულ-სოციალური პრობლემები დააყენა, ფართოდ ასახავს გლეხობის ცხოვრებას, მის ფიქტოლოგიას. ლიტერატურაში შემოდის უაღრესად ცხოვრებისეული გმირი, რომლის არსებობა ეპოქის მტკიცნეულ პრობლემებთან არის გადაჯაჭვული. ამ რომანებში მწერალი ხატავს ორიგინალურ ისტორიას ლიტერატურული გმირისას, რომელიც იძრმვის ჯერ უსამართლობის, ხოლო შემდეგ კი არსებული სინამდვილის წინააღმდეგ. პანას მირნის რომანების მთვლენები ვითარდება ფარდეგ. პანას მირნის რომანებში სიუჟეტური მოვლენები ვითარდება ფარდეგ. პანას მირნის რომანებში, სადაც მოქმედებები სხვადასხვა მრწამსისა და პროფესიის აღმიანები. მათ აერთიანებთ საერთო სიძულვილი არსებული უსამართლო წყობილების წინააღმდეგ. პანას მირნის რომანების გმირების ცხოვრება ვითარდება დაპირისპირებულ ძალასთან გააფირებულ ბრძოლაში. „როსე კი პი“ სოციალურ-ფსიქოლოგიური რომანია და საინტერესოა არა მხოლოდ უკრაინული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის თვალთახელვითაც, როგორც ქალას ბედისა და ფიქტოლოგიის ბრწყინვალე სურათი.

ო. ბაქანიძე განსაკუთრებით ფართოდ განიხილავს ივან ფრანკოს ცხოვრებასა და შემოქმედებას და ქმნის დიდი მწერლის საინტერესო ლიტერატურულ პირგრეგს. ი. ფრანკო დიდ ხელოვანთა შორის ერთ-ერთი უნაყოფიერესი მწერალია. მისი, როგორც მწერლის, ნოვაგორობა გამოჩნდა ყველგან: პოებიაში, პროზაში და ლიტერატურგიაში. ი. ფრანკო იყო თავისი დროის გამოჩენილი მეცნიერი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი, ეთნოგრაფი, მთარგმნელი.

ივან ფრანკო უდობდა გერმანულს, ფრანგულსა და ინგლისურ ენებს, იცოდა ბერძნული და ლათინური. თარგმნიდა თითქმის ყველა ეროვნების კლასიკოსს – დაწყებული უძველესი დროიდან, დამთავრებული მისი თანამედროვეებით. მას ეკუთვნის დანტე ალიგიერის „ღვთაბებრივი კომედიისა“ და გოეთეს „ფაუსტის“ უკრაინული თარგმანები, შესანიშნავი გამოკვლევებითურთ. მისი ავტორიიტეტი, როგორც ლიტერატურათ-მცოდნისა, დღესაც დიდია უკრაინაში. ამდენად ი. ფრანკოს მრავალმხრივ დირებული ნაწარმოებების მონიგრაფიულად შექმავლა დიდ მრომას მოითხოვდა. ო. ბაქანიძის წიგნში 200-გე მეტი გვერდი ეთმობა ი. ფრანკოს შემოქმედებას. მისი ცხოვრების გზა აქ ნაჩენებია ისე, რომ თვალსაჩინო გახდეს, როგორ მწიფდება მომავალი მწერლის ტალანტი და რა შემოაქვს ახალი მას მხატვრულ აზროვნებაში. ი. ფრანკომ



უკრაინული პროგრა გაამდიდრა ახალი თემებით, იდეებითა და მოტივებით. მან უკრაინულ პოეტის შეიტანა ახალი თემები და მხატვრული და სახეები. პოემებში ის ამჟავებდა კართული სახეები. პირველ ყოვლისა, ერთგულ უკრაინულ პრობლემებთან ორგანულ კავშირში. მისი ღრამატერიულია ახალი სიტყვა იყო ღრამატული ნაწარმოებებით მდიდარ უკრაინულ ლიტერატურაში. ყოველივე ეს მეცნიერული სიღრმით არის შეფასებული ო. ბაქანიძის ნამრომში. ავტორი ო. ფრანკოს წარმოაჩენს როგორც მსოფლიო მასშტაბის ხელოვანს, რომლის დაუცხრომელი ლიტერატურულ-მეცნიერული შრომა უკრაინულ ლიტერატურულ აზრს ფართო გასაქანს აძლევს.


მიხაილო კოციუბინსკის შემოქმედებიდან ო. ბაქანიძის წიგნში გამოიჩეული ყურადღება ეთმობა მის სოციალურ-ფიქტოლოგიურ ნოველას. უკრაინულ ლიტერატურაში მ. კოციუბინსკი სრულიად ახალი მოვლენაა უაღრესად ცოცხალი მხატვრული ტიპებითა და სახეებით, ადამიანის სულის ღრმა ფიქტოლოგიური წელომის დიდი უნარით. მისი მხატვრული ისტატობისათვის დამახასიათებელია აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის შერწყმა სრულყოფილ ფორმასთან და ფსიქოლოგიურ ანალიზთან. ამინტომაც მისი შემოქმედება წწერლის სიცოცხლეშივე იწვევდა დიდ ინტერესს უკრაინასა და მის ფარგლებს გარეთ. ო. ბაქანიძე ნათელყოფს მწერლის შემოქმედებით ეკოლუციას ხალხოსნური იდეებიდან დაწყებული ფიქტოლოგიური ნოველის განრში მისებლამდე. მწერალმა თანდათანობით უარყო ხალხოსნებისათვის ნიშანდობლივი შიშველი ტენდენციურობა, ვითარების დეტალური აღწერა, მოქმედების მკაცრი ქრონოლოგიური თანამიმდევრობა და გადავიდა სურათოვან იხტობაზე. ამ გზით სრულად წარმოჩინდა მისი, როგორც ხელოვნის, მხატვრული შესაძლებლობანი. ამ პერიოდში მან შექმნა მრავალი საბავშვო მოთხოვობა, სადაც გამოვლინდა ბავშვის ფიქტოლოგიას ღრმა ცოდნა, ექსპრესიულობა, მხატვრული ლაკონიზმი. ეს იყო გამობრწყინება მ. კოციუბინსკის მხატვრული ტალანტისა. ამის შემდეგ თავის მოთხოვობებში მწერალი დიდ ყურადღებას აქცევს ხალხის მორალურ ძალასა და მძიმე სოციალურ პირობებს, რაც ხელს უმლის ადამიანს გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი.

მკვლევარი ცალკე ეხება მ. კოციუბინსკის საეგაპო მნიშვნელობის ნაწარმოებებს – „Fata morgana“-ს და „დავიწყებულ წინაპართა აჩრდილებს“. მათგან პირველი ასახავს 1905-07 წლების რევოლუციაში მუშაობა და გლეხთა სოლიდარობის აუცილებლობას, ხოლო მეორე, უკრაინული ტომის – გუცელების ცხოვრებას. მწერალი გუცელების ყოფას, მათ დემონილოგიურ რწმენას, მათ თავისებურ პოეტურ მიმართებას გარუსამყაროსთან უშაალოდ გაეცნო მათთან რამდენიმე თვის ცხოვრების

დროს. ამ მოთხოვობამ მას დიდი სახელი მოუპოვა ევროპაში. ობიექტებზე ის წიგნში მ. კოციუბინსკი წარმოდგენილია როგორც დიდი ხულოვანი და თავისი ხალხის ჰემპარიტი მოღვაწე. აგზორი საგანგებოდ ქართველი მწერლის დამოკიდებულებას ქართული ლიტერატურისადმი, კერძოდ, მის განსაკუთრებულ პატივისცემას იღია ჭავჭავაძისადმი, რაც გამოიხადა მ. კოციუბინსკის მიერ, – სხვა უკრაინელ მწერლებთან ერთად, – იღიას 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით უკრაინიდან გამოგზავნილ საიუბილეო წერილში.

ო. ბაქანიძე დიდი სითბოთი წერს ლესია უკრაინკაში. ლესია უკრაინკას შემოქმედება ღრმა პრობლემატიკურობით გამოიჩინევა. მისი მოღვაწეობის პერიოდი ევროპასა და რუსეთში რთული და პოლიტიკურად არასაფაბილური იყო, რაც დიდ ზეგავლენას ახდენდა ხალხის ცხოვრებაშე. XIX-XX საუკუნეების მიჯნა სოციალურ-პოლიტიკური ქარტებილებით იყო აღსავსე. ამიტომაც ამ როგორ საბოგადოებრივ ცხოვრებაში გარეუკან ხელოვნისაგან დიდ ნიჭია და დაკავირვების უნარს მოითხოვდა. ყოველივე ეს ღვთით მომადლებული ჰქონდა ლესია უკრაინკას. ის მძიმე ავადმყოფი იყო მთელი სიცოცხლე, რაც ხელს უშლიდა გარესამყაროსთან ურთიერთობაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ღრამაგულ პოემებში ეპოქის მნიშვნელოვანმა მოვლენებმა მაინც პოვეს თავისებური გადაწყვეტა. ყოველივე ამას თ. ბაქანიძის შრომაში სათანადო მეცნიერული შეფასება ეძღვევა. მკვლევარის ინტერესის საგანია, პირველ რიგში, ლესია უკრაინკას ღრამაგული პოვები, დაწერილი როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო თემებზე. ასეთებია: „ბოიარის ასული“, „ტყის სიმღერა“, „კასანდრა“, „ქვის ბატონი“ და სხვა. თ. ბაქანიძე პოეტის შემოქმედების ყველა ასპექტის ახასიათებს და ამ გზით ღრამაგულ ნაწარმოებთა მხატვრულ ღირსებას წარმოაჩენს. მის შრომაში დეტალურად არის დახასიათებული უკრაინელი პოეგის საქართველოში გატარებული წლები და ქართულ სინამდვილესთან მისი დამოკიდებულება. მკვლევართა ამრით, ლესია უკრაინკას საუკეთესო თბზულებანი საქართველოში დაიწერა. ეს თავისითავად ძალიან საინტერესო.

ო. ბაქანიძის წიგნის დიდ ღირსებად მიგვაჩნია უკრაინელ მწერალთა შემოქმედების განხილვა ქართულ ლიტერატურასთან მიმართებაში. მკვლევარი ამ ურთიერთობის თითქმის არც ერთ ფაქტს არ ტოვებს უყურადღებოდ, მათ შორის არც ქართული საბოგადოების დამოკიდებულებას ამ მწერალთა შემოქმედების მიმართ. კერძოდ, აანალიზებს მათ შესახებ ჩვენს პრესაში დაბეჭდილ მასალებს, მათ ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებს და სხვა. ეს წიგნი საჭიროა სტუდენტი ფილოლოგებისთვის და, საბოგადოდ, უკრაინული ლიტერატურით დაინტერესებული ქართველი მკითხველისათვის.



ପରିଚୟ

მითხარ რას კითხულობ და გეტყვი, ვინ ხარ.
გეგმიძლია სრული წარმოდგენა იქონიო აღაში-
ანის გონიერებას და ხასიათზე, თუ მის პიგლიორიც-
კას დაათვალიერებ.

შარლ ბლანი

მშიგნობართა ასოციაცია (შიგნის მოწვარულია საზოგადოება): ფაქტები, მოვლენები, ღონისძიებები

1998 წელი

8 აპრილს წიგნის მოყვარულთა საბოგადოებამ და თბილისის იუ-
ნი ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაწყეს
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნოდარ ჭითანავას
წიგნის – „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობ-
ლემების“ – განხილვა. ღონისძიება ჩატარდა თბილისის უნივერსიტეტ-
ში და მიემდენა მისი დაარსების 80 წლისთავს.

13 აპრილს მოეწყო შეხვედრა საქართველოს მწერალთა კავ-
შირის თავმჯდომარე თამაზ წივწივაძესთან.

8 მაისს წიგნის მოყვარულთა საბოგადოებამ შოთა რუსთავე-
ლის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გამართა
საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის ხსოვნის საღამო.

20 მაისს წიგნის მოყვარულთა საბოგადოებამ და თბილისის
სულხან-საბა თრიბულიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა უნი-
ვერსიტეტმა მოაწყეს პროფესორ რევაზ ბალანჩივაძისა და ვიქტორ
ასათიანი წიგნის – „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლების“ –
პრეზენტაცია. ღონისძიება ჩატარდა პედაგოგიურ უნივერსიტეტში.

17 ივნისს მოეწყო აკადემიკოს ლორიკ მარშანიას წიგნის –
„სიმართლე აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ“ – პრეზენტაცია.

4 სექტემბერს შედგა მწერალ გურამ ბათიაშვილის წიგნის –
„თავდავიწყების თამაში უცხოელთა ლოგინებში“ – პრეზენტაცია.

9 ოქტომბერს მოეწყო პროფესორ გიორგი ციციშვილის წიგნის –
„ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი ღოვა-
მენტურ-ანალიტიკური კომენტარები“ – პრეზენტაცია.

23 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახ-
ელობის წიგნის მოყვარულთა საბოგადოების რიგგარეშე ყრილობა.

ყრილობამ შესწორებები შეიტანა საზოგადოების წესდებაში. ყრილობამ გადაწყვეტილებით წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გადაჭრაქ- ვა სახელი და ეწოდა სპარსელოს 0ლია ჯავავამის სპარსელო- ბის მნიშნობართა ასოციაცია.

20 ნოემბერს მწიგნობართა ასოციაციამ და თბილისის მასწავ- ლებლია დახელოვნებისა და განათლების სისტემის მეთოდერი უმრუ- ველყოფის ინსტიტუტმა ქალაქის პედაგოგიური საზოგადოებრიობი- სათვის მოაწყეს რ. ბალანჩივაძისა და ვ. ასათიანის წიგნის – „პედა- გოგიკის ფილოსოფიური საფუძვლების“ – განხილვა.

2 დეკემბერს მოეწყო პრიწფესორ დევი სტურეას წიგნების – „ნოსტალგია“ და „Испытание высотой“ – პრეზენტაცია.

17 დეკემბერს მოეწყო მურმან კვარაცხელიას წიგნის – „ილია ჭავჭავაძე საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარე- ბის თავისებურებათა შესახებ“ – პრეზენტაცია.

21 დეკემბერს მოეწყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ- ელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათ- ედრის ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს – „ეკონომიკური თეორიის“ – პრეზენტაცია.

შეადგინა საქართველოს მწიგნობართა ასოცია- ციის მთავარმა სპეციალისტმა წიგნის პროპაგან- დის დარგში ლეილა ბარაბა დე მ.

საქართველოს სახალხო კომიტის დაბალების 100 წლისთავისათვის

დამარა პიკილ აჭავილი, „როგორც სასახლე გაჩაღვავლი...“	5
გიორგი ლეონიძე, ლექსი	21

წიგნი და ცხრვრება

დადო ავეჯვილი, დილი ენათაციების ლიტერატურათმთამოწევის დაწყები	25
სოსო სიმა, „მთელ ქავებსმ თავისევზებაა...“	31
გერაბ კიანაძე, „ოდეაევსი საუკენის შემდეგ, ოდეაევსი საუკენის წიგნი...“	51
იგგია კიანაძე, დავითწყარი სერამები	60
გიორგი გაფულ აჭავილი, იითია გერჯის ბიოგრაფიული ეტიულები	64

ღრმ და აღამიანება

დადო ავალიანი, „ღვერთო, მოხედვ არებებს...“	73
დია სტერეა, იცხელში დამწვარი სიტყვა	76
რომილიკალი გვითხვა მწიგნობრებს (ლექსი) ..	80
დადო ავალიანი, „რამ კი ვარსებობ, მი ვთამაშობ მარტოდ, ეულად...“	81
გესია ხარანეალი, მწერლობა – დედაენის სალარი	84
ანდერძს არ ემსგავსოს (ლექსი)	88

მიმართ

ბორის დარჩია, ბაზრაზ მუხრანებაზონის ბიბლიოგრაფიული ცენტრები	91
გიორგი გიაშვილი, მონე გამრაზიონის ნათარგები მომზადის სია	100
გევარა განიძე, ერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერის კვალიფიკაცია ...	113
კელო დელევია, „გასინჯით გეჭის იგავი...“	127



აკაკი ხელიშვილი, სელსან-საბა ტრბელიანი – ვერსიის აღმოჩენი 150
0682 გილორიანა, მითის მხატვრული ტრანსფორმაცია მოღვაწეობის შესახებ მოთხოვნა 159

ყალბით და უჯრით

01 განერილაკე, სიცონი ქართველი მხატვარი-ზაღამნერი გილორი ართმელაპე 173
02 რინა განერილაკე, ქართული ექსლიპრის სამავალებათა 179
03 ქარი ქარგელ აჭარი, კვერი პრიცესები და მისი ილუსტრაციები 0101 ჭავჭავაძის თხგულებათა პრეგულისათვის 193

წარსელის ურცლები

01 არ ივამა, რლდა გურამიშვილი-ნიკოლაძე 209
02 ვაჟა ვაჟა ვაჟა ვაჟა - ვავრ ვავრ ვავრ, მარია ჯამაპერ-ტრბელიანი 218
03 000 000 000 000, მოგორება (ლექსი) 224

მსოფლიოს მარილიანებები

ალექსანდრ კუპრიანოვი-200
სალომე გეგანევი ვალი, ალექსანდრ კუპრიანოს „კვანძი ოცნების“ ერთი ლიტერატურული წყარო 227
სანდრო თბილელი, ა. კუპრიანი და აღმოსავლეთი 233
006 00 ეკვთარია, ალექსანდრ კუპრიანოს ერთი ლექსის სიცონი თარგმანი 238

რვანეს თუმანიანი-130

ბონედო არ ვეღამე, „თანამოქმედო, სალაში მქვედა!“ 246

ნიგები...ნიგები...ნიგები...

0660 გაბირაშვილი, აბასერისმე ტბელის თხგულებათა სრული პრეგულის პირველი გამოცემა 251

აღ ესანდრე გვარია, რომ პრებული და წრი გახსენება გიორგი გოგოლე გვილი, იოსებ გრიშაშვილის	255
„ქალაქური ლექსიკონი“ ლევან გვერდი, „ჯვარ-ხატის სალიდებლები“ ივალ კურთია გვილი, ქართული ფილოლოგიური მეცნიერების კიონისმ მენაძენი თამარ შარაბიძე, პრებული – „ილია ჭავჭავაძე“	260 262 264 268
ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ გელა წიგრია, რევაზ მიგვლაპის „ასი ახალი ლიკელი“ რევაზ ხვედრიძე, რიარ ბაქანიძე – „უპრაინედი ლიტერატურა“ ლიტერატურა	273 276 276
მწიგნობარია ასოციაცია: ვაჟოვანი, მოვლენები, ღონისძიებები (შეადგინა ლიტერატურა ბარაბაშვი)	283

ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପଦ

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପାଠ

25.08.1999 ଫ.

ଭୋଗମାତ୍ରି 60X84 1/16.

ଓ ସାହାରତବ୍ୟାଳୀଙ୍କ ଲେଖକ ପ୍ରକାଶକାରୀଙ୍କ ବାକ୍ୟାଲୋକରେ ମହିନେମାରେ ଆମ୍ବାଚିଲିମାରେ
ପଦିଲାଇଲାଇ, 1999 ଫ.
ରୂପକାବଳୀଙ୍କ ପାଠିଲାଇ, 40/1.

ଅଭିଭୂତ ଏବଂ ପାଦବୀବଳନାରେ „ମୁଖ୍ୟମାତ୍ରରେ“ କରିବାକୁ ପାଇଲାଇ ଉପରେ

ପ୍ରେସ୍‌ଟିପ୍ ପାତ୍ରରେ ବାନ୍ଧିଲାଇ ଗାଢିମା ଶ୍ଵରିଲାଇ ମା
ଦାକାବୀବଳନା ମାତ୍ରରେ ପାନ୍ଦିରିଲାଇ ମା

ଦାିଦ୍ରେଷ୍ଟିଲାଇ ମାତ୍ରରେ „ଜାଗମରିଲାଇ ମା“

ISBN 99928-62-03-3

90°

200-0-149

ରାଜ୍ୟବିଦ୍ୟାଳୟ

ଶକ୍ତିବିନ୍ଦୁପୁରୀ

125

20

4473/

0 - 2